

ԱՐԵՎՈ ԺԹԱ-ԹԵԱՏՐ

ԹԵԱՏՐԱԼՈ № 24

ԶԱՅԻ 5 ԸՆԴՈ

ԳՅՈՒԱԾ ՑՈՒՐԱԿԱ
ԿԵՓՈ ՍՐԿԱՑՄԱՆ
ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ
ՏՀԱՅ-ՏՀԱՅԱԳԻ:
ԲՅԵԼՈ ԴԻՇԱՆԱՍՈ

ՑՈՒՑ
ԱԼԵՎՏԻ-ԹԵԱՏՐԱԼՈ

ISSN 1512-2220



9 771512 222006





...კავშირი თევანე სამყაროსთან





BAGEBEY CITY GROUP

25 25 75

www.bagebeycity.com



სახლი აუზთან

ა 25 25 75

www.bagebeycity.com



BOSS shop Tbilisi
37, Rustaveli ave.
0180 Tbilisi
Georgia
Tel.: +995 32 92 33 44
Fax.: +995 32 92 10 35
E-mail.: victoria_fashion@caucasus.net
www.victoria98.com



BOSS
HUGO BOSS

LAVAZZA

ერთობლივი

Horeca Georgia

ვაჟა-ფშაველას გამზ. 26, თელ.: 712073, მობ.: 877 712073

www.lavazza.com






გარეკანზე: გოგი ალექსი-მესხიშვილი
ფოტო დავით მესხი
ვიზუალი: ანუკა მურვანიძე, სტუდია „გრიმ-მასკა“
ინტერიერი: შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი

№ 24

თებერვალი

ცხადი მოწოდევა

72



42



52



96



116



20 კულტ მიმოხილვა

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი

26 აქცენტები

„ცხელი მოკლადი – ლიტერატურა“,
ასალი რაალითი შოუ რუსთავი 2-ზე,
ჯილდო ლოლოპრივიდა და სხვები

ავტორი: თამარ ბაბუაძე

32 პრუსტის კითხვარი
კილა აცერონიკაშვილი

34 დისკუსია
ენა და ლექსიკა ავტორი: ქეთი სადლობელაშვილი

42 პრომოუშენი

მერალი და მისი მთარგმენტი
ავტორი: ინგრიძე დეხრავა

50 კომენტარი

დილი ჩიხეთი მოღის ავტორი: ნინო ძანძავა

52 თარიღი ითალიიდან

ავტორი: თამარ სუხიშვილი

62 ცხოვრების წესი

ჯონ უილდემანი ავტორი: თამარ ბაბუაძე

72 ისტორია

გოგი ალექსი-მესხიშვილი - „ერთი შეხედვით პირუში“
ავტორი: ქეთი სადლობელაშვილი

84 დუბობრეცი

ავტორი: ანა კორძანა-სამადაშვილი ფოტო: ბესო უზნაძე

96 ზვიად ციცოლია

„სამი ახლენილი ოცნების და ერთი წარმატების ამბავი“
ავტორი: ნინო ლომაძე

108 ენდი უორჰოლი - „სიკვდილის ანგელოზი“

ავტორი: გიორგი გვახარია

116 სპეც-პროექტი

ძველი მაზოპლაგი ავტორი: ირა ყრუაშვილი

126 ფოტო-პროექტი

ტფილის ეზოები ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

136 თავისუფლების დღიურები

გურამ რჭიშვილი

140 ცრემლიანი სათვალე

სისხლი და თესლი - 1988 ავტორი: გიორგი გვახარია

148 პირადი ეცეცილოპედია

ავტორი: აკა მორჩილაძე

150 პიესა

შავი კაფეა - ავტორი: დათო ტურაშვილი

New collection



პეტრიაშვილი №2 Pekini str. №2
(995 32) 33 19 62
(995 32) 33 19 68

NAFNAF



რეალურობის ნირილი



ჩემმა 15 წლის დამ, სალომემ, მისთვის დამახასიათებელი კატეგორიულობით, გამეიცა: „არ მომწონს შენი სვეტები. რა არის ეს „ამას ნახავთ, იმას ნახავთ უურნალში“ რომ გვიყვები?! მაგას ხომ მეოთხველი სარჩევშიც ამოიკითხავს. შენ რამე სხვა დაწერე, ან შენს თავზე, ან სხვა ახალი და საინტერესო ამბები მოვგიყევი. გაიგეე?!“ სალომესთან თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა (გიცდიათ ოდესმე 15 წლის ადამიანის გადარნმუნება?!), ამიტომ პირობა მივეცი, შენი ხათრით, შემდეგ ნომერში, სწორედ ესე მოვიქცევი-მეთქი. ეამა. თან ძალია.

პირობა პირობა! მაგრამ, მართლა მგონია, რომ რაც ახალი და საინტერესო ვიცი, ყველაფერს „ცხე-ლი შოკოლადი“ გიყვებათ (თან რა მაგარ ამბებს, რომ იცოდეთ? მე ვერ გიყვებით, პირობა მაქვს დადებული, მაგრამ აუცილებლად დაწერილებით გაეცანით სარჩევს, და მერე უურნალს!).

ჰოდა, იმას გეუბნებოდით რომ, შემეყარა რაღაც უსაშველო გრიპის ვირუსი (და იმედია არა ფილტვების ანთება), 40 გრადუსიანი სიცხეებით, გულის წასვლებით, ხველებით და მოკლედ, თავმოყვარე ვირუსისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტიკით. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ძვირფასს უურნალს სტამბაში მიერქარებოდა და საქმე თავზე საყრელად გვქონდა, რედაქციას და შვილებს დავემშვიდობე და მოსავლელად, დედას ჩავბარდა. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ „нет худа, без добра“-ო, ხომ გაგიგიათ? ძალიან მიყარს ეს გამოთქმა! ჰოდა, რამდენიმე ისეთი კარგი საქმე ჩავიდინე, რისთვისაც სხვა დროს ვერ მოვიცლიდ.

სიამაყით გადავათვალიერე ჩემი ბიბლიოთეკა და თქვენთანაც უნდა მოვიწონო თავი. წიგნების დიდი ნაწილი ფანქრით გაეკეთებული ჩანაწერებით არის აქრელებული, ესე იგი, ეს ის წიგნებია, რომელ-ბიც ნასწარი მაქვს, ან რამდენჯერმე გადაკითხული. სრული უანრობრივი მრავალფეროვნებაა – პოლიტოლოგია, ეკონომიკა, კულტუროლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, ფილოგრაფია, ისტორია, ანატომია, მათემატიკა, ლიტერატურა, ნაშრომები სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებებში. მოკლედ, რა ჩამოვთვის ჩემი უგზო-უკლო განათლების ყველა მიმრიცულებას. მაგრამ ამ იზოლირების უას აღმოვაჩინე, რომ ბევრი წიგნი მიყიდია, თაროზე შემომიდია და მისი წაკითხვა აღარც კი გამსხენება. მაგალითად, კაფკას 50 გვერდიანი „მეტამორფოზა“ და მისივე „მამისთვის მინერილი წერილები“. (არა-და, როგორ მიყვარს წერილების და დღიურების კითხვა) ვირჯინია ვულფის „ტალღებიც“ მიმოწყებია, მიუხედავად იმისა, რომ ისიც კი მახოვს ჩემი საუნივერსიტეტო ქალაქის რომელ მაღაზიაში ვიყიდე ეს წიგნი. მარგარეტ უორსენერის მოთხოვნები, ფუკუიამას ახალი ესეების კრებული. და ყველაზე სამარცხვინო ამბავი – წიგნის ბაზრობაზე შეძენილი აკა მორჩილაძის „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი“, რომელიც ჩვენს ბევრ ერთგულ მქითხველს მწერლის ავტოგრაფით ხვდა საჩუქრად, არც კი გამიხსნა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ აღსარებად კმარა.

დავნიერ ამ წიგნების გადმოლება და კითხვა. ვკითხულობ და ვნეტარებ, დროებით მაინც. და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჩემი ყველაზე დიდი „უძრავი ქონება“ ეს მტკვერდადებული წიგნების თაროებია.

თქვენც რომ გრიპის ვირუსს არ დაელოდოთ იმისათვის, რომ წიგნის თარომდე მიხვიდეთ, ლიტერატურა „ცხელ შოკოლადში“ დაგხვდებათ, თან დიდი დოზით, თან მაღაზის სარბედიასთან და ყველა იმ ავტორთან ერთად, ვინც წერს ლიტერატურას, უყვარს ლიტერატურა და ფიქრობს ლიტერატურაზე.

ჰა, სალომე, როგორია?!

(მგონი ბოლოში პირობა მაინც დავარღვიე, არა?!)

შორენა შავერდაშვილი

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი
ნინო სლეპჩენკო

რედაქტორ-სტილისტი
გაგა ლომიძე

როგორი მუშაობდნენ:

ანა კორდანა-სამადეშვილი, თამარ ბაბუაძე
სალომე კიკალეშვილი, გიორგი გვახარაძე
დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე
თამარ სუხიშვილი, ირა ყრუაშვილი, ნინო
ლომაძე, ქეთი სადლობელაშვილი,
ნინო ძანძავა

ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე
ნიკო ტარიელაშვილი, ბესო უზნაძე

ილუსტრაცია

მაია სუმბაძე, გიორგი მარი,
მამუკა ტყეშელაშვილი

ღიზანინი

დავით თეთრაძე, მიხეილ დგებუაძე
თორინიკე ლორთქიფანიძე

მარკეტინგი

ქეთა ბუაჩიძე

რეპლაგა

გვანცა გუშარაშვილი,
ნესტან ავალიანი

ღისტრიაული

რატი ლორთქიფანიძე

გამომცემელი

 M-PUBLISHING

„შეილი შოკოლადი“
„ჯინო-შეილი შოკოლადი“
„ოზონი“
„დიალიზი“

შპს „ემ ფაბლიიშინგი“

მისამართი: თბილისი 0105,

ფალადშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mspublishing@caucasus.net

რეკლამის განთავსება

შპს „შაბ თბილისი“

მისამართი: ფალადშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: msa@msa.ge



სტამბა

შპს „სეზანი“

მისამართი: თბილისი,

ნერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

უურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
ც “M Publishing” სააგრძო უფლებები დაცულია.
უურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი
ან მოლიანი გამოქვეყნება აკრძალულია.

www.shokoladi.ge

შე-ქმნილი ბუნებისგან



ერთხელ დაუბერავს ქარი... ის გააღვიძებს შენს ნამდვილ ბუნებას... იგი ითხოვს ცვლილებებს... და შენ მიჰყვები მას, რომ მიაღწიო მეტს... ასე ბადება რაღაც ახალი, სრულყოფილი...

Nokia 8800 Sirocco Edition* - ბუნების და ადამიანის ერთობლივი მიღწევა. კლავიატურის ტალღა გამარცვებისკენ სწრაფვაზე მეტყველებს, ბუნებრივ ინსტიქტზე - უჯანგავი ლითონის კორპუსი, და თანამედროვე ცხოვრების რიტმზე - ბრაიან ინოს მუსიკა.

Nokia 8800 Sirocco Edition*. სრულყოფილების ახალი კანონი.

NOKIA
8800
Sirocco Edition

*სერია სირიკე

ჩვენი ავტორები



თამარ ბაბუაძე



ანა კორძაია-სამალაშვილი



ეთი სადლობელაშვილი

არასაღროს მდომებია, ეყოფილოყავი შონ პენი. მაგრამ სიღნაღმი თავი ზუსტადაც რომ შონ პენი მეგონა, ოღონდ აი, იმ ფილმში U-Turn-i, ანუ “მოსახვევი” რომ ჰქვია. სიღნაღი კი ზუსტად ის ქალაქი მეგონა, შონ პენის გმირი რომ ჩარჩება და გაიჭედება...

არა, მართლა არ ვიცი, არსებობს თუ არა საქართველოში კიდევ უფრო ლამაზი და უცნაური ქალაქი, ვიდრე სიღნაღია. ამ უცნაურობის მთავარი მიზეზი ორმაგი რეალობის განცდაა, რომელიც ამ ქალაქს დაუსრულებლად მოაქვს. ორმაგი რეალობის მთავარი მიზეზი კი, ერთი მხრივ, საბჭოური ნარჩენებისა და ძეველთბილისური არქიტექტურის ნაზავა; მეორე მხრივ კი – სიღნაღის უცხოელი მკვიდრი ჯონ უერდმანი და მექსიკური რესტორანი. აქ თავს მუდმი დაბწეულად იგრძნობათ: აბა, სხვა რა მოგივათ, თუ ქიზიყელების ქეიფში ამერიკელი თამადა გეყოლებათ, საღამოს ყავის დალევას კი “პანჩო ვილაში” შემოგთავაზებენ – სიღნაღის ძეველ უბანში, ერთ ძეველ სახლში მოწყობილ მექსიკურ რესტორანში....

ეს უცნაურობის განცდა განსაკუთრებით შებინდების მერე გაგიმძაფრდებათ, როცა კავკასიონს გრძელ, თეთრ ზოლად ღამის სიბრნელშიც გაარჩევთ, ქვევით ალაზნის ველი აბრჭყვიალდება, თვითონ მძინარე და მდუმარე ქალაქში კი ჩქამსაც ვერ გაიგებთ. ამ სიჩუმეში თქვენი ფეხის ხმაც საშინელ ხმაურად მოგეჩვენებათ და ფანტაზიები მერე ნახეთ. სიღნაღის ცარიელ ქუჩებში სეირნობისას ყველაფერი შეიძლება მოგელანდოთ: “კუკლუქს კლანის” მაშტებინი პროცესიაც და კუთხეში, ხალიჩაზე ფეხმორთხმული კახელი მეგარმნეც, ჯოკონდას დაუდგენელი ხასიათის ღიმილიც და საშოვარზე გამოსული ვარდისფერი პანტერაც. გგონიათ, გადავაჭარბე? ჩადით სიღნაღში და თავად ნახავთ. ხოლო თუ ასეც მოიცევით, აუცილებლად მომიერთხოთ ჯონ – ძალიან საინტერესო და სიმპათიური ადამიანი, რომელიც უკვე ათი წელია სიღნაღში ცხოვრობს და მე მას რამდენიმე გვერდის იქეთ საფუძვლიანად გაგაცნობთ.

ასე რომ, შეხვედრამდე! სიღნაღში!

სალამი და პატივისცემა. დაეპრუნდი. რაღა დაგიმალოთ, სულ არ მომეჩქარებოდა – სამოთხეებში ვიყავი.

ვიყავი იქ, სადაც მუხლამდე თოვლი დევს და ღამით ხები ყინვისგან ჭრიალებენ. ვიყავი სახლებში, რომლებსაც ნაკელის აგურებით ათბობენ და ქალები ყოველ გაზაფხულზე ხელახლა ღებავენ ცისფერი საღებავით. ვიყავი იქ, სადაც საქართველოს საგანძურია დაცული, მთასთან, რომლისკენ მიმავალ ყველა გზაზეც რდესაც ციხე-კოშკები იდგა. იმ მსარეებში უცხაური სასმელი დავლიე, უმალევე დიდ ღუმელზე ასვლა და გამოძინება რომ მომანდომა, და ერთი კვირის თავზე თოვლის ვარდნის ხმაც ვისმინე – უცებ ჩიმოცვივდა ხიდან, კაცმა არ იცის, რატომ. იქ მეგონა, რომ მთელი სამყარო ჩემს ხელთა და კარგი იყო, თან ძალიან. მაგრამ რა გაერყობა – ჩამოვედი და ამბებს გიამბობთ, იმის იმედად, რომ კვლავ სადმე წავალ, თქვენ კი ერთ დღეს ჩემი თვალით ყურება ძალიან მოგბეზრდებათ და თავად გაუდგებით გრძელ გზას.

“– ური მიგდე, პეტი, – თქვა ტომიმ, – შობამ ხომ რახანია, ჩაიარა.

– მერე რა, – უპასუხა პეპიმ, – უბრალოდ, ჩემი ვილა ღონავ ჩამორჩა, ძეველი საათივით. მესაათეს უნდა მივუტანო, ზამბარა გამოუცვალოს, თორემ კიდევ უფრო ჩამორჩება.

– რა კარგია, რომ დრო ჩამორჩა, – თქვა ანიკამ.” ეს, ცხადია, ჩემი ნამბობი არაა, ასტრიდ ლინდგრენმა დანერა. უბრალოდ, ტომი და ანიკასი არ იყოს, ძალიან მიხარია, რომ ჩემს სამშობლოში დრო ამცდარია და ისე მიდის, როგორც მოეპრიანება. სხვაგვარად ვერც შობას ვიზეიმებდი და ვერც ახალ ნელს. ძალიან მიხარია, რომ ბესო უზნაებე და გიორგი ბანქელაძე ჩემი მეგობრები არიან. სხვაგვარად ვერც ჯავახეთში მოეხდებოდი და ვერც ლეჩეუმში.

რაც წელი დაიწყო, სულ ბედნიერი ქალი ვარ. ვეცადე, ჩემი ბედნიერება თქვენთვისაც გამეზიარებინა. იქ, სადაც ვიყავი, სულ სიკეთეს მისურვებდნენ. ამასვე გისურვებთ თქვენც.

ვერ ვიტან ამ საავტორო სვეტის წერას. რა უნდა ვთქვა, დავინწყო პათეტიკურად და სნობურიც გავურიო? – ოოო! ისე ვღელავდი გოგი მესხიშვილთან შეხვედრისას? ის ხომ ყველას არ აჯილდოებს თავისი უურადლებით. თუ მორალისტური დავიჭირო – მაინც რა არის ეს ქართული ხასიათი! ორჯერ ჩამეშალა დისკუსია, რადგან გამოახალწლევებული ქართველების 80 % ალკოჰოლური ინფორმაციით იყო დაცემული. ან იქნებ, ინფანტილიზმს მივმართო – ვაიმე, რა კარგია, როცა ჩვენი უურნალის რედაქციაში ნაცნობ სახეებს ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ მაინც ვხვდები.

საავტოროც, სათავისოც და სასხვისოც იმ ორ მასალაშია თავმოყრილი, რომელიც ამ ნომერში იბეჭდება, სვეტიც ეგ არის და ბოძიც.

არა, არა, სვეტი მინდაო – მოითხოვს რედაქტორი. მოვითხოვო, ასე თქვა.

სვეტი არა, ისა!



AXIS PALACE 1

32 SABURTALO Str.



tel.: 55 34 34 , 25 34 34 www.axis.ge



რადგან არ იშლით, აპა:

რჩევა ნომერი 1: გოგის „სათვალე“ მომავალი წლისთვის წიგნად გამოუშვით, მასა სუმბაძის ჩინებული სურათ-ხატებითურთ + რაიმე კარგი კონცეპტით.

რჩევა ნომერი 2: სიყალბის ფილტრი დაიყენეთ. მარტო ტყბილსა და მურაბაში არ არის საქმე.

რჩევა ნომერი 3: კორძანა-სამადაჭვილს მხოლოდ იმაზე აწერინეთ, რაც თვითონ უნდა, თორემ ძალიან ეტყობა ხოლმე, როცა წვალობს და გლაბაობს.

რჩევა ნომერი 4: ოქვენი კარგი ფოტოგრაფების ფოტოების პლაკატები გამოუშვით და ნომრებს დაურთეთ.

რჩევა ნომერი 5: ისეთი ხალხი მოიძიეთ სარესპონდენტოდ, როგორიც რამაზ გემიაშვილია: არასტანდარტული და არასტერეოტიპული. უფრო მამაცურად!

მოქებნეთ გაუპრინჭავი, მაგარი ქალები და ავტორებს ნუ შეეძინდებათ, თუ რომელიმე რესპონდენტში რაიმე უარყოფითს აღმოჩენენ. უფრო ყოჩალად!

რჩევა ნომერი 6: გააკეთოთ კავკასიური ნომერი: რეპორტაჟები და პერსონაჟები ბაქოდან, განჯიდან, ერევნიდან, გიუმრიდან.

ლაშ ბაქრაძეს შეუკეთეთ „მოგზაურობა ყარაბაღში“.

ვინმე გაუშვით ყარსში და ერზერუმში.

რჩევა ნომერი 7: გააკეთოთ რეპორტაჟი შოკოლადის ფაბრიკაზე. ხომ იყო ასეთი თბილისში ან სადმე შემოგარენში? თუ ინდუსტრია აღარ არის, მაშინ მესხი მაინც გადაიღებს პოსტინ-დუსტრიულ ფოტოებს და ეგ იქნება.



დასავლეთში მატარებლით მომინა მგზავრობა, სადგურში ხუთიოდ ლარად შევიძინებ ბოლო ნომერი, გადავითხე და... გავიგებ. ბევრი რაშ გავიგებ.

საინტერესოდ ვიმგზავრე, ვერც კი ვიგრძენი როგორ გავიდა ექვსი საათი. თან კვითხულობი, თან უურნალში მინუსებს ვეძებდი.

მოკლედ:

1. საერთო ჯამში – ძალიან კარგია.
2. თემების შინაარსი და განლაგება - კარგია
3. რედაქტორის მისასალმებელი სიტყვა საინტერესოა, მაგრამ სურათი არ მომენტია.
4. ყველაზე დიდი მინუსი და შეუსაბამობა ფონტი „სანეტი“ (თუ არ ვცდები, ეს ფონტია გამოყენებული სტატიების სათაურებსა და გვერდების კუთხეებში). ძალიან არ უხდება. არაცხელშოკოლადურია.
5. რეკლამები გემოვნებითაა ჩაყრილი, მაგრამ როგორც ყველა ქართულ უურნალში, გადაშლი თუ არა, ეს ჩაყრილი სარელკამო ფლარები ეგრევე ამოიყრება ხოლმე. იქნებ დაამაგრონ

(ძალიან ეფექტური იყო კენტის რეკლამა 106-107 გვერდებს შორის)

6. ბევრს აღარ გავაგრძელებ – ყდა, ისევ ცუდი ფონტი... და საერთოდ, როდესაც მთელს ყდას იკავებს ფოტო, იქ უურნალის დასახელების გარდა, არაფერი უნდა ეწეროს (ია ტაკ დუ-მაიუ).

რავი, საერთო ჯამში, კარგია ძალიან. ფოტოარტით თუ უფრო დაიტვირთება, მე, პირადად, გამოვიწერ კიდეც.

P.S. სპეც-პროექტი განსაკუთრებით მომენტია!
გურიისა



აქა მშვიდობა!

ამ წერილის მოწერა ტურაშვილის სვეტის წაკითხვის შემდეგ მომინდა. სიმართლე გითხრათ, ცოტათი გავრცაზდი კიდეც – „ცხელ შოკოლადს“ მხოლოდ დასვენების მიზნით ეტანებიანო, რომ წერს. მე სულაც არ ვაფიქრობ, რომ ქეთი სადღობელაშვილის „დისეუსაია“, გოგის „ცრემლიანი სათვალე“, მექა ხანგოშვილის დღიურები (სანდრა ელისაბედ რულოვსის „აღსარებაზე“ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ბოლომდე არც კი წამიკითხავს), და თავად „ესპანური ფოტომომოხტორობები“ მხოლოდ გართობა და დასვენება და მეტი არაფერი.

გართობა-დასვენებისთვის შორს წასვლა სულაც არ არის საჭირო ან 5 ლარის გადახდა. ჩართავ ტელევიზორს და სულ გართობა-დასვენება არაა?! „შაბათის შოუ“, „დარღუბალა“, სერიალები... გემოვნების ამბავია. ზოგი, მაგალითად, „პატრულს“ და „კურიერს“ ამჯობინებს ან „დღოებას“ ჩაუკადება და სვეტსაკობის მოყვარული, გარუჯული გოგო-ბიჭების თვალის შევლებით დატკება!

ასე რომ, ჩემო ძვირფასო დათო! დაწერეთ რუსეთზე, იქილიეთ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე! დასცინეთ ჩევენს, ზოგადად ქართველის მანეირებებს!... მგონი ეს უფრო გვირდება და წაგვადება, ვიდრე დასვენება, მთენარება და მისთანები...

P.S. თქვენს კარგ იუმორის გრძნობაში კიდევ ერთხელ დავრნმუნდი, როდესაც ეგრეთ წოდებული „სახალისო“, „სახალნლო“ პიესის ნაცვლად ზუსტად ის დამხვდა, რასაც, სიმართლე გითხრათ, ველოდი კიდეც!!!:))



გამარჯობა,

პირველ რიგში, დაბ. დღეს გილოცავთ, შობას, ახალ წელს, 7 დღეში რომ მოვა, იმ შობასაც და 13-ის ღამე რომ დადგება, იმ ძველით ახალ წელსა თუ ახალ ძველ წელს. დანარჩენს მერე მოგილოცავთ, თბილისის მოსახლეობა თუ გადარჩა – იმასთან ერთად.

საახალნლო შოკოლადიც გამოვიდა და რაღა თქმა უნდა, რეკლამებით აიგსო. ორმაგად გამიხარდა, როცა დათო ტურაშვილის სვეტში, ჩემდღმი მადლობები ამოვიკითხე, მაგრამ მაგრა შემრცხვა იმის გამო, რომ ჩემს გამო მკითხველებს დათოს „ემოციური“ შეფასებების ამოკითხვის საშუალებაც აღარ ექნებათ. დაე, ყველამ მაპატიოს. უბრალოდ, მინდა დათოს (თუ ბატონ დათოს???) ვუთხრა, რომ არც კი მიფიქრია, რომ ემოციურობა უარყოფითი მოვლენაა. რაც შეეხება პიესას, მასზე ბოლომდე წაკითხვების შემდეგ მოგახსენების:). ეს ისე, ხუმრიობით, რა თქმა უნდა.

საერთოდ, კრიტიკა ქართველების საქმე არ არის. ალბათ იმიტომ, რომ ყველა ერთმანეთის ნაცობია ამ ქალაქში და ობიექტურ კრიტიკას (ჩემი აზრით) ბევრი ვერ ბედავს. ალბათ ამიტომაც არ იყო ლაშა ბაქრაძის რეცენზია ბიექტური. ბოლომდე ვიბიექტური.

თუმცა ნაცონბები რომ არა, ალბათ თქვენს კონკურსში ვინ გახდა გამარჯვებული, ამას შემდეგ ნომრამდე ვერც კი გავიგიდო.

მეტს ვერც ვერაფერს მოგწერთ. აბა, შალვა ხომ არ ვარ ნათელაშვილი (იმის მოსვლამდე არაფერი გვეტიკინის), ყველაფერს კრიტიკულად აღვიკვამდე, ან რომელი კრიტიკოსი მე ვარ.

თუმცა ამდენი, რამდენიც ამ წერილზე ვიფიქრე, ჩემს პუბლიკაციაზე რომ მეფიქრა, შეიძლება თქვენს ნომინაციებში საპატიო ხუთეულში მაინც მოგვედრილიყავი).

მოკლედ, გემშვიდობებით იმ იმედით, რომ 15 რიცხვამდე „იუოგა“ არ მოგვკლავს!:)

ნახვამდის



ახალ ნომერში სულ ორი სტატია გახდა ჩემი ყურადღების ლირის, თუმცა ეს უდავოდ მოსალოცი ამბავია ქართული პერიოდიკიათვის – ამ სივრცეში „ცხელი შოკოლადი“ დღეისთვის ჩემიპიონია!

ახლა რაც შეეხება „აღაგ-აღაგს“:

ლაშა ბაქრაძის სტატია უდავოდ ლირსშეანიშნავია. არც კი ვიცი ფილმის სახელი, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მენახოს და ბევრიც მერჩიოს მასთან ერთად. ასეთი მეგზურობა ჰქომარიტად იმსახურებს ქებას!

გოგი გვახარისას სტატიის პირველივე ფრაზაზე კინაღალა გადმოვვარდი ერთი ადგილიდან. უდავოდ კარგია, როცა კრიტიკოსს ასეთი მორის გრძნობა აქვს. ძალიან კარგი სტატია. ბავშვობა მომაგრნა. „პერეხადნოიზე“ ნაყიდი სიგარეტები, მერე კინო დესერტად... თუ პირიკით სხვათა შორის, დოლიძეზე იმ ქალს სედა ერქვა და მე 5 კოლოფ „კოსმოსს“ 4 მანეთად მაძლევდა. გვახარისა ეტყობა დოლიძელი არ იყო.

...ისე ფლირტის კარტითაც ვიხალისე (ყვავილებში რატომლაც მიმოზა არ არის) ოღონდ ამას პუბლიკისტიკასთან უკვე არავითარი კავშირი არა აქვს.

AQUALTIS

უალტისალ გამორჩეული



სურვიფიციალური გუნდი

"აკვალტისი" უნიკალური სარეცხი მანქანა "არისტონისაგან" მრავალმხრივ კომფორტულია მასივალურად აღვილი ჩატვირთვა დიდი და ფართი ლუპისა და მოსახირხებულად გათავსებული სარეცხი ღრულის გეზვეობით.

სარეცხის ტევადობა 7,5 კგ-მდე.

ყოველდღიური რეცხვის მინი-ჩატვირთვის აროგრამა საშუალებას იძლევა მასივალურად დაზოგონებული და ელექტრონული.

რეცხვის სისტემა Super Silent უზრუნველყოფს მანქანის უსხო მუშაობას.

უახლესი პროგრამა Duvet განკუთვნილია საბერებისა და ბალიშების სარეცხად.

ექსკლუზიური პროგრამა Woolmark Platinum Care იძლეალურია მალისა და აბრეშუმის ნივთების სარეცხად.

დიზაინი დაუსული თქვენი სტილის იდენტიფიციალურობა.

მოძრავი ზათი დამატებით აღგილს იძლევა თითქოულისა და ფენელების შესანახალ.

"აკვალტისი" მხოლოდ ზომებითაა ჩვეულებრივი

მისამართი მაღაზიათა ქსელს:
1. ყაზბეგის გამზ. 19ა
2. ავლაბრის მოედანი
3. "მეგალანი", ვაკილიონი №89

ტელ.: 39 48 47 / 39 90 10
45 13 47
45 13 48

ARISTON
არისტონი



ხი

ძველი ბერძნები პყვებოდნენ, რომ მათ, ვინც ხეებს რგავენ და უვლიან, განსაკუთრებული სულები მფარველობენ – დრიადები. დრიადები უკვდავები არიან, და როგორც ყველა უკვდავს, ერთობ ჭირვეული ზნე აქვთ: თუ გადაწყვიტეს, რომ ხეებს ერჩით, აუცილებლად გადაგემტერებიან, და მათი მტრობა ცუდი ამბავია.

სახელი “გამადრიადა” ორი ძველებერძნული სიტყვისგან შედგება: “ერთად” და “მუხა”.

მუხის სულები, საოცარი საზოგადოება. დრიადებისგან განსხვავებით, გამადრიადები მოკვდავები არიან: ისინი ხესთან ერთად იბადებიან და კვდებიან.

როცა ვინმე ერისოქტონმა დემეტრას ტყეში მუხის მოქრა ბრძანა, ტოტები გაფითრდა და ხიდან სისხლმა დაიწყო ქონვა. ეს გამადრიადას სისხლი იყო. სიკვდილის წინ მან წმინდა ხის შეურაცხმულფერობი დაწყევლა: ის მარად მშიერი იქნებოდა, ვერასოდეს დანაყრდებოდა.

რა დღე დაადგა ერისოქტონს! იმდენს ჭამდა, რომ დედამისს მისი ხალხში გამოჩენისა რცხვენოდა. ერისოქტონმა ყველაფერი ჩასანსლა, რაც კი სახლში მოიპოვებოდა, შექამა ჯორები, ძროხა, შექამა საბრძოლო ცხენი, კაჭა, მერე მათხოვობა დაწყო, მერე იქმდე მივიღა, რომ საკუთარი ქალიშვილი გაყიდა საჭმლის შესაძენი ფულის სამოვნელად, და საბოლოოდ საკუთარი სხეულიც შეახრამუნა.

დრიადებთან ხუმრობა არ ვარგა.

...

ლეჩხეუმში, სოფელ დერჩში, რომელსაც ასე რატომ ჰქვია, მანიც ვერ გავიგე, – მასპინძლები, ბარძელაძეები, დაუზარლად ერთობოდნენ ჩემს კითხვაზე, მამამ, სოსომ მითხრა, იტალიური “არიგელერჩის” ამბავია, ვაუმა, გორგომ კი ბრძანა, ლეჩხეუმში “დარჩის” ნაცვლად “ლერჩის” ამბობენო – ასე თუ ისე, ამ სოფელში დგას მუხა.

ის ძალანან ბევრი წლისაა, რამდენისა – ეს არავინ იცის. სულ მცირე, სამ საუკუნეზეა ლაპარაკი. მექი სასათანმაც კი არ იცოდა, ვინ და როდის დარგო, არადა, იმ კაცმა ბევრი რამ იცოდა, მუხა კი მთლად მის ეზოში იდგა, მისი მუხა იყო. შეიძლება, თქვენც იცით ეს ხე: “აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხეუმში” ნანახი გაქვთ? ხომ გახსოვთ ის სცენა, აკაკის სავარძლით რომ მუხის გარშემო დაატარებენ? აი, სწორედ იმ მუხაზეა საუბარი.

ეს ხე აღარაა, უფრო კოლინის კათედრალს ჰგავს. იწყება და არ მთავრდება. მის ფესვებში ალბათ მთელი სამყაროა ჩაბუდებული. მის შესახებ მე ვერაფერს გასმბობთ, თავად უნდა ნახოთ. შესაძლოა, არ გაღელვებთ ქარი ხაბარულა, რომელიც მხოლოდ ამ სოფელში უბერავს ხოლმე ალიონზე, იმის ნიშნად, რომ კარგი დარი იქნება; ვინ იცის, არც ლრმა ხეობები გიზიდავთ, არც ხამლის მთა გაინტერესებთ და არც ის, თუ როგორია საქართველოს ოთხი კუთხის გზასაყარი – აბა, რა გითხრათ, ხალხი ჭრელია... მაგრამ მუხა! მის გამო ნამდვილად ლირს დერჩში ასვლა.

მგონი დიდად არ ტყურდა ჩემი მასპინძელი: “დერჩი” “დარჩის” ნიშნავს. მგონი ამ გამა-დრიადამ ჩემი სულის ნაწილი ნაიღოდ და მხოლოდ იქ ვიქნები მთლიანი, სადაც დიდი მუხა დგას. და ასე დავრჩი დერჩში, იქაურ გამაღრიადზე შეყვარებული.

“ცხელი შოკოლადი” და მე, თქვენი მონა-მორჩილი, გირჩევთ: იმოგზაურეთ! ნახეთ ლეჩხუმი! ეგებ თქვენც დარჩეთ დერჩში...

„გალობანი სინაულისანი“

იცით „საავტორო სტუდიის“ არსებობის შესახებ? და მისი გამოცემული cd-ების შესახებ? არა? კარგი, მაშინ ყველაფერს მოგიყვებით. მაგალითად, სხედხართ სახლში, თქვენი შვილი ტვინს გიბურლავთ და ოცნებობთ, რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ ეს ბავშვი გაჩუმდეს? გეტყვით რაც. აიღოთ და ჩაურთოთ cd – „ტელეფონით მოყოლილი ამბები“, სადაც ჯანი როდერის ზღაპრებია შესული, ანდა „ხუთკუნტულა და ზღაპრები“, რომელიც სულ ცოტა ხანში, წიგნის და cd-ს სახით გამოვა. თქვენი ბავშვების არ ვიცი, მაგრამ თუ ცოტა დიდი ხართ და სკოლაში პაგიოგრაფიაზე გადახვედით, მაშინ აბოს, შუშანიკის და ხანძთელის ცხოვრებას შეგიძლიათ მოუსმინოთ ისევ cd-ზე. ან... ან ილიას „ჩირდილს“ თუ აკაკის „გამზრდელს“, რომელსაც თამარ გეგეჭკორი, ანა მირანდაშვილი და ვაკო კირკიტაძე კითხულობენ. მოკლედ, არჩევანი უკვე თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ერთ კვირაში კი, „საავტორო სტუდია“ და ამ ყველაფერის ერთ-ერთი ავტორი, ნინო ჯანჯლავა დავით ალმშენებლის „გალობანი სინაულისანის“ საგუნდო ვერსიას შემოგთავაზებთ, რომელიც ავტორმა ბგერის თეატრის მსახიობებთან ერთად ჩაწერა. ჰო, კიდევ იმას ამბობენ, რამდენიმე თვეში სოსონებსაც კიონმსახიობთა თეატრში „გალობანი სინაულისანის“ სცენაზე დადგმას აპირებსო. ასე რომ, ხომ ხედავთ, ნინ უამრავი საინტერესო რამ გელით!

ავტორი: სალომე კიკალეიძეილი



ავტორი: ანა კორძანა-სამადავილი
ფოტო: ნიკოლოზ ბახტაძე

სტუდია გრიმ-ესკა გაძლიერება
საშუალებას სახ თვეში დაუფლოთ
30% გადასტური პროცესის



Grimaskmakeup
studio

Grimaskmakeup
studio




იყიდება!

აუქციონი პირველად კონში ვწახე, ღრმა ბავშვობაში. ანუელიკას მონათა ბაზარზე ჰყიდდნენ. მაღალი დონი იყო. ჩვენ მოლად მიშელ მერსის არ ვყიდდთ, მაგრამ კაცმა არ იცის, რა სჯობს სინამდვილეში. მე თუ მკითხავთ, გოგი გვახარის ცრემლიანი სათვალე უკეთესია – ცვირზეც მოგერგებათ, თუ ნომერი დაემთხვა, საქმეშიც გამოდგება, და ნამდვილად არსად გაგექცევათ და ზარალში არ ჩაგაგდებთ.

ლაშა ბაქრაძე აუქციონს ჩინებულად გაუძლება – ხომ მართალი ვარ? და მეც ისე მოხდენილად მეჭირა ხელში გასაყიდი კუკულუშები და ბამბალიკები, რომ ამ ფორმებს რომ დავხედე, დიდი სიამაყიო ამეცსო გული.

მომავალ წელს „შოკოლადობანაზე“ მოლად სასწაულებს დავყიდით – სუხის ვენეციის პალაცოს გასასებას, სალომეს კუნძულის საგზურებს, მოგზაურობას ჩილეში ბაბუსთან ერთად... მარტო სამოთხის ბილეთები არ გვექნება, დანარჩენი – ყველაფერი. თანხას გააჩინა.

ანა კორძაია-სამადაშვილი



„შოკოლადი“ და ლებიუტი – ორი ტლისაა

ლიტერატურული კაცე „ქარავანი“

27 დეკემბერი, 20:00



სალომე კოკალეიშვილი

XXV კალი

ერთი ფოტოკონკურსის შესახებ გიამბობთ. კონკურსი, სახელად „XXV კალი“, „ცხელი შოკოლადის“, ფოტოსამყაროსა და „რონიკოს“ მხარდაჭერით ჩატარდა. მასში მონაწილეობა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, 40-ამდე მოყვარულმა ფოტოგრაფმა მიიღო. სტუდენტების 140-ამდე ნამუშევარი 16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიფინა.

კონკურსის უიური კი „ცხელი შოკოლადის“ რედაქცია გახლდათ და გამარჯვებულებიც, 17 იანვარს სწორედ რედაქციამ დაასახელა.

ესენი არიან; პირველი ადგილის მფლობელი ალექსანდრე ნებულიშვილი, ფოტოთ „პიპები“. მეორე ადგილი – თავო ბენიძე, რომლის პორტრეტმაც ასევე მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. მესამე ადგილის მფლობელი კი მარიამ გაბათაშვილი გახლავთ.

პირველი სამი ადგილის მფლობელებს კონკურსის სპონსორებისაგან საჩუქრები გადაეცათ; ალექსანდრე ნებულიშვილს „რონიკოსაგან“ სათვალე ერგო, ფოტოსამყაროსაგან სამივემ მომსახურების 30%-იანი ფასდაკლების ბარათი მიიღო, „ცხელი შოკოლადის“ საჩუქარი კი სწორედ ეს არის: მათი ნამუშევრები პირველად აქ ქვეყნდება.

P.S. თუ გნებავთ კონკურსის ყველა მონაწილის ნამუშევარი ნახოთ, შემდეგ ელექტრონულ მისამართებს ეწვიეთ: www.shokoladi.ge; www.photocenter.ge; www.tsu.edu.ge, თავად ნახეთ. იქნებ ღირდა მონაწილეობა თქვენც მიგეღლოთ, ვინ იცის, შეიძლება გაგემარჯვათ კიდეც.

ნინო ლომაძე

I ადგილი



II ადგილი



III ადგილი



როგორ გავხდი მაგარი გოგო

სად ხდება ისეთი საოცრებაში, როცა თინეიჯერ შვილებს თანამედროვე მშობლები დაბადების დღეზე საყვარელი როკ-ჯგუფების ცოცხალ კონცერტებზე ბილეთებს ჩუქნან? აბათ, ამერიკულ ფილმებში. თუმცა, რატომ მარტო ამერიკულ ფილმებში, ასეთი ჯადოქრობა შეიძლება „ცხელი შოკოლადიც“ მოხდეს. ეს 27 დეკემბერს, ჩვენს დაბადების დღეზე მოხდა: დარბაზის ერთ კუთხეში ჯგუფ „სტრინგის“ მუსიკოსები მოთავსდნენ, აპარატურა გაშალეს და თავიათ სოლისტს – დათო ლომიძეს, იგივე „ქუინს“ დაელოდნენ. მალე „ქუინიც“ გამოხტა, დიას – გამოხტა. მიკროფონს დაეპატრონა და უცებ რობი უილიამსად გადაიქცა. დიას – რობი უილიამსად. ისევე ენერგიულად ხტუნაობდა და დაბოლდა თავის მიკროფონთან ერთად, როგორც უილიამსი. დანარჩენი ბიჭებიც არ აკლებდნენ, ისე გადამდებად უკრავდნენ, რომ ყველას ცეკვას ანდომებდნენ. ჰოდა, მეც ბევრი არ მიიქირია. ჩემს მეგობარ გოგოებთან ერთად ხალხის ნაკადი გავარცვი, სულ წინა რიგში ჩავწერივდით და „ქუინთან“ ერთად ვხტუნაობდით, ვმღერიდით და ვკიოდით ძალიან დიდხანს. „სტრინგი“ დიდი მეგა-ბენდი გვეგონა, ჩვენი თავები კი – ძალიან მაგარი გოგოები. მაგარი დღე იყო. „ცხელი შოკოლადის“ დაბადების დღე ზუსტად იმ ჯადოსნურ დღეს გავდა, როცა თინეიჯერობაში შენს დაბადების დღეზე ოთახში დედა შემოვა და კონცერტს გამოგინდის. გახსნი და ბილეთი დაგხვდება – U2-ს, კონცერტზე დასასწრები.

თამარ ბაბუაძე




ფერადი ნარსული

თი-ბი-სი ბანკის სათავო ოფისი 18 იანვარი. 18:00

ამ ფოტოებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ის 1909-15 წლებში, ვინმე სერგეი პროკუდინ-გორსკის მიერ, საქართველოში მოგზაურობისას არის გადაღებული. პროფესიით ქიმიკოსმა, მთელი თავისი კარიერა ფოტოგრაფიის განვითარებას მიუძღვნა. მან გადაღების საკუთარი მეთოდიც კი შეიმუშავა, რომლის მეშვეობითაც ფოტო არა შავ-თეთრი, არამედ ფერადი გამოდიოდა. გადაღებისას სერგეი ლურჯ, წითელ და მწვანე ფილტრებს იყენებდა. ამის შედეგად მიღებულ სამ შავ-თეთრ ნეგატივს ერთ შუშის ფირფიტაზე ათავსებდა და „ჯადოსნური პროექტორის“ მეშვეობით, ფოტოზე ფერებს აცოცხლებდა. ეს ყველაფერი კი ზუსტად ერთი საუკუნის წინ ხდებოდა. სწორედ ამტომაცაა, რომ როდესაც მის ფოტოებს ათვალიერებს, ზოგჯერ ფერის ხელოვნურობა გჭრის თვალს და ზოგჯერ შეჩერებული, ფერადი ნარსულის ყურებით, საუკუნის დროინდელი სახეების თვალიერებას მოყავშარ აღტაცებაში.

ამ ფოტოგამოფენაზე – „ფერადი ნარსული: სერგეი პროკუდინ-გორსკის 100 ფოტო“, რომელიც საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანიის და თბილისში აშშ-ს სალჩის მიერ არის ორგანიზებული, ნარმოდებილია ცაიშის (დარეჯანისეული) ხელნაწერები (XII-XVII საუკუნე); მათეს და მარკოზის სახარების (დარეჯანისეული) ხელნაწერები (XII საუკუნე). დაბოლოს, ეს იყო გამოფენა, რომლის გამოტოვება ნამდვილად არ ღირდა!



პრეზენტაცია

თი-ბი-სი ბანკის სათავო ოფისი

27 დეკემბერი. 18:00

თი-ბი-სის სათავო ოფისში კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის CD-ს, DVD-ს და ნოტების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც ბატონ ბიძინას შვილის, გოგო კვერნაძის ფერწერული ტილოებიც იქნა გამოფენილი. ცნობილი ქართველი კომპოზიტორისთვის ეს პირველი CD-ია, სადაც ჯანსულ კახიძის დირიჟორობით შესრულებული კომპოზიტორის სიმფონიური მუსიკა შესული. DVD-ში, კინომასალასთან ერთად მოისმენა კომპოზიტორის საკონცერტო მელოდიებს, რომელთაც სხვადასხვა შემსრულებლები ასრულებენ. რაც შეეხება ნოტების კრებულს, რომელიც კულტურის სამინისტროს მეშვეობით გამოიცა, ბიძინა კვერნაძის 22 სასიმღერო ლირიკა შესული. CD-ს და DVD-ს გია ყანჩელის სიტყვები აქვს წამდლვარებული.

გელეა

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

15 იანვარი. 18:00

მას ხან ციდან მოვლენილ ანგელოზს ეძახდნენ და ხან ღვთისინიერ პრინცესას, ხან ზღაპრიდან გადმოსულ ფერისა და ხან – ქართული კინოს სიამაყეს. მედეა ჯაფარიძეს – უმშვენიერეს, ნიჭით და სიკეთით აღ-სავსე ადამიანს ხომ ამდენმა პოეტმა უძღვნა ლექსი.

„მედეა შემოქმედია,
მიზეზთა უმიზეზოსი,
მოხიბლა იაპონია,
ნაგასაკი და ხესოსი,
მედეა მართლაც ბედია
თაბუკაშვილი რეზოსი...“

– ექსპრომტად უთქვამს გოგლა ლეონიძეს იაპონიიდან დაბრუნებული მედეასთვის, 1964 წელს, ერთ-ერთ საღამოზე.

მისი სცენური სახეები – ჯულიეტასი, კლეოპატრასი თუ ცელქი გოგლა ჭრიჭინასი – უცნობია ჩემთვის და ჩემი თაობისთვის. თუმცა მის კინოროლებზე თაბები გაზარდნენ და ფილმში „ქეთო და კოტე“ მის განუმეორებელ სიღამაზეს დღესაც იგივე აღტაცებაში მოპყავს ახალგაზრდა თაობა, როგორც მაშინ, 1948 წელს; ან თუმდაც „ბატი ტასიკოს თავგადასავალი“ რად ღირს, რომლის ანიმაციურ გმირს მისმა ხმაშ გასაოცარი კოლორიტი შემატა?!

15 იანვარს, მარჯანიშვილის თეატრში, სწორედ იქ, სადაც მედეა ჯაფარიძეს უკანასკნელად დაემშვიდობა მთელი მაზინდელი საზოგადოება, მედეასადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა; სადაც ამ დღეს ზაფხულში გამოცემული წიგნის „მედეა ჯაფარიძე“ პრეზენტაცია და, თუ შეიძლება სიმბოლურად ასე დავარქვა, მედეას ცხოვრების პიესის ჩემნება გაიმართა. ოდესლაც ზაზა სიამაშვილს დიქტოფონზე ჩაუწერია მედეას მონაყოლი საკუთარ ცხოვრებაზე. სწორედ ეს მასალა დაამუშავეს მედეა და ლაპა თაბუკაშვილებმა (პიესა წიგნში, სხვადასხვა წერილებთან და მოგონებებთან ერთადა შესული) და სცენაზე გია ბურჯანაძემ და ნანი ჩიქვინიძემ საოცარი სითბოთი გააცოცხლეს.



იბერია
IBERIA

ისე ცხრილი

მისამართი: ქარევანის გამზ. 49ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 25 31 13; www.iberia.ge; info@iberia.ge



3 ხელი ბალეტში

საგამოფენო დარბაზი „ქარვასლა“. 16 იანვარი. 18:00

ქართული საბალეტო დასის ცხოვრებაში, სამი წლის წინ, ბევრი რამ შეიცვალა. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც თეატრში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი, ნინო ანანიაშვილი დაიშვინეს. ნინოს ძალისხმევით, თეატრის დასს სხვადასხვა ქვეყანაში გადახვენილი წამყვანი მოცეკვავები დაუბრუნდნენ; ქართულ დასთან არაერთმა გამოჩენილმა ქორეოგრაფმა თუ ბალეტმაისტერმა იმუშავა: ფრენკ ანდერსონი (დანიის სამეფო ბალეტი), მიხეილ ლავროვსკი, მარგარეტ ბარბიერი (კოვენტ გარდენის თეატრი), არაერთი საინტერესო საბალეტო დადგმის აღდგენით, თეატრის რეპერტუარი საგრძნობლად გაიზარდა და რაც მთავარია, თეატრის შენობასთან გასულს, დღეს ხომ ამდენი ახალი დადგმის მაუნყებელი აფიშა გხვდებათ.

ერთია შედეგი, ანუ ის, რაც თეატრში მისულ მაყურებელს ხვდება და მეორე – დაუღალავი, ურთულესი მუშაობის პროცესი, რაც დასის თითოეული წევრის და მათი რეპეტიტორების ცხოვრების შემადგენელი ნაილია. ამ ყველაფრის, ანუ თეატრის სამწლიანი ცხოვრების ამსახველი ფოტოკადრები: სამუშაო პროცესი, სცენაზე გასულამდე კულისებში სულგანაბული მოლოდინი, პრემიერები, რეპეტიციები, მოწვეულ ბალეტმაისტერებთან მუშაობა, დღის ბოლოსკენ, გადაღლილი სახეები და სხეულები – ფოტოგრაფ ლადო ვაჩინაძის 200-მდე შეა-თეორ და ფერად ფოტოზეა წარმოდგენილი. ბალანჩინის ქორეოგრაფიების, „შოშენინას“, „რომეო და ჯულიეტას“, დადგმების – „სიზმრები იაპონიაზ“ და „ნამი გარდასახვა-მდე“ თუ სხვათა ამსახველ კადრებს უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა „ქარვასლაში“.

დამთვალიერებელმა ლადო ვაჩინაძის მიერ შექმნილი დოკუმენტური მასალით, ამ ფოტო-ისტორიით, მთლიანად თუ არა, ნაილობრივ მაინც დაინახა თეატრის დასის სამწლიანი, დაუღალავი შრომის ამსახველი კადრები.

კიდევ ერთხელ სერჩოზი

9 იანვარი. 18:00

მისი ცხოვრება მართლაც რომ ერთი დიდი, დაუჯერებელი ამბავივითაა, სადაც აპსურდი და ტრაგიზმი ერთ დიდ მთლიანობად იქცევა; სადაც მისი კინო ახალ კინოესთეტიკას ქმნის და თუნდაც ერთხელ ნანახი „მივწყებულ ნინაპართა აჩრდილები“ სამუდამოდ გებეჭდება მესიერებაში. 9 იანვარს, სერგო ფარაჯანოვს 83 წელი შეუსრულდებოდა. უკვე 11 წელია, რაც ფარაჯანოვის ფონდის თავმჯდომარე, მანანა ჭყონია ყოველ 9 იანვარს მოკრძალებულ საღამოებს მართავს, სადაც მისი მეგობრები იკრიბებიან და კიდევ ერთხელ იხსენებენ მეზღაპრე სერგოს. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ ლალია მირ ალი-გიორგაძე დააჩქარა ახალი სალონი-სახელოსნოს წესრიგში მოყვანა, სადაც რეჟისორის წლევანდელი იუბილე აღინიშნა. აქ ყველაფერი ერთადა თავმოყრილი: ლალიას (რეჟისორის თეატრის მხატვარ-მოდელიორი) ხელნაკეთი თოვლინები, სერგოს ნაჩუქარი პანო თუ სოლიკი ვირსალაძის ნივთები. ეს ხომ ის ადგილი უნდა იყოს, საღადაც გასახსენებელ საღამოებს მოაწყობენ და არაერთი ხელოვანის საიუბილეო საღამოს გამართავენ.

ფარაჯანოვის ფონდის თაოსმობით დღეს უკვე ფარაჯანოვის სახელობის ორი პრიზი არსებობს. ერთი პრიზი – ბრონეულის ფორმის მინანქრის ნაკეთობაა, რომლითაც კინემატოგრაფიისტები საერთაშორისო კინოფესტივალებზე ჯილდოვდებიან და მეორე, პრიზი ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის, რომლითაც წელს პირველად დაჯილდოვდნენ გოგი ალექსი-მესხიშვილი და რობერტ სტურუა. „მინდა მოვუბოძოშო სოლიკი ჭაურელს და რეზო ჩხეიძეს, რომლებიც უდავოდ პირველები უნდა ყოფილიყვნენ, ვინც ფარაჯანოვის ფონდისგან ამ პრიზს მიიღებდა. უბრალოდ, როგ მიზეზთა გამო, პირველებმა ეს პრიზი გოგი ალექსი-მესხიშვილმა და რობიკო სტურუამ მიიღეს.“ – განაცხადა მანანა ჭყონიამ.





დეველოპერის კომპანია

AXIS PALACE 2

34 SABURTALO Str.



tel.: 55 34 34 , 25 34 34 www.axis.ge

„ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“

ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა. ამიტომ, თუ მეხსიერებას ცოტა დავძძავ, ყველაფერს პირველადი ემოციით ვიხსნებ ხოლმე: ძალიან დიდ ლიტერატურულ ვაკუუმში გამომავალი ჟურნალი „არილი“, „ალტერნატივა“, გაზეთ „24 საათის“ დამატებები – „წიგნები“ და „ლიტერატურა“, შემდეგ წიგნის პირველი მაღაზიის გახსნაც და მერე წიგნების კითხვის მოდად გადაქცევა; პესიმისტების ფიქრები, რომ ცუდია, როცა წიგნის მაღაზიაში სიარული მოდა ხდება; ოპტიმისტების ფიქრები, რომ მერე რა, მთავარია ამ მოლურობაში ხალხმა წიგნის მაღაზიაში სიარულის კულტურა გამოიმუშაოს.

მერე თანადათან, ოპტიმისტებისა და პესიმისტების ფიქრებმა აქციუალობა დაკარგა, რადგან თითქმის ერთდროულად შეწყვიტა არსებობა ლიტერატურულმა ჟურნალებმა და გაზეთებმა, ხოლო იმ ფაქტს, რომ ხალხი წიგნის მაღაზიებში დაფის, თვალი და გონიერა უკვე შეეჩინა, ჩვეულებრივ ამბად მიიღო; ანუ, მდგომარეობა თითქოს ერთ წერტილზე გაიყინა – ასე იცის ხოლმე ლიტერატურული პერიოდიკის არარსებობამ, ან მცირე რაოდენობით არსებობამ...

თუმცა, ყველაფერი ხომ დროებითია და რამდენიმე ხნის წინ, დიდი იმედი გამიჩნდა, რომ ლიტერატურულ პერიოდიკაში და შესაბამისად, ლიტერატურაში პროცესები კვლავაც ისეთივე სიმძლავრით დაიწყებს დუღილს, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ ხდებოდა. ეს ჩვენთან, „ცხელ შოკოლადში“ ორმაგად უხარით, რადგან ამ პროცესების სათავეში დღეს ჩვენი ჟურნალი დგას. 25 თებერვალს, როცა ჟურნალის მარტის წიმერს გადაშლით, ის შეცვლილი მოგეჩენებათ. სრულიად მოულოდნელად, ნაცნობი რუბრიკებისა და ავტორების გვერდით, ჟურნალში ჟურნალს გადაწყდებით, უფრო სწორად – ახალ დიდ ბლოკს: იქ საკუთარი რუბრიკებითა და საკუთარი რედაქტორით, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“ დაგხვდებათ. ბლოკის რედაქტორს, მაღაზი ხარძედიას „არილიდან“ და „წიგნებიდან“, ალბათ, უკვე იცნობთ. მისი „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“ კი ძევლი და კარგად ნაცნობი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ტრადიციებზე დაიბადება და მეთხველს სრულიად ცინცაბალ ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს შეთავაზებს. ცხადია, შეხვდებით კარგად ნაცნობ ავტორებსაც: ბესიკ ხარანაულს, ანდრო


ბუაჩიძეს, ზაზა თვარაძეს, ირაკლი სამსონაძეს, აკა მორჩილაძეს, ლაშა ბულაძეს, რატი ამალობელს, ზვიად რატიანს და სხვებს.

კიდევ რა... კიდევ ამ 16-გვერდიან დამატებაში ყოველთვიურად წავიკითხავთ ახალ თარგმანებს ყველა ჟანრში – პროზაში, პოეზიაში თუ ესეისტიკაში, გავეცნობით ახლადშექმნილ ქართულ ტექსტებსაც, იქნება ინტერვიუები – მწერლებთან და გამომცემლებთან, კითხვარი – იმ კონკრეტული მომენტისთვის არსებულ აქტუალურ ლიტერატურულ პრობლემაზე; საგანგებო რუბრიკაში „მწერალი მწერლის შესახებ“ კი ქართველი მწერლები დაწერენ ერთმანეთის შესახებ ესეებს. მაღაზის აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაღაც ქართველი ავტორები ერთმანეთზე თითქმის არასდროს არაფერს არ წერენ და ეს მაშინ, როცა დასავლეთში ყველაზე კუდაბზიკა მწერლებიც კი კოლეგების შემოქმედებას ესეებით აფასებენ. ასე რომ, მაღაზი ხარძედია თავისი დამატებით შეეცდება ქართველი მწერლები ესეს წერას შეაჩინოს. ჟანრული რუბრიკების გარდა, დამატებაში საავტორო რუბრიკებიც იქნება. ამ რუბრიკებს თვითონ მთავარი რედაქტორი და რამდენიმე მწერალი წარმოგვიდგენენ.

მე, პირადად, უკვე ვიცი, თუ როგორ დაკომპლექტდება პირველი დამატების სარჩევი. ყველაფერს აქ ვერ მოგიყვებით, უბრალოდ გეტყვით, რომ მარტის წიმერში დაიწყება უმბერტო ეკოს მოთხრობის, „ხეობის“ ბეჭდვა გაგრძელებით, რომელიც ჟურნალ „ნიუ იორკერში“ დაბეჭდა. მაღაზი ამბობს, რომ ეკოს მოთხრობებით ქართველი მკითხველი განებივრებული ნამდვილად არ არის. ჩვენ წაგვიკითხავს მისი რომანები, თეორიული ნაშრომები, მაგრამ მოთხრობები – თითქმის არსად დაბეჭდილა. ასე რომ – ესეც სიახლე!

გარდა ამისა, სარჩევში ამიტითხავთ პაროლდ პინტერის გვარსაც, რომელიც თავის სანობელე ლექციას წარმოგვიდებენს. პოეზიის განყოფილებაში კი ჯუანშერ ტიკარაძის ახალი ლექსები დაიბეჭდება.

...ერთი სიტყვით, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ლიტერატურული პერიოდია გაცოცხლდა. თანაც პირდაპირ ჩემს თვალწინ – „ცხელი შოკოლადის“ წიაღში. ჩვენ ყველას მოგზიდავთ – ყველას, ვისაც ლიტერატურა ძალიან გიყვართ.



BALLY
SINCE 1851

Tbilisi . G.Tavidze Street 3/5 . (032) 93 30 05 . www.bally.com



ავტორი: თამარ ბაბუაძე



ახალი რეალითი შოუ რუსთავი 2-ზე

“დასი” შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის ერთობლივი პროექტია. რეალითი შოუს პრინციპით გადაღებული ახალი დოკუმენტური სერიული ფილმი ეთერში აპრილიდან გავა. კვირის განმავლობაში, “რუსთავი 2” ხუთ დოკუმენტურ სერიას წარმოგიდგენთ, სადაც ნახავთ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ახალბედა მსახიობები ყველაზე თეატრალურ და ყველაზე შემოქმედებით სივრცეში, რასაც რუსთაველის თეატრი და მისი “სასტუმრო” ჰქვია.

“შოუში მონანილეთა შესარჩევად სამი ტური ჩატარდება. პირველ ეტაპზე მსახიობებს ჩვენ შევარჩევთ, მესამე ტურში კი ცამეტ მსახიობს უკვე თეატრის ხალმძღვანელობა დაასახელებს. ახალგაზრდა მსახიობები თორმეტი კვირის განმავლობაში ერთად იცხოვრებენ და ყოველ კვირას თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე “მინი სპექტაკლებს” დადგამენ. “კვირის დაფალებებს” ისინი თეატრის სამზატვო ხელმძღვანელისგან, რობერტ სტურუასგან მიიღებენ. ყოველდღიურად კი მონანილებს სტურუას ასისტენტი უხელმძღვანელებს,” – ამბობს ვანო არსენიშვილი, “დასი” პროდიუსერი.

სატელეფონო გზავნილების მეშვეობით, მაყურებელსაც ექნება საშუალება, ყოველ კვირას თავისი რჩეული გამოავლინოს. სამშაბათს გამართულ შეხვედრაზე “დასის” მსახიობები შოუს დატოვების ერთ-ერთ კანციდატს დაასახელებენ. რობერტ სტურუას კი “განწირული” მონანილის შოუში დატოვება შეეძლება, თუკი, ცხადია, ის ამას დაიმსახურებს.

არ არსებობს დაწერილი სცენარი. შესაბამისად, ნინასნარ არაფერია განსაზღვრული. მთავარი პრინციპიც ესაა – სრული თავისუფლება. იმპროვიზებული სასცენო დადგმები, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მსახიობების სპონტანური გადაწყვეტილებები, რობერტ სტურუას მითითებები, შენიშვნები... მოკლედ, ახალგაზრდა მსახიობების თორმეტკვირიანი “არდადეგები” ასეთი იქნება.

შოუში გამარჯვებულ მსახიობს კი მართლა შესანიშნავი ჯილდო ელოდება: ის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასის წევრი გახდება.

პ.ძ. „დასის“ შემოქმედებითი ჯგუფი: მთავარი პროდორუსერი – გიორგი ხაბურძანია, პროდიუსერები – ვანო არსენიშვილი, ნინო ორჯონივიძე, სოფო მეგრულიძე, მაია გუნაშვილი, გიორგი ლომისაძე; დამდგმელი ოპერატორი – ალექსანდრე კვატაშიძე.

VICHY
LABORATOIRES

ღრმა ნაოჭაპი. მათი გადასცორება უკვე შესაძლებელია

LIFTACTIV PRO

პრემიუმ ღრმა ნაოჭაპის შემცირებისა და
კანის სიმკვრივის აღზებისთვის

ასტიმულირებს დერმის ჰორმონების სინთეზს,
აუმჯობესებს უჯრედშორის კავშირებს და შედეგად
ზრდის კანის სიმკვრივეს 43%-ით 1 თვეში.



VICHY – ჯანმრთელობაზე ზრუნვები საჭირო კანით დაიცივთ

დამატებულია საფრანგეთში
იყიდება მხოლოდ ავტომატური
ვიშეს ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში ფარმაცევტული კომპანია ვეი-პი-სი; მისამართი: სანაპიროს 6; ტელ.: 95 28 02; www.gpc.ge, www.vichy.com

ვიშეს ცხელი ნაზ: 91 04 34



პირი ლუიჯი პრატურლონის სახელს და გვარს იმ პერიოდში სრულად ვერავინ ამბობდა, მაგრამ კარგად მისღოვს, მთელ ქალაქს პირზე ეკერა ფრაზა: ნახე გამოფენა ქარვასლაში? ვიღაც იტალიულს იტალიური კინოს ოქროს ხანა სულ ფირზე გადაუტანია, ფელინი, მასტროიანი, მანიანი – ყველანი ქარვასლაში არიან, თან ძალიან მაგარი ფოტოებიაო. მგონი ლუიჯი ალესანდრო ჰევია, თუ პირ ლუიჯიო...”

ეს მითქმა-მოთქმა შარშან მთელი ათი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ ათი დღის განმავლობაში, ლუიჯი ალესანდროს თუ პირ ლუიჯის გამოფენის სანახავად “ქარვასლაში” 1500-ზე მეტი ადამიანი მივიდა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ იტალიური კინოს მიმართ ქარველების სუვარულები იმდენად ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მჟღარა, მსგავსი ხმაური თბილისში 24 იანვრიდანც ატყდება. ამჟღარად “ქარვასლა” გაცილებით ითლად წარმოსათქმელი სახელის მეონე ფოტოგრაფის ნამუშევრებს ნაწილი მაგრამ თემატიკა კვლავაც საყვარელი და გამორჩეულია – რომის სინემაპაუსი და კინემატოგრაფის დაუკანით კარსკვლავები.

ანჯელო ფრონტონი – ასე ჰევია ფოტოგრაფს, რომელიც 1929 წელს დაიბადა, ფოტოკარიერა 1957 წელს დაიწყო, კინოსამყაროში 2000 წლამდე ტრიალებდა და სულ ფოტოკამერას აჩხავუნდდა.

პირველი წარმატება ჯინა ლოლობრიჯიდას ფოტომ მოუტანა. ფრონტონის გამორჩეული სტილი რომ ჰევინდა, დიდმა რეჟისორებმაც მაღვევე შენიშნეს და ფოტოგრაფაც თანამშრომლობა დაიწყო ეტორე სკოლას-თან, ლუკინო ვისკონტისთან, რობერტო როსელინისთან, ფრანკო ძეფორელისთნ, როჟე ვალიმთან...

ამიტომ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ “ქარვასლაში” ფრონტონი მართლაც უდიდეს ვარსკვლავებს წარმოგვიდებენ. ამ გამოფენის სილვა განსაუთრებულ ესთეტიკურ სიამოვნებას მამაკაცებს მიანიჭებს: ფრონტონის მთავარი პერსონაჟები ხომ იტალიური და მსოფლიო კინოს ულამაზესი ქალბატონები არიან. პირველად ფოტოგრაფი ლოლობრიჯი-

დას სილამაზემ მოხიბლა. მაგრამ იმდენი მოახერხა – კადრი ისე ორიგინალურად ჟეკრა, რომ ლოლობრიჯიდას მანამდე არსებულ უამრავ ფოტოპორტრეტს შორის დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სწორედ ფრონტონის ფოტო.

ლოლობრიჯიდან მოყოლებული, ფრონტონი კინოს ყოველ მორიგლამაზმანთან შეხვედრისას მიზნად ისახავდა – მისთვის ახლებურად, სრულიად განსხვავებული რაკერსით შეეხედა, კინოვარსკვლავ ქალში უშუალობა დარწანა, მისი ხილის საიდუმლო ამოებსნა და ფირზე წწორედ ეს გადაეტანა. როგორც თავადაც დარწმუნდებით, ფრონტონიმ ეს მოახერხა კიდეც: მის ფოტოებზე ყველა ქალის სახე ნაცნობია, მაგრამ ასეთი სოფი ლორენი, ან კლაუდია კარდინალე, ან ანა მანიანი, ან ჯეინ ბირჟინი, ან ჯულიეტა მაზინა, ანდა ორნელა მუტი – არა მგონია, სადმე გვეახოთ. ერთმანეთს ცვლიანი: კატრინ დენევი, ანი უირარდო, ბრიჯიტ ბარდო, შარლოტა რემპლინგი, ჯერალდინ ჩაპლინი, ანუკ ემე, იზბელა როსელინი, ავა გარდინერი, ოლრი ჰელენრინი და ახალგაზრდა ვარსკვლავები – მონიკა ბელური, ნასტასია კინსკი და თქვენ უამრავ საყვარელ კინოს და კინოროლს გახსენებენ. აქვე არიან მასტროიანი, რინგო სტარი, ჩარლი ბრონსნი და სხვა კარგი კაცები და გიჩენებ კითხვას – ნუოუფრონტონის ვინმე გადაუდებელი დარჩა?

ამბობენ, რომ ესაა კინოს ყველაზე სრული ფოტოგრაფიული არქივი, რადგან ანჯელო ფრონტონი, თურმე, პირადად აარქივებდა და მართავდა საკუთარ შემოქმედებას.

ასე რომ, ანჯელო ფრონტონი – აბა, რა უნდა ამ სახელის წარმოთქმას და დამახსოვრებას? ბევრი არაფერი. ასე რომ, დაათვალიერეთ გამოფენა “ქარვასლაში” და შემდეგ თამამად მოიწონეთ თავი თანაქალაქელებს შორის: “ნახე ფრონტონის გამოფენა? – ძალაან მაგარია! გირჩევ იჩქარო!”

P.S. პროექტს “ანჯელო ფრონტონი” თბილისის ისტორიის მუზეუმში 24 იანვარს წარმოადგენს იტალიის საელჩინ საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თბილისის ისტორიის მუზეუმი.



TERRA INCOGNITA



საბა SABA

ქადაგის ქ. 365, გვლავეგა ქ. 7 0160 თბილისი, საქართველო.
www.saba.ge E-mail: info@saba.ge

(+995 32) 38 91 92
(+995 32) 38 44 54

პირა ანდრონიქაშვილი ხელოვანებათმცოდნე, მსახიობი



როგორი წარმოგიდგენიათ მიწიერი სამოთხე?
სამოთხეს სიტყვა მიწიერი არ შეეფერება. ეს ის ადგილია,
სადაც არ არის მტრობა და სიძულვილი, არის მარტო
სიხარული და სიყვარული.
თქვენი საყვარელი გმირი მხატვრული ლიტერატურიდან?
ანტუან დე სენტ ეკზიუპერის პატარა უფლისწული.
თქვენი საყვარელი ისტორიული გმირი?
თამარ მეფე.
ვინ არის თქვენთვის გმირი რეალურ ცხოვრებაში?
ვინც გმირულად უძლებს გასაჭირს და სწამე მომავლის.
თვისება, რომელიც ადამიანში ყველაზე მეტად მოგწონთ
იუმორის გრძნობა და ოპტიმიზმი.
თქვენი საყვარელი ჭეშმარიტება?
სიყვარული.
ჭეშმარიტება, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად
გაზიადებულია?
მიწიერი ცხოვრებით ტებობა.
თქვენი საყვარელი საქმიანობა?
დიასახლისობა და ბავშვების მოვლა.

არჩევანის საშუალება რომ გქონოდათ, ვინ იქნებოდით?
ვიქნებოდი ექიმი ან მოდელიორი.

თქვენთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება?
ოპტიმიზმი და თუნდაც პატარა სიხარულით ბედნიერების
შეგრძნება.

რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
ერთგულებას.

თქვენი ყველაზე დიდი ნაკლი?

საქმის ბოლომდე არმიყვანა, თუ თავიდანვე არ გამომივა.
თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი უბედურება დედამიწაზე?
მტრობა, შური და სიძულვილი და რა თქმა უნდა, სტიქიური
უბედურება.

რომელ ქვეყანაში იცხოვრებით?

ისევ საყვარელ საქართველოში.

თქვენი საყვარელი ფერი?

მწვანე.

თქვენი საყვარელი ყვავილი?

მინდვრის ყვავილები, ია და პერნი.

თქვენი საყვარელი ჩიტი?

იადონი.

ისტორიული გმირი, რომლის მიმართაც ყველაზე ანტიპათიურად
ხართ განწყობილი?

ლენინი.

რა ბუნებრივი ნიჭით გსურთ რომ იყოთ დაჯილდოვებული?

ხატვის.

როგორ სიკვდილს ისურვებდით?

მინდა ნაზიარები ვიყო.

თქვენი დევიზი?

ადამიანების სიყვარული და სირთულეების გადალახვა.

რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

ახლობლების ცუდად ყოფნის და მათი ავადმყოფობის.

საკუთარ თავს ყველაზე მეტად რომელ ისტორიულ პიროვნებას
ამსავსებთ?

ვერავის ვადარებ.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

ბაშეურობა და სილალე.

რა შემთხვევაში ცრუობთ?

როცა ვიცი, რომ არ ვიცრუო, სიმართლის თქმით ვიღაცა
ინერციულებს.

ყველაზე ხშირად, ყოველდღიურ საუბარში რომელ ფრაზებს
იყენებთ?

არა უშავს, კარგად იქნები, ღმერთი დაგიფარავს და
გაგაძლებინებს.

რას ნანობთ ყველაზე მეტად?

ვნანიბ დაშვებულ შეცდომებს.

განვლილი ცხოვრებიდან ერთი დეტალის შეცვლა რომ შეგძლოთ,
რას შეცვლიდით?

ცოტა გონებასაც დავატანდი გრძნობას.

რას მიიჩნევთ თქვენს პირად მონაპოვრად?

ჩემს შვილებს.

რაზე ოცნებობთ?

საქართველოს გაძლიერებაზე.



ზამთრის ანაბარი

მარტინების უმცირესობა თავის ფარაზე თიბისი ბანკის აცილებას
შეადგინა, თავად ფართხოები, განსაზღვრული თიბისი ბანკის "ზამთრის ანაბარი"
და მიმღებ საჩიქარი - MasterCard Standard ბარათი,
რომელზეც დარიცებულია ანაბრის თანხის ნლიური 1%.

პლასტიკი ბარათზე დარიცებული ბორჯს თანხით შეგიძლია შეიძინონ
ნებისმიერი ნივთი მაღაზიებში: გულაბილი, მეგატექნიკა, ველე-ვე, აფილასი,
სელა, სკორბი, ნაიკი და ჯორდანო.

28 თებერვლის მდგრადი

27 27 27

www.tbcbank.ge



ენა ლე ლექსიკა

ავტორი: ქათო საღმობალაშვილი

ფორმი: ლევან ხერხევლი

1629 წლის 1 აგვისტოს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების – “პროპაგანდა ფიდეს” წევრმა აქილე ვენერიომ ხელი მოაწერა პაპ ურბან მერვისადმი “მიძღვნას”, რომელიც დაერთო ხსენებული საზოგადოების სტამბაში დასაბუქდად გამზადებული, პირველი ქართულენოვანი ნაბეჭდი ტექსტების ცველაზე სოლიდურ გამოცემას: “ქართულ-იტალიური ლექსიკონი”. თითქოს ბუნებრივია ის ფაქტი, რომ პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი წიგნი ლექსიკონი აღმოჩენილი არა არის, რომ 14 წლის შემდეგ კი ფრანჩესკო მარია მაჯოს “ქართული გრამატიკა” დაისტამა. საინტერესოა, რას უკავშირდებოდა იტალიელების ასეთი კეთილგანწყობა ქართული ენისადმი.

რომის კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებელ საქართველოში მოღვაწეობას დროებით მოვლენად არ განიხილავდა და მისიონერების საშუალებით ცდილობდა კათოლიკიზმის გავრცელებას, რახან კარგად ესმოდათ თეორია – “თუ არ გეხმის ენა ქვეყნისა, იქ მისიონერად ვერ გამოდგები”, თავიანთი გავლენის განსამტკიცებლად მისიონერთა ყოველმხრივ უზრუნველყოფას ცდილობდნენ. ქართული ენის ასათვისებლად მათ

გრამატიკა და ლექსიკონები, საქადაგებლად კი ბიბლია და კატებიზმოები სჭირდებოდათ. ამ ერთგვარი კულტურული თუ სარწმუნოებრივი ექსპანსიის დადებითი მხარე ის იყო, რომ ქართული ენის ნაბეჭდმა ლექსიკონმა, გრამატიკამ, ანბანმა და შრიფტებმა საქართველოს გზა გაუხსნა ევროპისაკენ, რომელსაც დიდი ხნით მოწყდა მანამდეც და მას შემდეგაც. გაცილებით მასშტაბური და დამანგრეველი აღმოჩნდა თურქეთის, ირანის, ოსმალეთის, არაბებისა და მოვკიანებით რუსეთის იმპერიის ექსპანსია, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ქართულ ცნობიერებაში, ეს ცვლილება პირველ ყოვლისა ენაზე აისახა.

რას გაუძლო ქართულმა ენამ, როგორია დღეს ჩვენი ენა და ლექსიკა, ჩანაცვლა თუ არა ქართულთან მიმართებაში რუსულს ინგლისური, თავს ვიმკვიდრებთ თუ თავს ვიმცირებთ ბარბარიზმებისა და სლენგების ხმარებით, გამოხატავს თუ არა ჩვენი ლექსიკა ჩვენს აზროვნებას და გამოიწვევს თუ არა ორენოვნება გენეტიკური სტრუქტურის შეცვლას – დისკუსიაში მონაწილეობენ: პოეტი ბესიკ ხარანული, ლიგვისტი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ლელა ფიროსმანაშვილი და უურნალისტი ზვიად ქორიძე.

ქეთი – ის ქვეყნები, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიით შემოდიოდნენ საქართველოში, ახდენდნენ თუ არა გავლენას ქართულ ენაზე, მათთან ურთიერთობამ გააღარიბა ჩვენი ენა თუ გაამდიდრა. წელან ბატონი ბესიკი ამბობდა: “ნაზ ბულბულ ტანჯივ” ნიშნავს “ნაზი ბულბული იტანჯება”, არცერთი სიტყვა არაა ქართული, სპარსულია. ეგ კი არა, როგორც აღმოჩნდა, ქართველებს “ნამუსიც” კი არ გვქონია ჩვენი.

რატომ იწყება “ვეფხისტყაოსანი,” “რომელმან შექმნაონ,” ასევე ეპრძოდნენ ქვეწყობილ წინადადებებს, ყველაზე სასტიკად საბჭოთა პერიოდმა იმოქმედა ქართული ენის განვითარებაზე. ენა არის როგორც საზოგადოების, ასევე ერთი კაცის აზროვნება, ამიტომაც განუწყვეტლივ ხდება თვითგანწმენდა, თვითრეგულირება, ქველის დავიწყება და ახლის შეძენა.

ზვიადი – თავისთავად ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ენა მდიდრდება სიტყვებით. როცა ექსპანსიით მოდის რო-

ვარია, შენ როგორ მოირგებ ამა თუ იმ სიტყვას. ასანთს ადრე წუმწუმა ერქვა, ხალხმა მოძებნა და საჩქაროდ დაარქვა ასანთი. აგერ კომპიუტერიზაცია მოდის, რომელიც კაცობრიობის დიდი შენაძენია, ამას რომ ბრძოლა გაუმართო, ხომ იქნები ძალიან შეზღუდული, პირიქით, უნდა მიიღო და მოირგო. აქამდე განათლების წყარო იყო ლიტერატურა, არ ვიცი, XX საუკუნის ქართველი საზოგადოება აცნობიერებდა თუ არა იმას, რომ გალაკტიონის ენით მეტყველებდა,



გვიას ხარაული, ლელა ფიროსეანა ვაილი, ზვიად მორიძი, ერთი სალიგარელავაილი

ბესიკი – მე თუ მკითხავთ, საუკუნეების განმავლობაში ქართული ენა მდიდრდებოდა კულტურულ ერებთან ურთიერთობის შედეგად. თანაც, ქართველს აქვს ლვთისგან ბოძებული იარაღი, რომელიც შეაძლებინებს იმას, რომ კარგი შეითვისოს და ცუდი დაივიწყოს. უცხო ენა სხვადასხვა გზით შემოდიოდა და მკვიდრდებოდა. სპარსულ და არაბულ პოეზიაზე, სამეცნიერო ენაზე უარს არ ამბობდა ქართველი კაცი და ძალიანაც კარგს შვრებოდა. როცა ახალი საგანი შემოდის, ხალხი უფრო ეტანება ხოლმე არა-ქართულ სიტყვებს. მაგალითად, გაჩნდა ქვევრი, რომელსაც მოგვანებით ხალხმა დაარქვა “ბოჭკა”, კაცმა რომ თქვას, რით არ არის ქართული ბოჭკა? მასშივრს იმაზეც დაბდნენ, რომ კავშირი, როგორც წინადადების წევრი, არაქართულია, აბა-

მელიმე ქვეყანა, ის ცდილობს თავისი ენა გახადოს დომინანტი ამ სივრცეში, ეპრძეოს შენს ენას და ამკვიდრებს თავისას. ბუნებრივადაც ხდება ეს პროცესი. საკითხავია, რამდენად გაუადვილდება ჩვენს ენას შექმნას შესატყვისები ისეთი ახალი საგნისა, როგორიცაა კომპიუტერი, ან ისეთი მოვლენისა, როგორიცაა ინტერნეტი. პრობლემა ის კი არაა, რომ უცხო სიტყვები მკვიდრდება, არამედ ის, როგორი კონსტრუქცია მკვიდრდება, მეტყველება როგორი ხდება, ფრაზა როგორ იგება. ესაა მნიშვნელოვანი, თორემ დარწმუნებული ვარ, ჩვენც ბევრ ბარბარიზმს ვიხმართ ამ დისკუსიის დროს.

ბესიკი – სუფთა ენა რა არის, იცით? – ავიღე ქვა და გადავაგდე, ამაზე ხომ ვერ გაჩერდება ენა. ყველანაირი კულტურა და ცივილიზაცია ახდენს გავლენას, მთა-

მაგალითად; “ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი” პოეტურიც არის და სამეტყველოც. დღეს ლიტერატურა ყველაზე შორსაა ხალხისაგან.

ქეთი – როდის იყო ახლოს? რუსთაველი არც თავის დროს იყო მიღებული და დღეს რომ გაუგებარია ამ საზოგადოებისთვის, მგონი შუა საუკუნეებშიც არ ყოფილა ასე.

ბესიკი – სხვათა შორის ეგ საკამათოა, “ვეფხისტყაოსანში” უამრავი უცხო სიტყვაა, ანდა ის ანდაზები, რუსთაველი რომ ხმარობს, ყველა მისი გვონიათ?

ქეთი – მოდით, ჩვენს სადისკუსიო თემას ნუ დავშორდებით და გპირდებით ერთ დისკუსიას რუსთაველის თემაზე. ისევ ენას რომ მივუბრუნდეთ, ორგანულად იღებს თუ არა ქართული სინტაქსი უცხო სიტყვებს?

დისკუსია

ლელა – დღევანდელი ქართული ენის სინტაქსი არაორგანულია, ეს არის აბ-სოლუტურად რუსული კალკი, ქართულ ენას სულ სხვანაირი სინტაქსი აქვს. ერთი ისტორიულ პარალელს გავიხსენებ. იმ დროს, როცა საქართველოში ბაგრატის ტაძარი შენდებოდა, ნორმანებმა ბრიტანეთი დაბყრეს და იქ იმდენ ხანს დარჩენ, რამდენ ხანსაც არაბები საქართველოში, თვითონ ისინი ვიკინგები იყვნენ, მაგრამ ფრანგული კულტურა ჰქონდათ ათვისებული. ამ კულტურის მიღებით კი ბრიტანეთმა პროგრესი განიცადა. ანგლო-საქსური, კელტური ძირძღველი სიტყვები

ლების თაობა, იმ განსხვავებით, რომ რუსულს ინგლისური ჩაუნაცვლებს. შესაძლებელია უცხო სიტყვას ითხოვდეს ესა თუ ის კონტექსტი, მაგრამ როცა სრულიად უსაფუძვლოდ ხმარობენ უცხო სიტყვებს, დიდი ბოდიში კატეგორიულობისათვის, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება უკულტურობის გამოვლენა უფრო მგონია.

ლელა – ყველა ერს დაემართა მსგავსი რამ. ფრანგებმა და იტალიელებმა ენის დაცვის მთელი სისტემები შექმნეს, მაგრამ სადაც შედის ამერიკული დოლარი, იქ შედის ამერიკული ცხოვრების წესი, ამერიკანიზმები, გამოთქმები, ორიენტა-

ვნელოვანია ფრაზის ის კონსტრუქცია, რომლითაც საუბრობს უურნალისტი. რომ ავილოთ შუასაუკუნეების ტექსტები, იგივე ლიტერატურა, ვნახავთ, რომ მაშინ ასეთი ძლიერი არ იყო ვნებითი გვარი, რომელიც მოგვიანებით რუსულმა და-ამკვიდრა. დღესდღეობით აბსოლუტურად უსუბიექტო ენა გვაქვს, რამაც დაანგრია ქართული ზმნა. როცა ამ ენით საუბრობს უურნალისტი, ძნელია მისი გაგება. ქართველ უურნალისტებში მოდური გახდა სიტყვები: გაუღერდა (სიტყვა არ ჟღერს, მუსიკა ჟღერს), მიღებულ იქნა, გაყიდვაშია, დაფიქსირდა და ა.შ. როცა ამას ამბობს



განიდევნა და ინგლისურ ენაში 80% ფრანგული ლექსიკა შევიდა, თუმცა გრამატიკა იგივე დარჩა. როგორც ადამიანებს, ასევე ერებს, თავიანთი ბედისწერა აქვთ. ერთის ბედისწერა გადადის ენის ბედისწერაში. ერთის ისტორია, მისი დაცემა და აღზევება, რა თქმა უნდა, მოქმედებს ენაზე. ინგლისელებისათვის ცეზარის მიერ ბრიტანეთის დაპყრობაც პროგრესული იყო, აუშენებს, გაუკეთეს ყველაფერი, ექსპანსიაც კი მათ ბიძგს აძლევდა განვითარებისათვის. ჩვენთვის ექსპანსიები დამღუტველი აღმოჩნდა, რადგან ყველაფერი ეკონომიკისა და პოლიტიკის მოშლით მთავრდებოდა, ეს მომენტი აკნინებდა ქართულ კულტურას, ამიტომაც მოხდა ენების ჩანაცვლება. კულტურების ურთიერთშელნევადობა სხვა რამეა და ერთი კულტურის მეორით ჩანაცვლება – სულ სხვა.

ქეთი – ჩვენი მშობლების თაობა ისე არ ისაუბრებდა ქართულად, თუ რუსულ ფრაზეოლოგიას არ გაურევდა, რაც კარგ ტონად ითვლებოდა, იგივეს იმეორებს შვი-

ცია არა ბრიტანულ ინგლისურზე, არამედ ამერიკულზე. მე არასოდეს ვხმარობ ცხოვრების წესის მაგივრად “ლაიფ სტაილი”. მოვლენის მაგივრად “ივენტს” ხმარობს ის, ვინც უნდა გიჩვენოს, რომ იცის ინგლისური, მათთვის ეს თვითდამკიდრების ხერხია, ჩემთვის კი – არასრულფასოვნების კომპლექსი.

ზვიადი – ვიდაც ამბობს, რომ “ფართიზე” მიდის, ვიღაც “ტუსოვკაზე”, ვიღაცა ქეიფში, თუმცა ქეიფიც არაა ქართული, არაბულია. ვინ, როგორ და რას ამბობს, ეს არის ამ პიროვნების ხასიათის მარტვენებელი. დარწმუნებული ვარ, ნორმალური საზოგადოება ასე არ მეტყველებს.

ქეთი – როცა ასეთი მეტყველების კულტივირებას ახდენენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ასეთივე ენით მეტყველებენ ე.წ. გავლენიანი ადამიანები, პოლიტიკოსები და რაც მთავრია, უურნალისტები, ეს უკვე აღარ არის ამა თუ იმ ადამიანის პრობლემა.

ზვიადი – ჩემთვის გაცილებით მნიშ-

ტელევიზია, რადიო, პრესა, უკვე ადამიანი, რომლის ფსიქიკაზეც მოქმედებს ასეთი ფრაზეოლოგია, იგივეს იმეორებს. თუ გახსოვთ, ჩვენს ბავშვობაში, ქუჩაში აჩერებდნენ ხალხს და კომენტარს თხოვდნენ, ფრაზას ვერ ამბობდნენ, წინადაღებას ვერ უყრიდენ თავს, სათქმელს ვერ გადმოსცემდნენ – ამ პრობლემამ ფორმა იცვალა და ის ადამიანები, რომლებიც გუშინ სათქმელს ვერ გეუბნებოდნენ, დღეს თავად დადგნენ კამერებთან.

ბესიკი – ხალხი ტელევიზიით ნათლდება, მაგრამ ეს განათლება კი არა, ცხოვრების შეცვლაა ინფორმაციით. შესაძლოა, ტელევიზიის ენა აღმოჩნდეს მთავარი ბოროტება. ჩემს ახალგაზრდობაში “ტო”-ს ის ხმარობდა, ვინც თავის-თავს “კარენის” ეძახდა. თამაზ ჩენენკელი და არჩილ სულაკაური, რომლებიც მართლა “კარენიები” იყვნენ, არ ხმარობდნენ “ტო”-ს, რომელიც ერთი პერიოდი გაქრა, ახლა ისევ დაბრუნდა და ტელევიზიის მთავარ შორისდებულად იქცა. ეტყობა,



ლიტერატურული კაფე „ქარავანი“
ცარმოგილგათ:

28 იანვარი, ოთხშაბათი, 14 სთ
პოეზიის სალამო

31 იანვარი, ოთხშაბათი, 18 სთ
მწერალ ბესო ხვედელიძის
შემოქმედებითი სალამო

11 თებერვალი, პლია, 14 სთ
მთარგმნელისა და პოეტის
გოგი ეკიზაშვილის
შემოქმედებითი სალამო

25 თებერვალი, პლია, 14 სთ
პოეტ ბესიკ ხარანაულის
შემოქმედებითი სალამო



დისკუსია

არავინაა პატრონი. მართლია, ახალი ენა იქმნება, მაგრამ უცხო სიტყვებზე მეტად მანუებს სიტყვა “რამეთუ”, იმიტომ რომ ვინც “რამეთუს” ამბობს, ის მეტს იღებს თავისთავზე, ვინც “გაულერდას” ამბობს, ის ზის იმ თავის “გაულერდაში”. საფრანგეთში დააწესეს აკრძალვების მთელი ნუსხა, რომლისთვისაც ჯარიმებს იხდიან. მთელი თვე ვიყავი საფრანგეთში და ერთი უცხოური სიმღერა ვერ მოვისმინე რადიოში, იმიტომ, რომ აკრძალულია. 15 წუთი შეიძლება უცხოური სიმღერა, მეტი არა. აქ კი ძალია პატრონს ვერ ცნობს, ვისაც როგორ უნდა, ისე ახურებს.

რიგებელი, ევროპელები ხვეწენ თავიანთ ენას. “ეკონომისტს” რომ ნაიკითხავ, ან “ფაინენშელ ტაიმსს” ან “ტაიმსს” და “გარდაინს”, გაგიუდები, როგორ აქვთ ამ პატარ-პატარა სტატიები დაწერებილი და თავმოყრილი მხატვრული, კრიტიკული, გამომსახულობითი ენა, ეს იმიტომ, რომ სხვანაირად არ გაძლევს საშუალებას კაპიტალისტური წყობა, თიშავს ყველაფერს, რაც ზედმეტია. ჩვენთან სხვა ურთიერთობებია და ვერ ვაგდებთ, ვერ ვიშორებთ ზედმეტს, ამიტომაც გვაქვს ჩემჩი. დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც არსებობენ ადამიანები, ვისაც შეუძლია უკეთესი

არ იცის, რა არის გვამი, რა არის ცხედარი, მიცვალებული, მკვდარი, მოკლული და დიდი ბოდიში, ჩაძალლებული, მას არა აქვს ენის კომუტატიური შეგრძნება და იმიტომ.

ქეთი – დღევანდელი სასაუბრო ენა გადავიდა ლიტერატურაში და იქცა ლიტერატურის საგნად. თითქოს სატირას აკეთებენ ჩვენი თანამედროვე მწერლები, მაგრამ თავისდაუნებურად ამკვიდრებენ ისეთ სლენგურ ენას, რომლითაც შემდგომ ახალგაზრდობა საუბრობს.

ბესიკი – ფრანგი მწერალი სელინი იყო შეურიგებელი მტერი ფრანგული ენის შე-



ზეიადი – თუ ჩვენ ეგეთ კვოტირებას დავიწყეთ, სიმახინჯებით აიგსება ქართული ენა, თვითონ დაიწყებენ სიმღერის წერას და ამას ჯობია, ისევ უცხოურს ვუსმინოთ.

ბესიკი – ისიც უნდა ითქვას, რომ ენა წაანწყდა ახალ ცხოვრებას, ახალ ყოფას, ახალ საუკუნეს. ამდენი ახალი არასოდეს შემოვარდნილა ასე ერთბაშად, ყველაფერს ხომ ენაში უნდა მოქცევა, ხან ისე დაგვემართება, ხან – ასე, მთავარია, ღირებულის გადარჩენა შევძლოთ.

ქეთი – ენის დაცვის კომუნისტური მეთოდები რომ მიუღებელი იყო, ფაქტია, საინტერესოა, რას ეყრდნობა ევროპელი სისტემები.

ლელა – ინგლისურში, მაგალითად, უურნალის ენა სხვაა, ლიტერატურის ენა სხვა, გაზეთისა და რეკლამის ენა აბსოლუტურად სხვა. ჩვენ უმდიდრესი ენა გვაქს, მაგრამ საშინლად სტიქიური და მოუწეს-

ქართულით იმეტყველოს ტელევიზიასა და რადიოში, უკეთესად წეროს ბეჭდურ მედიაში, მაგრამ ეს ადამიანები არავის სტირდება. არ არის კრიტიკოუმები, ამიტომაც იმკვიდრებენ თავს ის ადამიანები, ვინც ამბობს: “ივენტები”, “ფართები”, “დანსინგები”.

ბესიკი – ერთი გამაგებინეთ, ეს ჰედლაინი რა არის?

ქეთი – სათაური.

ბესიკი – მერე რა სჯობია სათაურს, ჰედლანი?

ზეიადი – “დანსინგი” და “ჰედლაინი” რა თქმა უნდა ცუდია და ყურს ჭრის, მაგრამ ჩემთვის ბევრად მიუღებელი იყო ფრაზა, რომელიც მოვისმინე ტელევიზიით, დღეს რომ მოდაშია, ისეთი ტოპურნალისტისაგან. ესვენა ჩეჩენი მეთაური და უურნალისტმა გვამცნო: ეს გვამი რუსლან გილავს ეკუთვნოდა.

ლელა – იმიტომ, რომ უურნალისტმა

ლახვისა და ხელყოფის. კაცს, რომელსაც შეეძლო კარგად ყოფილიყო, სიცოცხლე პქონდა გამწარებული ენის მდგომარეობით, იქ მთელი საზოგადოებაა მობილიზებული ფრანგული ენის სიწმინდი-სათვის, ჩვენთან მსგავსიც არაფერია. საუბარში ხანდახან წამომცდება ხოლმე სლენგი და ცუდად ვხდები, ისე მეჯავრება მთელი ჩემი ფრაზა. წერისას არა, იქ სულ შემართული ვარ ხოლმე. ჩვენთან საზოგადოების გამწყრალი წანილი არ არსებობს, “ჩემი დედაო” – სულ იძახიან. ახლა უფრო ელასტიური გახდა ეს ფრაზა, რომელსაც ვერაფრით გადაეჩვია ჩვენი საზოგადოება.

ქეთი – ქართულში მანამდეც არსებობდა ფრაზა – “დედა შემერთოს ცოლადა.”

ბესიკი – მაშინაც, ერთი-ორი თუ ამბობდა, მაგრამ ლიტერატურამ ამოქაჩა, ყაზბეგმა დაწერა და დარჩა. როცა ამბობთ, ლიტერატურას სხვა ძალა აქვსო, მართა-

ლია, ამიტომაცაა საჭირო გამეცადინება, რადგან დაწერილს ვერ წაშლი.

ქეთი – ჩვენს ლიტერატურაში თვით-დამკვიდრების ერთ-ერთ ფორმად იქცა სკაპრეზიც. ავტორი, რომელსაც არავინ კითხულობს, სკაპრეზით უცბად ხდება პოპულარული და მშვენივრადაც იყიდება.

ბესიკი – გულახდილად გეტყვით, რომ ყველაზე ძნელი სკაპრეზის ხმარებაა. იმისათვის, რომ არ დარჩე იმ ავადსახსენებელ სიტყვებში, საჭიროა დიდი მხატვრული ნიჭი. ამას აკეთებდნენ ხალხურ პოეზიაში, მაგრამ ნახეთ როგორაა, თუშების, ფშავლებისა და ხევსურების მეტყველება

ჩრდილა, 60-იანებმაც ვერ შეცვალეს ძირეულად გამსახურდიას ენა.

ქეთი – იგივე რობაქიძის ენა, ყალბი და მანერული.

ზვადი – მაგის ნამსხვრევებია ის, რომ დღეს ვიღაცა გამოვა და უსახური სახით ეთერში დაგინებებს საუბარს: ვითარმედ, რამეთუ, დაღაცათუ, იგავმიუწვდომელი და ა.შ. ენას მარტო ხალხი არ ქმნის, ენას ქმნის უურნალისტი, ის იურისტი, რომელიც კანონებს წერს, პარლამენტარი, რომელიც რიტორიკულ სკოლას ამკვიდრებს, იმიტომ, რომ მას აქვს ტრიბუნა და ჰყავს აუდიტორია. პოლიტიკა სხვა, ირეალურ

რად ჯანსაღი, შეინარჩუნოს არსებობა, არ მოკვდეს და შიგნიდან არ აფეთქდეს.

თუ ჩვენ გავაუბრალოებთ და გავავულ-გარულებთ ბერგსონის ამ ფორმულირებას, მივალთ იმ აზრამდე, რომ ადამიანი თავისი სოციალური გარემოს მიხედვით ცვლის დისკურსს. მაგალითად, შევარდნაძის დისკურსი იყო მარქსისტული, ამას ვერაფერს მოუხერხებდი, დღეს ამ ენაზე მეტყველებს ნინო ბურჯანაძე, რომელიც მარქსისტული დისკურსით გელაპარაკება. არსებობს ქრისტიანული დისკურსი, ვინც არ უნდა იყოს მოძღვარი, ის ამ დისკურსში გელაპარაკება. საერთო ჯამში, დის-



ნაქსოვითაა, იმიტომ, რომ იქ პოეზიაა წინნამოწეული. ფრანგმა სიმბოლისტებმა შეუქმნეს ფრანგებს ენაო, ამბობენ. იქნებ ჩვენი ენაც პოეტებმა შეგვიქმნეს.

ლელა – მე, როგორც ფილოლოგი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს სალიტერატურო ენა აღარ არსებობს, ამიტომაც ხდება ქუჩური ლექსიკით ჩანაცვლება, ეს იმის ბრალიცაა, რომ აღარ არსებობს გმირი. ვინაა გმირი – ვერაფრით გაარკვია ქართულმა ლიტერატურამ.

ზვადი – ბოლო 40-50 წლის მანძილზე საქართველოში იქმნებოდა კარგი ლიტერატურა, მაგრამ მან ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაენია იმ ენისთვის, რომელიც დაამკვიდრა კონსტანტინე გამსახურდიამ და რომლითაც ჩვენ გვზარდეს. რევიზიას კი არ ვიწყებ, იმას ვაბობ, რასაც ვფიქრობ. ილიას, კლდიაშვილის, ჯავახიშვილის წმინდა სალიტერატურო ენა დაი-

ენას ქმნის, რომელშიც გაუგებრად უნდა იცხოვრო.

ქეთი – ენა ხომ ის სივრცეა, სადაც ვლინ-დება აზროვნება. რა აზროვნებაც გვაქს, იმ ენით ვმეტყველებთ.

ლელა – ბერგსონი ასე განმარტავს ენას: ადამიანს ყველაფრის კეთება შეუძლია ერთბაშად, სხვა არის ტვინის, ნერვული სისტემის მოქმედება, როცა ის ამ ყველაფერს ივიწყებს. ადამიანის აზროვნება სელექციურია, მას შეუძლია ერთბაშად იყოს მთელი გონი და მთლიანდ აღიქას სამყარო, რომელიც არის ანთროპოსოფიური. ამას გარდა, ადამიანი არის ცხოველი, რომელსაც სტირდება არსებობის შენარჩუნება, მასში კაშხალივით შედის უზარმაზარი სამყარო და იმ მილიდან, რომელსაც ცნობიერება ჰქვია, გამოდის პატარა, მონანწერე წყარო. სწორედ ეს არის ენა, ადამიანის თავდაცვის სისტემა, იმისათვის, რომ დარჩეს ფსიქიკუ-

კურსშია საქმე. თუ ამას დავწურავთ და სოციალურ პლასტში გადავიყვანთ, ვნახავთ, როგორ მოქმედებს სოციალური გარემო და ყველაფერი, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ არის აბსოლუტურად სოციალური, ადამიანებს სლენგების ხმარებაც სტირდებათ სოციალური თვალსაზრისით. მე ჩემმა სოციუმმა შემიქმნა ის ენა, რომლითაც ვმეტყველებ, ვიღაცას თავის სოციუმში სტირდება თავის დამკვიდრება იმ ენით, რომელზეც მეტყველებს. ამისაგან დაზღვეული არცერთი ერი არ არის. დღეს, XXI საუკუნეში, ერთი და იგივე ეროვნების სხვადასხვა სოციალური კლასი უფრო ცუდად უგებს ერთმანეთს, ვიდრე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ვითომ ლია საზოგადოებაში ერთი სოციალური პლასტი სხვა ენაზე მეტყველებს, მეორე – სხვა ენაზე.

ქეთი – აქვს თუ არა ქართულ ენას ისეთი მარაგი, რომ სხვისი არაფერი დასტირდეს,

დისკუსია

გარდა იმ საერთაშორისო ტერმინოლოგისა, რომლის შეცვლა ხშირ შემთხვევაში კომიკურ ელფერს იძენს, მართლა “ყელფანდურას” ვერ დაარქმევ ვიოლინოს და “ცისოთქვეფიას” – ვერტმურენს.

ბესიკია – სულხან-საბა თქვენც წაგიკითხავთ და მეც მიკითხავს, როგორც მხატვრული ნანარმოები, ახლაც არის ხალხი, ვინც ენით ტკბება, ენა უყვარს. არა მგონია, ქართული ენა სამუზეუმო გახდეს, მთავარია, ხალხი ისე არ დამჭლევდეს, რომ ხმას ვეღარ გამოსცემდეს. საერთო ჯამში რომ ვთქვათ, ექსპანსიები კი იყო, მაგრამ რა უქნა ქართულ ენას ან რუსულმა, ან

ტყუილად ვფორიაქობთ. თუ დაკვირვებისათვის, ბავშვი რომ ჰყავს პატარა გოგოს და ისე ვერ უჭირავს, როგორც ბებიამისს, მოუქნელია, გაუწაფავი, მაგრამ ბავშვი ნელ-ნელა იზრდება, ის გოგოც ქალდება, ასევე საზოგადოება და ენა. განა რამდენი სიტყვაა ინგლისურში, ყველა ჩვენთან რომ გადმოიდეს, ხალხი მაინც გაფილტრავს ეგეთ ენას.

ლელა – ენა არის ცოცხალი ორგანიზმი, სხეული. როგორც საკუთარი თავს ვერ გადავაკეთებთ, ასევე ვერაფერს მოუსხერხებთ ენას. ნიკო მარი თვლიდა, რომ ქართული ენა მსოფლიური ენაა, დღეს

ისეთიც, რომელიც მხოლოდ სკაბრეზით გავა ფონს. მთავარია, ადამიანებმა ისწავლონ ქართულ ენაზე აზრის გამოთქმა და რაც ყველაზე მთავარია, იფიქრონ მშობლიურ ენაზე. სანქციებით ენის დამკვიდრება შეუძლებელია, ეს უფრო მეტ აგრესიას გამოიწვევს, სახელმწიფო პოლიტიკაც უნდა იყოს განსაზღვრული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა ისაა, როცა მმართველი საუბრობს იმ ენაზე, რომელ ენაზეც საუბრობს ძირითადი მოსახლეობა. ეს არის მშობლიური ენა. როცა ყველაფრის სტრუქტურირებაზე ვსაუბრობთ, ეგეც მთავარია.



სპარსულმა. სპარსული ლიტერატურა ხომ ძალიან დიდია, მაგრამ რუსთაველს ვერ გადმოაბიჯა. არადა, რუსთაველი რომ არ დადგომოდა წინ, შეიძლება მომხდარიყო ჩანაცვლება, “სპარსული ენის სიტყვომან მასურვა მუსიკობანიო” – ეს ხომ ისეთი ხალხის ნათქვამია, რომელთაც საქართველოსათვის ჩვენებელა ხმლები უქნევიათ.

ქეთი – ახლა ვინ უნდა დავაყენოთ, რომ არ გადმოგვიჯონ?

ბესიკია – ახლაც რუსთაველი უნდა ვიკითხოთ. რომ იცოდეთ, უნიჭობასაც თავისი მოსავალი აქვს. წელს თანახოში ერთი ვაშლიც არ ება ხეებს. უნიჭობა ისეთივე მოსავალია, როგორც ბარაქიანი მოსავალი, არაფერი არაა მუდმივი. სხვათა შორის, ვაჟა ფშაველა 1901 წელს ამბობდა: საზოგადოებაში და პრესაში დღეს ხშირია ენის შებღალვაზე საუბარი და ვიცი, მომავალშიც ასე იქნება. კარგია, დღესაც რომ გვანაღვლებს ენის ბედი, მაგრამ სულ

ის უბრალოდ დაუხერხავია და სტიქიური. კარგია, რომ ევროპული განათლების სისტემა შემოგვაქს, რადგან, როგორი რეტროგრადული მენტალიტითაც არ უნდა გაზარდო შვილი, ის მაინც თავისი თაობის შვილი იქნება. სხვა ეპოქის შვილებს სხვანაირი განთლება სჭირდებათ, რადგან არავინ ასხამს ძველ ტიკებში ახალ ღვინოს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს მასობრივი კომუნიკაცია არ მოსწონთ იმიტომ, რომ ძალიან სტრუქტურიზებული და სტანდარტიზებულია, უნდა მოხდეს ყველაფრის სტანდარტიზაცია, რადგან სტიქიურად არაფერი ვითარდება.

ზვადი – ვიღაცას გადავაბაროთ ის, რომ ენა მისი მისახედია, არ ვიქნებით მართალი, არაფერი მისახედი არ სჭირს ამ ენას, უბრალოდ, ყველამ უნდა ვისაუბროთ ქართულად. დაიხვეწება ეს ენაც, შეიქმნება მაღალი რანგის ლიტერატურაც, დარჩება

ბესიკია – ისევ იმას ვუბრუნდები, რომ ქართული ენა ვერავინ წააქცია, ვერც ნასესხებმა სიტყვებმა დააკლო რამე. ამასობაში, რამდენი ენა დაილუბა, ქართული კი ზმნამ შეინახა. თვითონ ზმნა რა არის, ქართული აზროვნების პროდუქტია, ზმნის ერთ ფორმას უამრავი რამის გამოთქმა შეუძლია მაშინ, როცა სხვა ენაში მთელი წინადადებაა საჭირო. ზმნის მიხედვით რომ დავახასიათოთ ქართველის ბუნება, რამდენიმეპირანი კი გამოდის, მაგრამ ამავე დროს მრავალმხრივია, მოქნილი, ფართო სულის, შინაგანი გრძნობების მქონე. ისე, ქართველი ქალები ხან სპარსულად კრუსუნებდნენ, ხან რუსულად, მაგრამ ვერც რუსთაველს დააკლეს ვერაფერი და ვერც ბარათაშვილს. ქართულ ენას ფეხებსაც ვერ მოჭამენ, სიმართლე თუ გინდათ, ეს არის.

დისკუსია გაიმართა
ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“

Peperone

050 200 700 რასტონიანი



პეპერონი



ვენეცია ქ. №2 ტელ.: (995 32) 33 41 87

მწერალი და მისი მთარგმნელი

თბილისი-ამსტერდამი-აზერბაიჯანი და უკან:

ავტორი: ინგრიძე დეხრავა
ფოტო: აოლ და ანარიქა ფლეიმიგი

როცა ინგრიძე დეხრავე 1999 წელს ბელგიიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოვიდა და ქართული ენის შესწავლა დაიწყო, ერთ-ერთმა თბილისელმა მეგობარმა ნასაკითხად ერლომ ახვლედიანის მოთხრობების კრებული “ვანო და ნიკო” შეურჩია. წაკითხვის მერე, ინგრიძი ერლომს გასაცნობად ესტუმრა, და “ვანო და ნიკო”-ს თარგმნა გადაწყვიტა. 2003 წელს “ვანო და ნიკო” ამსტერდამის ერთ-ერთ გამომცემლობაში, “Voetnoot”-ში, ნიდერლანდურ ენაზე გამოქვეყნდა. ეს არის პირველი წიგნი, რომელიც ქართულიდან ნიდერლანდურ ენაზე ითარგმნა. 2006 წლის ნოემბერში კი ერლომ ახვლედიანი და მისი მთარგმნელი, ინგრიძე დეხრავე ნიდერლანდებსა და ბელგიაში მიიწვიეს. იქ ინგრიძე დეხრავეს მიერ ნათარგმნი და შედგენილი მეორე წიგნის – ერლომ ახვლედიანის ნაკლებად ცნობილი მოთხრობების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნს ნიდერლანდურად “ამბავი კაცისა, რომელმაც თავი დაკარგა” ჰქვია. ორივე წიგნის თარგმანი ფლანდრიის სალიტერატურო ფონდმა დააფინანსა. გთავაზობთ, ინგრიძე დეხრავეს სამოგზაურო შთაბეჭდილებებს. თუ ინგრიძის ქართულ ენაზე დაწერილ მესიჯებს, იმეილებს და განცხადებებს არ ჩავთვლით, ეს ტექსტი მისი დებიუტია.





ფიგურუს პროდიუსერის ამსტერდამში,
ნიდरლანდები, 2006 წლი

პრომოუზენი

სიზმარი და მგზავრობა

ერლომის თავი ჰაერში ფარფატებს. ალიონის სინათლე თვითმფრინავის სალონში შემოდის და ერლომის სახეს ანათებს. ჩვენს წასკლამდე რამდენიმე დღით ადრე ერლომმა წიგნი მათხოვა. ოთხი წელია, რაც მპირდება, რომ მათხოვებს. სამოცდათიან წლებში ერთმა გერმანელმა ლიტერატორმა, სახელად ადოლფ ენდლერმა, საქართველოში იმოგზაურა, რომ კარგად გაეცნო ის ქვეყანა, რომლის პოზიციაც გერმანულ ენაზე უნდა ეთარგმნა. თბილისში ამაყ და ამბიციურ მწერლებს შეხვდა. უფრო დიდი სიმპათით აშკარად მუშებისა და სოფლელების მიმართ განეწყო. თუმცა, გაიცნო ერთი გამონაკლისი: მისი თქმით, “ბოჭემური დენდი ერლომი ახვლედიანი”.

ოთხი წელია, ერლომი აპირებს, რომ სამოცდათიან წლებში გერმანელი ლიტერატორის მიერ დანერილი წიგნი მათხოვოს, რათა ქართულად ავუხსნა, მასზე იქ რა წერია. ახლა ერლომის თავს მიღმა ახალი დღე თენდება, და მის პროფილს ნათლად ხაზავს. ამ წიგნის წაკითხვამდე აზრად არ მომივიდოდა, რომ ეგრეთ წოდებულ “ბოჭემურ დენდის” ლიტერატურულ მოგზაურობაში წავიყვანდი. არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ სხვისი წარსულიდან ბევრ რამეს სწავლობენ. ამ ფართოდ გავრცელებული სიბრძნის გაზიარება მეუხერსულება და თავის წარსულზე ვერავის ვერაფერს ვეკითხები ხოლმე. ერლომზე ვიცი, რომ მწერალი და სცენარისტია; რომ თავისი მორიდებით და თავმდაბლობით სხვის გულს ათბობს. აი, ჩვენი მისიაც დასაცლეთ ეერობაში: ხალხის გულის გასათბობად ჩავდივართ. ერლომის ძილის წინ საკითხავი მოთხოვობები უნდა მოყვეთ. “ვახო და წიკოს” წინასიტყვაობაში წე-

რია: “მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი აღარ არის, არავინ მიყვება ტებილ ქართულ ზღაპრებს. ამიტომ მე, უკვე რამდენი წელია, ძილისწინა ოცნებითა და წარმოდგენებით ვინაზღაურებ ამ დანაკლისს. გავა დრო და დღისაგან გამოყოლილ ფიქრებში ჩამეძინება.”

ადოლფ ენდლერის 1976 წელს გამოცემული წიგნის ყდაზე ფანჯრით დახატული მთიანი ლანდშაფტი იშლება, რომელზეც წვერიანი და თვალდახუჭული კაცის თავი ფარფატებს. ერლომის სამოცდათიან წლებში წვერი ჰქონდა? მე ოთხი წლის ვიყავი. 2006 წლის 4 ნოემბრის გამთენისას კი, ერლომი და მე თვითმფრინავში გვერდიგვერდ ვსხვართ: ერლომი ისვერნებს და მე, მისი პროფილის დანახვაზე, იმდე მაქეს, რომ ეს მეზავრობა, რომელზეც ის ძლივს დავითანხმე, მას კი არ აგრძებს, არამედ გამხნევებს და გახარებს.

ამსტერდამის აეროპორტ სკიპპოლში ჩვენი თვითმფრინავი დაჯდა, და მასპინძელი მანქანით ძველ ქალაქში გვატარებს. სტუმრის სტატუსის გარდა, თარჯიმის როლიც დამაკისრეს. არც კითხვებში ვერევი და არც პასუხებში. დისტანციას ვიცავ. ხან კითხვა, ხანაც პასუხი უადგილოა: კულტურათაშორისის განსხვავებები გვაბნევს, ოღონდ ეს ხელს არ გვაშლის. ერლომი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანია, მასპინძელი კი ჩვენი კომუნიკაციის თავისებურებებით ერთობა და ყოველდღიურობიდან განიტვირთება. კულტურათაშორისის განსხვავებებთან შეხება ჩემთვის პროფესიად იქცა.

ქალაქის ვიზრო ქუჩებში და ხიდებზე მასპინძელი დიდ ამერიკულ მანქანას ოსტატურად ატარებს და იმ ძეგლების, შენობების და პარკების ისტორიას გვიხსნის, რომელსაც გვერდით ჩავუვლით. ქალაქი ამსტერ-


დამი ცარიელია: შაბათის ადრიანი დილაა და ამსტერდამები დატვირთული სამუშაო კვირის მერე ისვენებენ. ჩვენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ უსულო საგნებთან გვაქვს საქმე. მასპინძელი: “ეს შენობა ეროვნული ბანკია, სარდაფში სახელმწიფო ოქრო დევს. ყაჩალური თავდასხმის შემთხვევაში, სარდაფი წყლით შეივსება”-ო. ნიდერლანდები ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს და ბიბლიური სიბრძნე – სისუსტით ვარ ძლიერიო, – დევიზად გაიხადა. მასპინძელი: “ამ ქალაქის ალაყაფის კართან კი ქალაქში შემოტანილ საქონელს წონიდნენ.”

ნახევრადმძინარენი, ამ ძველ და ცარიელ ქალაქში დავდივართ. ნიჭიერ მასპინძელს დაყვავართ და ისტორიული ცენტრის გულში პატარა და მყუდრო კაფეში ლუდზე გვპატიუებს. მრგვალ მაგიდაზე შუმის ჭურჭელი დგას, შიგნით სანთელი მერთალად ანათებს. მასპინძელი ჯერ ჰოლანდიურ ლუდს გვასინჯებს, მერე გერმანულს აყოლებს: ლეგენდარული ბელგიური ლუდით კი ჩემთან ვახმამზე გაგიმასპინძლდებითო. ერლომი ჭურჭელს დიდი ყურადღებით აკვირდება და გვეკითხება, ეს რა არის? აქ სანთელს ანთებენ სიმყუდროვისთვის-მეთქი. ერლომი დაფიქრდება: სილამაზეს იმაში ვხედავ, რომ ორი უსულო საგნიდნ სიცოცხლე იქმნებათ.

ერლომმა უკვე თბილისელი მეგობრების გან იცის, რომ ნიდერლანდებში ფარდები არ უყვართ. კაფეში ვიტრინაში ვსხვადვართ და გამვლელებს ვათვალიერებთ, ისინი კი ჩვენ გვიყურებენ. კაფეს რომ ვტოვებთ, გზას ფეხით ვაგრძელებთ, ჩვენს ვიტრინას ჩავულით და ვხედავთ: მრგვალ მაგიდას, სანთლის შუზე ყვითლად განათებულ ჭურჭელს და ჩვენს ანარეკლს. ამსტერდამის ჯადოში მოგვიცვა. ერლომის მოთხოვობაში “ამბავი კაცისა, თავი რომ დაკარგა”, კაცი შინ მიდის და მიხვდება, “რომ თავად აღარ იყო; მის ადგილას სარევაცერცილი ძველი კარადა იდგა.” რამდენიმე საათია, რაც ამსტერდამში ჩამოვედით. თავი კი უკვე დავვარგეთ.

ქალაქის გაცნობის მერე, სასტუმროსკენ მივემგზავრებით. სასტუმროს შენობა დიდი ხნის წინ, ამსტერდამის პორტის შუაგულში აშენდა და მეზღვაურთა თავშესაფარი იყო. მოგვიანებით ახალი ფუნქცია შეიძინა და არასრულწლოვანთა ცხედ იქცა. დიდი ხანია, რაც ამ უბანმა პორტის ფუნქცია დაკარგა და ყველამ მიატოვა, ნარკომანების, ლოთების და კრიმინალების გარდა. ჩვენი სასტუმროს უბანი, წლების მანძილზე, საშიშ და არასასურველ ადგილად ითვლებოდა, სანამ ურბანისტებმა ახალი გეგმები არ ჩამოაყალიბეს. ახლა სამიოდე წელია, რაც სასტუმროს უბანში უახლესი არქიტექტურის ნიმუშები აშენდა. ქუჩები და ფასადები





ნიგნის არეზე დევაზია ამსტერდამი,
ნიდერლანდები, 2006 წელი



პიბლიკიაზაფიული მონაცემები:

ერლომ ახვლედიანის
ნიდერლანდურ ენაზე ნათარგმნი
წიგნები:

ERLOM ACHVLEDIANI
DE MAN DIE ZIJN HOOFD VERLOOR
Uitgeverij Voetnoot
Antwerpen/Amsterdam

ERLOM ACHVLEDIANI
VANO & NIKO
Uitgeverij Voetnoot
Antwerpen/Amsterdam

ინგრიფის ქართულ გამოცემლობა
Link-ში ერლომ ახვლედიანის
გამოცემული წიგნები:

ერლომ ახვლედიანი
“ვანო და ნიკო”
გამოცემლობა Link
თბილისი – 2005

ერლომ ახვლედიანი
“აბბაი კაცია, რომელმაც თავი
დაკარგა” და სხვა მოთხოვები
გამოცემლობა Link
თბილისი – 2007 წლის გაზაფხული

ერლომის მთარღობა

თითქოს მუსიკალური პრინციპითაა დალა-გებული. რაც ამჟნდა, წყალში ირეკლება. ხიდები ფეხით მოსიარულეთათვის მოპირდაპირე მხარეებს ლექსივით აკავშირებს. როცა ღამდება, განათება ცალკე სივრცულ განცდას ქმნის.

ღამდება. მასპინძელმა აგვისენა, სადაც ცხოვრობს: სასტუმროდან ათი წუთის სავალიაო. მის სახლს ვეძებთ. ვიკარგებით. მაღალ, ცისფრად განათებულ კორპუსებს და დაბალი, უფარდო, დიდფანჯრებიანი სახლების რიგებს გავივლით. მესოპოტამია ვახასენდება. მასპინძლის ოჯახის გაცნობით და დაპირებული ბელგიური ლუდით ვტკბებით. ბევრი სიარულის და დათვალიერების მერე მივედით იქ, სადაც მშენებერი ვახამი და სასიამოვნო საუბარი გველოდა. სასტუმროში დაბრუნებისას, ერლომი გვეუბნება, რომ ეს უბანი ნაცნობად ეჩვენება: სიზმარს რომ ვხედავ, სხვადასხვა სივრცეში ვხედვით. რასაც ამ უბანში ვხედავ, ერთ-ერთ ჩემს სიზმრისეულ სივრცეს ჰეგასო. ერლომს უსარია, რომ მისი სიზმრებიდან ნაცნობ გარემოში სეირნობს. აქ ჩამოვიყვანე და ახლა მის სიზმარში დავდივართ: “მოდიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და ფიქრი მისი ჭიანჭველებისაგან იყო, ოცნება მისი ფრინველებისაგან იყო, სიმღერა მისი კერძებისაგან იყო...” ნეტა, როდის გაგვიშვებს ერლომი თავისი სიზმრიდან?

რამდენიმესაათიანი გზის მერე, ჩემს სამშობლოში მოვცდით, ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში. სცენაზე მწერალი და მისი მთარგმნელი სხედან. წინ ხალხი უსმენს.

ქართულ ღვინოს წრუპავენ. მწერალი და მისი მთარგმნელი გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ. მთარგმნელი თარგმნის. მწერალს უკვირს, რომ ის ხალხი მწერალ ერლომ ახვლედიანთან შესახვედრად მოვიდა. ერლომი თავის თავს მწერლად არ თვლის. როცა სტუმრები ეკითხებიან, მაშინ რას ნარმოადგენთო, პასუხობს: სცენარისტი ვარო. და მის მიერ დანერილ კინოსცენარებს და მათი რეჟისორების სახელებს ჩამოთვლის.

შვიდი წლის წინ, საქართველოში, ქალაქ თბილისში გადმოვსახლდი. მანამდე ბელგიაში ვიზრდებოდი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ქართული ენის მასნავლებელი მოვძებნე და ერთი წელი ამ ენის შესწავლას მივუძვენი. ჩემი ახალი სამშობლოს ენის დაუფლება ჩემი თავისუფლების და დამოუკიდებლობის გასაღები იყო. სწავლის პირველი წელი რომ შესრულდა, ერთმა თბილისელმა მეგობარმა ვეღარ მოითმინა და ერლომის კრებული “ვანო და ნიკო” შემაჩინა. ქართული ლიტერატურის გაცნობის დროა.

განათლებით მთარგმნელი ვარ და ნაჩუქარი კრებული რომ წავიკითხე, რასაკვირველია, გადავწყვიტე, რომ ქართულიდან წიდერლანდურად მეთარგმნა. თარგმანი 2003

წელს ნიდერლანდურმა გამოცემლობამ გამოაქვეყნა. გამომცემელმა ერლომის მეორე წიგნის გამოცემა და ავტორის და მთარგმნელის მინვევა გადაწყვიტა.

ამსტერდამს და ანტვერპენს შორის დამაკავშირებელ ტრასაზე ერლომი არკვეს, რომ ნიდერლანდების ყველაზე მაღალი “მთა” 80 მეტრს არ აჭარბებს. ერლომი ჩაფიქრდება. ანტვერპენი ჩვენებურ მთას გაჩვენებმეთქი. 123 მეტრის სიმაღლის ტაძრის ძირში რომ ვდგავართ, ერლომს ვეუბნები: აი, მთა. სანამ ტაძრის საუჯაეს ვათვალიერებთ, მასპინძელი გარეთ გველოდება: რაც გავიზარდე, და შშობლიური სახლი დავტოვე, ეკლესიაში ფეხი აღარ დამიდგამსო. ტაძრის წინ მდებარე მოედანზე სპექტაკული ტარდება: ორი მასხარა მაყურებლებს ართობს. შუასაუკუნეების ტრადიცია ისევ ცოცხალია.

უკანა გზაზე მასპინძლის მეგობარი ზის საჭესთან: თვითონ ძველი “სიტროენით” დადის, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ძველი “სიტროენის” ხანა გავიდა, და ახალი მანქანა უნდა იყიდოს, რომლითაც მასპინძელი ერთგულად და თავაზიანად გვატარებს. გული რომ არ გავუტეხოთ, ვადასტურებთ, რომ კარგი არჩევანია. ერლომს და მე არ გვინდა, რომ ვიმებს გული ვატკინოთ. სანამ ამსტერდამს მივუახლოვდებით, მეგობარი გვტოვებს და თავისი ძველი სიტროენით” სახლისკენ ბრუნდება.

შინ სასტუმროს თანამშრომელი შეწუხებული სახით გვხვდება: წყალი შემოვიდა და თქვენი ოთახები დაიტბორაო. ჩვენი აյ ყოფნის დროს იმდენი გველაპარაკენენ წყალზე, რომ არ გვიყვირს: ეს ხომ ბუნებრივი მოვლენაა ქვეყანაში, სადაც ზღვა მიწაზე მაღლაა. სიამოვნებით გადავდივართ უფრო დიდ ნომრებში და ბოდიშით შემოთავაზუბულ ჩას და შეკოლადის ნამცხვარს მივირთმევთ. მწერალს და მის მთარგმნელს ნელ-ნელა სახლი გვენატრება და სახლში დარეკვა მოგვინდა: მწერლის ვაჟიშვილი შინ არის, მამას შეასხენებს, როგორი მიიბილური უნდა უყიდოს. მე კი მთარგმნელი, ქართული ენის მცოდნე ვარ. მელოდებიან ლექსიკონები, მაგიდა, კომიუტერი, გათბობის გადაკეტილი ონკანები, მუსიკალური დისკების კოლექცია. აქ მოყითხვა უადგილოა.

მეორე დღეს მეორე პრეზენტაცია ტარდება, ამჟამად ამსტერდამში. ერლომს წარვადგენ, როგორც უზომოდ მორიდებულ და თავმდაბალ პიროვნებას, ლაპარაკი და ყურადღება რომ არ უყვარს. მაგრამ დღეს ბევრს და ხალისიანად ლაპარაკობს. ჩვენი გამოსვლის მერე, ნიდერლანდელი პოეტი სცენაზე ადის და აცხადებს, რომ ამიერიდან მხოლოდ ქართულად დაწერს – აღმოაჩინა, რომ ქართული ძალიან ლამაზი და ძლიერი ენაა. ახლახანს დაწერილ ლექსს ქართულად გვიკითხავს – ერლომის ერთ-ერთი მოთხოვნის შთაგონებით დაწერილს. “დაკარგეთავი” ახალი ლექსის სათაურია. ერლომი სხვა მწერლებს აწერინებს. უხარია. ენერგია გასცა და ენერგია დაუბრუნეს. შემოქმედებითი წრე გამთლიანდა.

ბლოკები

ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ უცხო ქვეყანას კარგად ვერ გაიცნობ, სანამ მისი სოფლის ტალახში არ დადგები და ბოსლის ჰაერს არ ჩასუნთქავ. ნიდერლანდების ურბანისტული ხატის გასამთლიანებლად ამსტერდამთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში ვიმგზავრეთ. ნისლიანი ზამთრის დღე იდგა. მასპინძლის მანქანაში სითბო ნელ-ნელა გროვდება და ფანჯრიდან დანახული ხედით ვტკებით. ცნობილი ნიდერლანდური გამოთქმის მოწმეები ვხდებით: სამყარო ღმერთმა შექმნა, ნიდერლანდები კი – ნიდერლანდელებმა. ქალაქში წყალი კალაპოტშია მოქცეული, მაგრამ აქ უკვე იშლება და ზეცას უერთდება.

ტბის ერთი ნაპირიდან დანიშნულების ადგილს ვუცქერთ: მეთევზების უძველეს სოფელს, თავისი პატარა ხის, რაღაცნაირ მწვანედ შეღებილი სახლებით, პატარა ეკლესით და პატარა პორტით. სამასი წლის წინ შე-

ქმნილ მიწაზე ვდგავართ და ამ სასწაულს აქედან წუყურებთ (აქმდე ეს ადგილი მთლიანად წყლით იყო დაფარული, დღეს ხმელეთია, სახლები დგას და ქალაქის ნანილია). ამსტერდამის მოსახლეობა და საქმინობა იზრდება და სივრცე აღარ ყოფნის. წყლის ხმელეთად გადაქცევის ტრადიცია უკვე დიდი ხანია არსებობს.

მასპინძელს მანქანა მშენებლობის ტერიტორიაზე, მიწის ბილიკებზე დაყავს. უკანა გზაზე მშენებარე შენობებს შორის კოსტიუმში გამოწყობილი ქალების და მამაკაცების ჯგუფს ვხვდებით. ქარი მათ თმებს და შარვლებს აფრიალებს. ვინ არიან? ინვესტორები, ურბანისტული ტურისტები თუ გეოლოგები? მათი თმების და შარვლების ფრიალის დანახვაზე, კიდევ უფრო ღმად და თბილად ჩავძერით მანქანის სავარძლებმი. გზა სოფლისკენ რომ გავაგრძელეთ, ერთ უბეში გავაჩერეთ, დაბალ ჯებირზე ავცოცდით და შევამონმეთ, წყალი მიწაზე რამდენად უფრო მაღალია. შემდეგ უბეში მასპინძელმა აგვისნა, რომ ამ ნაყოფიერ მინდვრებში

ევროპის ბატების 70 % ჩამოდის ხოლმე და სამხრეთისკენ მგზავრობისთვის ემზადება.

ბოლო მოსახვევმა მეთევზების სოფელში მიგვიყვანა. იქ, ძირითადად, მოხუცები და საბავშვო ეტლანი ხალხი დადის ქუჩებში. ხის სახლები მწვანედაა შეღებილი და აბიბინებულ, სიმეტრიულად მოჭრილ ბაღაბში დგას. ამდენა სიმწვანე თვალებს მტკენს. შეკითხვაზე, ნუთუ მასპინძელს აქ გადმოსვლა არ სურს, ის გვპასუხობს: ახალი მოჭრილი ბაღაბის სუნს ვერ ვიტანო. ყველაფერი გასაგებია. თითქოს ლია ცის ქვეშ, მუზეუმში დავდივართ, ოღონდ დასახლებულში. მოსახლეობას ძირითადი შემოსავალი ტურიზმისგან აქვს, და სიმწვანე და თოვინების სახლებში ცხოვრება არ ბეზრდება. ჩვენ, იმ შეგნებით, რომ აქ სასეირნოდ მოვედით და არა საცხოვრებლად, გულისრევის მსუბუქი შეგრძების მიუხედავად, აქაურობის თვალიერება მაინც გვსიამოვნებს. სიურეალისტური სცენებით ვერთობით: როგორც ყველგან ნიდერლანდებში, აქაც ნაკადული მოედინება: მივყებით და ერთ-ერთ მინია-



პრომოუზენი

ტურულ ხიდთან შვიდიოდე გედი შევამჩნიეთ. ძოვენ. სამივე გამტერებული ვაკვირდებით გედების ძოვას. მაგრამ იქნებ ჩვეულებრივი მოვლენა იყოს? გედები ძოვენ. ძროხებიც ძოვენ. ჩვენი ვიწრო ბიოლოგიური ცოდნით, აქამდე ვერ გავარკვით, რომ ორივე – გედიც და ძროხაც ძოვს. უვიცობა კი სახიფათოა: – რამდენი დარჩითო? – ჰკითხა მელამ ნაბოლარას. – არც ერთიო, – უპასუხა მან. ნაბოლარამ ხომ თვლა არ იცოდა?! მელას უნდოდა ისიც გადაესანსლა, მაგრამ „არც არ იყო“, რას გადასანსლავდა?! სამაგიუროდ ნაბოლარამ გადასანსლა მელა, რადგან უვიცი დატოვეს და ისიც კი არ ასწავლეს, რომ წინილას არ შეუძლა მელა გადასანსლოს.”

მთელი მგზავრობის დროს პირველად, ერლომმა შვილის ნაჩუქარი ბლოკნოტი ჟაკეტის ჯიბიდნ ამოილო. ერლომი ხმამაღლა წერს: “გედები ძოვენ”. ფრჩხილებში: “ინგრიდი”. ერლომი პირველი ადამიანია, რომელმაც ჩემი ნათქვამი ჩაწერის ლირსად ჩათვალა. გზას ვაგრძელებთ, და ვინაიდან ბლოკნოტი ხელში აქვს, ერლომი ჩაწერას აგრძელებს. მინიატურული ხიდების სახელებს ჩაწერს: ბეატრიქსის ხიდი, იულიანას ხიდი. ბლოკნოტს ხურავს და ისევ ჯაბეში იდებს. მანქანაში ვძრუნდებით და მეთევზების სოფელს ვტოვებთ.

თავისუფლება ბარში

ამჟამად ერლომს და ჟურნალისტს შორის ვიკავებ ადგილს. მათ სამსახურში ვარ. ვთარგმნი. ჟურნალისტმა საბჭოთა დროს გამოცემული ფიროსმანის ალბომი ამოილო ჩანთიდან. მხატვრის ცხოვრების შესახებ გადაღებული ფილმისთვის ერლომის მიერ

დაწერილ სცენარზე ვსაუბრობთ. საუბრის დროს, ჟურნალისტის ყავის ფინჯანი ცარიელდება, ერლომის სიგარეტის კოლოფიც ცარიელდება და თავი მათი სიტყვებით მევსება. იმავე დღეს ფიროსმანი ისევ გვახსენდება. ჩვენს ლიტერატურულ მოგზაურობას ამ გაზეთის ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუთი და რემბრანდტის, ვერმერის და ვან გოგის ტილოების დათვალიერებით ვამთავრებთ.

ვან გოგის მუზეუმი იკეტება. ჩვენს მერე სტუმრებს აღარ უშვებენ. გარეთ დაბნელდა. სახლებში ანთებული ლამპები არხების წყალში ირეკლება. როგორც ბოლო სტუმრებმა, მუზეუმის დაცარიელებული დარბაზები შემოვირბინეთ. ზურგში დარაჯების მზერას ვგრძნობთ. ჩემს თანამგზავრს კი დროის შეგრძნება არ ანუხებს, და თითოეულ სურათს დიდი ყურადღებით ისრუტავს. დათვალიერების დროს, ერლომი ფიქრობს: ფიროსმანი ასეთ მუზეუმს იმსახურებდა. ერლომის ნათქვამზე, ფიქრებში თავი თბილისის მუზეუმების დარბაზებში ნარმოვიდგინე. ძველი მუზეუმების საბჭოთა პერიოდის ექსპოზიციებში შეგადაშიგ შევირბენ ხოლმე: ჭურჭლის ნამსხვერევები, აღარარსებული ცხოველის კბილი, იარაღის კოლექცია, თავის ქალები, რუქები, აბრეშუმის ქუდები და აღმოსავლური ხალიჩები, თოიძე, კაკაბაძე, ხატები, ახვლედიანი, გუდიაშვილი და ფიროსმანი. იქ თითქოს რაღაცას ვეძებ. რას – არ ვიცი. იქ დაკონსერვებულ ნოსტალგიას ვხვდები: ბზარებს, სურათების საკიდოებებს, გაყვითლებულ დერეფნებს, ფარდების უკან დარაჯების საჭმელს, ღუმელებს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ მიტოვებულ ნივთებს და გაჩერებულ დროს.

ერლომი უკვე მომდევნო სურათის გასაცნობად წაგიდა. მივყვები. ბოლოს ლიტეტით გასასვლელთან ჩავდივართ, ჩაბარებულ პალტის ვიღებთ, და ბელ ქუჩებში ვიკარგებით.

მასპინძლის და გამომცემლის ოჯახის წევრები გამოსაშვილობებელ ვახშამზე, ფრანგულ რესტორანში გველოდებიან. ჩვენი წასვლის დრო ახლოვდება. ერთმანეთს ვუმტკიცებთ, რომ ძალიან ვისიამოვნეთ, ჩვენი მეგობრების საქართველოში ჩასვლის გეგმებს ვაწყიობთ, ერლომს ახალი წიგნის დაწერას უსურებენ, თარგმანს სიამოვნებით გამოვცემთ. რამდენიმე საათის მერე, ისევ სამნი დავრჩით: მასპინძელი, ერლომი და მე. ჩვენი გამოსაშვილობებელი ვახშმის დანარჩენი წევრები შინ დაბრუნდნენ. ყველას თავისი მიზეზი ჰქონდა: შორი გზა, პატარა ქალიშვილის ძილის დრო. დამშვიდობებას რამდენიმე წვეთი ცრემლი მოჰყვება. კულტურათაშორისი განსხვავებები ზოგიერთს გულს უჩუუყებს.

რესტორანიდან სასტუმროში მასპინძელი ფეხით გვაცილებს. განსაკუთრებული განცდით ერლომის სიზმრებიდან ნაცნობ უბანს ვემშვიდობებით. სასტუმროსთან მისვლისას მასპინძელმა ქართული თვისება გამოიჩინა: მშვიდობიან ლამეს კი არ გვისურებებს, ბარში ბოლო ჭიქის დასალევად გვპატიუებს. სასტუმროს ბარის მაღალ სკამებზე ვისხედით. როგორც თარჯიმანი, შუაში ვიჯვექი. რაც უფრო ცარიელდება ჭიქები, მით უფრო ღრმავდება საუბარო. ერლომი მასპინძელს ეკითხება, თუ იცნობს დახლს გარშემო მჯდომი ხალხი ერთმანეთს. ერლომის მხდალი კაცის ამბავი მახსენდება: “მხდალი კაცი იყო, ისეთი მხდალი, რომ შინიდან გასვლაც კი უშინოდა.” მერე ერლომს გვერდის მესამედი სჭირდება, რომ მისი მხდალი კაცი იქამდე მიიყვანოს, ათქმებინოს: “ვაითუ ჭერი ჩამოინგრეს და მეც შიგ მოვყვე, შინ რომ დავრჩიო.” მასპინძელი ფიქრდება და პასუხობს, რომ არაო, ერთმანეთს არ იცნობებონ. საღამობით სახლებიდან სახეირნოდ გადიან და ბარში დასალევად შედიან. გვერდზე ვინ ზის, არ იცნობებ, და თუ სურთ, ერთმანეთს დაელაპარაკებიან, თუ არა – გაზეთს კითხულობენ, ლეპტოპზე მუშაობენ ან, უბრალოდ, სვამენ და წინ იყურებიან. ახლა ერლომის დაფიქრების დროა: საოცრებაა, ბევრი უცხოურ ფილმს იგონებს, ხალხი ერთმანეთს შემთხვევით როგორ ხვდება, ამ შეხვედრას უამრავი თავგადასავალი რიგორ მოყვებათ. ეს საქართველოში არ არსებობსო. ჩვენ მეგობრების და ახლობლების გარეშე ბარში არ დავდივართ. აქაური თავისუფლება კარგიაო. ბოლო ჭიქას ბოლომდე ვსგამთ, შემდეგ დილამდე ერთმანეთს ვემშვიდობებით და ნომრებში შევდივართ. დილადრიან, მასპინძელი გასასვლელთან გველოდება და აეროპორტისკენ მივიჩქარით.



თავისუფლება ბარში
2006 წლის 20 მარტის დღის შემდეგ



საქართველოს ბანკი

ORANGE CARD



0%
0%

საქართველოს ბანკი

ისარგებლეთ უპროცენტო კრედიტით ათვისებული თანხის ყოველთვიურად სრულად დაფარვის შემთხვევაში.

444 444

www.sb24.ge

ლილი ჩინეთი მოდის

ავტორი: ნინო ქანდავა

სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდება ყურს ზოგადად ჩინეთის მისამართით. ხალხის ყურადღება მათ თბილისის ქუჩებში გამოჩენისთანავე მიიპყრეს, ეს კი დაახლოებით გასული წლის ზამთარში მოხდა – მაშინ, როცა ჩინელებმა რუსთაველის მეტროსადგურთან იაფავასიანი ჩუსტების გაყიდვა დაწყეს. მაშინ ჩვენ პირველად ვნახეთ წყვილ-წყვილად და ჯაგუფ-ჯაგუფად მოსამართულე ადამიანები უცხო მხარიდან, რომელშიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში მაღლახარისხიანი თეორეული იყო ჩვენში ცნობილი და მიმზიდველი. ჰო, კიდევ ფაიფურით. სტერეოტიპი, რომელიც ჩინეთან მიმართებაში მაშინ არსებობდა, დღეს ახალი სტერეოტიპით იცვლება. ვერ ვიტყვით, რომ ეს ცვლილება მტკიცებულია, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებას უჭირს ფაიფურის ხელოვნებით სახელგანთქმული ჩინეთი და ის ჩინეთი, რომელიც ჩვენთან უხარისხმ პროდუქციით და რაც მთავარია, ყვითელკანიანი რასის სახით მკვიდრდება, ერთმანეთთან გააიგივოს, რადგანაც პატარა მაღაზის მფლობელი “ლილიპუტი და სუნიანი ჩინელი” (მათ ასეთი ეპითეტებითაც იხსენიერენ) ხომ შეუძლებელია ძლევამოსილი, უსწრაფესი

ეკონომიკური განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნის სახეს ნარმოადგენდეს.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ კულტურის შესახებ ყველაზე ზუსტ ნარმოდგენას წიგნებში ამიკითხული ან ინტერნეტში ნავიგაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით მიღებენ, თვალს გადავლებენ ქვეყნის მონაპოვარს ხელოვნების სხვადასხვა დარგში, გასინჯვავენ ამ ერის სამზარეულოს და ა.შ. მათი აზრით, შემეცნების პროცესში სულაც არ არის მნიშვნელოვანი ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობით მიღებული გამოუდილება. არადა, ეს ხომ კულტურასთან შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ისეთი, როცა ეგზოტიზაციის საშიშროება ყველაზე ნაკლებია. თუმცა, ქართველებს ისევე, როგორც ბევრ სხვა ერს, გვიყვარს ეგზოტიზაცია და მითების შექმნა. მითს კი ყოველთვის ან ცალსახად დადებითი, ან ცალსახად უარყოფითი შეფასება ეძლევა. ბევრის თვის სწორედ ამაშია მითის მომზაბელელობა.

ქართველები არა მხოლოდ უცხოების შესახებ ქმნინ მითებს, არამედ საკუთარ თავთან მიმართუბაშიც. ერთ-ერთი ასეთი მითია ის, რომ ჩვენს ერს ტოლერანტულობის განსკუთრებული უნარი აქვს. ეს მოსაზრება ეროვნებებთან დამოკიდებულების

ასპექტშიც ძალიან დამკიდრებულია. ამასთან დაკავშირებით საუბრობენ, წერენ, იღებენ ფილმებს, მათ შორის დოკუმენტურ ფილმებს (დათო ჯანელიძის „მეიდანი – სამყაროს ჭიპი“, სახელო-სნო ვარანის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტური ფილმი „ჩვენთან ვერაზე“ და ა.შ.). ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე გამაურებული ბოლოდროინდელი შემთხვევა ზურაბ უვანიას უკავშირდება. ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისას, იგი იძულებული გახდა განემარტა, რომ დედამისი სიმები იყო და რომ ეს ფაქტი მას სირცევილის გრძნობას არ გვრიდა. ილია ჭავჭავაძესთან მიმართებაშიც კი არსებობს ჭორი, რომლის მიხედვითაც ილიას სიმეხი დედა ჰყავდა. რა თქმა უნდა, ეს ჭორი ეროვნული მოღვაწის სახელის შებდალვის მიზნით შეიქმნა და მისმა დამცველებმა თუ თაყვანისმცემლებმაც თავიდანვე ნეგატიურ ინფორმაციად აღიქვეს, როგორც ჭავჭავაძის მისამართით გამოთქმული საყვედური. ქართველები სიმები დედის ყოლას ძნელად თუ აპატიებენ ვინ-მეს. წარსულშიც და დღესაც ეროვნული კუთხით დისკრიმინაციის მაგალითები მართლაც რომ უხვად მოიძებნება. არადა, სიყალბე, რომელიც სხვა არაქართველი ერების მიმართ ქართველების ძმური



სიყვარული ჰქვია, უფრო და უფრო ღრმა ფესვებს იდგამს და ყოვლისმომცველი ხდება.

და ბრკულება, რომელსაც ქართველი საქართველოში ოდითგანვე მცხოვრებ არაქართველ ხალხებთან და, ზოგადად, უცხო ერგბთან ურთიერთობაში აწყდება, სავარაუდოდ სწორედ შემს ეფუძნება. ამ შემს გენეზისის ხანგრძლივი, ისტორიულად ბუნებრივი და არგუმენტირებული განვითარება აქეც და იმას გულისხმობს, რომ „ის“, ვიღაც, სხვა მოვა, ადგილს დამკვიდრებს და დამიპყრობს (ამაში, თავისთავად, რამხელა ეროტიკა!). შემი, რომელიც არათაისუფალ საზოგადოებებს ახასიათებს, ჩვენში კარგა ხანია პარანოიის სტადიაში გადავიდა. ამიტომ იქნებ უკეთესიც იყოს ამ გრძნობის ფარული სიძულვილის სახით მაინც გამოვლენა, ცნობიერში გადმონაცვლება. იქნებ იმის შემდეგ შეგიყვარდეს, როცა ვაღიარებთ, რომ უცხო ვეძულს. თუმცა, სიყვარულის ქადაგება ამჯერად უფრო ნაკლებად მინიჭებულოვანია, ვიღრე იმის გააზრება, რომ სიყვარული გაქრა. უფრო და უფრო რთული ხდება არაჩვენნაირის მიღება, შეთვისება, მისით გამდიდრება.

თბილისის ფორუმზე გასხნილ თემას „ჩინელები საქართველოში“ (ამ პორტალის მომხმარებლების მხრიდან) ძალიან მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა- შეფასებები, ძირითადად, უარყოფითი ხასიათის იყო. გამოითქვა აზრი, რომ უნდა შეიქმნას მოიე- რიშე ჯგუფი, რომლებიც ამ „ვინროთვალია- ნებს“ თავიანთ კომერციულ საქმიანობაში ხელს შეუშლიან (პერიოდულად ვიტრინების მსხვრევა, „მოლოტოვის კოქტეილი“ და ასე შემდეგ). მსაგა- ცის აგრძიას მიზეზი კი ისევ და ისევ არის შეში იმის გამო, რომ მალე „კოსოგლაზები“ საქართვე- ლობი მთელი თავიანთი სანათესაოს ჩამოყავანას დაიწყებენ და ელვისებური სისწავაფით გამრა- ვლდებიან. ჩინელებისადმი სიძულევილის მიზეზს ზოგი მეცნიერულად ხსნის და ამბობს, რომ მათი გამოჩენა წებისმიერი დემორაფიული მონაცე- მების მქონე ქვეყანაში საფრთხეს ქმინის, რადგან მიზანი ყველგან ერთია – ქვეყნის ექსანსია. აქე- დან გამომდინარე, ჩინება კითხვა: „გვინდა თუ არა, რომ რმდენმე საუკუნის შემდეგ ქართვე- ლი ადამიანი იყოს ვინროთვალება და დაბალი?“ ასეთი ფსევდოპატრიოტული შემართების, აღბათ, მე-20 საუკუნის ცნობილ ფაშისტებსაც კი შეშურ- დებოდათ. ბევრს „ვიღაც აზიატებთან“ ათქვეფა ცველაზე დიდ უბედურებად და გარდაუვალ საფრ- თხედ ესახება, თუკი „დამპალი ჭირის“ მოშორების საშუალებებზე თირის ოლივა არ თავიცნებო.

ისტორიულად, ქართველები უფრო იმოლად გას-
ცემდნენ, ვიდრე იღებდნენ. ხოლო როცა ადამიანს
გაცემის უნარი აქვს, ეს იმთავითებ არ ნიშნავს,
რომ ის კეთილია. „რასაცა გასცემ, შენია, რას
არა, დაკარგულია“ პრაგმატიზმის და გამორჩევის
ნახვის აუცილებლობის შეგრძნების შესანიშვავი
მაგალითია. უანგარი გაცემის უნარი კი სინამდ-

ვილეში ძალიან იშვაითი უნარია. ამ საკითხს შეიძლება იორგვარი ახსნაც მოვუძებნოთ. პირველია: როცა ა ადამიანი გასცემს, ის ასევე იტოვებს იმის გარანტიას, რომ რაღაც თვითონაც რჩება; ხოლო როცა ხვდება, რომ დასარჩენი არაფერი აქვს, გაცემას ძნელად თანხმდება. არსებობს მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც ჩინელების გამოჩენასთან დაკავშირებით წამოწყებულ ერთ-ერთ საუბარში უფრო უხეში ფორმით წარმოთქმული ასეთი აზრი მოვისმინება: ქართველებს ყოველთვის ურჩევნიათ საკუთარი თესლის უცხო საშოში ლვრა, ვიდრე უცხო თესლის საკუთარ წილში ტარება და განვითარება, რადგან ამ უკანასკნელის მონელება აუტონლად როული ხდება. ქართველი დედა სხვათ ზე არ უნდა იხარჯებოდეს, ის მხოლოდ ქართული ნაყოფის მატარებელი შეიძლება იყოს.

ჯვრისა ჩევენს ქუყანას თავს დასხესან და უცხო
თესლის ადამიანებმა ქართველი ქალები ძალით
დაისაკუთრონ, როგორც ეს საუკუნეების მანძი-
ლზე ხდებოდა, ვიდრე მათ საკუთარი ინიციატი-
ვით, სრულიად მშეიღებიან გარემოში შავანია-
ნი, ვიწროთვალება თუ სხვა „სახის“ ბავშვებისა
გაჩენა დაიწყონ. ამიტომ, ქართველს ურჩევნია
გაუპატიურების შედეგად გაჩენილი ბავშვი ჰყა-
ვდეს, ვიდრე უბრალოდ ნაბუჟარი. მას უყვარს,
როცა აუპატიურებენ. ასე უფრო იოლად ახერ-
ხებს თავის გამართლებასაც და სხვისთვის „
ცოდვის“ გადაბრალებასაც. ამით ხომ საშუა-
ლება ეძლევა, რომ საკუთარ თავს და ინტროს-
პექტიას გაექცეს.

არაქართველობან ბიოლოგიური ურთიერთობას
(როგორც თავდაცვის მექანიზმის რღვევის სა-
შიშროება) მხოლოდ მტრულ კონტექსტში განიხი-
ლება. ამიტომ ქართველს უჭირს მტრებისგან თუ-
მტრობისგან დაცლილი ურთიერთობის ანალიზი.
ამაში დარწმუნდებით, თუკი ფორუმზე გახსილ-
თების თავიდან ბოლომდე წაიკითხვთ, რაც,
ცოტა არ იყოს, ძნელია და მეტითხველში მაზოხის-
ტური იმპულსების არსებობას მოითხოვს. თუმცა,
ვიც ამ სირთულეს დაძლევს, შემდგვე ჭეშმარი-
ტად მამულოშვილურ მოწოდებასაც გადააწყდება:
„მეგობრები, ნუ გააფორმებთ ფიქტურ ქორნინე-
ბებს ჩინელებთან და ნუ მისცემთ მოქალაქეობის
მიღების შანსს!“ ხოლო წმინდა მოგალეობის აღს-
რულებისა და „ჩინელთა მაღაზიების ვიტრინების
მსხვრევის ფონზე, ქართველი დედები ყრმა ამირა-
ნებს დააძინებენ“.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ ფიქტურ ქორნინება-ზე მაინც არცერთი ქართველი მამაკაცი არ იტყოდა უარს, თუკი საცოლისგან რამდენიმე ათას დღლარს მიიღებდა. გარდა ამისა, ჩინელი ქალები პი “კაიქალობის” და მაჩინ მამაკაცების დადგინთი შეფასების ორ მთავარ კრიტერიუმაც აკმაყოფილებენ: გემინიელ კერძებს აჩვალებენ და მორჩილები არიან. ფორუმის მამრობითი სქესის მომხმარებელთა შორის, მათ სახელი სხვა თვისების

ქართველები არა

მეორე უცხოების

შესახებ ქანიან მითებს,

არამედ საკუთარ

တာဒတာန ဓဂ္ဂနာရတာနာမူပြ.

၁၈၈-၁၈၉

ასეთი მოთია ის,

რომ ჩვენს ვრც

ტოლერანციულობის

განსკუთრებული

უნარი აქვს.

ბებითაც გაითქვეს: „შესანიშნავ მასაუს აკეთებენ ეგ სულნანყმედილები“, „მანიკური და პედიკურიც კარგი იციან“, „საოცრად ჰედანტები არიან“ და „გამრავლების რაღაც დიდი საიდუმლო აქვთ, რომელსაც არ გვიმსხულონ“.

ჩვენს ქვეყანაში არა მხოლოდ ჩინურ საქონელს, არამედ თავად ჩინელებსაც (ამ შემთხვევაში ქალებზეა საუბარი) მოხმარების ობიექტებად განიხილავენ. იაფფასიან ჩინელ მექავებთან ორგების მოწყობის და ჩინური ბორდელების გახსნის იდეაზე უკვე არაერთს მოუღიტინა თავში. ასე რომ, ჩინეთიდნ მომავალი საფრთხის პოლიტიკური ასპექტების განხილვამ ეროვნული ფორუმის ვირტუალურ გვერდებზე, თემის დასასრულს, სექსუალური პროცესორების ხასათი მიღლო და ერთ-ერთი მომხმარებლის თქმისა არ იყოს, „მწყურვალე ქართველი მამრების მიერ ჯერთ მოუპოვებელი აპსტრატული ჩინელი ქალების გადანაინლების სტრატეგიების შემუშავებაში გადაიზარდა“. თუმცა, საფრთხის დროულმა შეგრძნებამ არც აქ დააყოვნა და კაცები ამჯერად ტროპიკული ვერენიული დაავადებების შემოტანის საშიშრობაზე ალაპარა იზინენ.

ମତାବାରି ପରିବଳ୍ଲେମା ଯି କୁ ଏହି ଅରିବି, ରନ୍ଧମ ଆମା
ଟ୍ୟୁ ଓଠ ଗ୍ରାତାନ ଅରାମ୍ଭେଗପଥରୁଣ୍ଣି ଫାମର୍ମାକିଷେବେଶୁଲ୍ଲେ-
ଦା ନୟେସମ୍ଭେ ଶୈକିଲ୍ଲେବା ମିଳ ଆଶ୍ରିତୀର୍ଣ୍ଣ ଫେରାଶି ଗା-
ଫାଇଥାରିଫ୍ରାଂସ (୧୯୩୨ଙ୍କୁରେ ଦ୍ୱାରାମରାଜ୍ୟରେ, ମାଗରାମ
ମାନିନ୍ତି ଫାସାଦ୍‌ବେଳୀ), ଅରାମ୍ଭେ ଯି, ରନ୍ଧମ ଗୁଣ୍ଣନର୍ଜ୍ୟେ-
ଲିଙ୍ଗବେଳୀ କ୍ରୋନିକିପ୍ରେରଣ୍ଟି ଏହି ମାତ୍ରାଗୁଣକବଳି, ରାତ୍ରିମ ଏହି
ଶୈକିଲ୍ଲେବା ଉତ୍ତରାଲିଙ୍ଗ ବର୍ତ୍ତମାତ, ରନ୍ଧମ ପାଇର୍ଜ୍ୟେରି ଥିଲୁ-
ବାନିଲିକ୍ଟିବେ ବାରତ, ଟ୍ୟୁକ୍ରି ଏହି ସିମାରିତଲ୍ଲେବା, ଦା ରନ୍ଧମ
ଭୁରୁଗ୍ରସ୍‌ବ୍ୟାଙ୍କ କ୍ରେଟିଲ ସିଟିପ୍ରକାଶିଭୁଲିଙ୍ଗବାସ ବ୍ୟାନିରାଦ
ବିନ୍ଦୀବେ (କ୍ରିଲିଓଲିସ).

იტალიური არცალებები

ავტორი: თამარ სუსიშვილი
ფოტო: პირადი არქივი



მიღანის კატედრალი
ფოტოგამოფენა დანცეს ქუჩაზე
იაპონელი ტურისტები ბრერის პინაკოთეკის ფონზე

მგონი გამეორება გამომდის. წინა ნომერში ჩემი შარშანდელი საახალწლო მოგზაურობის ამბავი გიამბეთ. ეს ამბავიც ნაწილობრივ საახალწლოა, ოლონდ უკვე წლევანდელი. მაგრამ საქართველოში ასეთი გამეორება აღბათ არავის გააოცებს. ჩვენ ხომ წელინადში ორ ახალ წელს (და ორ შობას) ვზემობთ და ერთმანეთის მიყოლებით ორი საახალწლო პუბლიკაცია რატომ გაუკვირდებათ? წერილის გმირებიც ისევ ჩემი მეგობრები არიან, ჩემი არააქური თანაკურსელები (ცილას ახსოეს აქაურები?!), რომელთა წრეშიც წლევანდელ ახალ წელს შევხვდი. რადგან შინაარსი იგივე დარჩა (ახალი წელი), ამიტომაც შევეცადე, ფორმა შემცულა, ჩემი და ჩემი მეგობრების წერილები (ჟლექტრონული, რა თქმა უნდა) შევკრიბე და ამბავიც ავწყევე. ახლანდელ დროში, როცა რომნი SMS-ებით უკვე დაწერილია, ასეთი ფორმა დიდი სიახლე ვერ არის, მაგრამ რას იზამ, მეც უფრო მარტივად გამოვძვერი. ჩემი მეგობრები კი, იმედია, მაპატიებენ, მათი წერილები დაუკითხავად რომ გამოვამზეურეთუმცა უფრო დიდი იმედი მაქვს, რომ ამას საერთოდ ვერ გაიგებენ.

ჯესიკას წერილი

ბოდიშს გიხდით ჩემი იტალიური ინგლისურისათვის. მინდა ყველას მადლობა გადაეციხოთ. ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით. ეს წელი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული იყო. ხვალ შინ ვბრუნდები – იტალიაში მივდივარ. გემშვიდობებით. ჯერ არ წავსულვარ და უკვე მენატრება აქაურობა, პირველ რიგში – თქვენ. იმის გაფიქრებაც არ მინდა, რომ ბევრი თქვენგანი შესაძლოა ველარც კი ვნახო.


სანამ წავალ, ჩემს მეზობლებს მინდა ვუთხრა ორიოდე სიტყვა. რას იტყვი, ჰანს, ნუთუ არ მოგენატრება ჩემი წუნუნი და ლანძლვა? რა, განა ღირსი არ იყავი? შენი გოგოების წივილ-კივილი მთელ საერთო საცხოვრებელს არ გვაძინებდა. ვინც არ იცოდა, დაუ, ახლა გაიგოს, როგორ მაგარი ბიჭი ხარ. მომინდომა აქ ორგიები გაგანია სწავლის დროს.

ბობ, ახლა ვინდა მეტყვის შენნაირ კომპლიმენტს: ჯესიკა, შენ ყველაზე მაგარი გოგო ხარ მთელ მეორე სართულზე, იცი რატომ? იმიტომ, რომ შენ ამ სართულზე ერთადერთი გოგო ხარ.





შადრევანი მილანის ციხუ-სიმაგრეში



რაღაც გული ისე ამიჩუყდა, რომ იქნებ სა-
ძაგელი ჯონიც კი მომენატროს. თუმცა არა,
შანსი არაა.

ალექსანდრე, ნომინაცია „არაჩვეულებრი-
ვი ადამიანი“ რომ არსებობდეს, ამ პრიზს
ნამდვილად შენ მოგცემდნენ. ელეონორა,
ალექსანდრეს გაუფრთხილდი. ის მართლაც
არაჩვეულებრივი ადამიანია.

მირკო, სამწუხაროდ, ძალიან გვიან გა-
გიცანი და ახლა გული მწყდება, რომ დიდი
დრო არ გაგვიტარება ერთად.

პაოლო, ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან
ნიჭირი ხარ და შენგან ალბათ შესანიშნავი
მეცნიერიც დადგება, მაგრამ მგრი პროფე-
სია უნდა შეიცვალო. განა არ ჯობია, შენი
მეცნიერული მიდრეკილებანი საზოგადო-
ების ინტერესებს შესწირო? (არ ვდადაობ,
მართალ გეუბნები) უშენოდ ჩვენ ხომ ძა-
ლიან მოწყენილები ვიქნებით.

ტომი, მგონი ყველაზე თავსედი იტალიე-
ლი ხარ. გუშინაც ვიხსენებდით მე და მერი
ლექციის ბოლოს შენი ცნობილი გამოსვლის
ამბავს: „პროფესორო, ერთი ძალიან საინტე-
რესო კითხვა მაქვს თქვენთან და საერთოდ,
ჩემს მიერ დასმული ყველა შეკითხვა უა-

ღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია.“
თანაც აღარ იკითხავთ, ამას ვის ეუბნება?
პროფესორ სმიტს, მთელი აკადემია შიშითა
და კრძალვით რომ ძრნის მის წინაშე.

ძალიან მიხარია, რომ ასე დავმეგობრდით
და იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით ერთმა-
ნეთს, ოღონდ არა ბიბლიოთეკის ჩუმ დარ-
ბაზებში. ახლა კი წერტილი უნდა დასვა,
თორემ უკვე ძალიან მოვიწყინე. მაპატიეთ,
ყველას სახელი თუ არ ჩამოვთვალე, სამა-
გიეროდ ყველას ყველაფერ საუკეთესოს
გისურვებთ, და ყველას გელოდებით იტა-
ლიაში, მილანში.

ჩვენი ნერილი

მილანში ნისლია. ფრენა გადაიდო. ჰოდა,
ვენაში ვარ გაჩერებული და ნისლის გადაყრას
ველოდები. იმათ რა ენალვლებათ, ახლა ხომ
ვიცი, ყავას სვამენ და ჩემზე ჭორაობენ: რა
საშინელი ზოზინაა, აქაც ისევე აგვიანდება,
როგორც სემინარებზეო. ჰოდა, ვფიქრობ
ამაზეც, ნისლზეც და კიდევ უფრო მემლე-
ბა ნერვები. ვენის აეროპორტში ერთ ქალბა-
ტონს გადავეყარე. იმან კიდევ ცალკე ნერვე-
ბი ამიშალა: ასეთი რამე გაგიგიათ, – რატომ

ცერილი იტალიიდან



**მილანის სავაჭრო გალერეა
მილანში ძალებშაც მოდურად აცვიათ
კაფე Sforzesco-ს დიასახლისი**

ცხოვრობ ამ საქართველოში, რა მოგწონსო. მე ვინც ვიცი, ახალგაზრდებს არავის უნდათ აქ გაჩერებაო. აი, ჩემს შვილებს აქეთ გამოხედვაც არ უნდათო, რაზეც მე ბეპიაჩემის საყვარელი ანდაზა გამახსენდა და კმაყოფილებით ვუპასუხე: ძალი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქენა, ქალბატონი რუსულენოგნი იყო, მან, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური სიბრძნე ვერ გაიგო და საუბრის თემაც ბუნებრივად შეიცვალა. ჩვენ დიდანის ესაუბრობდით იმაზე, რომ „სობაკა დრუგ ჩელოვეკა“.

ძალებს მილანში ძალიან თბილად აცვიათ. თბილად და მოდურად. წითელ და ვარდისფერ ჟილეტებში გამოწყობილი ჩვენი ოთხფეხა მეგობრები კმაყოფილებით დააბიჯებენ მოდის დედაქალაქის საახალწლოდ მორთულ ქუჩებში.

იტალიელები ამბობენ, რომ მილანი ყველაზე ნაკლებად იტალიური ქალაქია. ეს არც განსაკუთრებული კომპლიმენტია და არც უარყოფითი ეპითეტი. მართლია, მილანი გრანდიოზული ქალაქი არ არის, მაგრამ ის მაინც მეგაპოლისია, თანაც არც ისეთი უზარმაზარი და ქაოტური, საკუთარი

მასშტაბებით რომ დაგზაფროს, ალბათ ამიტომაც მომწონს ეს ქალაქი.

ჩვენ ამ მეგაპოლისის მეორე წრეზე ვცხოვრობთ. ქალაქი წრიული დაგეგმარებით არის გაშენებული. ამიტომ ძალანაც რომ მოინდომო, ვერ დაიკარგები, უბრალოდ შეიძლება დიდხანს მოგიწიოს წრეზე სიარული. პირველი წრე ცანტრია. მესამე წრიდან თუ გახვედით, ჩათვალეთ, რომ ქალაქიდან გასულხართ.

მაგრამ ქალაქიდან გასვლა ჯერ ადრეა. მილანის ბრერის პინაკოთეკა, „ლა სკალა“ (გარედან ხომ მაინც უნდა შევავლო თვალი), მილანის ციხე-სიმაგრე, სადაც უამრავი რამ ინახება, მაგრამ ტურისტულ მოდას აყოლილი მნახველები ძირითადად ლეონარდოს მოხატული კედლის ძლიეს შემორჩენილი ფრაგმენტებისა და მიქელანჯელოს დაუმთავრებელი პიეტას სანახავად დადიან... ეგვიპტური განყოფილების ნახვაც გინდათ? – გვეკითხება ტომი. შენ? – ვუბრუნებთ კითხვას. მე არა, – აცხადებს კატეგორიულად. და შიგ რა არის? არ ვიცი, რა უნდა იყოს, ალბათ ორი ადამიანის მუმია და ერთიც – კატის.





სახალნლო სამზადისი მილანის ქუჩებში

მუმიების ნახვის სურვილი რატომლაც არავის აქვს. თანაც ამ ახალი წლის დღეებში. რესტორანში მივდივართ. El Brellin ჰქვია. ჩემი აქაური მეგობრები ამბობენ, რომ ყველაზე „სვეტსკი“ რესტორანია და მეც სხვა რა გზა მაქვს, უნდა დავუკერო.

კალაძის რესტორნის მონახულებაც კი მინდოდა, მაგრამ თვითონ იმ დროს თბილისში იყო და...

მერის სარილი

რა უცნაურია, მილანის მაღაზიებში ფას-დაკლებები არ არის. ჯესიკას ვეკითხები და არ იქნებაო, როცა დათბება, ზამთრის კოლექციაზე ფასდაკლებები მერე დაინყებაო. გამოდის, რომ დავრჩი ასე მილანური მოდით ჩაუცმელ-დაუხურავი. სხვა რა გზა მაქვს, დავდივარ და ვიტრინებს ვათვალიერებ. პინაკოთეკაში წასვლა დამეზარა. რაღა დროს ბელინი და ვერონეზე. მე თანამედროვე ხელოვნება უფრო მიზიდავს: მოდილიანი, არმანი, დოლჩე... (ხო არაფერი ავურიე?) რა საშინელებაა. ყველაფერი მომწონს. მაგრამ რად გინდა?! ჩემს ჭიას მაინც გავახარებ, შევდივარ მაღაზიებში და ხან არმანის კაბას

ვიზომავ, ხან – გუჩის. რა მენალვლება... გა- მყიდველები მაინც მიღიმიან და მადლობა- საც მიხდიან. ახლა ეტროს კოლექციას და- ვადგი თვალი. ნამდვილი შედევრია. როგორი ფერთა გამაა?! (ხო კარგადა ვთქვი?!)

ღმერთო ჩემო, როგორ მინდა ერთი მი- ლიონერი, მაღალი, სიმპათიური... განსაკუ- თრებით ამ ახალი წლის დღეებში და აქ – მილანში, სადაც ველარ გავიგე, რა ხდება, მგონი სულ მდიდრები ცხოვრობენ.

ჩემი სარილი

პაოლო აღმოფთებულია. რატომ უნდა გინდოდეს მუმიასთან ერთად სურათის გა- დალება. ჩემ უკვე ვხვდებით, რომ ის ია- პონელ ტურისტებზე ბრაზობს. ამის მერე აკვიატებული ფრაზა გვაქვს: როცა ვინე ჩემინან ფოტოაპარატის ჩხაკუნის ზღვარს (ეს ზღვარიც, რა თქმა უნდა, პაოლომ და- აწესა) გადააჭარბებს, იაპონელ ტურისტს ვეძახით. სულელური გართობაა, მაგრამ მაინც ვერთობით.

ისე, აქ ვერ დავეთანხმები ჩემს ძვირფას მეგობარ პაოლოს. მუმიების მიმართ მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.



ნერილი იტალიიდან



გენუას ქუჩებში ფაბრიციო დე ანდრეს მუსიკალური მაღაზია

ორი წლის ასაკში ჩემი საყვარელი ლექსი გალაკტიონის „სარკოფაგიდან დგება მუმია“ იყო. ერთხელ დედა რომ გავაპრაზე და მითხრა: იცოდე, მოვკედებიო, მითქვამს: არა უშავს, შენგან ჰერბარიუმს გავაკეთებ-მეთქი. ჩემი ერთ-ერთი ადრეული უურნა-ლისტური სტატიაც მუმიას უკავშირდება, კერძოდ: გიორგი ავალიშვილის მოგზაურობის ერთ ამბავს, ეგვიპტეში 1200 ოქროდ სარკოფაგი რომ შეიძინა და როგორც ითანებატონიშვილი ლაღობით გვიყვება თავის „კალმასობაში“, საზღვარზე რომ გაეტარებინათ, მუმია თავის მიცვალებულ ბებიად გაასაღა.

კიდევ ერთი გასართობი გავიჩინეთ. თუმცა ის ჩვენ არ გამოგვიგონია. მირკომ გაიხსენა, რომ ამას მეორი სწორედ მის სამშობლოში – გერმანიაში ჩაიყარა საფუძველი. სანტა კლაუსების გათავისუფლების კამპანიას ვგულისხმობ. ჰოდა, ჩვენც სანტა კლაუსების გათავისუფლების ჯგუფი შევქმნით და გადაწყვიტეთ, სახურავებზე ჩამოკიდებული საბრალო სანტა კლაუსები გადაგვერჩინა და ჩვეულებისამებრ ტყეში წაგვეყვანა.

მართალია, ეს გართობა ყველამ ძალიან ავიტაცეთ, მაგრამ ბოლოს სანტების გამო-

სახსნელად სახურავებზე აბობდება, რა თქმა უნდა, ყველას დაგვეზარა და ეს გართობაც მალევე გადაგვავიწყდა. მირკოს სულ ასეთი გიუური იდეები მოსდის ხოლმე თავში. ძალიან მაგარი ტიპია. გაგანია გამოცდების დროს უცებ დაარტყამდა ხოლმე და ზღვაში მთელი კვირით იკარგებოდა. ამიტომაც მირკო პოლო შევარქვი.

ჩემი ნერილი

ეს ამბავი მაშინ გავიგე, მილანს რომ ვათვალიერებდით და ქუჩების სახელებს რომ ვკითხულობდით. ერთ გაყოლებაზე ქუჩებს სულ მნიერლების სახელები ჰქვია – ევრიპიდეს ქუჩა, ქსენოფონტის ქუჩა... მეორე გაყოლებაზე – იულიუსისა და სხვა მეფე-კეისრების (ანტიკური ლიტერატურის საგამოცდო ბილეთებივით ვკითხულობ ამ წარწერებს), ქუჩების ერთ წესის იტალიის ქალაქების სახელები ჰქვია. ტომი იქვე განმარტავს: მე მგონი, ყველა ქალაქია, გარდა რომისა. ჰო, რომის ქუჩა მილანში არ არსებობს, მილანი არ ცნობს რომს. როგორც მილანის მკვიდრნი ამბობენ, იტალიის ნამდვილი დედაქალაქი მილანია და ის პირველობას რომს არ დაუთმობს.





მეთვაზების უბანი
გენუაში

ჩემი ნერილი

დანტეს ქუჩაზე დიდხანს დაეხეტიალობთ, იმდენ ხანს, სანამ სიცივეს გაუძლებთ. ეს ქუჩა მარტო თავისი სახელწოდებით არ იქცევს დამთვალიერებლის ყურადღებას, ულამაზესი ქუჩაა, თანაც ყველაზე ხალხმრავალი, ხალისიანი, ძვირფასი კაფე-ბარებით და სახელგანთქმული ფოტოექსპოზიციით. ამ ქუჩაზე ცოცხალი გამოფენაა – იტალია ცნობილი ფოტოგრაფების თვალით. ჰოდა, სანამ სიცივეს ვუძლებთ, ამ გამოფენას ვათვალირებთ, მერე კი კაფე Sforzesco-ს ვაფარებთ თავს. ტომი ამბობს, რომ ეს მილანის ყველაზე ცნობილი კაფეა და რადგანაც ტომი ნამდვილი გურმანია, ჩვენც ბრმად ვენდობით. ცხელი ძროლადი ხომ ამ დროს პირდაპირ მისწრებაა (ისეც და ასეც). კაფეს დიასახლისი შესანიშნავი ქალბატონია. მუდამ კეთილგანწყობილი, არასოდეს დაგიყეფებთ, თუნდაც სუფრაზე წითელი ღვინო დაგელვაროთ, და პოზირებაზეც ხალისით თანხმდება.

დანტეს ქუჩიდან მილანის ტაძრისკენ მივდივართ. ეს კათედრალი მილანის სიმბოლოა. მის სახურავზე ასვლაც აუცილებელი რიტუალია. რა თქმა უნდა, ლიფტი მუშაობს, მაგრამ ჩვენ ფეხით ავდივართ (მე

ამის დიდი გამოცდილება მაქვს). კიბეების თვლას ვიწყებ, მაგრამ მერე სათვალავი მერევა. რა კარგი ყოფილა, აქ პირველად ვარ, – ამბობს ტომი (ჩვენ რომ არ ჩამოვსულიყავით, რა გეშველებოდა?!). როგორც იქნა მშობლიური ქალაქი დაგათვალიერებინეთ, – იცინის ალექსანდრე. სახურავზე თბილა. ჩვენ კატეპივით ვეფიცებით მზეს და ვემშვიდობებით მილანს, რადგან ხვალ უკვე ფერარაში მივდივართ. ფრანჩესკამ გადაწყვიტა, ახალ წელს თავის საუნივერსიტეტო ქალაქში შეგვახვედროს. ვნახოთ.

ფრანჩესკას ნერილი

ამას წინათ კიდევ ერთხელ გაუშვეს ანტონიონის Al di la delle nuvole, ფერარაშია გადაღებული. რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, აქ აღარ ვყოფილვარ. ცოტათი ვლელავ კიდეც. მეც ისე მემართება, როგორც სელინჯერის ბებერ გმირს, თავისი კოლეჯის ტუალეტში სტუდენტობის დროს ამოჩხაპნილ წარწერებს რომ დაექებს. ახლა ცოტათი ვნანობ კიდეც, ძალიან წესიერი სტუდენტი ვიყავი და კედელზე არასოდეს არაფერია; არც კედელზე და არც ტუალეტის კარზე. რა დამემართა, ხომ არ დაგბერდი?



ცერილი იტალიიდან



რომელს ვიღო ფერარაში ფერარას წმინდას გორგის კათედრალი


ბევრი არაფერი შეცვლილა. ფერარა ისევ ისეთია. ალბათ დაახლოებით ასეთივე იყო საუკუნეების წინათაც – წყნარი, მშვიდი. ქალაქს რომ ვათვალიერებდით, ვიღაც გამვლელმა გიდობა შემოგვთავაზა (პატარა ქალაქში მაინც უფრო ყურადღებიანია ხალხი). მთელი სალამო დაგვყვებოდა და გვიყვებოდა და გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, ბევრად უფრო საინტერესოს, ვიდრე ჩემი ისტორიის მასწავლებელი. ჩემდა გასაკვირად პოლიციელი აღმოჩნდა, საიდან უნდა სცოდნობა ამდენი რამე იმ პოლიციელს?

ჩვენ ცერილი

ფრანჩესკამ ძალიან ინერვიულა, რომ საახალწლოდ ტრადიციული ოსპის გარეშე დავრჩით. მგონი, ცოტა ნაწყენიც დაგვირჩა, მაგრამ არ იმჩნევდა. არადა, რაც ჩვენ ის ოსპი თუ რაღაც ჯანდაბა ვეძებთ, მაგრამ არსად არ იყო და რა გვექნა. ოსპის გარეშე ახალი წლის შესვედრამ სილარიბე იცისო, – სერიოზულად წუხდა (მე, გასაგები მიზეზის გამო, ამას ნაკლებად განვიცდიდი). სულ დაავწყდა თავისი კომუნისტური მრნამსიც. განა ჭეშმარიტ კომუნისტს სილარიბის უნდა შეეშინდეს ან განა ცრურწმენების უნდა

სჯეროდეს? ამას გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები?

მშვინივრად ვიზეიმეთ. მიტრო ჩამოვიდა და 30-კილოიანი ჩემოდანი ჩამოიტანა. ბურლაკებივით მივათრევდით იმ ჩემოდანს. მერე მიტრომ ყველა ერთად შეგვარა და ჩემოდანი საზეიმოდ გახსნა. შიგთავსი ასეთი იყო: ერთი ჯემპრო და დანარჩენი – უკრაინული „ვოდა“ (სხვას ყველას დიდი გაძლება მისცეს ღმერთმა, ჩემთვის კი რამდენიმე წვეთიც საკმარისი იყო და მეზობელი უკრაინა ჩვენს პრეზიდენტზე მეტად შემიყვარდა). მერე ისლა მახსოვს, რომ ყველას გვიხარიდა, ერთმანეთს ვულოცავდით. რას? – ჰო, ეგც მახსოვს ბუნდოვნად. და ისიც მახსოვს, ფრანჩესკა და ტომი იდეოლოგიურად რომ შეეჯახნენ ერთმანეთს კომუნისტური თუ კაპიტალისტური მსოფლიოგაგის უპირატესობის მტკიცების თავგანწირული მცდელობით. მაშინ პირველად გამიხარდა, ამათი ენა რომ არ ვიცოდი, და სულ არ მენაღლებოდა, რაზე ყაყანებდნენ. ამ პაექრობის მიზეზთა მიზეზი უკრაინელი მიტრო კი ბოთლით ხელში უწყინრად დაბარბაცებდა და გულწრფელად წუხდა: სულ იმ ოხერი ოსპის ბრალია ყველაფერი,



ქართული „მუკუზანი“ ბარ „ბრინდიზის“ ღვინის კოლექციაში, ფერარა ფერარას ჭურები

ნუ გეშინია, ფრანჩესკა, შენც გექნება ვილა სარდინიაში. ისე კი ნუ იღელვებთ, კომუნისტებისა და კაპიტალისტების ადეპტების მწვავე ვერბალური შეჯახება ცივი ომის პოლიტიკაში არ გადაზრდილა. ნაბაზუსევზე სასმელიცა და წყენაც როივეს გამოწელდა.

ჩვენი ნორილი

ეს გზა რომში მიდის, – გადატანითი არა, პირდაპირი მნიშვნელობით გვიხსნის პაოლო, – პირველი დიდი მაგისტრალი, რომელიც იტალიის ჩრდილოეთ ნანილს რომთან აკავშირებდა, ბენიტომ ააშენა. ამ სახელს ისეთი ფარული სიამაყით ამბობს, რომ მერის ბენიტო ქალაქის მთავარი არქიტექტორი მაინც ჰერნია (ყოველ შემთხვევაში, მუსოლინი არა). არა, სადღაც გულის სიღრმეში მაინც ფაშისტია ეს ბიჭი, – ქირქილებს ალექსანდრე. ყველანი ვიცინით, მერის გარდა, მერი გზას გასცემრის და თვალებს აფაზულებს. არა, თქვენ იცინით და ეგ მართლაც ეგრეა, – აგრძელებს ალექსანდრე. საშიშია, მოერიდეთ! ისევ ვიცინით. ბენიტოს გზით გენუაში მივდივართ. მე ძალიან მიხარია, რადგან ვიცი, რომ იქ ზღვაა და სიობოა. რადიოში 16 გრადუსს აცხადებენ.

ალექსანდრე ფერარას ადგილობრივ გაზეთს ჩაჰკირების და სიცილით იგუდება. გაზეთის ნამყვანი ინფორმაცია ასეთია: როგორ დაკარგა ფერარას ერთმა მაცხოვრებელმა საახალწლო საჩუქრებით სავსე კალათა. „ფერარა მსოფლიო მოვლენების ორმტრიალში“ – არ ჩერდება ალექსანდრე. თქვენ რა გესმით, ყველაზე მაგარი ქალაქია – იბუტება ფრანჩესკა.

პო, სულ დამავწენდა მეთქვა. წელს იტალიაში ორი სახის კუსტარულ შუშეუნებს ამზადებდნენ. ერთს „პროდის ფინანსური ანგარიში“ ჰქვია, მეორეს – „ზიდანის თავური დარტყმა“.

ჩვენი ნორილი

პაოლოს დესკტოპზე მეთევზების დათოვლილი უბნის (თუმცა თოვლი იქ იშვიათად მოდის) ფოტოა წარწერით – დიდი გენუა. გენუელები ძალიან ამაყობენ თავიანთი ქალაქით და გული სწყდებათ იმაზე, რომ ჩვეულებრივ ქალაქს გენუელი და ვენეციელი ვაჭრების დაპირისპირებით უფრო იცნობენ და ბევრმა არც კი იცის, რომ გენუა ბაროკოს დედაქალაქია. თუ გინდა, რომ ბავშვობის ოცნება აისრულო და დროში იმოგზაურო, გენუაში უნდა წახვიდე: რუბენსის მოხატული



ნორილი ქატამილიდან



ქალაქ პორტოფინოს სანაპირო



ქუჩჩიდან უცებ მე-19 საუკუნეში გადადიხარ, შეგიძლია მე-11 საუკუნეშიც გადაუხვიო, სა-დღაც ფაშისტური არქიტექტურაც გაიელ-ვებს, მერე ისევ შეუ საუკუნეებში ბრუნდები. დადიხარ სასახლეებში და ათვალიერებ ფრესკებს. მერე დაუყვები ვიწრო ქუჩებს, რომლებიც საესეა ნარკობარიგებითა და მე-ძავებით, ძალიან შრომისმოყვარენი კი ჩანან – უჩვეულოდ ადრე ინსტენ სამუშაო დღეს. მერე პორტიდან ისმის გემის საყვირის ხმა და ცველაფერი ერთმანეთში ირევა – თევზის, ზღვის მარილისა და ზეთიანი პურის სუნი...

ნებისმიერი გენუელი აუცილებლად წაი-ტრაბახებს, რომ გენუა უძველესი ქალაქია, რომ ყველაფერი, რაც კარგია იტალიაში, გე-ნუიდან მოდის, რომ აქ დაიბადა პაგანინი, ალარაფერს ვიტყვი იმ მხატვრებზე, აქ რომ ხატავდნენ და ხატავდნენ. აუცილებლად განახებთ იმ ადგილს, სადაც იტალიელი მოგზაური, წარმოშობით გენუელი კოლუმ-ბი დაიბადა. თუმცა ეს ჩვენი ქრისტეფორე სულ ცოტათი (რამდენიმე ათეული წლით) უფრო ადრე დაბადებულა, ვიდრე ეს შენობა ააშენეს, მაგრამ რა უჭირს?! გენუელებისგან აუცილებლად მოისმენთ ლეგენდებს გენუის ფეხბურთის გუნდზე – ის პირველი

ფეხბურთის კლუბი ყოფილა იტალიაში, 1891 წ. შეუქმნიათ. მართალია, ახლა დიდ ვერა-ფერ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ მთელ იტალიაში ცველაზე გადარეული გულშემატ-კივრები ჰყავს. და კიდევ, აქაურებს ძალიან ეამაყებათ მომღერალი და კომპოზიტორი ფაბრიციო დე ანდრე, რომლის ლექსებს თურმე სკოლაში ასწავლიან და რომლის თაყვანისმცემლებისთვის გენუელებს საგან-გებო მუსიკალური მაღაზია გაუხსნიათ. ამ მაღაზიდან ისე ვერ გამოხვალ, თუ შთა-ბეჭდილებების წიგნში რამე არ ჩაწერე. მეც ვწერ რაღაცას, ქართულად. – რა ჩაწერე? – სიცილით მეკითხება ტომი, – წადით თქვენი, უკვე თავი მომაბეზრეთო?

გენუის დროშის აბბავი არ უნდა გამომრჩეს: გენუელებს წმინდა გიორგის დროშა აქვთ, თეთრ ფონზე წითელი ჯვრით. ზუსტად ისეთივე, როგორიც ინგლისის დროშა. დღესაც მოწმის სიამაყით ჰყვებიან, როგორ მიჰყიდეს ეს დროშა ინგლისელებს მე-12 საუკუნის ბოლოს, 1190 წელს. ეს იმიტომ, რომ ინგლისის გემებს მეკობრეთა თავდასხმა აერიდებინათ. გენუის ძლევამოსილ საზღვაო ფლოტს კი თვით თავზეხელადებული მეკობრებიც დიდ პატივს სცემდნენ.



პორტოფინოს ნავსადგური

ესეც დროშის ამბავი. ვინ არ იამაყებდა ასეთი ამბით.

ჯესიკას ნერილი

ხომ გეუბნებოდით, ჩვენი მოგზაურობის ბოლოს ნამდვილ ზღაპარში წაგიყვანთ-მე-თქი? ხომ მართლაც ზღაპარში ვიყავით? ვიცი, რომ ყველა ჩემსავით რომანტიკოსები არ ხართ, მაგრამ ამას ვერ უარყოფთ. როგორც პლინიუს უფროსი გვეუბნება, ეს პატარა ქალაქი – პორტოფინო რომაელებს დაუარსებიათ და სახელი Portus Delphini – დელფინების პორტი იმიტომ დაურქმევიათ, რომ აქ უამრავი დელფინი ბინადრობდა. ახლა დელფინების რა მოგახსენოთ, ტურისტები კი – იცოცხლეთ, თანაც სულ მდიდარი ტურისტები. აი, აქ თუ იპოვის მერი თავის სანუკვარ მილიონერს...

თქვენი არ ვიცი და მე კი არასოდეს და-მავიწყდება პორტოფინოს მზის ჩასვლა და ზღვის პეიზაჟი. აბა, ბედნიერი მგზავრობა.

ძალიან გამიხარდა, რომ ჩამოხვედით. იმე-დია, კიდევ ჩამოხვალთ და კიდევ შევხვდებით ერთმანეთს სადმე რომანტიკულ ადგილას და არა ბიბლიოთეკაში. კიდევ რა გითხრათ? – ისევ ველოდები ჩემი სტიპენდიის პასუხს,

Contra spem spero – იმედი არ ჩანს, მაგრამ მაინც იმედი მაქეს (ჩემი ლათინური რამეში ხომ უნდა გამოვიყენო), რამეს მოვახერხებ, ბოლოს და ბოლოს სადმე ბარში მუცლურს ვიცეკვებ და საკუთარ PhD-ს დავაფინანსებ. აბა, დროებით!

ტომის ნერილი

სალამი იდიოტების ბრიგადას! მაგარი იყო არა? მომავალ ახალ წელზე რას იტყვით? მირკოსთან ხომ არ წავსულიყავით გერმანიაში? რატომ გერმანიაში? იმიტომ რომ იქ არა-სოდეს ვყოფილვარ. მოკლედ, შევთანხმდით. თქვენი აზრი არ მაინტერესებს.

არ დაიკარგოთ, მოინერეთ ხოლმე. ხვალი-დან უკვე სამსახურში გავდივარ. თქვენკენ ახალი რა არის?

ძალიან გთხოვთ, გრამატიკული შეცდომების გასწორება არ დამიწყოთ და ნერვები არ ამიშალოთ.

აბა, ჰე!

P.S. რაც შეეხება საქართველოში ჩამოს-ვლას, არა, ვერ ნუ, რომ გაბრწყინდება, მერე ჩამოდით!





გამარჯობა, იგ ჯონი ვარ, სილნალილან

ავტორი: თამარ ბაბუაძე
ფოტო: დავით მასი



ცხოვრების წესი

ამ რიკულებიან
აიღნებს გამთენიას
სულ სხვანაირი
შუქი ეცემა ხოლმე.
ამ შუქის ხათრით,
ჯონი ადრე დგება
და სახატავად
გამოდიოს.



დილაა. უფრო სწორად, დილის ბინდ-ბუნდია. 7-ს აკლია 15 წუთი. მალეიძარას ზარმა ნამთვრალევი თავი ლამის ამიფეთქოს. არადა, უნდა ავდგე: ჩემი და, დარწმუნებული ვარ, მესხის ცხოვრებაშიც ყველაზე ადრეულ საათზე დათქმულ ინტერვიუზე მივდივარ – რვაზე იქ უნდა ვიყოთ. სიმზრებისგან ნახევრად თავდალნებული ვიცვამ ყველაფერს, რაც მაბადია და სიცივესთან შესაგუებლად აივანზე გავდივარ. მაგრამ იქვე ვშეშდები: ნახევრადგახელილი თვალებითა და ტკივილისგან გადიდებული თავითაც კი ბოლომდე ალვიქვამ სურათს: ჩემთან ახლოს, ოლონდ მარცხნივ, ოდნავ ნისლსა და დილის ბინდ-ბუნდში გახვეული სახურავები და ნაგრძელებული ეკლესია ჩანს, მათ ფონზე კი, საითაც არ უნდა გავიხედო – მარცხნივ, მარჯვენივ, წინ თუ მალა – ყველგან ერთ დიდ საოცრებას ვხედავ: ჩანს დილის მზისგან გაწითლებული კავკასიონი. ყველგან, აბსოლუტურად ყველგან, მთელ ჰორიზონტზე კავკასიონია, მის ქვევით – ნისლიანი ალაზნის ველა – გრძელი და შორი. იმდენი ჰაერი და სიჩუმეა გარშემო, რომ უკვე მარტო კი აღარ ვსუნთქავ და ვდუმვარ, თვალითაც კი ვხედავ უამრავ ჰაერსა და ალაზნის ველის სიჩუმეს. ეს უცნაური ემოცია ერთბაშად მაფხიზლებს და ფიქრის უნარის ძლიერი დაბრუნების შემდეგ, ჯერ კიდევ გაშტერებული, პირველ ფიქრად მეფიქრება: “აქ, ამ ქალაქში სიამოვნებით დავბერდებოდი”.

...

ათიოდე წლის წინ, დაახლოებით მსგავსი ემოცია ამერიკელმა მხატვარმა, მოსკოვში სურიკოვის ხელოვნების ინსტიტუტში განათლებამიღებულმა ჯონ უერდემანმა განიცადა. მან თავის პირველ სილნალურ დილას, გორაკზე მდგარ სასტუმროში გაიღვიძა. კახურ ქეიფში წინა ღამით გამოთორობილმა წესიერად არც იცოდა, სად იყო. აიგანზე გავიდა. საშინელი პახმელისგან დამძიმებული თავი, მთქნარებ-მთქნარებით ძლიერ ანია და თვალი გაუსწორა თუ არა კავკასიონს, ფიქრის უნარის ძლიერ დაბრუნების შემდეგ, ჯერ კიდევ გაშტერებულმა, პირველ ფიქრად გაიფიქრა: “მე აქ ვრჩები”.



დილა ტაძარში გრძელდება.
ჯონი მასალას ამზადებს
ერთი დიდი ტილოსთვის,
რომელიც მონაზონთა
ცხოვრებას ასახავს.

...
ჰოდა, მე და მესხი ახლა ამ ჯონ უერდემანს ვსტუმრობთ. სან-ტა ფეში გაზრდილი და ვირვეინიაში ნაცხოვრები ჯონი სიღნაღმი გვემასპინძლობს. ჩემი დილა რვა საათზე იწყებაო, აი, ამ ქუჩასო – ქვაფენილიან, ვიწრო აღმართზე გვანიშნებს, აქეთ-იქედან გადმო-კადებული ხის რიცულებანი აივნებით – ალიონზე ძალიინ სანტე-რესო შუქი ადგება ხოლმეო. ეს შუქი რომ დავიჭირო, ადრე ვდგები, მოვდივარ, აღმართის თავში ვშლი მოლბერტს და ვხატავო. მოდი, დღე ჩვენც იქედან დავიწყოთ.

მეც და მესხიც გულის სილრმეში ძალიან არაპუნქტუალურები ვართ, მაგრამ ნამდვილად არ გვინდა, სიღნაღმი ჩასახლებულ, მა-გრამ მაინც ამერიკული პუნქტუალობითა და გრაფიკით მცხოვრებ ჯონთან ჩვენი ეს თვისება გამოვამჟავნოთ და დათქმულ ადგილას, დათქმულ დროზე ცოტა ადრეც კი მივდივართ.

ქალაქში კაცის ჭაჭანება არ არის. პრინციპში, სამარისებურ სი-ჩუმეს განთიადს ვერ დავაბრალებთ, რადგან ამ ქალაქში თითქ-მის არასდროს არავინ არ დადის და სიცოცხლის ნიშან-წყალი არც სახლებსა და ეზოებს ეტყობა. დაბნელების მერე კი საერთოდ ჩქამი არ ისმის. ამ დროს, ამ ქალაქში მარტო ჩვენ ვხმაურობთ.

...
მოკლედ, ჩუმი და ცივი დილაა. ქვაფენილის ბოლოში, ცისფერ ნისლში გახვეული, მოლბერტითა და ხელში ფუნჯებით ჯონი დგას. აი, სიურეალიზმი! – ვფიქრობ იმ დილას პირველად და მერე, ჯონ-თან ერთად გატარებული მთელი იმ ერთი დღის განმავლობაში, კი-დევ რამდენჯერ ვიმეორებ ამ ფრაზას, ვერც დავთვლი.

ჯონის ზურგს უკან ვდგევარ და ქურდულად ვიჭყიტები ტილოზე. ის აივნებს ხატავს და შიგადაშიგ ამბობს: “ამ ქუჩის ბოლოს, კუთხეში ვანო სარაჯიშვილის სახლი დგას, მერე იქვე, სოლომონ დოდაშვილის სახლსაც დაგანახებთ”. გაოცებისგან პირს ვალებ და სურვილი მიჩნდება, თბილისში ჩასულმა ბავშვებს შორის ქუჩის გამოკითხვა ჩავატარო: ბავშვებო, აბა, ვინ იყო სოლომონ დოდაშვილი?” ჯონმა კიდევ ბევრი რამ იცის ისტორიული შემოსევების, ქალაქის აშენების, საბაგიროს გაყვანის, ახლო-მახლო სოფლების, ქიზიში ჩამოსახლებული სვანების და კიდევ ბევრი წმინდა ქართულ-კუთხური თემის შესახებ. “რატომ არ უნდა ვიცოდე? აქაური ვარ, ათი წელია, აქ ვცხოვრობ”.





ქეთევანი ჯონის მეუღლე
და ნამდვილი სულიერი
მეგობარია.

ცხრილის წესი

იმ დღეს ჯერ მე მოვინათლე და ხუთი წუთის შემდეგ მეგობრის ბავშვი მოვნათლე.

მალევე მე და ჩემმა მეუღლემ, ქეთევანმაც სერიოზულად დავიწყეთ ერთმანეთზე ფიქრი. მისმა მოძღვარმა ჩემთან შეხვედრა მოისურვა. ერთად წავედით ალავერდში მოძღვრის სანხავად. ვისი მანქანით მოხვედო, ჰერთხმა მოძღვარმა ქეთევანს, ჩვენი ნივითო – უპასუხა ქეთევანმა. მოძღვარმა კი იხუმრა – ახლა ვნახავთ, შენიც არის თუ არა ეგ ნივაო და ჩემთან ერთად განმარტოვდა. ყველაფერი გამომიკითხა. ძალიან დიდხანს ვსაუბრობდით. ბოლოს ქეთევანს უთხრა, კარგი, იყოს ეგ ნივა შენიცო... რამდენიმე წლის წინ, როცა მეუფე ნიკოლოზი ბოდბის მღვდელმთავარი იყო, სტიქარი შემიკერა. „უკვე 6 წლია, სტიქაროსანი ვარ“.

...

აქ ცხოვრებამ ჯონი მრავალმხრივ შეცვალა. ლაპარაკში ეს ამერიკულ-ქიზიყური აქცენტის შეზავებით გამოიხატა (“ზალხოო, მოდით, თქვენც დასხედით სუფრასთან” – შეუძლია უცებ თქვას ჯონმა), ყოფით ქცევებში – თამადობის, ჭაჭისა და ღვინის დაყენების შესწავლით, ძმა-ბიჭების გაჩენით, ხოლო სულიერ ცხოვრებაში – მართლმადიდებლობის აღმოჩენით.

“სულიერებას ყოველთვის ვეძებდი – კათოლიკურ ეკლესიაშიც და ინდურ მედიტაციებშიც. მერე მოსკოვში რუსი მართლმადიდებელი მეგობრები გავიჩინე. საქართველოში ჩამოსვლისას კი ერთმა მეგობარმა მთხოვა, ბავშვი მომენათლა. თელავის ფერის-ცვალების ეკლესიაში წავედით, მაგრამ გაირკვა, რომ მონათვლის უფლება არ მქონდა. მოძღვარმა მკითხა, ოდესმე ხომ არ გიფიქრია მართლმადიდებლობის მიღებაზე. ფიქრით როგორ არ მიიფიქრია, მაგრამ ასე სპონტანურად მოვინათლო-მეთქი? მაანც ასე მოხდა:

რამდენიმე წლის წინ მოქცეული ჯონი ბევრ მართლმადიდებელზე უკეთესი მორწმუნეა, სტიქაროსნის მოვალეობას ალავერდში ასრულებს. ბოდბის მონასტერში კი ისე შინაურ კაცად ითვლება, რომ დედები ტაძრის გასაღებსაც ანდობენ. ჯონიც დილას – სანამ მონაზვნები ისვენებენ – ტაძრში შედის და ხატავს.

და ამ დილასაც, როცა მხატვრის მოსაწონი შუქი ქვაფენილიან დაღმართს სცილდება, მანქანაში ვსხდებით და ბოდბის მონასტერში მივდივართ. დრო ათ საათამდე გვაქვს. ბოქლომს ხსნის და ტაძარში შედის. შიგნით ბერლა, დღის შუქი ვიწრო, ვიტრაჟებიანი ფანჯრებიდან ზოლებად ჩამოძის. ჯონი რამდენიმე სანთელს ანთებს, მერე ისევ მოლბერტს შლის და საკურთხევლის დეტალებს ხატავს.

ეს შავი მასალაა, რომელსაც ერთი დიდი ტილოსთვის გამოიყენებს. აი, მალე მივალთ სახელოსნოში და ამ ტილოსაც ვნახავთ. ჯონის ფერწერა მშეიდია, აშკარად ეტყობა რუსული იმპრესიონიზმის კვალი. ჯონი ამ სკოლის დიდი თაყვანისმცემელი და ნარმომადგენელია. სანამ სურიკოვის სახელობის ინსტიტუტში მოხვდებოდა, მთელ შტატებში სახელგანთქმულ სამსატვრო აკადემიაში, მერილენდის ინსტიტუტი ხელოვნების სკოლაში სწავლობდა. “იქ დიდი სიგიჟე იყო.



სტეფანენდიდან
მთელი სიღნალი,
კავკასიონი და
ალაზნის ველი
ხელისგულივით
ჩანს.



ეს ჯონის სახელოსნოა. დასრულებული და ჯერაც
დაუმთავრებელი ტილოები, ოჯახური ფოტოები კედლებზე,
საყვარელი წიგნები და მაგარი ყავა – რას ალარ აღმოაჩენს აქ
ცნობისმოყვარე ადამიანი.

ზოგი პროფესორი ნამდვილი პანკი იყო, ხო იცი, ყვითლად შეძებილი თმებით, დახეული ტანსაცმლით.” ჯონს კი კლასიკური განათლების მიღება უნდოდა. ამიტომ მოიპოვა ცნობები ევროპული აკადემიების შესახებ და ყველაზე მეტად გულმა სურიკოვისუნ გაუნია. მოსკოვში ინსტიტუტის ადმინისტრაციის გაუფრთხილებლად ჩავიდა, იღლიაში რულონებად დახვეული ამორჩული ტილოები ჰქონდა გაჩრილი. ეგ იყო და ეგ. უცხოელი სტუდინტების განყოფილებაში სმისგან ცხვირგანით დაბული და სახეასიბული რუსი დახვდა. დიდი ეჭვით აათვალიერ-ჩათვალიერა, არა მგონია მიგილონო – უთხრა, მაგრამ ზემოთ საბჭოა შეკრებილი, მანიც ვიკითხავო. ჯონს ტილოები გამოართვა და ზევით ავიდა. ცოტა ხანში სირბილით ჩამოვიდა, სწრაფად ამოდი, გეძახიანო. ჯონიც პირდაპირ საბჭოზე შეუშვეს – სიგარეტის კვამლით გაბულულ ოთახში, პიჯაკებიანი და სათვალეებიანი პროფესორების გარემოცვაში. “თქვენ ჩემს სახელოსნოში იქნებით” – უთხრა ჯონს ვილაც უცხო კაცმა. “ასეთ დამოკიდებულებას არ ვიყავი მიჩვეული. ამერიკელები ყველაფერს თვითონ ირჩევენ და მეგონა, რომ პროფესორიც თვითონ უნდა ამერჩია, მაგრამ ალარაფერი ალარ ვთქვი. მთავარია, მიმიღეს და თან მერე დამაშვიდეს, რომ აკადემიის ყველაზე კარგ პედაგოგს – ვლადიმერ ზაბელინს ავუყანივარ.” მერე ჯონი პირველი ამერიკელი გახდა, რომელმაც სურიკოვის ინსტიტუტი დაამთავრა.

...

ტაძრიდან რომ გამოვდივართ, გარეთ უკვე ნათელი, სუსხიანი და მზიანი დილა გვხვდება. კავკასიონსაც ბუნებრივი ფერი დაბრუნებია – მარტივი ბელეტრისტიკის ენაზე ბოლომდე ვერაფრით რომ ვერ გამოხატავ, ისეთი. ისევ სიღნაღში ვბრუნდებით, ჯონის სახელოსნოში. პირველ საათამდე იქ მუშაობს. ეზოში შეშას ჩეხავს და ლუმელს ანთებს, მეზურნესავით ბერავს ლოყებს და ნაკვერჩხალს ალვივებს. აი, ის ტილოც – ბოდის დედების ცხოვრებიდან. მაგრამ ახლა ჯონი ერთ სოფლურ პეიზაჟზე მუშაობს – ერთი ქალი თონეში ცეცხლს ანთებს, მეორე – ტილოს რეცხავს, კუთხეში, ხის ძირში, კატა თვლე-მს. რას გრძნობ ამ ტილოს რომ უყურებო – გვეკითხება. სიმშვიდეს ვგრძნობ – ისევე როგორც აქ, სიღნაღში ყოფნას შეეფერება ეს სი-ტყვა ყველაზე მეტად.

შეშის ღუმელზე ნალექიან ყავას ხარშავს, პატარა, თურქულ ფინჯნებში გვისხამს და ხატვას აგრძელებს. კედელზე გრაფიკი აქვს გამოკული: 8-დან 10-მდე – პეიზაჟები, 10-დან 1-მდე სახელოსნო, 1-დან 2-მდე სადილი სახლში, 2-დან 5-მდე – სახელოსნო. ესე იგი, ჯონი არაფერს აზიადებს: მეგაპოლისური ხმაურისგან გაქცეული, ალაზნის ველისა და კავკასიონის გარემოცვაში მართლა ამერიკული გრაფიკით ცხოვრობს.

“ბევრი თავისუფალი დრო რომ მაქვს და საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა რომ შემიძლია, ძალიან მომწონს. ამის უფლებას თავს იმიტომ ვაძლევ, რომ ჩემი ნახატები დასავლეთში ხშირად იყიდება. სურიკოვის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მამაჩემის სურვილით და მონდომებით, როცა სურიკოვი დავამთავრე, ნიუ იორკის არტ ექსპოზიციაზე ჩემი სამი პედაგოგისა და რამდენიმე ჯგუფელის ნამუშევრები გავიტანეთ. ეს ის ადგილია, სადაც არტ-დილერები ტილოებს ყიდულობენ, მერე არტ-ბაზარზე თავიდან რომ გაყიდონ. ყველას გასაოცრად, პირველივე საათში თითქმის ყველა ჩვენი ტილო გაიყიდა. მას მერე მამაჩემი არტ-დილერობით სერიოზულად დაინტერესდა და ჩემს დედინაცვალთან ერთად, ჯეიმსის მდინარის სანაპიროზე კერძი გალერეაც გახსნა. გალერეას ჩემი შვილის სახელი ჰქვია – “ლაზარე გელერი”. იქ რუსული იმპრესიონიზმისა და რეალიზმის ნიმუშები იყიდება, მათ შორის ჩემიც ბევრია.”

საუბარსა და ხატვაში პირველი საათიც მოდის. ჯონი შინ გვეპატიჟება, ერთსაათიან სადილსა და შესვენებაზე.

„ამ სახლში ჯონი ბევრი რამით ამაყობს. და ისედაც, მართლა ყველაფერი საამაყო აქვს ჭიშკრიდან დაწყებული, სარდაფით დამთავრებული. ხის რიკულებიანი აივანი, ხის დერეფანი, ძველებური გერმანული შეშის ღუმელებით გამთბარი საინებელი, საბავშვო და სალოცავი ოთახი. კედლებზე – ჩანგები, ჩოხები, გამხმარი სუნელები და ყვავილები. აგურის კედლებიანი დიდი სამზარეულო და ჯონის მთავარი საგანძურო: მარანი. ამ მარანში ჯონი უკვე ისეთ ღვინოს და ჭაჭას აყენებს, რომ სიღნაღელ მასწავლებელსაც



დათო ჯონის
მეგობარია.
ის ხალიჩებს
უნიკალური
ქართული
მეთოდით ქსოვს.



ამ სახელოსნოს
ჯონი ხშირად
სტუმრობს.
ხალიჩების ქსოვის
საიდუმლოს
ჯერ თვითონ არ
ფლობს, მაგრამ
დიდი სიამოვნებით
ადევნებს ხოლმე
თვალს, თუ
როგორ იქსოვება
დაზგებზე
ულამაზესი
ფერების
ხალიჩები.



ცხოვრების წესი

აოცებს. ეს ძველი სანახელი სოფელში იყიდა და აღადგენინა, ეს თუნგებიც, ძველი, რეინის სკივრი და ხის ზარდამშაც მისი კოლექციის ნანილი გახდა. მარანში გრძელი ხის მაგიდა დგას – ზუსტად ისეთი, წინა საუკუნეებში დიდგვაროვან, ჩოხისან ქართველებს რომ ექვებოდათ. მაგრამ დღეს ამ მაგიდის გარშემო ჯონი კრებს სტუმრებს დიდ დღესასწაულებზე და ხალისით და სიმღერით თა- მადობს დიდ სუფრებს.

“მაშინ ვმღერი, როცა ნასვამი ვარ. აი, ქეთევანი და მისი ძმა შალვა მღერიან არაჩეულებრივად. ქეთევანი სიმღერის წყალობით გავი- ცანი. თავიდან, სიღნაღმი რომ ჩამოვედი, ბევრს არავის ვიცნობდი. თან ცუდი პერიოდი იყო – უშუქობა, უწყლობა. მზის ამოსვლისას ვდგებოდი, ვხატავდი, მზე ჩადიოდა და ვწვებოდი. ერთხელაც, ქუ- ჩიდან შემოსულმა სიმღერის ხმამ ლოგინიდან წამომაგდო. ქეთევანი, მისი ძმა და მეგობარი სახლისკენ მიდიოდნენ და მღეროდნენ. უკან ავედევნე....იმ ღამეს ერთ საოცარ ადგილას მოუხვდი – დილამდე ერთ ოჯახში ვისხედით, ვსაუბრობდით და ვმღეროდით. შემდეგ მე და ქეთევანის ურთიერთობა თანდათან სიყვარულში გადაიზარდა.” ახლა მათ ორი შეიოლი – ლაზარე და გვანცა ჰყავთ. ორმაგ – კახურ- ამერიკულ რეალობაში რომ ვართ, ეს ბავშვებთან ურთიერთობაში კიდევ უფრო იგრძნობა. სიღნაღმი დაბადებული ლაზარე უაქცენ- ტოდ ლაპარაკობს ინგლისურად. მამის კისერზე მჯდარი გვანცა კი სტეფანწმინდიდან სახლისკენ გზაზე ხშირად უმღერის “მოციმიუ- მე ვარსკვლავს” ინგლისურად. ესეც რომ არა, ბავშვების ოთახში “ვარსკვლავთა ომების” DVDდისკების მთელი კოლექციაა. ლაზარე – ჯორჯ ლუკასის ფილმების დიდი ფანია ისე, როგორც ჯონი ყოფილა – ბავშვობაში.

...

სამზარეულოში ვსადილობთ. ის ფაქტი, რომ სიღნაღმი ვართ, კი- დევ უფრო სიურეალისტური ხდება: წინ გაქიზიყელებული ამერიკელი გვიზის და ქართულად გვთხოვს, გადავილოთ – იტალიური სალათი, მაროკული ბრინჯის კერძი, კახური მწვადი და ბოლოს – მსუყე და გემრიელ სადილს ნამდვილი იტალიური ესპრესო დავაყოლოთ....

ეს კიდევ არაფერი – გასტრონომიული სიურეალიზმი სალამის, სიღნაღური პეიზაჟების დათვალიერების შემდეგ, კიდევ უფრო მძა- ფრდება: ჯონს მექსიკურ რესტორანში მივყავართ, რომლის მეპა- ტრონეც მისი ცოლის ძმა, შალვა. “პანჩი ვილა” სიღნაღმი რამდე- ნიმე თვეეა არსებობს, მისი სტუმრები კი ძირითადად უცხოელები არიან, მაგრამ ჯონი ამბობს, რომ მაღლე, ალბათ, უცხოური კერძების გასინჯვას კახელებიც მიეჩვევიან. მესხი “პანჩი ვილას” ვერაფრით ელევა. უკვე თბილისისკენ გზაზეც კი “ნაჩინები” და მექსიკური ქა- თამი აკერია პირზე...

...

ჯონი “პანჩი ვილაში” ხშირად დადის. აქ, არასამუშაო საათებში, ქეთევანის ხალხური სიმღერების ანსამბლი “ზედაშეც” გადის რეპე- ტიციებში. ჯონი ამ ანსამბლის მენეჯერია. გასტროლების განრიგს უგეგმავს და არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში. სწორედ ჯო- ნის დამსახურებაა ის, რომ “ზედაშე” საშემოდგომოდ გასტროლზე შტატებში წავა. ამ მოგზაურობის დროს კი ჯონი არა მხოლოდ მენე- ჯერი, მძლოლი და თარჯიმანიც იქნება.

ჯონი ბევრს სვამს და კარგ სადღეგრძელოებს ამბობს, მაგრამ მეორე დოლას ადრე ადგომა მაინც არ უჭირს. თუ არ ხატაქს, ქარ- თული ხალხური ცეკვების ანსამბლ “კლეხსათან” ერთად ვარჯიშობს და ხან “ხორუმს” ცეკვავს, ხან “სვანურს”, ხანაც ხმლებს იქნებს. ამიტომ, თავისი “ტოიოტას” ჯიპის საბარგულში ხშირად უდევს ჩან- თა – ქართული ცეკვის ფორმითა და საცეკვაო ხმლით.

...

სანამ სახელოსნოდან სახლამდე გადის გზას, ჯონი მეგობრებსაც ხშირად შეუვლის ხოლმე. ზოგი ქუჩაში ხვდება – მაგალითად, “ზე-

დაშეს” ანსამბლის წევრი და ძმაკაცი – სვანი შერგილი, ანდა დავითი – კაცი, რომელიც ძველი ქართული მეთოდით ქსოვს ხალიჩებს. მის სახელოსნოში ჯონი აუცილებლად შეივლის ხოლმე. “სიღნაღმი ერ- თადერთი ადგილია, სადაც ხალიჩის ქსოვის ქართული ტრადიციაა შენარჩუნებული” – ამბობს ჯონი და მერე დავითს ერთი ხალიჩის მოქსოვას თხოვს.

...

“მე ამ ქალაქში სიყვარულით ვცხოვრობ და რასაც ვაკეთებ, ყვე- ლაფერს სიყვარულით ვაკეთებ. მგონია, რომ ყველაფერი სიყვარუ- ლით უნდა იყოს გაკეთებული, და არა უშავს, თუ პრიმიტიული გა- მოვა, რადგან მთავარია, ყოველი წუთი სიყვარულით იყოს სავსე”



– ჯონი ამ ტონით მსგავს თემებზე ყოველთვის სიამოვნებით საუბრობს, მაგრამ შინ, სამზარეულოში, საკუთარი ხელით დაწურული ღვინით შემთვრალს, კიდევ უფრო ეხსნება მსჯელობის მადა:

“ადამიანისთვის ძალიან ბუნებრივი მდგომარეობაა, რომ ჰქონდეს ჩარჩო. თუ ამ ჩარჩოს ბოლომდე არღვევ, ისნება და ჩნდება “მე”. და ამ დროს ადამიანი ფიქრობს, რომ “მე ვარ ყველაზე დიდი”. როცა ეს “მე” დიდია, სულიერებისა და ღმერთისთვის ცოტა ადგილი რჩება. მე კი ეს არ მომწონს. მირჩევნია ჩარჩოში ვიმუშაო და ჩემზე უფრო დიდის, თუნდაც დიდი ტრადიციის ნაწილი ვიყო.” ჯონისთვის ეს ტრადიცია, რომლის ნაწილადაც თავის თავს მოიაზრებს – ქართულია.

...

ჩვენ მოვდივართ, ჯონი თავის ქალაქში რჩება. თუ სიღნაღმი ჩახვალთ, დღესაც ნახავთ მას, იღლიაში ამოჩრილი მოლბერტით სახელო-სნოში რომ მიდის; ხოლო თუ ცოტასაც მოიცდით, სიღნაღს მოგვიანებით ეწვევთ, ჯონი თავის სახელოსნოში მუდმივმოქმედ გალერეასაც დაგახვედრებთ. ერთ დიდ ოთახში ქართული ექსპონატების გამოფენა იქნება, მეორეში – ჯონის ნახატების. ესეც კიდევ ერთი ტურისტული ღირსშესანიშნაობა სიღნაღის რიკულებიანი აივნების, ქალაქის მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული ძველი კედლის, სტეფანწმინდის, ქვევით განოლილი ალაზნის ველის და მექსიკური “პანჩო ვილას” შემდეგ. სიურეალიზმი და ორმაგი რეალობის მუდმივი განცდა მერე ნახეთ!



ერთი შეხელვით პირპაში...

ავტორი: ქათი სალომალაშვილი
ფოტო: დავით მასაძე





„ცარცის წევ“ 30
ნელზე მეტია გადის,
ბოლოს და ბოლოს
დამთავრდება
მაგის ისტორია.
სხვა ხალხის საქმეა
შეინახონ ის, რაც
დარჩა.

ბერტოლდ ბრეხტი
„კავკასიური ცარცის წევ“
დამდგმელი რეჟისორი
რობერტ სტურუა
დამდგმელი მხატვარი
გოგი ალექსი-მესხიშვილი
რუსთაველის თეატრი

უხეშად გათლილი ფიცრებით შემოლობილი და და-
ძონძილ-დაკემსილი ჯვალოს ფარდებით დახურული
მოედანი. სიჩუმეში ფეხაკრეფით მიმავალი უცნაური
მთხოვნელი, ხელისგულებზე თვალები რომ ახატია,
ალაყაფის კარიდან ურდულს აძრობს და... გია ყან-
ჩელის მუსიკასთან ერთად, სცენაზე მოხეტიალე კო-
მედიანტების ჭრელი გუნდი შემოიჭრება. ზოგიერთი
ნიღბებშია ბერიკებივით, ზოგიც თეთრად შეთხუპნუ-
ლი სახით ან უგრიძოდ, ბუნებრივად. დიდგვაროვნები
და გლეხები, ჯარისკაცები და მათხოვრები, ძლიერები
და სუსტები, კეთილები და ავაზაკები. მოკლედ, ყვე-
ლა, ვინც შეიძლება ერთმა ქვეყანამ, ერთმა ქალაქშა,
ბაზრის ერთმა მოედანმა დაიტიოს. ის აცვიათ, რაც
გააჩნიათ, იმას ამბობენ, რაც იციან. „კავკასიურის“
ბალაგანი (იყიდეთ რამე!), ტროასეული (ცხენის ბუ-
ტაფორით...) ანდა, ნატიფი სამყარო, სადაც მართლა
დომინანტურია დეკორაცია, კოსტიუმები, ნილები,
ატრიბუტებია – ფერადოვანი „ქალი-გველი“. ან „ჰა-
მლეტის“ ლიანდაგები და ჯარისკაცული, უხეში ბა-

თინკები („სატირიკონში“, კონსტანტინ რაიკინის შეს-
რულებით), ანდა, „ვენეციელი ვაჭრის“ ცივი, მეცრი,
კომპიუტერიზებული გარემო, რომელიც საკუთარ
თავს ანგრევს („ეტ სეტერას“ თეატრი იყო ჩამოსული,
კალიაგინი თამაშობდა შეილოკეს); ანდა „დონ ჟუანი“
და „ჩემი პატარა ქალაქი“, მიშა თუმანიშვილის სივრ-
ცეში. ოცჯერ მაინც მექნება ნანახი. რა ვიცი, რატომ
ვნახე. თუ გულწრფელად ენდობი, კარგი სპექტაკლი
ისე მიგირავს, როგორც მაგნიტი – რეინას.

თუკი თეატრი არ გიყვართ, სპექტაკლებზეც მხო-
ლოდ პრესტიულობისთვის ან საერთოდ არ და-
დიხართ, თუ არასოდეს გიგრძვნიათ იმ გარდამავა-
ლი წამებისა და წუთების მისტიურობა, რომელშიც
სცენოგრაფია მანამ გაქცევს, სანამ მსახიობები სცე-
ნაზე გამოვლენ, მაშინ ვერც ის კაცი დაგაინტერე-
სებთ, რომელსაც ახლა უნდა შეგხვდეთ. ვისაც თეა-
ტრის მიზიდულობა საკუთარ “ტყავზე” გამოუცდია,
ის წამომყვეს თეატრის მხატვართან, გოგი ალექსი-
მესხიშვილთან.



**“მე საერთოდ
გულგრილად მუშაობა
არ შემიძლია,
ყოველთვის მსურს,
სპექტაკლში ჩავაჭიროვთ
ის, რაც მიყვარს და
ისიც, სხვათა შორის,
რაც არ მიყვარს.”**



(არ უყვარს სიტყვა სცენოგრაფი. კინოში რა, კინო-
გრაფი არსებობს? – ამბობს).

გენერალოგიური შტოს შესახებ – მესხიშვილი უდევ-
ლესა გვარია, მათი წინაპრები ამილახვრები ყოფილან,
შემდეგ მესხეთიდან გადმოსახლებულან და მესხიშვი-
ლებად ჩაწერილან. სამეფო კარზე დიდად დაწინაურე-
ბულ გვარში ბევრი სასულიერი პირი, კალიგრაფი და
პოეტი გახლდათ. გამოჩენილი მწიგნობარი დავით რე-
ქტორიც მესხიშვილი იყო. ანჩისხატი და ძველი შუამთა
მესხიშვილების საგვარეულო ეკლესიებია. “პაპისპა-
პას, ალექსის, ერთ-ერთი შემოსევის დროს ანჩისხატი
გადაურჩენია და ჯილდოდ უთხოვია – ჩემი სახელი
დაუმატეთ გვარსო. მას შემდეგ, ალექსი-მესხიშვილე-
ბად გვიხსეიბენ. პაპაჩემი უორდანიას მთავრობის
იუსტიციის მინისტრი იყო, რომელმაც პირველი რეს-
პუბლიკის კონსტიტუცია შემუშავა. იმდენად ძლიერი
ვექილი იყო, რომ არცერთი სისხლის სამართლის საქმე
არ წაუგია, მათ შორის იყო სტოლერმანის გახმაურე-
ბული საქმეც. ბაბუაჩემის მამა იყო ცნობილი მსახიო-
ბი ლადო მესხიშვილი, რომლის სახელსაც ქუთაისის

თეატრი ატარებს. მამაჩემი ლადო ალექსი-მესხიშვი-
ლი არქიტექტორი იყო, დედაც არქიტექტორია. ჩემი
ძმა ბერლინში ცხოვრისა, ბავშვთა კარდიოქირურგია.
ერთი და გერმანიაშია, მეორე აქ არის (ლადო მესხიშ-
ვილმა მეორე ოჯახი შექმნა ლანა ღოლობერიძესთან).
მეუღლე მაკა მიქაელ პროფესიით ჟურნალისტია, ჩემი
შვილი ქეთუთა ამერიკაში ჟურნალს რედაქტორობდა,
ახლა შვეიცარიაშია. სულ ეს არის.

– როგორ უცბად ჩამთავრეთ, სიტყვაძუნიც ამას
ჰქონდა.

– მეტი რა გითხრათ, ბევრი რამ ვისწავლე ბებია-ბა-
ბუასგან. საერთოდ, ოჯახს ძალიან დიდი მნიშვნელობა
აქვს.”

იმ წელს, ომი რომ დაიწყო, ლადო ალექსი-მესხიშ-
ვილისა და თინათინ ფანიაშვილის ოჯახში ტყუპები
დაიბადნენ, გოგი და ლადო. სკოლის ასაკამდე დუშე-
თის პოსპიტალში მივლინდულ ექიმ-გინეკოლოგთან,
ბებია ქეთევანთან იზრდებოდნენ, ამიტომაც დღემდე
უყვარს მთა, ბუნება და ხეტიალი. ბავშვობიდან ხატა-
ვდა, მამამ სერგო ქობულაძესთანაც კი მიიყვანა და



კარლო გოგი “ქალი-გველი”
დამდგმელი რეჟისორი:
რობერტ სტურუა
დამდგმელი მხატვარი: გოგი
ალექსი-მესხიშვილი
რუსთაველის თეატრი

1998 ნელს გოგი
მესხიშვილმა მიიღო
პრემია – “წლის საუკეთესო
სცენოგრაფიისათვის”
სპექტაკლში “ქალი-გველი”.



მისი ნახატები აჩვენა. სამხატვრო აკადემიაში მოსახუედრად სამი წელი დასჭირდა, დიდი ნაცნობობა და ჩაწყობები იყო — ამბობს. დავივჯორ, არავინ “იცნობდა” მამამისს, რომელიც საქართველოს ჩემპიონი იყო კრიკეთისა და სლალომში, მისი პროექტებით კა სპორტის სასახლე, ბიჭვინთის სასტუმრო კომპლექსი, ჭადრაკის სასახლე და მეტრო “თავისუფლების მოედანია” აშენებული. ეტყობა, მესხიშვილების ოჯახი თავად ამბობდა ასეთ ნაცნობობით “სიკეთებზე” უარს.

მოკლედ, აკადემიაში სწავლას 8 წელი მოანდომა, ერთხელ კურსზეც დარჩა. სცენოგრაფია მხოლოდ ნახევარი წელი ისწავლა, რადგან სწავლების სისტემა არ მოეწონა და ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა.

წარმოიდგინეთ, 60-იანი წლებია, რკინის ფარდითაა ჩარაზული სსრკ, რომლის მიღმა ცხოვრობენ, მოძრაობენ, ბედნიერების უფლებას ბოლომდე იყენებენ, აქეთ კა თავისუფლების მოვარულები ჩვენად, რადიატორებზე მიმაგრებულ ტრანზისტორებში უსმერწენ “ამერიკის ხმას”, რენტგენის ქაღალდზე კონსპირაციულად იწერენ ჯაზს. რაღაც უცხო, შორეული შემოდის დახშულ სამყაროში.

“ჯაზს ვაგროვებდით. საფრანგეთიდან ნათესავი გვიგზავნიდა უურნალებს, რის გამოც კანალამ კებ-მ დაგვიჭირა. მაგ საქმეში აღიკა რონდელიც იყო ჩართული. რობიკო სტურუა ხშირად მოდიოდა ჩვენთან

ჯაზის მოსასმენად. იმ პერიოდში საბავშვო თეატრის სპექტაკლისთვის გავაკეთე დეკორაცია. მერე ჩემი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა და რობიკომაც დამპატიუ თეატრში. ეს იყო 1969 წელს. პირველი სპექტაკლი, რომელიც რობიკოსთან ერთად გავაკეთე, “სეჩუანი კეთილი ადამიანი” იყო. ასე წავიდა და წავიდა, მიშა თუმანიშვილთან, თემურ ჩხეიძესთან, ოპერაში, უცხოებში... რომ დაითვალო, 200-ზე მეტი დრამატული და საოპერო სპექტაკლი მაქვს გაფორმებული.”

საქართველოს გარდა, გოგი მესხიშვილმა არაერთი სპექტაკლი გააფორმა მოსკოვის, პეტერბურგის, ვენეციის, ლონდონის, პარიზის, ბოლონიის, მიუნხენის, თელ-ავივის, ბუენოს აირესის, ვაშინგტონის თეატრებსა და ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში. პერსონალური გამოფენებით მოიარა მოსკოვი, მიუნხენი, ვენა, ბერლინი, სანტიაგო და ვენეცია.

— საქართველო და ამერიკა — ორი სივრცე საქმიანობის, ცხოვრების, ურთიერთობების. როგორია ამ ორ სამყაროს შორის მოქცეული კაცის ცხოვრება.

— ჯერ ვთქვათ, რომ ორი სხვადასხვა სისტემაა. საქართველო ჩემი სამშობლოა და მშობლიურ სიტუაციაში უფრო ადვილია ცხოვრებაც და საქმიანობაც. ამერიკაში დორტმუნდის უძველესი კოლეჯის პრო-





ფესორი ვარ, თეატრალური განყოფილების სტუდენტებს სცენოგრაფიას ვაწავლი. იქ სულ განრიგში ხარ, რადგან ყველაფერი გათვლილია – დროც და რეჟისორი. საქართველოდან წასულისთვის ამ სისტემაში გადასვლა თითქოს რთულია, მაგრამ ჩემთვის ასე არ აღმოჩნდა, რადგან დისციპლინას მიჩვეული ვარ. განსხვავება ამ ორ სამყაროს შორის ისაა, რომ იქ უფრო მეტი შესაძლებლობებია, მსოფლიო გახსნილია, დოდი ინფორმაციაა. სხვა მხრივ, განსხვავებას ვერ ვხედავ, რადგან თუ ადამიანი ნიჭიერია და პროფესიონალი, იმის რეალიზება ბევრად ადვილია. ამერიკაში იმ დროს წავედი, როცა აქ გახურებული ომი იყო. „მხედრიონთანაც“ პატარა უსიამოვნებები მქონდა. იმ პერიოდში ჩემი მეგობარი ამერიკელი ქალი იყო ჩამოსული, მან ერთი წლით დაგვპატიუა შტატებში. მშვენიერ პირობებში ვიყავით, შვილიც იქ შევიყავნე სკოლაში, მალე სამუშაო გამომიჩნდა და ასე დავრჩით ამერიკაში. იქ სწავლის ისეთი სისტემაა, რომ თუ შემოდგომაშე რაიმე სამუშაო არ მაქსის, აქეთ მოვდივარ.

– გამოდის, რომ იქ რეალიზებისთვის მიღიხართ, აქ კი სულის მოსათქმელად ჩამოდიხართ.

– საკმარისად რეალიზებული ვარ აქაც და იქაც. რაიმე თუ განმეორდა, თორემ უფრო მაღალი დონეები არ არსებობს.

– მეჩვენება, რომ ნივთების მიმართ რაღაც გამორჩეული დამოკიდებულება გაქვთ, თქვენს საშობაო გამოფენაზეც იგრძნობოდა, რომ ნივთებს ის შთაბეჭდილება მოაქვთ, რაც მანამდე, თუნდაც ბავშვობისას დაგიგროვდათ.

– მხატვარი თუ ხარ, ყველაფერს აკვირდები, მერე შიგნით ფილტრაცია ხდება, თუმცა ეს არ არის შეგნებული. როცა გამოფენას ან სპექტაკლს აკეთებ, შინაგანი მარაგი გეხმარება. ვაგროვებ ნივთებს, სათამაშოებს, წიგნებს, მაგრამ ეს ყველაფერი რაღაც მომენტში შეიძლება საერთოდ არ გამოიყენო, შეიძლება უცებ ამოტივტივდეს მეხსიერებაში და თავი გაგახსენოს. ნაჭრების მიმართაც ასე ვარ. ქართული კოსტიუმი, ფრესკები, ათასი რაღაცაა, რომელიც რაღაც პირვანდელ, ბავშვობის შთაბეჭდილებებს უკავშირდება. ერთხელ, სოლიკ ვირსალაძემ, რომელიც მამას მეგობარი იყო, „ოტელოს“ პრემიერაზე დაგვპატიუა, დღემდე მახსოვს ის შთაბეჭდილება, ვახტანგ ჭაბუკიანის თამაში და სოლიკოს სცენოგრაფია. ისიც კარგად მახსოვს, რა დამემართა, პირველად ყინწვისის ანგელოზის ფრესკა რომ ვნახე, ან სვანეთში რომ დავდიოდით მე და იურა გეგეშიძე. გოგი ოჩიაურს დავყავდით ფშავში, იქ სახლი პქონდა, თენგიზ მირზაშვილთან დავდიოდით სოფელში. ეს ყველაფერი შინაგანად გროვდება, მაგრამ ამის ანალიზს არ აკეთებ, რადგან

“გული მწყდება,
“ქალი გველი”
მიმდინარე
რეპერტუარიდან
რომ ამოიღეს,
თუმცა რობიკო
შემპირდა,
ალვადგენო.”

ისტორია

გოგი მესხიშვილის ნამუშევრების შეფასებისას
ხშირად ამბობენ, რომ ის თეატრში ფერწერას ქმნის,
ფერწერაში კი თეატრს.



მთლიად ანალიტიკური თუა მხატვარი, შორს ვერ წავა. მარტო ნივთები კი არა, ყველაფერი ზემოქმედებს შენზე – პედაგოგები, პიროვნებები, ხალხი.

– ყოველთვის ისეთი რანგის პროფესიონალებთან თანამშრომლობდით, ვისთან ერთადაც წარმატება, ფაქტობრივად, გარანტირებული იყო.

– ეგრე არ არის. ზოგჯერ მუშაობ, თითქოს ყველაფერი კარგად მიღის, მაგრამ საბოლოოდ სპექტაკლი ისეთი არ გამოდის, როგორიც გინდოდა. მე ბედმა გამიღიმა, რადგან ძალიან დიდ ხალხთან მომიწია მუშაობა.

– ვთქვათ, მოვიდა დამწყები რეჟისორი და თანამშრომლობა შემოგთავაზათ, დათანხმდებით?

– თუ საინტერესოა, რატომაც არა? უნდა დაელაპარაკო. არ ვიცი, სწავლების დონე დღეს როგორია. მიშა თუმანიშვილს იმხელა ლვანლი აქვს მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდაში, დღემდე დაუფასებელია. ასეთი რამ არავის გაუკეთებია.

– თავად როგორი პრინციპით მუშაობთ რეჟისორთან?

– მაგალითად, თემურ ჩხეიძე მეუბნება, მგონი, ეს პიესა საინტერესოა და წაიკითხეო. რობიკო უფრო რადიკალურად ექცევა პიესებს, ვიდრე თემური. ერთიორი შტრიხით მომიხაზავს ესკიზს და ვხვდები, რა სჭირდება – დიდი სივრცე.

– კონკრეტულად რას ითხოვს?

– არაფერსაც არ ითხოვს. რაღაცას მოვახლაფორ-

თებ, მოვა, შეხედავს, ორო – იტყვის, წავა, მერე დაგირეკავს... მოკლედ, ისეთი აქტიური ზენტრა არ აქვს. საერთოდ, აქტიურად რომ აწვება რეჟისორი მხატვარს, შედეგი ყოველთვის ცუდია. ამდენი ხანი რომ ვიცნობთ ერთმანეთს, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

– როგორც მახსოვს, სტურუამ “რიჩარდ III”-ის თქვენეული სცენოგრაფია დაინუნა და ეს სპექტაკლი მირიან შველიძეს გააფორმებინა.

– მერე რა, მირიანი ერთ-ერთი უნიჭიერესი მხატვარია, რეჟისორმა ნახა, რომ მან ზუსტად მოძებნა ის გარემო, რომელიც სჭირდებოდა, ამაში ცუდი არაფერია. შურის გრძნობა თუ უწინდება ადამიანს, ის დალუპულია, არც შეურაცხყოფილად მიგრძნია თავი. სამაგიეროდ, მე “ცარცის წრე” გავაკეთე, “ქალი-გველი”, “მეთორმეტე ლამე”. რობიკოს პლიუსია, რომ ორივე ადამიანის გამოვლენა შეძლო.

– “ცარცის წრის” იდეა როგორ მოვიდა?

– რუსი მხატვრის, გაგარინის ნახატია “თბილისური ბაზარი”. გაგარინი ადრეც მომწონდა. საქართველოში მოგზაურობდა და ფართასტიკური ალბომები აქვს შექმნილი. მასალის ძებნისას, ამ ნახატს წავანყდი და რობიკოს ვუთხარი, იქნებ ეს ყველაფერი ბაზარზე გათამაშდეს, სადაც ათასაზირი ხალხი ირევა, ერთმანეთშია აღრეული სხვადასხვა დრო და ეპოქები.

– შესაძლებელია თუ არა მხატვრის სცენოგრაფიულ-მა გადაწყვეტამ რეჟისორის ჩანაფიქრი შეცვალოს?





1989 Եղելս
Տերցո Շարաջանոցուն
Շոլմիս, “ԱՌՍՈՒ
ԿԱՐՈՒՅՈՒՆ” մեծաբարձրուն
գայութեամբունատունուն
շոգո մշտեամբունատունուն
մոռուն պարագանա
“ՇԵԼՈՎԵՏ”, Ռոմելսաց
ըշրութուն “ՌԵԿԱՐՏ”
ՄԱԿԱՐԱՆՈՒՆ



- Դա ՌԵՋՈՍՈՐՈ ամաժու տապասու յոնց բազուկուն գաճաճութաս եքազաս, մաժուն կո, դա արա դա ցունենքա - մոռուն, այս կո արա, իսյ ցպագոտ, յև պատրապերու շրտուրտիւտանեմեքա. ՌԵՋՈՍՈՐՈ դա մեծաբարու տաճա-ազգորեքու արուան, օմքունսու մոռուն ՌԵՋՈՍՈՐՈՍացան, շեն շնդա ՇԵՌՆԿՈ եղլու մուս եղլեներաս. այ ՌՈԲՈՎՈ դա ուշամուրու, չպետքետմու կուգա ծեպրու դուդու ՌԵՋՈՍՈՐՈ, զուս-տաճաճ զմուխանք, պայլունունք, ար գայերդնեն, տապասու եղլեներաժու րաճաճ սուածլու Շեմիւնոն. պաշտամունքուն զուտալունինք միմաս, ՌՈՄ տաճամելքրուզոնքուն և սյուլու ար գայուարցու. հալուան մնամենելուզանու մատու օնքուլուքիւնուն գոնք, զուստաճաճ զմուխանք. մայքուս կապարա գուտիւնքուն, ՌՈՄԼԵՔՍԱՃ Շեզուցանքունք եղլու րեջուսորունքուն; ՌՈԲՈՎՈՍԱ դա ուշամուրու ար զալունուսիմոնք, րա տյմա շնդա.

- ՀԱ ՑԵՍՑԵՔՈՒԱ ԱՏԵՏՈ?

- ՌՈՄԵԼՈՒՄԵ մեծաբարուն սաելս զայելս ենեք, ան նոյնուն, ան սեցա րամեյս դա ույ արացուտարու ՌԵՋՈՒՈԱ ար այքս, զենքեքու, ՌՈՄ րաճաճ իսյ զեր արուս; անճա ույ ՌԵՋՈՍՈՐՈ մոռուն մոտածոնուտ, մյ ատետու գեյուրապու մոնճա դա արա իսյուտ, մատաճ մշտանք ՇԵՌՆԿՈ եղլուն. համոյալունք հարիունս զեր զուտաճ.

- ՏՈՒԹՈՒՆՈՒ ՄԱՏԱԿՈՒՆՔՈՒԱ ԱՌՈՐՈՎՆԵՔՈՒԱ ԾԱ ՈՒՉՎԱԼՈՒՆԻՆԵՔՈՒԱ ԿՈՎԱՑՈՒՄԵՈՒԱ ՇԵՋՄԵՆՈՍԱՍ?

- Եց այցուլուքելուն, եմուրաճ մատակունքուն սանելքրյուսուն նոնաճագեքուտ մոռուան. րամաճ հետուզաճ, մացալունաճ, սանամ կովացումս ար մոռուցքս, ար մոռուզենքուն. անճակին մշտանքուսաս, սյուլ ամենաճա, րաճաճ մակլուառ.

ՌՈՂՈՐԾ կո ճաեցունու վագու մոռուրցու, ՌՈՂԾԻ հայաճա. մատակունքուն շնդա մուսպա տագուսուցունեքա, սեզանաօրաճ ար գամուցա. կո ար շնդա օճախու - արա, ՌՈՂՈՐԾ գայեա-իւ, իսյ շնդա ույուս, արամեճ գայուտալունինու մատու մոտեանենքու, րագան ույ մատակունքուն պարուցեսօնալուա, ուս պաշտամունքու սաճաճ անժրունեքա. Ցողջէր պաբարա գուտիւնք ՇԵՎԵՔԻ պատրապերուն.

- ՄԵՍԻՇՈՎՈՒՆՈՒ ՆԱՄԱՇԵՎՐՈՒՆՔՈՒԱ ՇԵՋԱՍԵՔՈՒԱՍԱ, ՊԱՎԱՆԻ ԵՇՈՒՆՃ մոմունեյնու ՇՐԱՆԻ գայեանքուն գայունքուն ՇԵՍԱՃԵՔ.

- ՌԱ ԱՌ շնդա գայուտուս ույաբրուս մեծաբարմա, մուսու ցամունեքա մանճու ցամուսելուքուն եղլմիւ. արուս ՇԵՄՈՒԵՎԵՎԱ, ՌՈՒՎԱ ՇԵԳՄՈՒՆԲՆ գայուտապուա ցասայու-տեքելու. տյզեն նամունուգունետ, ամասաճ ցամունեքա սիկունքուն. ցամունեքուս սենայլա ՇԵՌՆԿՈ եղլուն. արու ուս մցոնու, ցամունեքա պալունքունքուն. վայույրուն, յև մունացանու, ցենցույրուն տացուսեքա. արուս եալիս, զոնճ ակսունութուրաճ ցայնատլեցելուա, մացրամ ծրնցունցալու ցամունեքա այքս դա պորույտու, հալուան ցանատլեցելուա, մացրամ սամունցուն ցամունեքուս մյունեն. ՇԵՌՆԿՈ եղլուն մալուան մունճումու դա ասենայլու, մացրամ ույ պաշտամունքուն, ուս մանճու տագուսաս “ցարուպամիս”. ույաբրուս ցամունեքա մտացարու, ույմուս տագուտմունան ար արուս, ցայուտու լամաճու սպեյքուլու. մտացարու ցամուստուրու մոմենքունքուն ար ցեռնքուս - ա, մյ դա գանարիենո ար մանճուրեյսեքս. պաշտամունքուն շնդա ցայուտուս ունճա ցայուտուս ուս, րա պաշտամունքուն մոմենքունքուն սիկունքուն ՌԵՋՈՍՈՐՈՍԱ դա մատակունքուն.





“მეცინება, როცა ამბობენ, შექსპირი
ტრადიციულად უნდა დადგაო.
ტრადიციულად როგორ, როგორც
ეცვათ შექსპირის დროს?!”



უილიამ შექსპირი

“როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ლამე”
დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა
დამდგმელი მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი
რუსთაველის თეატრი



– “ქალი-გველი” რომ გავიხსენოთ, ასეთი სანახაობითი სპექტაკლი, სცენოგრაფიის მხრივ, უიშვიათესია. ისტორიულ მასალაზე როგორ მუშაობთ, ეპოქის, ეთნოგრაფიული დეტალების სულს მიჰყვებით, ინტუიციურად აგებთ თუ საკუთარ გემოვნებას ენდობით?

– “ქალი-გველი” ფანტასტიკური სპექტაკლია იმ მხრივ, რომ ყველაფერი ხდება – ცეცხლია, მითები ურჩხულებზე, შუასაუკუნეების ადამიანების ცხოვრება. ამიტომაც მინდოდა, იქ ყოფილიყო აბსოლუტური თავისუფლება, კანონების გარეშე; ყოფილიყო აღმოსავლეურ-დასავლეურის შერწყმა, რადგან ვენეცია თუ იცი და კარლო გოცი, მიხვდები, რომ ეს ქალაქი გზაჯვარედინი იყო, სადაც აღმოსავლეთის და ქრისტიანული აღმორინების კულტურის დიდი შერწყმა მოხდა. საწყინია, რომ “ქალი-გველი” რეპერტუარიდან ამოიღეს.

– დადგება დრო, როცა თეატრში ალარ იქნებით. რას გააკეთებთ, გარდა იმისა, რომ დახატავთ?

– რა ვიცი, თუ არ იქნება, არ იქნება, ათასი რალაც მაქვს დაგეგმილი, თუ მოვასწრებ, გავაკეთებ.

– თეატრის ბუნებიდან გამომდინარე, ინტრიგები თუ შეგხებიათ. გულწრფელი იყავით რა, ნუ ჩაიკეტებით.

– არანაირ ინტრიგასთან არ მქონია შეხება. ინტრი-გები თეატრში ყოველთვის გარედან იყო, მაშინაც,


როცა მიშა თუმანიშვილის მოშორება უნდოდათ და ახლაც, როცა რობიკოს მოშორება უნდათ. სამარცხინოა დღევანდელი ინტრიგები რუსთაველის თეატრის მიმართ, რადგან ხალხი, რომელსაც არაფერი გაუკეთებია, ებრძვის მას, ვინც ქართულ თეატრს სახელი მოუტანა. ასე იყო სანდორ ახმეტელის დროიდან მოყოლებული. პირადად მე რა ინტრიგები უნდა მქონოდა, სპექტაკლს არ მომცემდნენ? გამაგდებდნენ? ეგეთი მომენტი არ მქონია. როცა საქმეს აკეთებ, ინტრიგისთვის დრო აღარ რჩება.

– სადლაც წავიკითხე დედათქვენის შეფასება: “გოგი ერთი შეხედვითა პირქუში, თორემ ისე თბილი და გულისხმიერია”. გარედან მართლაც უკარება აღამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

– მართლა? “უკარება” რას ნიშნავს, ვინ უნდა მივიკარო? ვინც არ მიყვარს, არ ვიკარებ და ვინც მიყვარს, ვიკარებ. ახალგაზრდებს ვესმარები და ვასნავლი, რაც შემიძლია. არის ხალხი, ვისთანაც არ მინდა ურთიერთობა, ვინრო წრე მყავს. მერეც, სატრაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ სულ დაკავებული ვარ, მყავს რამდენიმე მეგობარი, რომლებზეც ვგიუდები.

– ვიცი, რომ სერგო ფარაჯანოვთან გამორჩეული მეგობობა გაკავშირებდათ.

– უჰ, ფარაჯანოვს ჯერ კიდევ როდიდან ვიცნობ-



*“კლასიკურიც კი
თანამედროვეობის სული
უნდა შეინარჩუნო.”*



დი, არ მახსოვს. კიევში რომ პქონდა გადაღებები, მის ფილმს “აშენ ყარიბს” ვაფორმებდი და იქ უფრო და-ვახლოვდით. თბილისში რომ დაპრუნდა, ჩვენს გვერ-დით ცხოვრობდა, ხან ვაჭმევდით, ხან ვასმევდით, ხან ქურთუქს უკერავდა ჩემი სიდედრი, ხშირად თა-ვისი სტუმრებიც მოჰყავდა ხოლმე. ვინც არ იცობ-და, მისთვის ქალაქის გიური იყო და ვინც იცობდა, დიდი რეჟისორი და პიროვნება. ეგეც წაშალეს, არც სახლი დაუტოვეს და არც არაფერი. არადა, ფარავა-ნოვი უნიკალური პიროვნება იყო კინოსა და ქალაქის ისტორიაში. ასეთი თავისუფალი აზროვნების ადამია-ნი იშვიათად მინახავს, ბრწყინვალედ იცოდა ქალა-ქი. კინტოც იყო, ვაჭარიც, ხან ყიდდა, ხან ფილმებს იღებდა, გენიალურად ჰყვებოდა ამბებს. თუ გინდა ბა-ჟბეუქ-მელიქოვი გავიხსენოთ, დიდებული მხატვარი, მისი სახლიც დაანგრიეს. ფარავანოვს და ბაჟბეუქს კათალიკომა ვაზგენმა ერევანში გადასულა შესთავა-ზა, მაგრამ არცერთი არ წავიდა, სულით და ხორცით აქაურები იყვნენ და იმიტომ. სულ რამდენიმე კაცი შემხვდა ცხოვრებაში, ასეთი ფანტასტიკური პიროვ-ნებები. ერთ-ერთი როსტროპოვიჩია. მასთან ერთად მე და რობიკომ სამარაში “ივანე მრისხანე” გავაკე-თეთ, ორი თვე ვიყავით ერთად. გარდა იმისა, რომ გენიალური მუსიკოსი და პიროვნებაა, არაჩვეულე-

ბრივად ჰყვება თავისი ცხოვრების ისტორიას. ყოველ საღამოს რესტორანში დავდიოდით, დალევა უყვარდა და მოსტაკაკოვიჩე, პროკოფიევიჩე, დიდ მუსიკოსებზე ყვებოდა, უდიდესი იუმორით გადმოსცემდა ამბებს, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. დიდ ხე-ლოვნებას ეროვნება და საზღვარი რომ ჰქონდეს, თბი-ლისიდან ვერსად გავალთ. როცა ხელოვნება მაღალ დონეზე ადის, ის საყოველთაოა და კონკრეტულ ერს აღარ ეკუთვნის. თუნდაც მუსიკა ავილოთ – უმაღლე-სი დონე ხელოვნებისა. ის ფაქტობრივად ხელშეუხე-ბელია, მარადიულია, რესტავრაცია არ სჭირდება, არ დაიხევა, საუკუნიდან საუკუნეში გადადის. ჩვენი ძევე-ლი საგალობლები დღემდე არსებობს. ამიტომაცაა ჩე-მოვის საინტერესო მუსიკალურ თეატრსა და ოპერაში მუშაობა. მუსიკა ისეთი ფენომენია, პატარა შეცდომას არ გაპატიებს, თეატრში ხარვეზი დაიმაღება, მუსიკა-ში – არა.

– როცა დეკორაცია და კოსტიუმები სამუზეუმო ექს-პონატი ხდება და თეატრის გარდერობში ინაცვლებს, ნლების შემდეგ, მათთან შეხებისას რაიმე განცდა თუ გაქვთ?

– ზოგჯერ გენანება, რომ ის სპექტაკლები აღარ გა-დის. “ცარცის წრე” 30 წელია რეპერტუარშია. ბოლოს და ბოლოს, მისი ისტორიაც დამთავრდება, ასეთია თეა-

რობერტ სტურუა ასე იტყვის გოგი მესხიშვილზე:

“შე მომწონს თეატრის მისეული – ოპტიმისტური, ამაღლებული, ფერადოვანი აღქმა, მისი ფანტასტიკური თეატრალობა, მუსიკალური, საბალეტო ფერწერულობა.

მისი უნარი – ორგანულად და ჰარმონიულად დაუკავშიროს ერთმანეთს თითქოსდა შეუთავსებელი, მოგვანდოს ეპოქის ფაქტი და ირონიული სტილიზება, იაზროვნოს და შეიგრძნოს საკუთარი შემოქმედება ზოგადკულტურულ კონცერტში, ერთ ნამუშევარში მიაღწიოს კონკრეტულის საერთოსთან, ეროვნულის ზოგადსაკაცობრიოსთან, მარადიულის ისტორიულთან შეჯერება-შეპირისპირებას.”



ტრის ბუნება. ახლახანს “ურიელ აკოსტა” აღადგინეს, არ წავალ და არ ვნახავ, რადგან ვთვლი, რომ ამ სპექტაკლმა თავისი საქმე გააკეთა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გაქრა და დარჩა ლეგნდად.

— ხშირად გამიგია, რომ ქართველი მაყურებელი განსაკუთრებულია და ჩვენი თანამემამულები, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოდიან, აქაური მაყურებლის გამორჩეულობის წინაშე თურმე ცახცახებენ. ასეთი შეფასება სიყალე მგონია.

— გერმანიაში გამიფორმებია სპექტაკლები და მინახავს გერმანელი მაყურებელი, რომელიც პიესით ხელში იჯდა პარტერში, იტალიაში სპექტაკლის დროს პარტიტურას მიჰყებიან და ამოწმებენ. ჩვენთან იყო კარგი მაყურებელი და ახლაც შემორჩინა, მაგრამ მასიურად გაუნათლებელი მაყურებელი გვყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, იმიტომ, რომ ჩვენს მდარე ტელევიზიაზე იზრდებიან. ეს ტელეარხები კი მხოლოდ აბრუებენ მაყურებელს და სისულელეებს აჭმევენ. ჩვენთან არაა ერთი არხი მაინც, რომელიც მაყურებელს ნამდვილ ხელოვნებას მიაწვდის... ცუდი გემოვნების გამომუშავება კი ძალიან ადვილია მასკულტურის მეშვეობით. მასკულტურამ ყველაფერი წალეკა, ახალგაზრდას შედარების საშუალება არ აქვა, აშკარად წიჭირი თაობა მოდის, მაგრამ დამკვიდრების ნაკლები შანსი აქვთ. აქ მწირი სამყაროა. გაუნათლებელ ერზე ადვილი დასაჩავრი კი არაფერია.

— თაობების წყვეტა არ გაშინებთ?

— არ მომწონს ის, რომ უფროსები აღარ უნდათ. ამასწინათ ახლობელი შემხვდა, თავისი საქმის პროფესიონალი და მითხვა, სახლში ჯდომამ გამაგიუაო. არასწორია თაობათა შორის ჯაჭვის გაწყვეტა. მართალია, ნაკადი ხან განიერია, ხან ვიწრო, მაგრამ კალაპოტს უნდა ჰქონდეს დატვირთვა იმისთვის, რომ ახალგაზრდებს დაეხმაროს. წიჭირს უნდა დახმარება, თორემ უნიჭი ისედაც იპოვის გზას.

— მოდით, გამოვიდეთ თეატრიდან.

— ძალიან მინდოდა მთაში წასვლა, მაგრამ დრო არ მქონდა. როცა დრო მაქეს, ბუნებაში ხეტიალი მიყვარს.

— სუფრები?

— რა ჯობია კარგ სუფრას, მეგობრებთან ერთად.

— პრატიკული თუ ხართ?

— რა ვიცი, კარგი ღვინისა არჩევა ვიცი. მეღვინე მეგობრები მყავს და ცუდი ღვინო არასოდეს მომაქეს სახლში.

— შვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ძირითადად მეგობრული, თუმცა მასაც აქვს თავისი საიდუმლოებები.

— მარტობა გჭირდებათ თუ გიყვართ?

— როცა ვმუშაობ, კი, მაგრამ თუ მეგობრები მოვლენ, კარს აუცილებლად გავუღებ. საერთოდ, სოციალური ტიპი არ ვარ, არც არანაირი პარტიის წევრი, დეპუტატი და აქტივისტი ვყოფილვარ. უფრო



თბილისში, საშობაო არდადეგებზე ჩამოსულმა, თემურ ჩხეიძესთან იმუშავა ოპერის თეატრში და ლეონკავალოს “ჯამბაზები” გააფორმა. გენერალური რეპეტიციის შემდეგ სცენაზე გადაღება ვთხოვეთ. მარტო ყოფნას ჯამბაზების კამპანია არჩია.

შინაგანად ვარ კონცენტრირებული. თუ ყველაფერს მიედ-მოედები, ვერაფერს გააკეთებ.

– ოჯახურ ბიუჯეტის ვინ გეგმავს?

– არავითარი ბიუჯეტი არ გააქვს. ფშშ – ასე მიდის და ქრება. ხან არის, ხან არა. ახალ წელს ამერიკაში ვხვდები, მაკა აქ რჩება. ქეთუთა შვეიცარიაში მიდის მეგობართან ერთად. მოსკოვში ვაპირებდი ნასვლას, “მხატვი” სპექტაკლი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ რუსული ისტერიის გამო ალარ წავედი. უსირცხვილოდ იქცევიან, 24 საათის მანძილზე ტყუიან. რაც რუსებმა ქართველებს გაუკეთეს, არაფრითაა იმაზე ნაკლები, რაც თავის დროზე ეპრაელებს დამართეს. თავისთავს უთხრიან ძირს. აფხაზები და ოსები კი ვერ ხვდებიან, რომ რუსეთი მათ მოსპობს და გადააგვარებს.

– რელიგიასთან რა მიმართება გაქვთ?

– ეკლესიური არ ვარ, ჯვრი მიკეთია და პირჯვარს ვიწერ. იატაქს რომ თავი ვურტყა, ეგრე არ არის. ვთვლი, რომ რელიგია, თუ ფანატიკოსი არა ხარ, ადამიანს შინაგან სისუფთავეს უნარჩუნებს. ჩვენს ულამაზეს ეკლესია-მონასტრებსაც ხომ სხვანაირი, დიდი სულიერების მქონე ხალხი აშენებდა და ხატავდა.

– ლიტერატურა და კინი?

– კარგად ვიცი რუსული და უცხოური ლიტერატურა, მაგრამ ვგიუდები ვაჟა ფშაველაზე, სულ მგონია, რომ ნარმოუჩენელი და

გაუშიფრავია. მიყვარს ბარათაშვილი, გალაკტიონი. უფრო პოეზია მიყვარს. ასაკში რომ შედიხარ, სხვანაირად კითხულობ ლიტერატურასაც და სხვაგვარად გესმის ბევრი რამ. გალაკტიონი რომ ამბობს – “არის მეიოხელი კარგი წიგნების და არის კიდევ გადამეიოხელი”-ო, მე ასეთი გადაკითხვა არ შემიძლია. ფილმებიც ძველი, შავთერი მიყვარს, რაღაც გულუბრყვილო სისუფთავე რომ დაჰყვება. თანამედროვე კარგი ფილმებიც მომზონს, მაგრამ არა სპეც-ეფექტებით, ტექნიკურად გაკეთებული.

– რომელ დროში ისურვებით ცხოვრებას?

– რომელ დროშიც ვარ, თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც აღორძინების ხანა იყო ალბათ, ეგეთი გლობალისტური ავეთქება ყველა სახელოვნებო სფეროში – მუსიკაში, ლიტერატურაში, არქიტექტურასა და მხატვრობაში ალარც ყოფილა. ეგვიპტე, ჩინეთი, აცტეკები ხომ უდიდესი კულტურაა, მაგრამ რაც აღორძინების ხანის იტალიაში მოხდა, ნარმოუდენელი სიმაღლეა.

– იქნება კიდევ ასეთი აფეთქება?

– ეგ რომ ვიცოდე, ძალიან დიდ ფულს ვიშოვიდი. მსოფლიო განვითარება ხომ არაერთხაზოვანია, ცივილიზაციის წერტილების გადადგილება ხდება. იქნებ მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს.

– არ დაბერდა დედამიწა?

– არა, ჯერ ადრეა.

ԱՍՏՐԻՆԱ



რა ქალი ხარ?
რა გქვია?
რაა შენი რწმენა?

ლუსობზორები

ავტორი: ანა კორპაია-სამალაშვილი
ფოტო: ბესო უზენაძე



მადლიერებით ტანია მოსკვიტინას და ყველა სხვას,
„ვისაც სიყვარულის ღმერთი სწამს და ვისი კანონიც ჭეშმარიტების კანონია“.



არც რელიგიათმცოდნებ გახლავართ და არც დუხობორიეს ისტო-
რიის მკვლევარი. როდის გაჩნდა დედამიწაზე პირველი დუხობორე-
ცი – ვერც ამას მოგახსენებთ, და ვგონებ, ვერც ერთობ ცრუ მეც-
ნიერება – ისტორია გაგცემთ მტკიცე პასუხს. თავად დუხობორცები
ამბობენ, რომ ეს ნაცერწალი იქსო ქრისტეს დროიდან გადაეცემოდა
თაობიდან თაობას, და საერთოდ – ციტატა: “ჩვენ ეს არ ვიცით და
ეს არცაა ჩვენი საქმე. მხოლოდ ისაა ჩვენი საქმე, რომ ჩვენს სულებს
მივხედოთ”.

ამ ხალხს დუქობორები (ან დუქობორცები, როგორც გაგიხარდებათ) 1785 წელს, გაჯავრებულ გულზე, ეკატერინოსლაველმა არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ უწოდა: აქაოდა, საეკლესიო სინმინდეებს და ღმერ-თთან შეუაძმავლებს რომ არ აღიარებენ, ამით სულიერინდას ებრძევანო. მაგრამ დუქობორებს ეს სახელი ძალიან მოეწონათ და თავისებურად განმარტეს – სულიისთვის მებრძოლები, სულიის მებრძოლები.

სულის მებრძოლებს არც საკულესიო გადასახადების გადახდა
მიაჩნდათ საჭიროდ – ვაი?! შესაბამისად, მათ სასტიკი ბრძოლა გა-
მოუწეადეს. ყველაფერს არ მოვყები, სხვა თუ არაფერი, “ცხელი
შოკოლადია” და ჰორორები არ ეკადრება. მხოლოდ იმას მოგახსე-
ნებთ, რომ დუხობორების წამებით სიკვდილისთვის ვიღაც ძალიან
ჭკვიანს სვეტში ჩასმა გამოუგონებია. სულ მარტივი ამბავია: ჰკი-
თხავდნენ ადამიანს, რა კაცი ხარო, ის იტყვოდა, დუხობორიო, და
უმალვე საგანგებოდ ამ საქმისთვის აშენებულ, მაღალ სვეტში უკრა-
ვდნენ თავს. სვეტის ღრუში მსხდომი დიდხანს ცოცხლობდნენ, თუ
ძალიან არ გაუმართლებდათ და ზამთარი არ იყო, და როგორ ცოცხ-
ლობდნენ და ხავსით როგორ იფარებოდნენ... – გავაგრძელო?



1841 წელს დუხობორები ჯავახეთში ჩამოასახლეს, არა იმიტომ, რომ მათი კარგად ყოფნა უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ ყველამ იცოდა: აქ, უსასტიკეს პირობებში, ვერავინ იცოცხლებდა და ისინიც ამოწყდებოდნენ. ითვლება, რომ დუხობორები იმისთვის განირეს, რომ მათ მღვდელი დამარტეს ცოცხლად.

ესეც ბურუსით მოცული ამბავია. ლეგენდა ჰყვება, რომ ტავრის გუბერნიაში მცხოვრებლებს ბავშვი მოკვდომიათ და ვიღაც მღვდელს – ცხადია, ჩამოსულს, – აუჩემებია, გინდა თუ არა, წესი უნდა ავუგოო. დუხობორებმა, არ გვინდა, შეგვეშვიო, მაგრამ მთავრობამაც წერილი გამოგზავნა, მღვდლის გარეშე მიცვალებული არ დამარხოთ. როგორც ამ ამბის მთხობელმა ქალმა მითხრა, მოთხოვნა ასეთი იყო: მაღარიჩით უნდა დაიბადო და მაღარიჩით უნდა მოკვდე (ქალბატო-

ნი ბოგდანოვკელია და რუსულისა და ქართულის გარდა, სომხურიც ჩინებულად იცის). ჰოდა, დუხობორებსაც უთქვამთ, აბა, მთავრობას როგორ შევენინააღმდეგებითო, და მიცვალებული მღვდლის გარეშე არ დაუმარხავთ, უფრო ზუსტად – მღვდლიანად დამარხეს.

მათოვის საქართველოში მიწების ბოძებისთვის რუსეთის მთავრობას სამი ურემი ოქროს ფული გადაუხდია, და დუხობორებიც თავიანთი ახალი სამშობლოსკენ დაიძრენ. თუ რა იყო თავდაპირველად ეს მიწა, ამას საუკეთესოდ დასახლებების ძველი სახელები აღნიერს. საყვარელო თანამემამულეებო, ცოტა რუსული ხომ მაინც გახსოვთ? იყო სოფელი ტერპენიე, იყო დასახლება ხოლოდნე, არის უბანი მოგილკები, და დღევანდელ გორელოვას, სულ მარტივად, გორელოე ერქვა. დუხობორები იხოცებოდნენ, მათ



ისტორია



ნადირი ჭამდა, ავადმყოფობა კლავდა, მაგრამ გაძლეს, გაძლეს და ხოლოდნოეს უწოდეს ბოგდანოვკა: ღვთის მიერ ბოძებული მინა.

1991 წელს ბოგდანოვკა ნინოწმინდა გახდა. ნეტა, რატომ? ალბათ ჩვენი დიდი პატრიოტიზმის, ღრმა ეროვნული თვითშეგნების და ჭეშმარიტი ქრისტიანობის დასამტკიცებლად. ერთი ისაა, რომ ამ ადგილს არასოდეს რქმევია ნინოწმინდა. მას ერქვა ჯერ ხოლოდნოე და მერე ბოგდანოვკა, მანამდე – არაფერი. იქ არავინ ცხოვრობდა და სწორადაც იქცეოდა. იქ დღესაც არ შეიძლება ღამით დაბმული ძაღლის დატოვება – სოფლებში მგლები დაიარებიან და ჭამენ ხოლმე. იქ ჩვენი სტუმრობის უამს 23 გრადუსი ყონვა იყო. იქაურობა მაგადანია, თორმეტი თვე – ზამთარი, დანარჩენი – ზაფხული. იქ დუხობორები უნდა ამომწყდარიყვნენ და გადარჩნენ. და თუ ჯავახეთში ალარ იცხოვრებენ და თუ მათი დიდი გმირობის ამბავს დავივიწყებთ, ჩვენი სიცუხვილი იქნება, სხვა თუ არაფერი.

დასალივი

იმ დიღას პირველად ვიყავი ჩემი ზომა-წონით და პროფესიით ტოტალურად კმაყოფილი: სამარმრუტო ტაქსში შესანიშნავად მოვეწყე, ბესო უზნაძის ცოდვით კი ქვები ტიროდნენ – დიდია და იტანჯებოდა; თან მისი ზურგჩანთა უძველებელი იყო, ჩემი 50-იანი წლების აბანოს ჩემოდანი კი – ციდა; ის ფოტოგრაფია და უმძიმეს აღჭურვილობას მოათრევდა, მე კი რა – ერთი ბლოკნოტი და მისი ჯანი...

ნინოწმინდაში, ცხადია, ყინავდა. ბესო მთელი გზა იძახდა, თოვლი მინდაო და აპა, თოვლი, ყინული, ყინვა – ყველაფერი ის, რის გამოც ჯავახეთის ზეგანს „მეორე ციმბირი“ ჰქვია. „მე ბურიატიაში ვიყავი გათხოვილი,“ მიყვებოდა ჩვენი „მფარველი ანგელოზი“, ტანია. „და ნუ მასწავლიან, მეორე ციმბირი რომელია. ესაა ციმბირი, იქაური სიცივე რა მოსატანია...“





ბოგდანოვკიდან დუხობორების სოფლებამდე თითქოს შორი არაა – რვა კილომეტრი. ოღონდ სულ ტრამალია, დათოვლილი, ცივი, არანაირად არ მეამა მისი ფუქით გადაჭრის პერსპექტივა. გზად მელაკუდაც ვნახეთ, იმისი სულ არ მეშინა, მაგრამ მგლებიც ყოფილან, დაბინდებისას გამოდიან “საქმეზე”, და ტანიამ აგვისნა, თუ ქარბუქი დაიწყო, ჯობს სწრაფად დატოვოთ აქაურობა, თორემ შუაგზაში გაიჭედებით.

მგლებისგან თავადასაცავად სოფელ ორლოვკას შესასვლელში ოთხი ცხოვრობს, აი, ისეთები, ზდაპრებში რომ იცავენ ხოლ-მე საგანძურს: დოლაბისთვალება, რკინისეშვებიანი. მათ მოსაგერიე-

ბლად ტანიამ, არც მეტი, არც ნაკლები, ნიჩაბი მოიმარჯვა, და სულ ასეთად მემახსოვრება: პატარა, წელში ამაყად გამართული, ძალიან მამაცი და თავდადებული გოგო, ტანია მოსკვიტინა. ზუსტად ისეთი გოგო, როგორიც დუხობორეცი გოგო უნდა იყოს.

გოგოები

საოცარი ფოტოსურათი ვნახე, ვაგლახ, ცუდი ხარისხისა, ამიტომ ვერ გაჩვენებთ, მაგრამ სიტყვაზე მენდეთ: გუთანში რვა ქალია შებ-მული, მეხრეც ქალია. ეს დუხობორეცი გოგოები არიან, რომელთაც მამაკაცები აღარ ჰყავდათ.



1895 წელს, პეტრე-პავლობის დამეს, ზემოთ, გამოკვაბულებთან, სადაც ორმეტი ჭხა ხარობს და მოხუცები ჰყვებან, იქსო და მისი მონაფეები ჰყავთონ რჩეულებს ნანახი, ღუხობორცებმა იარაღი დაწვეს. მათ ომი და კაცისკვლა არ უნდოდათ და ასე გამოიქვეს თავისი ნება.

საპასუხოდ გამოქვაბულებითან დამსჯელი რაზმი ავიდა. მათ მა-
მაკაცები დახოცეს და იქაურ ქვებს დღესაც ატყვია სისხლის კუთა-
ნითელი ხავსი. შესაბამისად, კაცის საქმეც ქალებმა იტვირთეს, უფრო
სწორად, გოგოებმა.

დუხობირეცი გოგოები სულ გოგოები არიან, მათ ასაკისა არაფრ-
რი ეტყობათ. პირველივე ქალბატონს, რომელსაც ვენვიეთ, 1926 წელს
დაბადებულ ანა გონჩაროვას, ვერაფრით დააპრალებთ, მოხუცია და
მოტეხილიო. ქუჩაში შეგვხვდა, მისი სახლის წინ ყინვაში საწყლად მდ-
გომებს.

“რას მიყურებ,” შესცინა ქალმა ბესოს. “მოგეწონე?”

მე უკოთხარი, რომ ულამაზესი კაბა აცვია. მან მითხვა, ეს რამ მოგანანა - გაიპრანჭა, თორებ მშვენიორად მოქსენებოდა, რომ ულამაზესი იყო. მოიცა, ჯერ საზეიმოები ჩავიცვაო, და გაგვიძლვა სახლისკენ, რომლის კარზეც ბოქლომი ეკიდა.

ბოქლომიცაა და ბოქლომიც. გორელოვკასა და ორლოვკაში ქურ-დი არ ცხოვრობს და ბოქლომიც შესაბამისი აქვთ: ფერადი ქსოვილის ყულფი. გადასარევი თუ გინდა...

სულ მაღლე ქალბატონი ანა (რა ვქნა, ვერ ვეძახი ნიურა ბებოს; ის თუ ბებოა, ალარ ყოფილა საშველი) გამოწყობილი გამოცხადდა, და მაშინ მივხვდი, რომ მართალი იყო – ამჯერად ნიმდვილად ლამაზბი ეკვა.

ბურავი როდია. ეს სიმბოლოა, მთელი ისტორია.

მე: "რას ნიშნავს შენი ქუდი, ანა ფილ

ანა ფილოდოროვნა: “აბა, მე რა ვიცი?”
სამაგიეროდ, იცის პელაგეა ტერეხოვამ, რომელიც ანაზე უმცრო-
საა, მაგრამ მეტი ახსოვს. “დავიბადე 1928 წლის დეკემბერში. რიცხვი
არ ვიცი. 1931 წელს ტიფი დამტკართა და სინათლე ნამართვა...” ბებია
პოლიამ ამაყად დაიხურა დუხობორეჭიბის ქუდი და მოყოლა დაინტერ:

“აი, ეს შავი ხაზი მინაა, ის დრო, როცა დუხობორცები იმალებოდნენ, როცა მათ სდევნიდნენ – ცუდი დრო. ეს ცისფერი ლენტი გზაა, ჩვენი გზები, რომლებიც გამოვარეთ, სანამ აქამდე მოვიდოდით. ეს, ოქროს-ფერი, მზეა, და აი, ეს,” – თითოთ ქუდის დამაგვირგვინებელ ყვავილზე მიმანიშნა, “განათებაა, დუხობორიეს ალიონი, როცა რწმენის ნება და-გვრთეს.”

РОДИМАЯ ЛУШЕЧКА

ქალს, რომლის სახელთანაც დუხობორცების ქუდის ყვავილი, დუხობორიეს აღიონია დაკავშირებული, ერქვა ლუკერია გუბანოვა, ლუშერიკა, ნეტარი ლუშერიკა, **Родимая Лушечка** – რა ვწანა, ვერ ვთარებმი.



ისტორია

ლუშეჩქა ოცდასამი წლისა იყო, როცა დაქვრივდა. მისი ქმარი მართალი, ძალიან კარგი კაცი ყოფილა და ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ მეუღლეც ასეთივე ჰყავდა: ბრძენი, მოწყალე. ლუშეჩქას ჰქონდა “ცხოველი წიგნი” (ან “ცოცხალი წიგნი”), დუხობორცების ზეპირ-სიტყვიერი წმინდა წერილი. ლუშეჩქა ძალიან სამართლიანი ქალი იყო და არავის ანებებდა სუსტების ჩაგვრას.

ასე, ის საშინად ბრაზობდა ხოლმე, როცა მამაკაცები ქალებს ჩაგრავდნენ ან სულაც სცემდნენ. ასეთ კაცს ის სჯიდა: ერთი ღამით საქათმეში ამწვდევდა. ხოლო თუ კაცი იმდენად თავხედი იყო, რომ მეორედაც ბედავდა თავისი მეუღლის წყენინებას, ლუშეჩქას განკარგულებით მას წელზე ბანარს აპამდნენ და ურიკას გამობმულს ნელი ნაპიჯით დაატარებდნენ სოფელ-სოფელ: ნახეთ, ხალხო, ეს ის ბრიყვია, საქათმეში ღამისთევა რომ არ იკმარა და ისევ თავის ქალს ჩაგრავს!


ლუშეჩქამ დააარსა ობოლთა სახლი, რომელშიც ყველას შეეძლო ცხოვრება – მარტოხელა მოხუცებს, დაობლებულ ბავშვებს, ღატაკებს, მოკლედ, ყველას, ვისაც განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებოდა. ლუშეჩქა წინასწარმეტყველი იყო და მისი სიტყვები ყოველთვის მართლდებოდა.

ასე, ობოლთა სახლის შენებისას ლუშეჩქას ერთი კაცი, ივანე, ვანეჩქა ედგა მხარში. ვანეჩქა ძალიან ხელმარჯვე იყო, და ვინც არ დაიზარებთ და გორელოვაში აპრანდებით, აუცილებლად შეამჩნევთ, რა ლამაზია ხის აივნები, როგორი სიყვარულითაა გამოჭრილი ყოველი ჩუქურთმა. ეს ყველაფერი საპრალო ვანეჩქას ნახელავია.





“მამაჩემი 1941 წელს ომში
ნაიყვანეს, სამხედრო
სამსახურში. მაშინ მე ორი
კვირისა ვიყავი მხოლოდ.”
“დიდხანს იმსახურა?”
“ახლაც მსახურობს...”
არადა, ისინი პაციუტისტები
არიან, ომს და ძალმომრეობას
შეძლებისდაგვარად
ერიდებიან. მაგრამ რა
გაეწყობა – ომი ომია...



ვანეჩეკას ლუშეჩეკა თავდადებით უყვარდა და ამიტომ ძალიან უკლავდა ხოლმე გულს მისი სიტყვები. “როგორ მიყვარხარ, ვანეჩეკა. როგორი დიდებული ოსტატი ხარ. როგორ მებრალები, რომ იუდა იქნები, ჩემი ვანეჩეკა, და დუხობორიეს და ჩემი ღალატი მოგინევს...” ძალიან სწყინდა ეს სიტყვები ვანეჩეკას და იფიცებოდა, ამას არასოდეს ვიზამო.

საქმე ისაა, რომ ორად-ორმა ადამიანმა, ლუშეჩეკამ და ვანეჩეკამ იცოდნენ, თუ სად ინახებოდა დუხობორთა ალთქმული მიწის ნასყიდობის ქაღალდები. ლუკერია 1886 წლის 15 დეკემბერს გარდაიცვალა, ორმოცდახუთი წლისა, და საიდუმლოს ამიერიდან მხოლოდ ვანეჩეკა იცავდა. მერე კი დრო შეიცვალა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებმა ვანეჩეკას ორი ვაჟი დააპატიმრეს და მათ საფასურად

ვანეჩეკას დუხობორცების და ლუკერიას გაცემა და ძვირფასი ქადალდები მოსთხოვეს.

ვანეჩეკამ ობოლთა სახლში ბოძი დაშალა და სანუკვარი ზარდაბშა ამოილო. მას ეგონა, რომ ღალატის ფასად თავის ვაჟებს გადაარჩენდა, მაგრამ კომისრებმა გვარის გამგრძელებლები ალარ დაუბრუნეს. საბრალო ვანეჩეკამ ობოლთა სახლში გაატარა დარჩენილი დღეები, ტირილსა და სინანულში.

“ამტყუნებდით?” ვკითხე ბებოებს.

“არა, რას ამბობ,” იყო პასუხი. “მაგას როგორ გავამტყუნებდით. ეგრე ენერა. საბრალო ვანეჩეკა...”

დუხობორ ქაღალდებს გამტყუნება საერთოდ ნაკლებად სჩვევიათ. მე მგონი, უბრალოდ არ სცალიათ ასეთი რამეებისთვის. ქართველი გო-



ბებია პოლია: “ახალგაზრდა ხარ...”
მე: “ჰო, რა ვიცი...”
ბებია პოლია: “კი, ახალგაზრდა ხარ...”
ტირილს იწყებს.
ტანია: “წუ ტირი, ბებია პოლია. შენ
ჩვენთვის იმდენი გააკეთე. უშენოდ
აღარც იქნებოდნენ დუხობორები...”



გოს და დუხობორეცი ბიჭის სიყვარულის ამბავმა მე გამაცეცხლა,
მათ კი იოლად მიამბეს – ასე ეწერათო.... კარგია ასე. ნეტა მეც
შემეძლოს.

მშვენიერი ვასილისა

თურმე ლუშეჩქასთან, ობოლთა სახლში, ერთი ბიჭი იზრდებოდა.
კარგი ბიჭი იყო, გონიერი, წარმოსადეგი. ლუშეჩქა მას განსაკუთრე-
ბით სწყალობდა.

ერთხელ ლუშეჩქას კახეთში რაღაც საქმე ჰქონდა მოსაგვარებე-
ლი და მან ქართველებთან სწორედ ის, საამაყო ბიჭი გაგზავნა. იქ
ყმანვილს არ გაუმართლა – გოგო შეუყვარდა, თან თავადის ქალი.
ქალსაც შეყვარებია, და წყვილი ერთად ჩამოვიდა გორელოვეკაში.

“ძალიან კარგი გოგო იყო,” მიამბეს ქალებმა. “ლამაზი-ლამაზი.
ჩვენი კორსეტი ჩაიცვა, ჩვენი წესით იცხოვრა. სულ მალე დმიტრმა
ორი შვილი გამოუგზავნა, ქალ-ვაჟი. მთელი თემი იმათ ბედნიერებას
შევხაროდით.”

მაგრამ მერე ქალის ოჯახს მისი ადგილსამყოფელი გაუგია. კახე-
თიდან მამაკაცები ჩამოვიდნენ, ქართველი გოგო მოტყუებით გაი-
ყვანეს სოფლიდან, შეაგდეს ცხენზე და გაიტაცეს.

...იქ ტრამალია და შორიდანაც ისმოდა ქალის ძახილი: ქმარს უხ-
მობდა და თავისიანებს ეხვენებოდა, შვილებს წუ დამიობლებთო...

თავზარდაცემული ბიჭი ლუშეჩქას ეახლა და შეევედრა, დავედე-
ვნები, ხალხი გამაყოლე, ჩემი გოგო დამაბრუნებინეო. მაგრამ ლუ-
შეჩქამ უთხრა:

“ეს შენი ბედი ყოფილა. უნდა დაითმინო. ჩვენ ცოტანი ვართ, ამ
მიწაზე მოსულები. ქართველები ბევრნი არიან. ჩვენ სროლა არ გვ-



მართებს, თუ დაედევნები, ჩხეუბი ატყდება, და შენს ქალსაც დალუ-პავ და ყელა დუხობორსაც. დაითმინე.”

და ბიჭმაც დაითმინა, რამდენიც შეძლო. მერე კი... მოკლედ, მერე ობილთა სახლში მისი და ქართველი თავადის ქალის ორი შეიღია იზრდებოდა. ქალიშვილი ისეთი მშვენიერი იყო, ისეთი ლამაზი, როგორიც თეშშა არავინ ყოფილა: ლურჯთვალა, შავთმიანი. გოგონას ვასილისა ერქვა და ახლაც ასე იხსენიებენ: მშვენიერი ვასილისა.

როცა ამ ამბავს მიყვებოდნენ, ვფიქრობდი, ალბათ ბრაზონენ-მე-თქი. ალბათ წყინთ, რომ ქართველებმა მათიანის სიძობა არ ისურ-ვეს-მეთქი. მაგრამ არა. ძალიან ჩეცულებრივად ჰყვებოდნენ, ოღონდ ისეთი გრძელობით, რომ ობილოთა სახლოან, თოვლში, დუხობორ ქა-ლებთან ერთად მდგომმა მწარედ ვიტირე, და საპრალო ბესო უზნაძე ვერაფრით მიხვდა, რა ჯანდაბა დამემართა – მან კი იცის, რომ შე-ვყარებულთა უბედურებები, რა ხანია, სულ ალარ მიჩურებს გულს.

შობა ღამეს დუხობორი ქალები დაქარგულ სუფრაზე დგამენ დიდ, ფუმფულა პურს, მარილს და პატარა ჭიქას. ჭიქაში წყალს ასხამენ, კოვზით, ზუსტად იმდენ კოვზზე წყალს, რამდენი სულიც სახლში ცხოვრობს. მეორე დიღს იმავე კოვზით ითვლან, რამდენი ადამიანი იზეომებს მომავალ შობას – რამდენი კოვზი წყალიც დააკლდება, იმდენი დატოვებს მინას.

იმდენა, მომავალ შობას ისევ ყველანი დამხვდებიან. ლუშერქას დაუბარებია, რომ ამ მინიდან არ უნდა წავიდნენ. აქაა მათი საფლა-
ვები, აქაა მხარე, რომელსაც ბოგდანოვა ჰქვია — ღვთის მიერ დუხო-
ბორებისთვის ბოძებული მინა. და ისიც უთქვამს ლუშერქას, რომ
როცა ჯავახეთს ბოლო დუხობორეცი დატოვებს, დიდი მინისძვრა
მოხდება, წმინდა მთა გაიხსნება და წყალი წაიღებს დუხობორიეს,
ჩვენი სამშობლოს ლამაზ მხარეს.



Р.С. ბესო და მე მადლობელი ვართ ქალბატონ
ირინა გინოსიანის, რომელმაც ორი უცხო
უსასყიდლოდ შეგვიფარა და გვიმასპინძლა.
მადლობელი ვართ ყველასი, ვინც შინ მიგვიწვია
და ცალი თვალით მაინც დაგვანახა ჩვენთვის
უცხობი, ჯადოსნური სამყარო.



სამი ახლანილი მსვების
და ერთი ნარჩატის ამბავი

ზოგად ციკლოი

ავტორი: ნინო ჭობაძე

ფოტო: ნინო ჭავჭავაძე, ვიზუალური განკუთხის



ისტორია

ეს ერთი ახალგაზრდა კაცის ისტორიაა, რომელსაც ძალიან საინ-ტერესო პროფესია აქვს – ის სამრეწველო დიზაინერია და მას სახელად ზვიად ციკოლია ჰქვია. დიზაინი რომ მრავალნაირი არსებობს, ეს ყველამ ვიცით. სამრეწველო დიზაინი კი დანარჩენთაგან ყველაზე მასშტაბურია, უბრალოდ “დიდი” სიტყვაა და ყველა “მოხმარების საგანს” მოიცავს – ნამცხვრის, უთოს, აგტოკალმის, ჭურჭლის დიზაინით დაწყებული, მანქანის, მატარებლის, თვითმფრინავის, გნებავთ მფრინავი თეფშის დიზაინით დამთავრებული. არჩევანის დიაპაზონიც ამას ჰქვია!


მოდით, ჯერ მისი პორტფოლიო ვნახოთ, უკეთესად მიეხვდებით ვისთან გვაქვს საქმე. ყდაზე ორი პატარა ბიჭის ფოტოა. გვერდით კი ასეთი წარწერა იკითხება: ზვიად ციკოლიას ჰერსონალური ნამუშევრები. პატარა ბიჭები მისი შეილები არიან – ბუბა და ივა... მერე კი მიდის: Reddot-ის დიზაინის ჯილდო, 2006 წლის კონკურსის გამარჯვებული მაჯის საათი; მერე გაზის გამათბობელი, უჩვეულო ფორმის სავარძელი, თითქოს ქვაზე დაყუდებული უფეხო დივანი, Peugeot 1007, Peugeot 307, Russo-Baltique Impression და მერე Rolls Royce-ის სპორტული კუპე – აი, ამ უკანასკნელთა შესახებ კი ასე ნაჩქარევად ვერ გაამბობთ. მოგვიანებით აუცილებლად დავუბრუნდებით, გრძელი და საინტერესო ისტორიაა. “Strong Vodka”, “Castel”, “Hertzog”, “ბორჯომის პროდუქტის”, “სამგორი ალკოს”, “APG”, “იოლი ჯაგუფის” ალკოჰოლური თუ მინერალური წყლების ბოთლები, კონცეპტ-პროექტები: Piaggio – მზის ენერგიაზე მომუშავე მანქანა, სპორტული ფეხსაცმელი, სათვალე და ათასი სხვა. დამტანხმებით, შთამბეჭდავია!

რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, როგორც ხშირად ხდება, ბავშვობიდან იღებს სათავეს. ზვიადი ხატავდა, კონსტრუქტორებს აწყობდა, ყველაფერს ნაწილებად კი არა, უწვრილეს ნაწილაკებად შლიდა, მერე ხელახლა აწყობდა. კიდევ ცაში იყურებოდა და თვითმფრინავებს აკვირდებოდა, დიდ ავიაციაზე ოცნებობდა. წარმოსახვაში მიგ15-ებს, სამხედრო თვითმფრინავებს, რაკეტებს ხატავდა – მოკლედ, სულ დაფრინავდა. თან ისე სერიოზულად დაფრინავდა, უკვე ხუთი წლის ასაკში რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლეზე, თვითმფრინავის მოდელებს არჩევდა. ცაში ნაცნობ ხმას რომ მოკრავდა ყურს, უბრალოდ აიხედავდა და იქვე გეტყოდა, ეს TU 134 A, TU 147, იაკ 40 თუ კიდევ სხვა თვითმფრინავის მოდელი იყო.

მერე ვაჟა ფშაველას ქუჩაზე სამხედრო მუზეუმის არსებობის შესახებ გაიგო, სადაც სამხედრო ტექნიკა პირდაპირ ეზოში გამოიფინათ. მათ შორის ერთი თვითმფრინავი იყო, საოცნებო მიგ 15, თან



რუსო ბალტის
Impression-ის
მაკეტი



ომგამოვლილი. დასათვალიერებლად წავიდა. მხოლოდ დათვალიერება როდი იყმარა, შებინდებისას თვითმფრინავის კაბინიდან ძლივს გადმოიყვანეს. მთელი ორი საათი გერმანელ მფრინავებს ებრძოდა; სანამ ყველა არ გაანადგურა, ვერ მოისცენა. მაგარი ნასიამოვნები კი დაპრუნდა შინ, გამარჯვებული.

იყო მაშინ ასეთი – “ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური”, წერეთლის ქუჩაზე; ავიასამოდელო, სატრანსპორტო ლაბორატორია, რადიო წრე, სამოდელო, ქიმიის, ფიზიკის ლაბორატორიები და კიდევ მრავალი სხვა სამუშაორულო წრე. ამ “სკოლაში” ძველი საბჭოეთის 14 ცნობილი დიზაინერი გაიზარდა.

“ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში”, რადიოს წრეზე ზოიადის უფროსი ძმა დადიოდა, საოცარ რამეებს აკეთებდა. მოგვიანებით ზოიადიც დაინტერესდა, ჯერ საფუძვლიანად გამოარკვია, რა ლაბორატორიები არსებობდა და, რაღა თქმა უნდა, ავიაცია აირჩია.


იქ დედასთან ერთად მივიდა. ავიასამოდელოს კარი შეაღო და აღტაცებისგან ადგილზე გაშეშდა. მასზე უფროსი ბიჭები, დაახლოებით მისსიგრძე თვითმფრინავს ვერცხლისფრად ღებავდნენ. ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ბიჭი შეათვალიერა და დედას ანიშნა, ძალიან პატარაა, აქ ვერ მივიღებთო. ზვადს კი გული არ დაწყვიტა და ანუგეშა, შენ სატრანსპორტო ლაბორატორიაში მიდი, იქ ყველა-ფერს გასწავლიან – მანქანების, თვითმფრინავების, მატარებლების ანუბას და ნახე როგორ მოგეწინებათ. გული კი მაინც დაწყდა, მაგრამ “სატრანსპორტო” მართლა მოეწონა. “იქ ჩემი მასწავლებე-



რუსო ბალტის
Impression-ის
დამზადება 2003 წელს
მოსკოვში დაიწყო და
2005 წელს მიუნხენში
დასრულდა.



ისტორია



ლი, მოგვიანებით კი ჩემი უსაყვარლესი უფროსი მეგობარი, ნოდარ ინჯია დამხვდა. ეს იყო უბრალოდ კარგი ადამიანი, თავის საქმეზე შეყვარებული კაცი, რომელიც საათობით გვეჯდა და გვესაუბრებოდა ყველაფერზე – კონსტრუქციებზე, მოდელებზე, ცხოვრებაზე. 2002 წელს, როცა „ბეჟოსგნ“ მეორე შეკვეთა მივიღე, ნოდარი გარდაიცვალა. უკვე მეორედ მოხდა ასე. ჩემი დიდი წარმატება და პარალელურად, უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვა – დროში ერთმანეთს დაემთხვა. 2001 წელს, როდესაც ასეთი სერიოზული შეკვეთა პირველად მივიღე და „პეჟომ“ სერიული წარმოებისთვის ახალი მოდელის ექსტერიერი დამიკვეთა, მაგრა გარდამეცვალა. ეს ორი ადამიანი ჩემი საუკეთესო შემფასებლები იყვნენ, ვისი აზრიც ყველაზე მეტად მაინცერესებდა და ვისაც მართლა ვენდობოდა.”

რაღაც უცნაურად მუშაობდა. არ იყო თანმიმდევრული, პრინციპი – „თავიდან მარტივით დაინტერესონ და ნელ-ნელა გაართულე“ – მისთვის არ არსებობდა. პირველად ქაღალდის მანქანის მოდელი გააკეთა, მერე იყო ორნლიანი პაუზა და უცებ დიდი მოდელი გააკეთა, გამოფენაზე გაიტანა და პრიზიც მოიპოვა. ასეთი იყო.

დიდი ფიქრის და ორჭოფობის მერე, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამსატერი აკადემიის დიზანის ფაკულტეტზე ჩააბარა. ერთხანს მსახიობობაც უნდოდა. დედა, მედეა ბუხრაძე, მსახიობი გახლდათ – მუცლით მოლაპარაკებს რომ ეძახდნენ, თუ გახსოვთ (პირს რომ არ აღებენ და ლაპარაკობენ). სცენაზე თოჯინებით გამოდიოდა. მამა რეჟისორი იყო. მაგრამ ზვიადმა ნოდარ ინჯიას რჩევით, მაინც დიზაინერობა არჩია. სწორედ რომ მოიქცა, ამას მოგვიანებით დაგიდასტურებთ. თუმცა ვინ იცის, ეგებ მისგან მსოფლიოში განთქმული მსახიობი დამდგარიყო.


ის პერიოდი, რომელსაც ქართული დეპრესიის ხანა ჰქვია და ყველას კარგად გვიხსოვს, ციკოლიების ოჯახმაც გამოიარა. ზვიად ვირტუალური ესკიზების გასაკეთებლად და ტექნოლოგიური სიახლეების ასათვისებლად კომპიუტერი დასჭირდა. ერთ-ერთ გამომცემლობაში მივიდა და პარტერი შესთავაზა: თუ ერთ კომპიუტერს დაუთმობდ

ნენ, სამაგიეროდ წიგნების, ბროშურების – მოკლედ, მათი პუპლიკა-ციიბის დიზაინს გააკეთებდა. ისინიც დათანხმდნენ.

მერე იყო აეროგრაფები. აეროგრაფები საბჭოთა საქართველოში დიდი დეფიციტური პროდუქტი გახლდათ. მხოლოდ სპეცუალობრივ ჩამოჰქონდათ, ისიც ხანდახან. ზეიადი მეგობრებს აეროგრაფების ჩარხების გაკეთებას სთავაზობს. ერთი აეროგრაფი 11 მანეთი უჯდებათ, 500-ად კი ყიდიდან. ბიზნესიც ამას ჰქვია! ვინმე ამერიკელი ბიზნესმენი ინტერესდება, მაგრამ ამ მართლაც საოცარი ცირკულაციის და, შესაბამისად, მათი მოგების წილის არ სჯერა, ახალგაზრდებს კი ცირკულაციის და უარით მიდის.

მალე ირკვევა, რომ გამომცემლობას აპრეშუმის ბადით ბეჭდვის აპარატურა აქვს, მაგრამ არ ჰყავთ სპეციალისტი, ვისაც მისი ამუშავება შეუძლია. ზეიადი სწავლობს ტექნოლოგიას და აამუშავებს. მალე კი აპრეშუმის ბადეზე ფოტოგამოსახულებასაც იღებს. ეს უკვე დიდი სიახლეა და გამომცემლობაც მრავალ ახალ კლიენტს იძენს.

“იცი რას ვაკვიდები? ცხოვრებაში რაზეც ვიცნებობდი, ნელ-ნელა ყველაფერი მისრულდება. ჩემი საყვარელი მანქანა Mini Cooper იყო და პირველი მანქანაც მინი კუპერი მყავდა. ჩემზე უფროსი ქალები მაინტერესებდა და ჩემი ცოლი ჩემზე 10 წლით უფროსია, ავია-ციაზე ვგიშდებოდი და 1993 წელს Air Georgia-ს მთავარი დიზაინერი გავხდი, ასე იყო სულ. Air Georgia-ს ამბავს მოგიყენებით. საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილია და ვამბობ, რა მაგარი იქნება, ქართული ავიაკომპანია რომ დაარსონ და მაგალითად, Air Georgia დაარქვან-მეთქი. დავჯექი მერე ჩემთვის და რაღაც ესკიზები გავაკეთე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო კომპანიის სიმბოლიკა. სულ მალე კი ტელევიზიით სარეკლამო განცხადებას ვისმენ: ავიაკომპანია ტრანს ეარ ჯორჯია აცხადებს რეისებს თბილისი – ფრანგულტი – თბილისის მიმართულებით. ვა, ქართული ავიაცია! ვიღებ ტელეფონს და ვრეკავ. თქვენი კომპანიის სიმბოლიკის ესკიზები მაქვს, ხომ არ გაინტერესებთ, ვეკითხები. ირკვევა, რომ Air Georgia-ს დიზაინერის ვაკანსიაზე კონკურსი აქვს გამოცხადებული, ვადა კი მალე იწურება.



ზეიად ციკოლია
ივან შიშკინთან
„რუსო-ბალტის“
დირექტორი)
ერთად ვიღა
დ'ესტეს
გამოფენაზე



ივან შიშკინი,
ზეიად ციკოლია და
„რუსო როისის“
მთავარი დიზაინერი
ალან შეპარდი







სამხატვრო აკადემიაში ჩემს ხელმძღვანელთან, გია ლაფანაშვილთან ერთად, კონკურსში მონაწილეობას ვიღებ და ვიმარჯვებთ. მთავარი დიზაინერი ვხდები. ესეც ჩემი დიდი ავიაცია.”

ფრანკფურტში ავტოსალონის გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ იმართება. Air Georgia-ს კი ფრანკფურტში პირდაპირი რეისები ჰქონდა. 1995 წელია, ზევიადი კომპანიის დირექტორს უფასო სამგზავრო ბილეთს სთხოვს და მიდის. თან ერთ დიდ საქალალდეში ჩალაგებული თავისი ესკიზები მიაქვს. ერთი ესკიზი საქალალდეში არ ეტევა და ზემოდან აკრავს, Bugatti-ს მოდელია, ზევიადის საყვარელი მანქანის ბრენდი. დადის ამ რვა კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე, საუკეთესო, ახალი მანქანის მოდელები სამ სართულზე რომაა გამოფენილი და აკვირდება ტენდენციებს, ახალ მიმართულებებს, ავანგარდულ დეტალებს – მოკლედ, სიახლეებს ეცნობა. მოულოდნელად ერთი გერმანელი ეძახის და თავისთან იხმობს. ზევიადმა გერმანული არ იცის, არც ინგლისური. უსტებით არტიკულირებენ, გერმანელი კაცი გულზე ხელს იკრავს და ამბობს: იოპან დაუერ. უსტის ზევიადიც იმეორებს,

ზევიად ციკოლია – ამბობს, მერე კი ერთმანეთს ხელს ართმევენ. იოპანი საქალალდეზე უთითებს, მაჩვენეო. ზევიადი დაბნეული აწვდის, კაცი ათვალიერებს, პერიოდულად მუშტზე ცერა თითის გაშვერით ანიშნებს, მაგარიამ. ზევიადი გაოცებისგან ხმას ვერ იღებს. ეს კაცი, არც მეტი და არც ნაკლები, “პორშის” შვილობილი კომპანიის, Dauer Porsche-ის დამფუძნებელია, ძველი მრბოლელი. 22 ივნისს, ზევიადს ქალაქ ლემანში, რბოლებზე პატიუებს, თანაც სთავაზობს, თუ ჩემთან მუშაობის დაწყება გინდა, პატარა გასაუბრებას მოგინყობო. ზევიადი ვიზას მხოლოდ 2 ოქტომბერს იღებს და მაშინვე ურეკავს. დაუერი გაოცებული ეკითხება: თქვენს ქვეყანაში კალენდრები არსებობს? ერთი სიტყვით, ზევიადი ფრანკფურტში მიდის. იოპან დაუერი პატარა ფსიქოლოგიურ გამოცდას უტარებს, მაგრამ ზევიადი ტესტს ვერ აბარებს. გამოცდილება გაკლიან, უხსნის იოპანი. რჩევებს აძლევს და თბილად ისტუმრებს: შესვედრამდე. “ამ შემთხვევის მერე გადავწყიტე, ჩემთვის, დამოუკიდებლად მემუშავა და მომავალი ფრანკფურტის ავტოსალონზე 1:1 რეალური მასშტაბის “ბუგატის” მოდელზე მუშაობა დავიწყე”.

ისტორია



**Peugeot Alien-01 Concept Car-ი,
2005 წელი.**



ზეიადი ფრანგურტის მომავალი ავტოსალონისთვის მზადებას შეუდგება. 1997 წელს, გამოფენის ორგანიზატორებისაგან მოწვევა მოდის. 100 წლის მანძილზე პირველად, ფრანგურტის ავტოსალონზე 42 ქვეყნის დროშასთან ერთად, საქართველოს დროშა ფრიალებს. ბუგატის concept car-ი ისევ Air Georgia-ს დახმარებით, ფრანგურტში მიაქცეს (concept car-ი მანქანის ახალი მოდელია, რომელიც შესაძლოა მრავალ ავანგარდულ დეტალს შეიცავდეს. აქ დიზაინერები თავიანთ პოტენციალსაც აჩვენებენ. concept car-ი გამოიფენაზე გამოაქვთ და ბაზრის კონიუქტურას ამგვარად აფასებენ. კოლექციონერების, პოტენციური მყიდველების, სხვადასხვა დიზაინერის, მოკლედ დამსწრე საზოგადოების აზრს სწავლობენ, ითვალისწინებენ და, შესაბამისად, სერიული წარმოებისთვის გარკვეულ დეტალებს, ან უბრალოდ, ისეთ დეტალებს ცვლიან, რომელთა გარეშეც მანქანის წარმოება უფრო იაფი დაჯდება). ზეიადი იულებულია გაითვალისწინოს, რომ Air Georgia სამგზავრო თვეითმფრინავია და შეზღუდული ზომის საბარგო კარი აქვს, მოდელის ერგონომიულ პარამეტრებსაც მხედველობაში იღებს და იდეალურ შუალედსაც პოულობს.

ფრანგურტის ავტოსალონზე Bugatti-ს concept car-ი Lotus-ის, Lamborghini-ს, Brabus-ის მანქანებს შორის „დაბრძანეს“. Bugatti-სა და Lotus-ის პრეზიდენტის, რომანო არტიოლის, ასევე BMW-ს, Volkswagen-ის დიზაინერების, სხვადასხვა ბრენდის წარმომადგენლების ქათინაურები ზეიადისთვის პირველი აღიარება იყო. იქ გაიცნო საავტომობილო ბიზნესში ყველაზე ცნობილი იტალიელი უურნალისტი ჯანკარლო პერინი. „98-ში მე და ჩემი მასნავლებელი, გია ლაფანაშვილი პერინისთან სტუმრად ტურინში ჩავედით. ჯანკარლო იცით როგორი ვინმეა? მისი შეფასება დიზაინერთათვის ყველაზე

მნიშვნელოვანი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ყურადსალებია. ხდება ისეც, რომ პერინის რომელიმე ახალი ბრენდის მოდელის დიზაინი არ მოსწონს, მაშინ მოდელის დეტალებს ხშირად ცვლიან ხოლმე. ასეთი კაცია. პოდა, პერინის ვეუბნები, რომელიმე საავტომობილო სტუდიაში მუშაობის დაწყება მინდა-მეთქი. უცბად მექათხება, „ლაბბორ-გინის“ მოდელს გააკეთებო? მე მოულოდნელობისგან დიდ ულუფა ჰაერს ვყლაპავ და ჰატარა ჰაუზის მერე ვთანხმდები.“ „ლამბორგინის“ პრეზიდენტთან შეხვედრა მალე ვერ ხერხდება. ზეიადს ვიზის ვადა ეწურება, იტალიაში კი კონტრაქტს არალეგალურად არავინ გაუფორმებას. უკან ბრუნდება. ვიზას ერთი თვე სჭირდება – „ლამბორგინი“ ვიზას ვერ ელოდება. სევდიანი ამბავია.

1999 წელს, ზეიადი ფრანგურტის ავტოსალონზე ისევ წავიდა. გამოფენაზე ისევ Bugatti-ს, ამვერად ვირტუალური მოდელი წარმოადგინა. რომანო არტიოლის (Lotus-ის და Bugatti-ს პრეზიდენტი) მეშვეობით, ჯორჯეტო ჯუჯაროს შეხვდა (Giugiaro დიზაინის სტუდიის პრეზიდენტი). მანქანის დიზაინის გურუ, მე-20 საუკუნის საუკეთესო დიზაინერი – ასე იხსენიებენ მას სხვადასხვა პუბლიკაციებსა თუ ნაცნობების წრეში. ქათინაურებს ისევ იღებს, დიზაინის „მამები“ კი უკვე ინტერესდებიან, სად მიიღო განათლება ამ საბჭოების შვილმა.

2001 წელია, ზაფხული. ზეიადი ელექტრონულ ფოსტას ამონმებს და პირად საფოსტო ყუთში ერთ უჩვეულო წერილს აღმოაჩენს. Peugeot-ის outsourcing-ის მენეჯერი ვარ, თქვენი საიტი ვნახე და პორტფოლიოთ მოვიხიბლე. სერიული წარმოებისთვის, ახალი მოდელის დიზაინი გვინდა თქვენ დაგივევთოთ. ზეიადს მეგობრების ხუმრიბა ჰგონია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის Citroen-ის მთავარ დიზაინერს ურეკავს და ეკითხება, ამ სტუდიის არსებობის შესახებ რაიმე



**T-J თხადგილიის
თვითმფრინავი,
2006 წელი.**




**Air G ავიაკომპანიის Air Bus 360
მოდელისთვის გაკეთებული გრაფიკული
დიზაინი, 2005 წელი**

ხომ არ გსმენიათ. ნაცნობი დიზაინერი ურჩევს, წერილს სასწრაფოდ უპასუხოს. ზვიადი ასეც იქცევა და ერთ თვეში კონტრაქტის გასაფორმებლად პარიზში მიემგზავრება. დაკვეთილი ოთხი პროექტიდან ორი კეთდება: concept car სახანძრო მანქანისთვის და Peugeot 1007 მოდელის ექსტერიერი.


Peugeot-ის 1007 “ცოცხალი” მოდელის სანახავად, მეუღლესთან ერთად პარიზში მიემგზავრება. სხვათა შორის, ზვიადის მეუღლეც დიზაინერია, მოდელიორი მარინა ხორავა – ქართველი სტიუარდესების კოსტიუმების ავტორი. ადრე ხომ ვთქვი, ერთმანეთი დიდ ავიაციაში გაიცნეს-მეთქი. პოდა, დღეს ორი შვილი ჰყავთ. უფროსი, ბუბა 8 წლისაა და პატარა, ივა – 6 წლის. ივა ისე გავს მამას, გაგეცინება. ზვიადთან სტუმრობისას ივა აქტიურობს, ცდილობს ფოტოგრაფის ყურადღება მიიპყროს და დიდ სახატავ რვეულს ზედ მაგიდაზე შლის, თან კითხულობს, ფოტოს მეც ხომ გადამიღებთო. მარინა ამბობს, მამასავით კომუნიკაცებურიათ.

ზვიადი ნიცაში Toyota-ს მთავარ დიზაინერს, ვლადიმერ პერაუეოვს ხვდება. პერაუეოვი ერთ საინტერესო წინადადებას სთავაზობს: Bugatti-ს ახალი მოდელის შესაქმნელად კონკურსი ცხადდება და მიდი, მონაწილეობა მიიღეო. ზვიადი სიამოვნებით თანხმდება. Bugatti-ს ექსკლუზიური მოდელის შექმნის უფლებისთვის რუსული კომპანია A-level (მცირე სერიული მანქანების მწარმოებელი კომპანია) იბრძვის. მანქანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რუსი კოლექციონერის დაკვეთაა. მაგრამ Volkswagen-ი მათ “ბუგატის” სახელის გამოყენების უფლებას არ აძლევს (Bugatti-ს ბრენდის მფლობელი სწორედ Volkswagen-ია). A-level ახალ გზას პოულობს – ძველ რუსულ ბრენდს, რუსო-ბალტს (Russo-Baltique) ყიდულობს და კლასიკური Bugatti-ს მსგავსს, თანამედროვე მოდელს ქმნის. ზვიადის concept car კონკურსზე რუსო-ბალტის ბრენდის სახელით გამოდის. მოდელი კი ნამდვილი Bugatti-ია, იგივე სტილისტიკური მონაცემებია გამოყენებული, მხოლოდ ცხვირი აქვს შეცვლილი.

რუსო-ბალტი ძველი რუსული ბრენდია. რუსეთის მეფის კარზე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფარეხების ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელი იყო და უმაღლესი ხარისხის პროდუქციას ქმნიდა. სულ ოთხი წელი იარსება და ამ მოკლე ხანში, მსოფლიოში ორი ყველაზე ცნობილი რბოლა მოიგო. კომუნისტური ეპოქის დაწყების-თანავე წარმოება გაჩერდა. ერთი საუკუნის შემდეგ კი, რუსო-ბალტის ბრენდი ისევ გააცოცხლეს და პირველი თანამედროვე მოდელის შექმნისთვის კონკურსი გამოაცხადეს.




მეცხრე არხის
სტუდიისთვის შექმნილი
სავარძელი, 2003 წელი.



ქვა და ფოთოლი,
2005 წელი.

რბილი ავეჯის მოდელები,
2004 წელი



ერთადგილიანი
თვითმფრინავი „ლიზი“-ს
მოდელი, 2006-2007 წელი



ისტორია



მეუღლე მარინა ხორავა,
პარიზი, 2004 წელი.



ახლა ერთი საგულისხმო ამბავი უნდა ვახსენოთ, საპრიზო ფონდის შესახებ. პირველი ადგილის მფლობელის, ანუ გამარჯვებულის ფულადი პრემია 1000 დოლარია, მეორე ადგილის – 500, ხოლო მესამეს – 200. რუსო-ბალტის *Impression* მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადირებული მოდელია და სულ რაღაც მილიონნახევარი ევრო ლირს. აი, ბიზნესიც მართლა ამას ჰქვია!

“ჩემს ცოლს ვეუბნები, ახლა შეკვეთა არ მაქვს, Bugatti-ს ამდენი მოდელის ესკიზი მაქვს გაკეთებული, გავალ რა კონკურსში და ამ საახალწლოდ ერთ ორასდოლარიან პრიზს ხომ მაინც ავიდებ-მეთქი. შევთანხმდით და სამ კვირაში ესკაზები კონკურსზე გავაგზავნე. საახალწლოდ პრიზი მაინც ვერ ავიღე, მაგრამ თებერვალში გავიგე, რომ გავიმარჯვე. პერაუკოვმა ეს ამბავი რომ მითხრა, დედაჩემთან ვიყავი, დიდუბეში. კაპიკი ფული არ მქონდა, რომ სახლში (ზილიან-ზე) მარშრუტით მაინც წამოვსულიყავი. სულ ფეხით ვიარე; თუ არ ვცდები, 25 წუთში მივედი. მერე ერთი ნახევარი საათი ბავშვებთან ერთად ვისტუნავე და მაინც ვერ დავმშვიდდი. იცი რა იყო? მართლა გავიმარჯვე.”

კონკურსში 125 დიზაინერი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ General Motors-ის, Peugeot-ის, Porsche-ის California-ს, Citroen-ის, Audi-ის დიზაინერები. 10 საუკეთესო შეარჩიეს. გამარჯვებული კი თვითონ დამკვეთმა, რუსეთში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მანქანის კოლექციონერმა, ვინმე ვიქტორ ტაკნოვმა დაასახელა. მერე პერაუკოვმა უამბო: გამოფენილ ათ ესეზის ჩეარი ნაბიჯით ჩაუარა, შენს ესკიზთან შეყოვნდა და დაგვიძახა – აი, ეს მინდაო, გვითხრა და წავიდაო. გამარჯვებაც ასეთი უნდა!

“მანქანის ახალი მოდელის დიზაინის შექმნისას შენი ახალი სიტყვა, ხედვა და აქამდე გამოუყენებელი დეტალების შეტანა ყველაზე მნიშვნელოვანია. აქ არ არსებობს პლაგიატი, ყველა შემფასებელი იმდენად ზედმიწევნით იცნობს ავტომობილუსტრიას, რომ სჯობს, ეს არ გააკეთო. ამიტომ, ძველის, კლასიკურის ბაზაზე სრულიად ახალი, თან კლასიკური ან პრაქტიკული და ავანგარდული მოდელის შექმნა ადვილი არ არის. თან ტენდენციებს უნდა იცნობდე, თან შენი საკუთარი სიტყვა თქვა.”

2003 წელს ზვიადს ერთი ბრიტანელი კოლექციონერი უკავშირდება, ისევ ინტერნეტით. Rolls Royce ექსკლუზიურ კუპეს უკვეთს. პარალელურად, საქართველოს “თბილავიამშენთან” ერთობლივ პროექტზე მუშაობს – თვითმფრინავის ექსტერიერს და ინტერიერს, ასევე მათი დანარჩენი პროდუქციის დიზაინს აკეთებს.

მალე, 2005 წელს Russo-Baltique მოდელის დამზადება იწყება. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მანქანების გამოფენისთვის Villa d'Este-სთვის ემზადებანა. “ეს მართლა თავის ტკივილი და ტანჯვა იყო. ამ დროს დამკვეთები სრულ თავისუფლებას არ გაძლევენ. რაღაც ჩარჩოში მაინც უნდა ჩაჯდე. და წვალობ, ფიქრობ, როგორ შეიძლება ეს ისე გააკეთო, რომ მთავარ დეტალებს არ შეეხო; რომ მოდელმა ხიბლი არ დაკარგოს. მოკლედ, ურთულესი პროცესია. მარტივად რომ აგისხნათ, გეტყვით: უკანა ბორბლის ხუფის 2 სანტიმეტრით დაწევა მინდოდა, მაგრამ დამკვეთები ვერ დავითანხმდე. იცით რატომ? ეს მათ ზედმეტი 60 ათასი ევრო უჯდებოდათ. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.”

ივა და ბუბა ციკოლიები
2006 წელი



მოდელზე მუშაობა დასრულდა და 2006 წლის აპრილში მანქანის მფლობელი, დიზაინის სტუდიის წარმომადგენლები, მთელი სამუშაო ჯგუფი და, რაღა თქმა უნდა, ზვიადი იტალიაში, Villa d'Este-ს ელე-განტურობის კონკურსზე გაემგზავრნენ.

“გამოფენაზე ვიდექი და არანაირი ემოცია არ მქონდა, თითქოს ცარიელი ფიტული ვიყავი. ფოტოკადრებად აღვიტვამდი, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. Alfa Romeo 8C Spider, Aston Martin, Ferrari 575 GTZ, Renault Altica, Masserati და ჩემი Impression, კრის ბენგლის (BMW), იან კამერონის (Rolls Royce-ს დიზაინერი), ალან შეპარდის (Rolls Royce-ის ინტერიერის დიზაინერი), პატრიკ ლე ქუმენტის (Renault) და ლორენცო რამაზოტის (Pin Infarina) თავმდაბალი სალამი, ქათინაურები და მანქანის ჩავლისას აღიბული სალამი. სულ ეს იყო!”

მართლაც, სულ ეს იყო და დღეს მარჯვე რუსი კოლექციონერი მშვენიერ Impression-ს თავის ფეშენებელურ ავტოფარეხში ასვენებს. ზვიად ციკოლიას წარმატება კი ყველად ერთხმად აღიარა. ჯანკარლო პერინის არაერთი პუბლიკაციაც სწორედ მას მიეძლ-


ვნა და ზვიადზე სერიოზულად ალაპარაკდნენ. მაგრამ ლაპარაკი ყველამ ერთნაირად იცის – თეთრმაც და შავმაც, დიდმა და პატარამ. გამოფენის მერეც ასე მოხდა. რუსო-ბალტის სერიული წარმოებისთვის ახალ შეკვეთაზე ზვიადთან შეთანხმდნენ. Vila d'Este-დან დაბრუნებულ A-level-ის წარმომადგენლებს კი კარში “დიდებული” ჯუჯარო გამოეცხადათ, გამზადებული ესკიზებით და უფრო სარფიანი წინადადებით. რას გაუგებ ამ იტალიელებს, ზვიადთან შეთანხმებული ჰონორარი კი მაინც საიდან გაიგო? მოკლედ, ზვიადი შეკვეთაზე მაინც მუშაობს, მაგრამ მეორე პროექტი ჯუჯარომ “ჩაიბარა”.

დღეს ერთადგილიანი თვითმფრინავის მოდელის შეკვეთაზე მუშაობს. თვითმფრინავისთვის საჭირო კომპონენტების შეძენაში მამუკა ხაზარაძე დაეხმარა. ელექტრონულ ფოსტაზე კი საინტერესო წერილს დღესაც ელოდება. ალბათ, ვინმე კარგი შემფასებელი კაცი tsikolia.ge-ს ისევ წააწყდება, ზვიადის პორტფოლიოს დაათვალიერებს და ახალი მშვენებაც ასე შეიქმნება.



ენდი
უორპოლის
სიკვდილის
ანგელოზი

ავტორი: გიორგი გვასარია





(ელიზაბეთ ტეილორი 20 წლის ნიმუში გამოცემალა)

სარკე ჭუჭყიანია. ისევ ეზარება განმენდა. ახალი მუნუკია მოუკიდა სახეზე. გამორჩეულის (ამას ხელის დაპანაზე ხშირად აკეთებს) ოდნავ შესამჩნევი სერელიდან სქელი, ფაფის-მაგვარი მასა გამოყოფა. ნეკა თითოთ ინმენდს და ყვითელ სითხეს ათვალიერებს.

დღეს ავტოპორტრეტი უნდა დახატოს. ლიზ ტეილორმა დაურეკა ნუზელ და შეუკვეთა. მუწუკებს, რა თქმა უნდა, არ მიახატავს. დარწმუნებულია, რომ მუწუკი დროებითი მოვლენაა.

მერე პარიკბს არჩევს. ფაფის მასით დასვარა თავისი ყვითელი პარიკი. არ წმენდს. ეს მოსწონებს! ტანსაცმელსაც ხომ სვრის ასე. სკამზე სენ ლორანის ბუტიკში ნაყიდი შარვალი უკიდია, რომელსაც ყვითელი საღებავის ლაქა აქვს! ლიზ ტეილორთან შეხვედრაზე ამას ჩაიცმევს – დაე, ყველა დარწმუნდეს, რომ ენდი უორჰოლი დაბწეული, ფეთხური გენიოსია!

ისევ სარკეში იყურება. ერთი კვირის წინ ინტერვიუ მისცა იდიოტ ჟურნალისტ გოგოს, რომელსაც კითხვები წინასწარ მოსთხოვა. უთხრა, სარკეში როცა ვიყურები, სიცარიელეს ვხედავო.

მოატყუა. იმან კი დაიჯერა და ეს სიტყვები სათაურში გამოიტანა.

რას ქვია, ვერ ხედავს? რა თქმა უნდა ხედავს! დალლილი მხატვრის დანაოჭებულ სახეს ხედავს. მაგრამ ასეთს არ დახატავს! მერე დასცინებენ, იტყვიან სათვალით იმალავს ბებერ თვალებსო.

ენდი უორჰოლს კი ყველაზე მეტად დაცინვის ეშინია. ბავშვობა როცა ესიზმრება – პიტბურგის სკოლა, სადაც ფეხები უკანასლებდა, როცა დაფასთან იძახებდნენ, – ეგრევე ოფლში ელვიდება. საზიზდარი თანაკლასელების ჟრიამულსა და ხორხოცს ვერ ივიზებს და ვერ გაუგა, ნუთუ ასეთი სასაცილოა ეს სლოვაკური აქცენტი, რომელიც ვერა და ვერ

ენდი ხომ გაზიადების ოსტატი იყო. გაზვიადების და გამრავლების! მან არ ამოათორია მასების ქვეცნობიერიდან იქ "გაჭედილი" ნაგავი?! ტომატის სუფის ქილა, მერლინისა და ელვისის პორტრეტები, მათ?



მოიშორა? დღეს, როცა სახელგანთქმული გახდა, კრიტიკოსები ხომ წერენ, უორჰოლის აქცენტი მისი ინდივიდუალურობაა. აბა ის ბავშვები რალას ერჩოდნენ?

სკოლა ერთი კვირის წინ ნახა სიზმარში. იმ ლამეს თავის "ფაბრიკში" ეძინა. მისი სახელისწილი, როგორც ყოველთვის, დათხუპნული გოგო-ბიჭებით იყო სავსე. ვიღაც მაგიდაზე იწვა და ხვრინავდა. დასაძინებელი ნამლის ძებნა დაიწყო. სიბწელეში ვისკის ცარიელ ბოთლებს წამოკრა ფეხი. შეეშინდა. აღმოაჩინა, რომ ამდენ ხალხში არავის იცნობდა. სამზარეულომდე გზა როგორლაც გაიკვლია.



გაუხარდა, შუქი რომ დაინახა. კიდევ უფრო გაუხარდა, როცა ქერათმიანი ლიზა დაინახა – კალიფორნიელი გოგო, რომელიც თავის თავს "უორჰოლის მონაფეს" უწოდებდა. ლიზა ჭურჭელს რეცხავდა.

მოგეხმარებიო, უთხრა და სიზმრის მოყოლა დაინწყო.

რაღაცები, რა თქმა უნდა, მოიგონა. უფრო სწორად, გაამძაფრა რაღაცები! ენდი ხომ გაზვიადების ოსტატი იყო. გაზვიადების და გამრავლების! მან არ ამოათრია მასების ქვეცნობიერიდან იქ "გაჭედილი" ნაგავი?! ტომატის სუფის ქილა, მერლინისა და ელვისის პორტრეტები, მაო? ამოათრია, გაზარდა, გააზვიადა, ვეებერთელა საგნად აქცია, გაამრავლა! ...

იმ გოგომ, იმ სულელმა უურნალისტმა ჰკი-თხა, ამბობენ (ენდის ეს სიტყვა ჭირივით სტულდა), რომ თქვენ მორწმუნე კათოლიკე ხართო. საიდან გაიგო? იგი ხომ ყველაფერს აკეთებდა, რათა ანტიერისტედ შეერაცხათ.

ქრისტე, მაგალითად, მოვაჭრებს მივარდა პაზარში და დახლები დაუნგრია. ენდი კი, პირიქით, მასებს მოუწოდებდა, მოიხმარეთ, მოიხმარეთო... მასებმა ქრისტე ჯვარს აცვეს. ენდის მოწოდება კი ესიამოვნათ – "სუპერვარ-სკვლავი" უწოდეს!

ვინ უთხრა ამ შტერ გოგოს, რომ მორწმუნეა? როგორ შეიძლება მორწმუნე მ ხატებს დაუწყოს ბრძოლა, ენდი უორჰოლივით? სახეებში ღმერთის სამულაციას ბიზანტიური მხატვრები ახდენდენ, მაგრამ არა ენდი უორჰოლი! ღმერთი ხომ გამოუხატავი და გამოუსახავია. ის, რაზეც ვლოცულობთ, მხოლოდ და მხოლოდ ნიშანია, სიმბოლოა; კოკა-კოლას ბოთლია, რომელიც თანასწორობის ილუზიას ქმნის (კოკა-კოლას ყველა სვამს – ქვეყნის პრეზიდენტი, ლიზ ტეილორი და მათხოვარი, რომელმაც იცის, რომ მისი კოკა-კოლა არაფრითაა უარე-



ახლა, როცა სარკესთან დგას და მუწუკებს ეპრძევის, უორჰოლი ამ ხალხს აღარ იხსენებს. იგი ლიზას კითხვამ ჩააფიქრა. მართლაც, როგორ მოახერხა ამდენი ხალხის შებმა? დედის აჩრდილის დახმარებით? შეიძლება.



სი პრეზიდენტის „კოლაზე“ – დაწერა სადღაც ენდიმ), დოლარის კუპიურაა და „კემბბელის“ სუფის ქილა – მშეირი კაცის სანუკვარი კერძი... სწორედ ესაა ჩვენი ხატები!

ნუთუ ეს სულელი ჟურნალისტი გოგოც კი მიხვდა, რომ მოხმარების ობიექტების ასეთი გაფეტიშება-გაზიადებით ენდი უორპოლი იგივეს აკეთებდა, რასაც იქსო ქრისტე – სუპერმარკეტში (უკაცრავად, ბაზარში)? ოღონდ პოპ-არტის ღმერთი კი არ ანგრევდა, არამედ აძლიერებდა საქონელს... დეპერსონალზე-ბულმა ფეტიშმა (ობიექტმა აურის, ფასის გარეშე) უორპოლის ნანარმებებში საკალიზაცია განიცადა, რათა მერე, პუბლიკის ცნობიერებიდან განდევნილიყო.

განადგურება - გამრავლების გზით!

კათარზისი იყო ეს, აბა რა?!

აი, იმ დამესაც, კალიფორნიელ ლიზას თავის ბავშვობას უყვებოდა და ცრემლი მოადგა. გაიხსენა, როგორ ერთობოდა ჯოჯოხეთიდან, ე.ი. სკოლიდან დაბრუნებული, სანაგვეში იქექებოდა, ფერად ჟურნალებს აგროვებდა, სურათებს ჭრიდა და ქმნიდა კოლაჟებს. მიკი მაუსა – ბეტმენისა და გრეტა გარბოს გვერდით აწებებდა.

ამ დროს, ევროპაში იტალიელი ნეორეალისტები თავიანთ შედევრებს გროშებად იღებდნენ.

განა ენდიც იგივეს არ აკეთებდა?

თუკი სადებავის ფული არა გაქვს, შეაგროვე ნაგავი, იშვევე წებო და მაკრატელი. შედევრს აუცილებლად შექმნი, მთავარია, ირჩმუნო, რომ ნამდვილი პოეზია ნაგვიდან იბადება. მერე კი გამოაცხადე – კულტურა მოკვდა, ხელოვნება სრულიად უძლურია თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე, დღევანდელი ხელოვ-

ნება ერთვერადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მოიხმარე და ნაგავში გადაუძახე!

არა. კალიფორნიელ გოგოს ეს არ უთხრა. პირიქით, იმის მტკიცება დაუწყო, რომ ცრემლი, ტკივილი, გაუცხოება, მარტობა დროშითია, წარმატება კი – ხელოვნების ყველაზე საინტერესო დარგი. ამ გოგომ, „ფაბრიკაში“ შეგროვილი გოგო-ბიჭების მსგავსად, უორპოლის ბიოგრაფია ზეპირად იცოდა; როგორ დაამთავრა 1949 წელს კარნევის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, როგორ გადასახლდა ნიუ იორკში, როგორ დაიწყო თანამშრომლობა „ვოგთან“ და „გლამურთან“, როგორი სენსაცია მოახდინა 1962 წელს, კონსერვების ნახატების გამოფენაზე; როგორ დააარსა „ფაბრიკა“, მერე ჟურნალი „ინტერვიუ“ და როგორ ამოათორია ნაგვიდან ჯგუფი Velvet Underground.

ის-ის იყო ენდი თავის საყვარელ ისტორიაზე უნდა გადასულიყო, მოეყოლა, როგორი დეპრესია დაეწყო მას შემდეგ, რაც ტაქსის მძლოლს ერთდღოლარიანი კუპიურის ნაცვლად, ასი დოლარი მისცა, თან დაუმატა, ხურდა დაიტოვეთო, ლიზამ გააწყვეტინა.

„რეკლამაში მუშაობა ურთიერთობის ნიჭს მოითხოვს. დამკვეთი უნდა შეაბა. როგორ ახერხებდით ამას?“

ენდიმ სიტყვა ბანზე აუგდო, ჯობია, შენს სექსუალურ ფანტიზიებზე მიამორო...

კალიფორნიელი გოგო ამაზე უარს როგორ ეტყოდა! „ფაბრიკაში“ ხომ ხალხი სწორედ ამისთვის მიდიოდა ენდისთან – როგორც ალ-სარებაზე. გულს გადაუშლიდნენ ხოლმე. მერე ალარ ეშვებოდნენ. ვლადა კრეიცმანმა, სანამ არაფატის მეგობარს შეიყვარებდა, სისხლი გაუშრო, თავს მოვიკლავ შენთვისო. უორპო-



ლის კიდევ ერთი საყვარელი, ედი სედჯვიკი „წამალზე შევდა“ მას მერე, რაც უორჰოლმა მიატოვა (ბოლოს „გაიპარა“ კიდეც). ფრე-დი ჰერკო, როცა უორჰოლმა როლისთვის დაწინუა, ფინჯრიდან გადმოხტა. „ნეტა გა-ვეფრთხილებინეთ, ფირზე ალვბეჭდავდით ამ თვითმკვლელობას“ – გამოაცხადა ენდიმ.

ასეთი ცინიზმი თავადაც ძვირად დაუჯდა.

1968 წლის 5 ივნისს „ფაბრიკის“ კიდევ ერთ-მა ხშირმა სტუმარმა, ვალერი სოლანასმა რო-მელმაც ორი წლით ადრე მამაკაცების კასტრა-ციის მომხრეთა ასოციაცია დააარსა, დღისთ, მზისთ, ხალხით სავსე „ფაბრიკაში“ სამჯერ ესროლა ენდის. მერე მშვიდად გამოვიდა შენო-ბიდნ, იყიდა ვანილის ნაყინი და პოლიციელს უთხრა: „მე ენდი უორჰოლს ვესროლე“

ენდიმ ერთი წელი ინვალა. მაგრამ ამ დრო-საც თავს იკატუნებდა, რომ არაფრის სეშინიდა. ექიმებს ხელოვნურ სუნთქვაზე გადაჰყავდათ. ის კი ყვირდა, ნუ მიღუტუნებთ, მეცინება და მტკიფაო.

მაგრამ ახლა, როცა სარკესთან დგას და მუწუკებს ებრძის, უორჰოლი ამ ხალხს ალარ იხსენებს. იგი ლიზას კითხვამ ჩააფიქრა. მართ-ლაც, როგორ მოახერხა ამდენი ხალხის შემპა?

დედის აჩრდილის დახმარებით? შეიძლება.

დედა ხომ ერთი და იგივეს უმეორებდა, ნუ გაპრაზღვები შენს თანაკლასელებზე, აგრძნო-ბინე მათ, რომ არაფრით განსხვავდებით ერთ-მანეთისაგან. კი, შენ სხვანაირად მეტყველებ, სხვანაირი აქცენტი გაქვს. მაგრამ ამ პიტს-ბურგელ ბიჭებსაც ხომ აქვთ აქცენტი?

ასეც მოიქცა. ანჯერი ვარპოლამ ნიუ იორკში ჯერ გვარი გადაიკეთა, მერე დამის კლუბების მისამართები ამოიწერა და მტკიცე გადაწყვე-

ტილება მიიღო – არც ერთი „ფართი“ არ უნდა გამოტოვოს! მით უმეტეს, რომ ბავშვობიდან დამურა იყო. მოგვიანებით ფილმსაც გადაი-ლებს ვამპირზე, რომელიც მზის პირველი სხი-ვის მსხვერპლი ხდება.

სიბნელეში უფრო ადვილია წარმოადგინო თავი, როგორც ნივთი, როგორც საქონელი, „ლამით ყველა კატა რუხია“. ენდის სკეროდა, რომ ადამიანები, ისევე როგორც საკუნები, გა-მოხატვისენ მიისწრაფვიან. ყველა საგანს და ადამიანს სურს, რომ დაინახონ – წაიკითხონ, დაარეგისტრირონ, გადაიღონ, გაამრავლონ. ადამიანებს არ უყვართ ისინი, ვინც მათგან განსხვავდება. გამოდის, სამყაროში, სადაც განსხვავდა ნელ-ნელა ქრება, „არაფერი“ – ყველაზე იდეალურია, ყველაზე ლამაზია.

ამიტომაც უთხრა იმ უურნალისტ გოგოს, სარკეში როცა ვიყურები, სიცარიელეს ვხე-დავო.

დედამ ასწავლა იყოს ისეთი, როგორც ყვე-ლა. მერე კი, როცა სახელგანთქმული გახდა, როცა „სუპერვარსკვლავად“ მონათლეს, დედა დაივიწყა. მის დაკრძალვაზეც კი არ მივიდა. ხალხს არ უნდა დაენახა, როგორ ტიროდა ენდი უორჰოლი.

არადა, როგორ უყვართ ყურება? თვალიე-რება?

„ერთი მსახიობის გადალება სრულიად საკ-მარისია. რამდენიმე საათის გრძნავლობაში, ჩემი მსახიობი ეწევა, ზის, ჭამს, ძინავს. ეს იმი-ტომ გავაკეთე, რომ მივხვდი – კინოში ხალხი საყვარელი მსახიობის სანახავად დადის. პოდა, რატომ არ უნდა მივცეთ მაყურებელს ამის საშუალება?“

ასე ახსნა თავისი „ანტიფილმების“ სტილი – კინო ილუზიებისა და ალუზიების გარეშე,



სადაც ყველაფერი ჰიპერტექნიკისა და ჰიპე-რეფერენცის დონეზეა დაყვანილი. ამ სურათებში ჯო დ'ალესანდროც კი ნივთად აქცია. მერე ჯეინ ბირკინს მიადგა და სერუ გრიზბურგთან ერთად, უკვე სერებრივი განსხვავებაც „გა-აუქმ“ ფილმში „მიუკარხარ, მე კი – არა“. ჯო დ'ალესანდრო აქ ჩამოყალიბებული, რეალი-ზებული გეია. მაგრამ პატარა ჯეინი შეუყვარდება, ბიჭურად შეკრებილი თმებით. როგორც ქალს, „ვერაფერს უშვრება“. მაგრამ ჯეინი გადმოტრიალდება და ჯო აღმოჩენს, რომ ზურგიდან ყველა ერთნაირია – კაციც და ქა-ლიც. ჯეინს ეტკინება.



დეპერსონალიზებულმა
ფეხტიშმა უორპოლის
ნაწარმოებებში
საკრალიზაცია
განიცადა, რათა
მერე, პუბლიკის
ცნობიერებიდან
განდევნილიყო.
განადგურება -
გამრავლების გზით!
კათარზისი იყო ეს, აბა
რა?!



"სერუი ძალიან დელავდა, როცა უორპოლს
გადალებულ მასალას უჩვენებდა – წერს ბირ-
კინი – რამდენჯერმე გაიღდა კოდეც სამონტა-
ჟოდან. იცოდა, რომ უორპოლს სულ სხვა წარ-
მოდგენა პქონდა სიყვარულსა და სექსზე."

სერუ გინზბურგს, ეტყობა, გული უგრძნობ-
და. უორპოლი ეროტიკულმა სცენებმა გააცო-
ფა. რა არის ეს წივილ-კივილი? რატომ ტკენს?


"წარმოსახვითი სიყვარული ნამდვილ სი-
ყვარულზე ბევრად უკეთესია. ძლიერი ვნება
მაშინ იქმნება, როცა ორი არსება ერთმანეთს
არ ეხება," – ასე დაწერა თავის წიგნში, თავის
ნევროტულ ტექსტში, რომელიც თავიდან ბო-
ლომდე მოგონილ დალოგებზეა აგებული.

აი, ახლაც, სარკეში რომ იყურება და პარიკს
ისნორებს, ახალ ტექსტზე ფიქრობს. ვის გაეს-
აუბროს? იმ კალიფორნიელ გოგოს ხომ არა,
ჭურჭელს რომ ურეცხავს და კომენტარის გა-
რეშე აგროვებს "ფაბრიკის" იატაკზე დაყრილ
შპრიცებს?

მოსწონს ეს უემოციო გოგო. ეგ ნამდვილად
არ შეაწუხებს.

"როცა ვატყობ, რომ ვიღაც შეყვარებულია
ჩემზე, საშინლად ვნერვიულობ ხოლმე. პაე-
მანს როცა მინიშნავენ, ისე ვლელავ, რომ მოე-
ლი ჩემი სახელოსნო თან მიმყავს – მინიმუმ
ხუთი-ექვსი კაცი" – ახალ წიგნში, ლიზასთან
დიალოგში, ამ ფრაზას ისევ გაიმეორებს. ბო-
ლოს და ბოლოს ხომ უნდა შეიგნოს ამ ხალხმა,
რომ უორპოლი არ ცნობს კერძო საკუთრებას?
მაგრამ არათანმიმდევრულობაში რომ დას-
დონ ბრალი? როგორ უნდა აუხსნას თუნდაც
იგივე ჯეინ ბირკინს, რომისაა გულნრფელი
– როცა "ქალის ხმარების" წინააღმდეგ გამო-
დის, თუ მაშინ, როცა ამბობს, კარგია მხოლოდ
ის, რისი მოხმარებაც შეიძლებაო? ანდა მერე,
როცა მოკვდება, როცა მის ნივთებს ნახავენ –
ანტიკვარულ ავეჯს, ალორძინების ეპოქის სუ-
რათებს, ხომ იტყვიან უორპოლი გვატყუებდაო
– სუფის ქილებს აღმერთებდა; არადა, თურმე,

როგორ უნდა
აუხსნას თუნდაც
იგივე ჯეინ
ბირკინს, რომისაა
გულნრფელი –
როცა "ქალის
ხმარების"
წინააღმდეგ
გამოდის, თუ მაშინ,
როცა ამბობს,
კარგია მხოლოდ ის,
რისი მოხმარებაც
შეიძლებაო?





"როცა ვატყობ,
რომ ვიღაც
შეყვარებულია
ჩემზე, საშინლად
ვწერვიულობ
ხოლმე. პაქმანს
როცა მინიშნავენ,
ისე ვდელავ,
რომ მთელი ჩემი
სახელოსნო თან
მიმყავს..."

გაქნილი დეკადენტი და სწობი ყოფილაო?

რაც უნდათ, ის თქვან. სიმულაცია – მისი ხელოვნების არსია... და ამას უკვე ყველა მიხ-ვდა. განა თვითონაც არ იციან, რომ ხელო-ვნებას აღარ სჯერა თავისი თავის და სიმუ-ლაციად, დაცინვად იქცევა? განა თვითონ არ დაწერეს ენდი უორპოლის ნამუშევრებზე, ვერ იტყვი, რომ ადამიანის შექმნილია, უორპოლს გაქრობის, განადგურების იმპულსი ამოძრა-ვებს, ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ქვეყანაზე მისი კვალი არ დარჩესო?

ხელოვანი საზოგადოების მუნუკია. იგი ორივე ხელით უნდა მოჭყლიტო, სიოთხე გა-მოადინო და მერე კარგად დაიბანო ხელი, ამ ფაფისებრი მასის კვალი რომ გააქრო.

მაგრამ ენდის დაბანა ეზარება. დაე, ეს ლაქა

პარიკზე დარჩეს. 1987 წლის 22 თებერვალს, როცა ნალვლის ბუშტის ოპერაციის შემდეგ ძილში გაიპარება, სწორედ ამ პარიკს ჩა-მოაცვამენ...

მაკიაჟს ჰოლივუდიდან სპეციალურად ჩა-მოყვანილი მხატვარი გაუკეთებს. მუნუკებს დაუფარავს. ტუჩებს შეულებავს. ის სულელი ჟურნალისტი გოგო "ნიუ იორკ თაიმსში" და-ბეჭდავს ნეკროლოგს, რომელიც ასე მთავრ-დება: "უორპოლის საუკეთესო ნამუშევრი თავად უორპოლია".

კალიფორნიელი ლიზა დაკრძალვაზე არ მივა. შეეშინდება, რომ ცრემლს ვერ შეიკა-ვებს. ენდიმ ხომ ასწავლა – თუ გინდა, რომ გამოჩენილი გახდე, ხალხის ყურადღება არ უნდა მიიქციოო.



ძველი აცხობლები

ავტორი: ირა ყრუაზიშვილი
ფოტო: ნიკო გარიბაშვილი





ჩემი ძველი ეზო ამ გაუქმებული საფოსტო ყუთებით იწყება. კომპიუტერის ეპოქაში ნერილებს აღარავინ წერს და ფუნქციადაკარგული საფოსტო ყუთებიც და ეს “დატანჯული” კედელიც უბრალოდ მახსენებს – ძველ კეთილ დროს.

მეც მივატოვე ძველი ეზო რამდენიმე წლის წინ და საცხოვრებლად ნუცუპიძის ფერდობზე გადავედი (გავფართოვდით). არ იყო ადვილი ვიწროდ ცხოვრება ისევე, როგორც არ აღმოჩნდა ადვილი ფართოდ, მაგრამ უძველესი ისოდ ყოფნა.

უკვე მეშვიდე წელია ამ კორპუსში ვცხოვრობ და ისე რა ვიცნობ მეზობლებს, კანტი-კუნტად.

თეამ და თამუნამ (ჩემი მეზობლები არიან) სამშობიარო სახლის ერთ-ერთ პალატაში გაიცნეს ერთმანეთი (ორივეს ბიჭი შეეძინა). აღმოჩნდა, რომ ორივე მე-5 პლატოზე, მე-11 კორპუსში და, არც დაიჯერებთ – ორივე პირველ სართულზე ცხოვრობდა, ანუ კარის მეზობლები იყვნენ.

აბა ძველი თბილისი დაუშვებდა ამას?

ბიჭის დაბადების სიხარულს ერთი ეზო რას ეყოფოდა და მთელ უბანს წამში მოედებოდა.

ჩემი ცხოვრების მრავალი წელი ძველ თბილისში გავატარე და ხომ წარმოგიდენიათ, რამდენი რამ მხვდება, როცა აქ მონატრებული მოვდივარ: ჩემი და ჩემი უკვე გაზრდილი შვილების ბავშვობა, არაჩვეულებრივი მეზობლები (სულ ცოტა, შვიდი ეროვნების ხალხი ვცხოვრობდით და რაღაცა განსაკუთრებული ჩემი ერთადერთხელ მახსოვს, ისიც ქართველებმა დასცხეს ერთმანეთს), რა ვიცი, ყველა ქუჩა და შესახვევი, ყველა სახლი და აივანი; გამსკდარი გოგირდის წყლის მილიც კი ჩვენი ეზოს უკან – აივანზე ასე ნაცნობ და შეჩვეულ სუნს რომ აყენებდა, და კიდევ, სუვარული და ყურადღება რომ მომენატრება, აქ მოვდივარ. როგორ მხვდებიან? – სწორედ ამ მეზობლებზე გიყვებით.



ეს ჩემი ძველი მეზობლის,
როზას რძალია.
სილამაზისა და მშვენიერების
სურვილი სად არ ამოხეთქავს, თორებ
ამ გაყინულ წყალში, იანვრის თვეში
ეზოში რეცხავდე, თან მოსაცმელიც
და “ფერჩატყებიც” ჟოლოსფერი
გეცვას, გაპრანჭული, მომლოდინე
გოგოც ჟოლოსფერში გყავდეს
გამოწყობილი და ბოლოს და ბოლოს,
სარეცხი ტაშტიც იგივე ფერის –
უბრალოდ გასაოცარია!
ისე, სარეცხი მანქანა და
გაძლიერებული რეცხვის რეჟიმი ამ
სილამაზეს დიდხანს შეუნარჩუნებდა,
თანაც გული მიგრძნობს, ერთ სამ
შვილს კიდევ გააჩენს – ღმერთმა
გაუზარდოს!







ეს ჩვენი ქურთი ზინაა.

92-93 წლებში შუქი რომ გამოგვირთეს, გაზიც რომ არ გვქონდა და ძალიან დაბნეულებმა ეზოებში რომ დავიწყეთ ცეცხლის დანთება, სწორედ მაშინ, ზინამ სარდაფში “დენიკინის” დროინდელი ნავთქურა აღმოაჩინა. (თურქებს ჯერ არ ჰქონდათ გაკეთებულ-გამზადებული წითელი და მწვანე ნავთქურები ჩვენთვის). უნდა გენახათ, ყოველ დილას ზინას კარებზე ჩაიდნიანი მეზობლების რიგი. ვსვამდით ცხელ ჩაის და ხელოვნებისა რა მოგახსენოთ, ისე კი ცოტ-ცოტას ვთბებოდით და უკეთეს მომავალზე ვლაპარაკობდით.

ამ, სულ ცოტა, ასწლიან ლამაზ კიბეს ბევრი ცელქი ბიჭის არბენა-ჩარბენა და ჩამოკონწიალება ახსოვს. ჩემს ბიჭსაც დარჩა სახსოვარი ამ კიბისგან – პატარა “შრამი” შუბლზე.

გიორგი კი მყარად ვაჟკაცურად დგას.



ოლია ბებოს ხომ ამჩნევთ რა ლამაზია? ახალგაზრდობაში კი – ნუ იკითხავთ. ახლა ცივა. გაზაფხულზე, როგორც კი მზე გამოჩენდება, ოლია ბებო გადაათეთრებს ეზოს ქათქათა მატყლით, მიუჯდება წკეპლით და გაპენტავს. მისმა შეილებმა, შეილიშვილებმა აფუმფულებულ ლოგინში რომ დაიძინონ.

გიოს ადრე მარჩელოს ვეძახდით. მართალია გარეგნობით “სახედალრეჯილ მეციხოვნეს – ბოლმისგან” უფრო ჩამოგავს, ვიდრე მასტროიანის, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

გიო თემურ ბაბლუანმა “უძინართა მზეში” ეპიზოდურ როლში გადაიღო. მართალია, მისი ნალვანი მერე რეჟისორის მაკრატელს შეენირა, მაგრამ რა ვუყოფ მერე – მსახიობი ვერა, მაგრამ კარგი ბაბუა გახდა.





ამ სახლში ადრე ძია იოსეკა ცხოვრობდა. ებრაელი იყო და, ბუნებრივია, ყისმათი და ვაჭრობის ნიჭი თანდაყოლილი ჰქონდა.

იმ გაციებულ-გაქვავებულ კომუნისტურ დროში ისეთ საოცრებებს გააჩენდა, კაციშვილი ვერ იგებდა, როგორ და რანირად. მეზობლებთან – ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ვინ ვინ და ძია იოსეკამ ნამდვილად იცოდა მეზობლის ფასი. დროდადრო თითქმის ყველა ოჯახში გაჩნდებოდა ძია იოსეკას ჩამოტანილი ჩესური ბროლისა თუ ვენციური მინის ჭურჭელი. გვილამაზებდა ეს ჭურჭელი სახლებს მანამ, ვიდრე ძია იოსეკა მუშტარს არ იძოვიდა და არ მიჰყიდდა, მაგრამ მალევე სხვა ჭურჭლით შეგვიცვლიდა და ასე მუქთა მშვენიერებით ვტკბებოდით.

“ჩაშვებისა რა მოგახსენოთ – პირიქით, “დანაშაულის” თანამონაწილენი ვიყავით ყველანი.

ჯინსის “პლაშჩები” რომ შემოვიდა მოდაში, ერთი-ორი ძია იოსეკას გასაყიდი “პლაშჩი” ყველა მეზობელს გვეკიდა კარადაში. ჩვენს მეზობელ რეზოსთან ძია იოსეკამ მშვენიერი გოგონები მიიყანა “პლაშჩების” მოსაზომად. სწორედ მაშინ გაიცნეს ერთმანეთი რეზომ და მზიამ.

მოგვიანებთ კი მშვენიერი ოჯახი შექმნეს. ორი შვილი ჰყავთ და საცაა ბებია-ბაბუა გახდებიან. სწორედ მზიაა ამ ფოტოზე, მეზობელ მათანასთან ერთად.



ბულბულა შვილიშვილებს ზრდის, მისი მეუღლე ჰუსეინა კი ვერ მოესწრო ამ დროს. მოკვდა საწყალი.

ჰუსეინას სასმელი უყვარდა, ეს არ ჯდებოდა მისი რჯულის წესებში, მაგრამ არღვევდა – რა ექნა. სადღეგრძელოები კი უცნაური იცოდა. ყოველ შემთხვევაში, მე სხვაგან არ გამიგია – “ამ ჭიქით ტილიან თათრებს, კანტი-კუნტა ქართველებს და ხარა-ხურა სომხებს გაუმარჯოს”-ო, იტყოდა საწყალი და ყველანი – თათრებიც, ქართველებიც, სომხებიც დილინ-ლილინით ცლიდნენ ჭიქებს.

ერთხელ სიონში ვნახე. ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი. ჩემი გაოცებული სახის დანახვისას, თვითონვე უკითხავად მიპასუხა: “რა ვიცი, მაინც მგონია, რომ ღმერთი ერთია”-ო. თან, იმ ასაკში იყო, ბევრს რომ ფიქრობს ადამიანი. ისედაც ფიქრიანი კაცი იყო.

აცხონოს ღმერთმა.





ძველი თბილისის ქუჩებსა და ეზოებში ხეტიალი ერთი დიდი ბეჭნიერებაა. განსაკუთრებით, თუ ჩემისთან თანამგზავრები გყავთ – სილამაზეს დანახვამდე გრძნობენ. დროით ჩაჟანგულ ფერებზე – “ნახე, რა ფერია”-ო, ძველისძველი აგურის დაბზარულ კედელზე – “ვაა, რა ბუნებრივი სილამაზეა”-ო, ფუნქციადაკარგულ კარზე, რკინის ჩუქურთმები პირვანდელი სახით რომ შემორჩენია, ლევანბა – “რა მაგარია, ეს გუგას უნდა მოვაპარინო კოტეტიშვილს”-ო.

სანამ ცივა და სახლებიდან ცხვირის გამოყოფა გეზარებათ, ამ პროექტით გაიხსენეთ, რა ლამაზი ქალაქი გვაქვს და კიდევ, რამდენი ხანია ფეხით არ გიხეტიალიათ.

ფოტო-პროექტი ცოლისის ეზოები

ავტორი: ირა ყრუაშვილი
ფოტო: ნეკრ ტარიელაშვილი

ამ მზის ჩუქურთმების გამომყვან
ოსტატს არსად ეჩქარებოდა ან
უკეთესი რა უნდა ეკეთებინა?
თაობებს სილამაზე დაგვიტოვა.
სახლსაც კიბეები მკლავებივით
გაუშლია და ამ გარემოში
უნებურად ცოტათი უკეთესი ხარ,
ვიდრე საერთოდ და სხვაგან.









ფიროსმანისეული განწყობა ხომ
ივრძნობა? გგონია რომ ახლა, ამ ნუთში
მოლბერტი დაკეცა, ადგა და გავიდა.
ამ მაგიდას კი “გოჭი, მწვანილი და
ფრთიანი ორაგულები”, ნიკალას
შესანდობართან ერთად, როგორ
მოუხდებოდა!





ვინ იცის, ამ კიბეებმა ვინ არ
აატარ-ჩაატარა. ზოგი ალბათ რა ლამაზი იყო,
ზოგი რა კეთილი, მდიდარი, ღარიბი – რა ვიცი.
ვიცი მხოლოდ ის, რომ ეს უნდა გადარჩეს.
ასე ნება-ნება, ლამაზ-ლამაზი ასასვლელები
ყოველთვის დაგვჭირდება.









“ლამის სახლში
შემოიჭრას” და “ლამის
ნელზე შემომხვიოს ხელი”
— აქ ალარალერ შუაშია.
არავითარი “ლამის”.
ეს უკვე მოხდა.
საუკუნის წინ კი,
რკინისაგან ამ საოცარი
სილამაზის შემქმნელი
ოსტატი, რაღა თქმა უნდა,
ალარავის ალარ ახსოვს,
მაგრამ მე ზუსტად ვიცი
რას ფიქრობდა: მას
თქვენ (ე.ი. მომავალი)
უყვარდით.



რადიო თავისუფლება

ნარმათილიანი



ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა – ლეკვი, დალმატინელი. სალომეს აჩუქეს ზაფხულში. ისე, უკვე დროა, სალომეს თავად ჰყავდეს საკუთარი შვილები. ის კი ლეკვებს დააწონიალებს.

შევარქვით დეზი. სკოტ ფიცჯერალდის რომანის, „დიდი გეტსბის“ მომხიბვლელი ქალის – დეიზის ხათრითა და სუვარულით.

1 იანვარი, ორშაბათი

და აი, 2007-იც დადგა. მზიანი დღეა. პირველად ვწერ “2007”-ს. არა, მგონი, ადრეც მიხსენებია ეს წელი, მაგრამ 2007-ში “2007”-ს პირველად ვწერ. კარგი წელი უნდა გამოდგეს: შვიდიანით მთავრდება. კიდევ $2+0+0+7=9$. 9 შესანიშნავი რიცხვია. 7 და 9 ერთად დამამედებელია! ასეთია ჩემი მათემატიკა. ღმერთმა ქნას!

ამ დილით 8-ზე გავიღვიძე. ეკა ტალახაძის ზარს ველოდები პიკის საათიდან”. გუშინ ასე დავთქვით: ახალი წლის პირველივე “პიკის საათში” 2007 წელს მივულოცავთ რადიომსმენელებს. ცხრას რომ 10 აკლდა, ეკა დარეკა. ვისაუბრეთ, სოხუმი გავიხსენეთ, ქალაქელი კოლორიტები, სოხუმილი “მარადონა”; ვიზუმრეთ კიდეც. უმრავლესობას ძინავს ასეთ დროს, მაგრამ ვიცით – ზოგიერთები მაინც გვისმენენ – სამზარეულოებში, მანქანებში, სხვაგანაც. სწორედ მათ მივულოცავთ ახალ წელს და იმათაც, რომლებსაც ახლა სძინავთ.

გუშინ, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, ჩავრთე მობილური ტელეფონი და მეგობრებს დავურეკე. შევეცადე, მათთვის ახალი წლის მილოცვა დამესწრო. ბევრს დავასწარი, ბევრს – ვერა. ბოლოს ნაშეალამებს – 3 საათზე დამირეკეს. შემდეგ ჩამეძინა.

დილით გია სიამაშვილს ვესაუბრე. გია ჩემს მომცრო წიგნს თარგმნის რუსულად. თუმცა წიგნი ჯერ ქართულადაც არ გამოსულა. წიგნს ასე შევარქვი – “გასაუბრება 10 წლის დღიურთან”. მცირე დღიურია.

გურამ ოლიშარია

ლილურები

დღეს სახლიდან არ გავალ. არც ხვალ. ტრადიციულად ახალ წელს სახლში ვხვდები მეუღლესთან და ქალიშვილთან – ცისანასთან და სალომესთან ერთად. თუმცა, ეს ახალი წელი სხვაა: ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა – ლეკვი, დალმატინელი. სალომეს აჩუქეს ზაფხულში. ისე, უკვე დროა, სალომეს თავად ჰყავდეს საკუთარი შვილები. ის კი ლეკვებს დააწინიალებს. ლეკვი უკვე 7 თვისაა. შევარქვით დეზი. სკოტ ფიცეპრალდის რომანის, „დიდი გეტსბის“ მომხიბლელი ქალის – დეზის ხათრითა და სიყვარულით. ოღონდ ჩვენ – დეზი! დეზი იმიტომ, რომ, რომანის დეზიცით, ისიც არისტოკრატია.

ნაშადლევს ბადრი წერედიანი მირეკავს – ახალგაზრდა რეჟისორი, თემურ ჩხეიძის შეგირდი. თურმე ბატონი თემური თბილისშია, მე კი უკვე ჰეტერბურგში მეგონა და ვაპირებდი, იქ დამერეკა. ავად გამხდარა. ვურეკავ ბინაში. ბატონი თემური მეუბნება, რომ ვერ დასწრებია „ჯამბაზები“ პრემიერას. „როგორ უნდა ვიყო, წარმოგიდგენია, – ამბობს ის – მე რომ პრემიერას ვერ დაგვსწრები?“ თემურ ჩხეიძისნაირი ადამიანები თითოოროლანი თუ დადიან ამ ქვეყანაზე. ასეთი კაცები ავად არასდროს უნდა ხდებოდნენ და ძალიან დიდხანს ცოცხლობდნენ. ღმერთო, ხელი მოუმართო წელს თემურ ჩხეიძესა და მის მსგავსებს!

წუხელ, ზუსტად 12 საათზე, მე და ცისომ შავი ღვინით საეს ფუჭერები მივუწერიალეთ ერთმანეთს. სალომე მეგობრებთან ერთად შეხვდა 2007-ის შემობრძანებას. მგონი, სადღაც გიგანტური ხაჭაპურის თუ ისეთივე გიგანტური გოზინაყის რეგიონში. 12 საათი, როგორც თითქმის ყოველ ახალ წელს, ლამაზი იყო: ოთახში, როგორც ცისომ დათვალა, 14 სანთელი გვენთო, გიზგიზებდა ბუხარი. გარეთ იყო ფოიერვერკები და თოფების ბათქა-ბუთქი. ამ ელვა-გრიალში დეზი საშინლად დაგვიშინდა, საძინებელში სანოლს ქვეშ დაიმალა და გამოსვლა არ უნდოდა. ვეხვენეთ, ვევედრეთ, შევეცადეთ გაგვემხნევებინა, მაგრამ არ გვენდო, არ დატოვა თავისი „ციხე-სიმაგრე“. ცუდაა ჩვენი – ქართველების საქმე – როგორ არავინ გვენდობა? ახლა მათ რიგს დეზიც მიემატა. გრაფინია დეზი ვან ფონ დე დალმატინსკაია.

მოკლედ, დაინტ 2007 წელი!

პირველი კოსმოსელი კაცის არ იყოს – პირველი!



2 იანვარი, სამშაბათი

დღესაც გრძელდება მოსალოცი ზარები, მესიჯები. სახლში დავრჩები, მოუხედავად რამდენიმე მიპატიუებისა, არსად წავალ. სალომეც სახლშია. თურმე, მთანმინდაზე შეხვედრია ახალ წელს, განა საგონესო ხატაპურთან. ახალი წლის დღესასწაული ფილოსოფიურიცაა: აჯამებ წინა წლის დღეებს, რა იყო კარგი, რა იყო ცუდი, რისი გაკეთება შეგეძლო უკეთ, სულ რამდენი დღე დაგამასხვრდა 2006-ის 365-დან? გეგმავ ახალ, ამჯერად 2007-ს.

შარშან, როგორც იქნა, დავამთავრე ერთი წიგნის წერა. მეორე კი – მინი-რომანი, რომელიც ერთი წლის წინათ მოვნათლე კიდეც – „პრეზიდენტის კატა“ – ეს მერამდენე წელია, დაუმთავრებელი. გაზაფხულამდე უნდა მოვრჩე. პირობას ვდებ. ერთხელ კიდევ ვდებ ასეთ პირობას. მერე პირსის დაწერაც მინდა და კიდევ – ერთი წიგნის. აი, იმ წიგნის იმედი მაქვს ყველაზე მეტად. კიდევ ფამუქის წიგნები უნდა წავიკითხო – თურქი მწერლის ორპან ფამუქისა და ბრაზილიელი პაულო კოლიოსი. კიდევ ათასი სხვა წიგნიც. რამდენი ხანია, კარგი წიგნი არ წამიკითხავს.

მიორჩა, წელს დროს არ დავკარგავ სისულელეებზე! კეონომიურად გამოვიყენებ 2007-ს, გავუფრთხილდები დროს, როგორც უდაბნოს მგზავრი – წყალს.

დღესაც არაფერს ვკითხულობ, არც ვწერ. ვწევარ დარბაზში, ბუხართან, ხელში ტელევიზორის პულტი მიჭირავს. საახალწლო განმარტოება და ტელევიზორი – ესეც ჩემი

ტრადიციაა. გუშინ რამდენიმე ქართული არხი აჩვენებდა რაზანოვის „Ирония судьбы или с легким паром“-ს. რუსული არხებიც აჩვენებდნენ. ამ ფილმთან ერთად ვბერდები. კარგი ფილმია, მაგრამ... დღეს 50-იანი წლების „ყვავილი თოვლში“ ვნახე. მარტივი, მაგრამ თეთრი ფილმი, თოვლიანი. ბორჯომი, ბაკურიანი. ახალი ფილმიც აჩვენეს – იქაც თოვლი, ბაკურიანი, ცემი. ორივეს ბოლომდე ვუყურე. ალბათ, თოვლი მომენატრა.

ცისო ამ ახალ წელს კომპიუტერთან უფრო მეტ ხანს ფუსფუსებს, ვიდრე სამზარეულოში. ასე ჯობია. მეუბნება, ვინ მილოცავს, ვინ რას მწერს. მიხარია, რომ მოსალოც წერილებს შორის ხუთი წერილი სოხუმიდნაა. ჩემთვის ყველაზე ლამაზი და ყველაზე შორეული ქალაქიდან. აქედან ვხედავ კიდეც, როგორ ხვდებიან იქ ახალ წელს და გულით ვულოცავ ყველა სოხუმელს 2007-ს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებ ყველა სოხუმელს: ვინც იქ ცხოვრობდა, ვინც ცხოვრობს და ვინც იცხოვრებს მომავალში.

წერილებს დღეს არ ვუპასუხებ, არც ხვალ. შემდეგ კვირას „ავმუშავდები“. მანამდე კი, მოდი, ასე ვილივ-ლივ-ლივ-ებ.

დღეს ფეხობაა. ცისომ, როგორც ყოველ სისხამზე, დეზი ეზოში გაასეირნა. ჰოდა, დაბრუნებულზე დეზიმ გვიფეხა. დეზი ჩვენი ბროლიაცაა. აქვე უნდა აღვნიშნო: დეზის ფეხობის პირველი წუთი ცისოს აქტიური პედაგოგიკით აღინიშნა: „დეზი, ნუ ჭამ ამდენ კანფეტს!“

თავისუფლების დღიურები



საღამოჟამს დედაჩემმა დამირეკა: 31 დეკემბერს, ახალ წლამდე სამიოდე საათით ადრე, ჩვენი სიძე, გუგული მიმინოშვილი გარდაცვლილა – მამიდაშვილის ქმარი, წესიერი, პატიოსანი თბილისელი კაცი. ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორი იყო. შემდეგ? შემდეგ კი – ტაქსისტი. 59 წლის კაცს გული გაუჩერდა, სამუშაოდან მოსული აპაზანში შევიდა და... დედაჩემმა ასე მითხრა: არავის შეგვატყობინებს გუშინ მისი სიკვდილი, გაგვიფრთხილდნენ, არ უნდოდათ, ახალი წელი ჩაგვმნარებოდაო.

3 იანვარი, მოთხაბათი

დილით "Малахов+"-ს ვუყურე. მაღაბოვ-სა და ლენა პროკლოვას – ჩვენთვის კარგად ცნობილ ლარისა ივანოვნას. ჩემს ასაკში უკვე გულისურით უნდა მიადევნონ კაცმა გადაცემებს ჯანმრთელობაზე. ისე, სხვათა შორის მაინც.

შემდეგ "სტუდია-რე"-დან დამირეკეს მამუკა ყუფარაძემ და ხვიჩა ლაპაძემ. ყოჩაღ, "სტუდია-რე", უკვე მუშაობს, არც თავად ისვენებს, არც სხვებს ასვენებს. პირველი საათისთვის ხვიჩა ამოდის. ის წელს ჩვენი პირველი სტუმარია. ვსაუბრობთ, შავ დვინოს ვსვამთ. ხვიჩა წუხს – ერთი თვის წინათ კავკასიური ნაგაზი დაეკარგათ – ბომბორა, სამი წლის. დღესაც ეძებენ. თურმე, როცა აქებდნენ: ნახეთ, რა კარგი ბიჭია ბომბორაო, თათს თვალებზე იფარებდა, თითქოს

იმორცხვებდა. შემდეგ მე მახსენდება ომის ძალები. ძალის წელი უკვე დამთავრდა, ტახისა დაიწყო. ჩვენ კი ძალების ისტორიებს ვყვებით.

გარედან დროგამოშვებით ისმის სროლისა და აფეთქებების ხმები.

მერე ხვიჩა მიდის, უზივარ ტელევიზორთან, პულტს ვაწრიალებ. რა კარგია ხანდახან ტელევიზორი: სხვებს ჰგონიათ, თითქოს უყურებ, სინამდვილები კი ფიქრებით სულ სხვაგან ხარ.

რამდენიმე მეგობარი მირეკავს, სახლში მეტატიუება. უარს ვეუბნები. არც არავის ვპატიუებ სახლში. შეუძლოდ ვარ, მგონი, გაცივდი. ახალ წლამდე კი ხელი მტკიოდა. კიდევ – გადავიდალე შარშან. წელს ნაკლებად ტელევიზორის ყურება. და ნაკლებად დროის სულელურად ხარჯვა!

გუგული მიმინოშვილ ვიგონებ. უკანასკნელად ზაფხულში ვნახე. სამოცდაათი წლის კაცს ჰგავდა, საცოდავად გამოიყურებოდა. საერთოდ, ძალიან გულსევდიანი კაცი იყო. ყოველ წელს აყენებდა ღვინოს, ახარისხებდა და ნომრავდა N1, N2, N3. სამივე ღვინო კარგი ჰქონდა. N3 – "პატივსაცემი სტუმრებისთვის", N2 – "ძალიან პატივსაცემი სტუმრებისთვის", N1 კი – "განსაკუთრებული და ძალიან პატივსაცემი სტუმრებისთვის". უკვე, ალბათ, ოთხი წელია, რაც მასთან სტუმრად არ ვყოფილვარ. ვნანობ. ეს როგორ არა მაქვს დრო! და ეს რამოდენა ქალაქში ვცხოვრობ!

4 იანვარი, ხუთხაბათი

დილიდანვე მირეკავს მიხო ბეროშვილი, "კავკასიური სახლიდან". "კავკასიურიც" მუშაობს! ყოჩაღ! არც თავად ისვენებს, არც სხვებს ასვენებს. დავთქვით ასე: 8-ში ან 9-ში შევიკრიბებით: მიხო, მე და ხოსე – იგივე გია ალავიძე – და ვიმუშავებთ დოკუმენტურ ფილმზე. მიხო, ბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი შენთვის, თამრიკოსთვის, ბიჭისთვის. მერე ხოსეს ვურეკავ – ბედნიერი ყოფილიყოს!..

მიხო მეუბნება: "შენი წიგნი უნდა გამოვცეთ." – "რომელი წიგნი?" – "პატარა წიგნი გქონია რაღაც დღიური, გია სიამაშვილმა გვითხრა". აი, ძმობაც ამას ჰქვია, მიხო! აბა, მე სადა მაქვს წიგნის გამოსაცემი ფულა?

მერე კარგა ხნის უნახავი მწერალი მირეკავს. მეუბნება, რომ სიცივის გამო ტუჩები დაუსივდა, ყოფილა ასეთი ალერგიაც – სიცივის. ისე, ღამე, დილა-სალამოს ყინავს. დღეები მზიანია, როგორც წესიერ ყინვებს ეკადრება. ტელეფონით საუბრისას ტუჩებდასიებული მწერალი წარმოვიდგინე და გამეცინა. მანაც – გატყობ, კარგ ხასიათზე ხარ, კარგი წელი ყოფილიყოსო.

არადა, დღეს ტელეფონის დღეა, ხან მობილური რეკავს, ხან – ბინის ტელეფონი. გაუმარჯვოს იანვარს – პირველს, განუმეორებელს, მოკითხვებისა და მილოცვების, კაცთა გამაერთიანებელ, ყველაზე სატელეფონო-საიმეილო თვეს!

წერილებს ხვალ ვუპასუხებ.

ღამით ბუხრს ვანთებთ. დეზი რაც შეიძლება ახლოს წვება ცეცხლთან. უკვე შეეჩინა. როცა პირველად ნახა დანთებული ბუხარი, დიდხანს უყეფდა ცეცხლს, შეეშინდა. ასე ვართ ჩვენც – რაც უცხოა და უცნობი, მაშინავე უარყოფთ, ძველი და მიჩვეული კი კომფორტული რამაა. უარყოფთ ახალ აზრს, ახალი გადაწყვეტილებების შესაძლებლობებს, უარყოფთ ერთმანეთის მსოფლმხედველობასაც. სულ ასე ყეფა-ყეფით ჩავათავრეთ ძალლის წელი. ამიტომაც უფრო გაქვავდნენ და ლამის მარადიულები ხდებიან ჩვენი ძველი პრობლემები.

5 იანვარი, კარასკევი

დღეს მოიღრუბლა. სადღაც, ალბათ, თოვს, მაგრამ თბილისში – არა. სიამოვნებით წავიდოდი ბულაჩაურში, მაგრამ დრო არ მაქვს.

ზამთარიცა და ზაფხულიც სხვანაირია არა-გვის პირას, ვაჟა-ფშაველას მხარეში. ასეთ დროს, იანვარში, თითქმის ყოველთვის მახ-სენდება ვაჟას საახალწლო მოთხოვდები, ეთნოგრაფიული წერილები: როგორ იჭერენ თევზს არაგვში, როგორ ნადირობენ, როგორ ხვდებიან ახალ წელს...

დღეს ვაჟას წავიტხავ.

რამდენჯერ მიფიქრია იმაზე, რომ კულა გლდანელის გარდა არავინ დახმარებია ვა-ჟას. სარაჯიშვილის, ზუბალაშვილების, სხვა ქველმოქმედების დროს... არ დახმარებიან. არც ფიროსმანს. სადღაც წავიტხავ, დიდი ჩინოვნიკების შვილებს ემარტებოდნენ თურ-მე იმ დროს ხშირად. სასწავლებლად რომ მიდიოდნენ საზღვარგარეთ. ძალიან ბევრს სულ ტყუილად ახარვავდნენ ფულს.

ტელევიზორი გადმოსცემს, რომ ენგურთან სროლები ყოფილა. ერთი ქართველი ჯარისკა-ცი მოკლეს. გვარად შარია, მეორე – დაჭრეს. ასეა, უკვე საპოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ქრონიკულ, დროგამოშვებით ფეთქებად კონფლიქტად, რომელიც პერიოდულად შეინიავს ადამია-ნებს. მთავარია, შეაჩერო და არ დაიწყო ომი, თორემ მერე ის არ მთავრდება.

ტელევიზორი გადმოსცემს ინფორმაციებს ხანძრებზე, ავიაკატასტროფებზე, თვით-მფრინავის აფეთქებაზე, კონფლიქტების განახლებაზე... მოკლედ, დაიწყო 2007 წლის სისხლანი სტატიისტიკა.

ვწერ რამდენიმე წერილს და ვაგზავნი ელექტროფოსტიო.

მირეკავს მეგობარი. მესაუბრება “ჯეოსტარის” შარშან ჩატარებულ კონკურსზე. საინ-ტერესო მოსაზრებები აქვს. მეუბნება, კარგი იქნება, თუ გოგი გვახარია თავის გადაცემაში მოაწყობს დისკუსიას “თბილისი და რე-გიონები”. თბილისი მხოლოდ დედაქალაქია, თუ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიცაა? როგორია დღევანდელი თბილისი და თბი-ლისელი რეგიონში მცხოვრების თვალში და პირიქით. მართლაც ძალიან საინტერესოა და იქნებ როგორმე შევთავაზო ეს იდეა გოგის.

დამით ტელევიზორს ვუყურებ. ხან “კულ-ტურას”, ხანაც “MEZZO”-ს. მღერის შესანიშ-ნავი პლასიდო დომინგო. მღერის უშესანიშ-ნავესი ანა ნეტრებკო - ნიჭირი და ლამაზი უკრაინელი ახალგაზრდა მომღერალი, მის-თვის უსამართლოდ შეუფერებელი გვარით – ნეტრებკო. რატომ ერთხელაც არ აჩვენებენ

ჩვენი ტელეარხები ანა ნეტრებკოს? ან ამ საახალწლო გადაცემებში სად გაქრა ელე-განტური კლასიკა და რით ჩაანაცვლეს ის?

6 იანვარი, შაბათი

ნუცუბიძეზე დილიდან თოვს. უფრო სწო-რად, თოვლჭყაპია. კიდევ უფრო სწორად, დროგამოშვებით ცრს ცივი წვიმა. ჩემი ფანჯრიდან ნისლში წყნეთის გადათეთრებუ-ლი გორაკები მოჩანს.

სოხუმიდან მეგობარი მირეკავს. გაიხარე, დაურ!

კარგა ხანია გათენდა 2007-ის პირველი მოწყენილი დილა, მაგრამ ხალხს ჯერ კიდევ ძინავს, ქუჩაში ზარმაცად მოძრაობს თითო-ოროლა მანქანა. მართლმადიდებლური კა-

რა უსაზღვრო ნაღველს მაღავს სული ჩემი მეუფე, სულსაც აწვიმს როგორც ქალაქს, ანდა მის გარეუბნებს.

აწვიმს ქუჩას და სახურავს და შრიალით ავიგსე,

სევდა სულში ჩასახული უკრავს წვიმის კლავიშზე.

და მით უფრო არის მძაფრი უმიზეზო ნაღველი, არსაიდან რომ არაფრით არის ნაკარნახევი.



ლენდრით ხვალ შობაა, დღევანდელი ღამე შობისაა.

12 საათზე გასვენებაზე უნდა წავიდე. 3 საათის შემდეგ თამარ ჩიქოვანს უნდა და-ვურეკო.

ასეთ წვიმიან-თოვლიან დღეებში ჯერ კი-დევ სტუდენტობიდან, ძალიან ხშირად ძა-ლაუნებურად ამეცვიატება ხოლმე გივი გე-გეჭკორის მიერ თარგმნილი პოლ ვერლენის ლექსის სტრიქონები:

გიორგი გვარიშვილი 1988

ნაწილი მათეპვესები სისხლი და თასლი

"აი, დარდი!... თუკი გვახარიები და პეტრიაშვილები, საერთოდ, ქართველები, ერთმანეთს დაერევიან, თბილისი სომხებს დაგვრჩება!" – იხუმრა სერგო ფარაჯანოვმა, როცა კინოს სახლში გამართულ დუელზე უამბეს. უფრო სწორად, გვახარიას გაცნობა შესთავაზუს.

მაესტრო ოხუნჯობის ხასიათზე იყო – "აშუღ ყარიბის" გადაღება ყარაბალის კონფლიქტის დაწყებამდე მოასწრო. უფრო მეტიც, 88 წლის დასაწყიში ფილმის პრემიერა ბაქოში, თბილისა და ერევანში თითქმის ერთდროულად გამართა. "აშუღის" პირველი ჩვენების წინ, თბილისის კინოს სახლში, ფარაჯანოვმა განაცხადა, არაფერში არ ვარგიხართ, ქართველებო, ეს ქალაქი სომხებმა ავაშენეთო. მერე ერევანში წავიდა და სომხებს უთხრა, უნიჭობი ხართ, რომ არა ქარ-

დროშა ააფრიალა და ხალხი სომებთა დასასჯელად გაიყოლია. სუმბაითის ხოცვა-ულეტას სომხებმა შურისძიებით უპასუხეს. საბჭოთა ტელევიზიამ აღიარა, რომ ეს იყო კონფლიქტი "ნაციონალურ ნიადაგზე".

კავკასიური სისხლისღვრის ფონზე, თბილისელი სომხის მუსულმანური ზღაპარი "აშუღ ყარიბი" მეტისმეტად არაადეკვატურად აღიქმებოდა. ფილმის ორნამენტული პრიმიტივიზმი კინოს პიონერის, უორუ მელიესის კინოკადრების ასოციაციას უფრო ქმნიდა, გამოხატვადა სამყაროს სამყის მდგომარეობას, იმ სამყაროსი, რომელიც აქ განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე დღეს, როცა დედამიწა დაშლილია და დაქუცმაცებული. ფარაჯანოვის სამყაროს დაშლა და დანგრევა კი შეუძლებელია, რადგან ეს სამყარო საერთოდ არ არის ანუბილი.

"აშუღი" იყო სერგო ფარაჯანოვის უკანასკენი ცდა, კავკასიაში სისხლიღვრა შეეჩერებინა. მან ერთმანეთის გვერდით "მოათავსა" განსხვავებული კულტურები, ისე, როგორც ხალიჩაზე. და თითქოს იმის მტკიცება დაიწყო, რომ შეხება ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე შექრა... შეხების ეროტიკა განსაკუთრებულია, რადგან აქ არავინ არავის არ ამცირებს. უფრო სწორად, არავინ იღებს სიამორებას სხვისი დამცირებით და არავის სიამორებს დამცირებულის როლში ყოფნა. "აშუღი" ამ მხრივაც ევროცენტრიზმის თავისებური გამოწვევა გახდა. ყველაფერი ეს – ევროცენტრი "არტნეისრიგი", მთავარითა

და მეორეხარისხოვანით, მაღალითა და მდაბალით და "მენტალური წესრიგი", პრინციპით – ვიღაც მართავს, ვიღაც კი მართულია, ფარაჯანოვისთვის სრულიად მიუღებელია. იგი უსამშობლო, უსახლვარო, ობოლი აშუღია. მისთვის დრო არ არსებობს. მისი სამშობლო – ადრეისტორიულ ეპოქაშია, როცა ჯერ კიდევ ქაოსი სუფევდა, როცა სული და სხეული ერთმანეთისგან არ გამოყოფილა, არც ფერი, არც სინათლე, არც ჩრდილი.

ჰოდა, სულერთი არ იყო ასეთი კაცისთვის, სად გაატარებდა დარჩენილ ცხოვრებას – თბილისში, ბაქოში, კიევში, მოსკოვში, თუ ციხეში?

ფარაჯანოვი პაზოლინის კავკასიელი ტყუპისცალი
იყო. „ოილიკოსი“, „დეკამერონი“ და განსაკუთრებული
„მელეა“ პირდაპირ ქმნილა ფარაჯანოვის
„ალერისტორიული ვებების“ ასოციაციას.
**გვარენებლა სამყაროს, სადაც დომინანტი ჯერ
არ ჩამოყალიბებულა – არც რალიგის, არც
მაცნეორების, არც კულტურის სახით...**

თველები, რა გეშველებოდათო... და ბოლოს, ბაქოს ესტუმრა და აქაურებიც გალანძდა – რა გჭირთ, რატომ ვერ ელევით ამ ყარაბალსო.

კინემატოგრაფისტებმა თბილისში, ერევანსა და ბაქოში ბევრი იცინეს და მაესტროს სულ "ბრავო", "ბრავო" უძახეს.

მაგრამ სამყაროს ბედს, სამწუხაროდ, კინემატოგრაფისტები არ წყვეტენ. თებერვალში ყარაბალელმა სომხებმა სტეფანავერტის ლენინის მოედანზე დიდი მიტინგი მოაწყვეს და აზერბაიჯანის შემადგენლობიდან ყარაბალის გამოსვლა მოითხოვეს. 27 თებერვალს, სუმგაითში, აქაურმა ქალაქომის თავმჯდომარემ აზერბაიჯანის



ფოტო: იანი მარიონი

ცრემლიანი სათვალი

ციხიდან რომ გამოვიდა, სამოთხიდან გამოძევებულს ჰგავდა. როცა ”სურამის ციხე“ მოსკოვში უმტკივნეულოდ ჩაიბარეს, გაბრაზებულა, ცუდი კანო გადამილიაო, ხოლო როცა 88 წლის გაზაფხულზე, პარიზში, პომპიდუს ცენტრში ქართული ფილმების ფესტივალზე მონანილეობის უფლება მისცეს, ერთი ბარაქინად დაამთქარა და თავის ქურთ მეზობელს, იურა მგრიანს შესძახა, გაიხარებიქო, ფრანსუაზა საგანს გაგაცნობო (იურა აშულის როლს თამაშობს ფილმში).

გაცნობაზე გამახსენდა. როგორც კი დელეგაციის შემადგენლობა დაზუსტდა, ჩემი დისერტაციის ოპონენტმა, ირა ძუცევამ მაესტროს უთხრა, შენთან ერთად, პარიზში გვახარია მოდის, ის ბიჭი, შენს გამო რომ ცემეს, არ გინდა გაგაცნოვ?

დაუმოქანარებია და სწორედ მაშინ უთქვამს, თუ უნდათ, დაუხოციათ ერთმანეთი ქართველებს, რა ჩემი საქმეა.

ჰო, ასე მოხდა, რომ შეიდგაციან დელეგაციაში ჩამოთხეს. ფარაჯანოვისგან განსხვავებით, დავამოქანარე კი არა, მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გავიგე, სიარულის მანერაც კი შემეცვალა... ზამთარში, როცა პომპიდუს ცენტრის გამომცემლობა დათანხმდა ქართული კინოსადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემასა და ”ბობურში“ ასი ქართული ფილმის სამთვიან ჩვენებაზე, პარიზიდან შეტყობინება მიეღიდე. შემოდგომაზე საფრანგეთში! სიარულის მაგივრად, ფრენა დავიწყე. და არა მარტო იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი პირველი გასვლა ”კაპიტალისტური“ ქვეყანაში (ამ სიტყვას, ”კაპიტალისტური“ ყოველთვის ბრჭყალებში ვსვამ). მთავარი მაინც საფრანგეთი იყო – ”La douce France“, ”ტყბილი საფრანგეთი“, რომელმაც ჩემი პოროსკობის თუ ფრანგულის სომეხი მასნავლებლის ხელშეწყობით, თავადაც სამრეკლოზე შემჯდარ მამლად მაქცია. ჰო, ჰო, იმ მამლად, ჯერ ხმა რომ აყოლა სამრეკლოს ზარებს, მერე კი, ამ ყიყლიყოყიყლიყოში მადა მოუვიდა და გადაწყვიტა თავად გამხდარიყო ხალხის გამომღვიძებელ-გამომფხილებელი.

ეს ფრანგული მამალი, ქვეყნის სიმბოლო, რომელმაც სამყაროს მზის ამოსვლა უნდა ამცნოს, პირველ რიგში მზის სისტემის ასოციაციას ქმნის. მზის გარშემო ტრიალზე აგებულია ქვეყნის სტრუქტურა და ამ ხალხის მენტალიტეტიცი. ოკეანის ნაპირზე გაშლილი საფრანგეთი ვერა და ვერ იქცა ”მეზღვაურების ქვეყნად“, როგორც, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი. საფრანგეთი ცენტრისკენა მიმართული. აქ ყველა პარიზში გარბის. მთელი მსოფლიო გარბის პარიზში.

თავად პარიზია წერტილი, რომლის გარშემო დედამიწა არ ტრიალებს, მაგრამ ის ყველაფერი კი ტრიალებს, რასაც ”კულტურა“ ჰქვია.

კულტურა კი თავადაც სამრეკლოზე აფოქებულ მამალს ჰგავს – უხეშად, უზრდელად, ზოგჯერ, უპრალოდ, უსინდისოდ ერევა იმის საქმეში, ვინც შექმნა ეს სამყარო; ”მე მაინც შევძლებ ამ ხალხის გაკეთილმობილებას, მაინც გავანათებ წყვდიადს, მაინც გადავაქცევ დედამიწას სამოთხის ბალად!“ – აჩემებული აქვს ამ ფრანგული მამალიყით.

”ადამიანი – ბუნებით კეთილია!“ – გვიმტკიცებდა რუსო. ეს თქვა და თანასწორობის იდეალიზაციაც დარწყო. ”მამლის კულტურამ“ შექმნა საზოგადოება, რომელიც არ ცნობს ზეადამიანებს (გერმანელებისგან განსხვავებით), რომლისთვისაც სოციოცხლე უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია, ვიდრე ყველაფერი, რაც ”ღრუბლებში“ ხდება; რომელიც მზადა სისხლი დაღვაროს, გილიოტინაზე გაუშვას მტერი, ოლონდაც ”ქმნისა და თანასწორობის“ იდეა როგორმე შეინარჩუნოს.

ჰო, სწორედ გილიოტინა ახსენა სერგო ფარაჯანოვმა, როგორც კი პარიზში დადგა ფეხი.

”ამათ პირიდან ერთი პამბურგერი რომ გამოგლიჯო, ეგრევე რევოლუცია დაიწყება“ – ეს თქვა და ისევ საყვარელ თემაზე გადავიდა – მოსკოვის მაღაზიების დაცარიელებულ ვიტრინებზე დაიწყო ლაპარაკი.

მაესტრო ცუდ ხასიათზე იყო. მოსკოვში აშულის როლის შემსრულებლისთვის საზღვარგარეთული პასპორტის გაცემაზე მოულოდნელად უარი უთხრეს. არადა, მოსკოვამდე მგზავრობისას ტვინი გაგვიძურლა – ნახავთ, რა მოუვათ ფრანგებს, იურას რომ დაინახავენო... ჩემი იურა ხომ ახალი პელმუტ ბერგერიაო.

ფრანგები ზომიერებაზე კარგავენ ჟკუს.

ფარაჯანოვს კი ყველაფერი შეიძლება

დააბრალოს კასმა, ზომიერების ბარლა.

ამ ბამოუსემორებელი ნარცისის ფილმები

კლასტიკური სიმღიღილი, კლასტიკური სისხლე,

კირველ რიზში, „კულტურული ხალხის“

გალიზიანებას ემსახურება.

ოხუნჯობდა და ფრანგული მამლისა არ იყოს, ყველას ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. როცა არ გამოსდიოდა, იძულებული იყო, პროვოკაციაზე გადასულიყო.

მოსკოვის აეროპორტიდან სასტუმროში მიმავალ გზაზე, ვერაფრით შემოყვანა კონტაქტში ტაქსის მძღოლი. ხან პარიზში ელაპარაკა, თავის მეგობრებზე, ფრანსუაზა საგანსა და ივ სენ ლორანზე უამბო (ტრაბახობდა, აეროპორტში დამხვდებიანო), ხან ნინა ანდრეევა აშაყირა (ამ ანდრეევამ ”პრავდაში“ წერილი გამოაქვეყნა, სათავრით ”ჩემს პრინციპებს არ დავთმობ“, რომელშიც გორბაჩინის წინააღმდეგ გაილაშქრა. იმხანად ეს სტატია ”პერესტროიკაზე“ თავდასხმად აღიქვეს) ... არა და არა. ტაქსის მძღოლი ხმას არ იღებდა. უკან მხოლოდ მაშინ მოტრიალდა, როცა ფრანგანოვმა უთხრა, ვერ იცანი, ბიჭი? მანქანაში ყველაზე ლამაზი ქალი, ლიკა ქავუარძე გიზისო.

მოტრიალდა და დაამთქანა.

მაესტრო, ცხადია, ამას ვერ გადაიტანდა:

– ”Ты знаешь кто я? Я Сережа Параджанов!“

– ”Не знаю такого.“

ასეთმა პასუხმა საერთოდ გააცილა.

”Я в тюреме сидел. Знаешь за что? За мужеложство!“

ამის მერე მძღოლმა კიდევ ერთხელ გამოიხედა უკან და უფრო ყურადღებით შეგვათვალიერა. ვერაფრით გაეგო, რატომ ვიცინოდით.

– ”ახვარია. ეტყობა, ”ლაზურნით“ გაივსო მუცელი!“ – განმარტა ფრანგანოვმა.

”ლაზურნი“ – გადამდნარი ყველის სახელია. მოსკოვის გასტრონომების, მათ შორის ყველაზე გრანდიოზული მაღაზიის, ბროლის ჭაღებით მორთული ”ელისეევსკის“ ვიტრინები სწორედ ამ ”ლაზურნით“ იყო გაფორმებული. ოცდაათგაბივისი ყველის მინიატურული კოლოფებისგან სხვადასხვა სახის კონსტრუქციები ააგეს – პირამიდები, სამკუთხედები... 88 წელს საბჭოთა პროლეტარიატი ”ლაზურნის“ ჭამაზე გადავიდა... უმუშევარი მანანალასავით პაზოლი-



ცრემლიანი სათვალი

ნის ფილმში "ცხვრის ყველი". ხომ გახსოვთ? იმდენი ყველი შეჭამა მოშეიქმულმა, რომ ჯვარზე განუტევა სული.

ფარაჯანოვი პაზოლინის კავკასიელი ტყუპისცალი იყო. "ოიდი-პოსი", "დეკამერონი" და განსაკუთრებით "მედეა" პირდაპირ ქმნიდა ფარაჯანოვის "ადრესტორიული ვეტერინარიუმი" ასოციაციას. გვაგონებდა სამყაროს, სადაც დომინანტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა – არც რელიგიის, არც მეცნიერების, არც კულტურის სახით, სადაც არ იციან, რას ნიშანავს "მორალი"... და არა იმიტომ, რომ ამორალური არიან... უბრალოდ, არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ასეთი მხატვრების ადგილი გამოქვაბულშია. რა უნდა აკეთონ მათ გაპრანჭულ პარიზში, სადაც კულტურის (ე.ი. მორალის?) დომინანტური როლი ცხოვრების ყველა სფეროში წარმოჩნდება – პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ყიდვა-გაყიდვის რიტუალში, სექსში...

ჭამაშიც კი. სიტყვას "გემოვნება" აქ აღბათ ყველაზე ხშირად იმეორებენ, ისევე როგორც სიტყვას "Trop"... რაც მეტისმეტს, "ნამეტანს" ნიშანავს. ამ სიტყვას ფრანგები ყოველთვის უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ.

ფრანგები ზომიერებაზე კარგავენ ჭკუას. ფარაჯანოვს კი ყველაფერი შეიძლება დაბრალოს კაცმა, ზომიერების გარდა. ამ გამოუსწორებული ნარცისის ფილმებში პლასტიკური სიმდიდრე,

ბრეჟნევს, რომ ლენინურ პრემიას უკან დაუბრუნებდა, თუკი ფარაჯანოვს არ გაათვალისწილებდნენ.

მაგრამ მაესტროს დიდად არ ანალიზებდა ეს ხალხი. "L'Humanite"-ს მაშინდელ რედაქტორს ჩემს თვალწინ ეხვეწებოდა, მაგარი ქურქი მაქვს ჩამოტნილი, იქნებ შენს ცოლს უყიდოო. როცა კომუნისტური გაზეთის შეფმა უარი უთხრა, ფარაჯანოვი დაემუქრა, პოდა, არ მოვალ თქვენს ბანკეტზე, უწემოდ ჩაატარეთო. თუმცა მაინც მივიდა. ფრანგებს მადლობა გადაუხადა, მერე კი "დევნილი გენიოსისთვის" (როგორც აქ აღინიშნა) საგანგებოდ მოწყობილ კოქტეილზე ისევ ვაჭრობა დაწყო, სათითაოდ მიმართავდა ყველას, მაგარი ქურქი მაქვს, იქნებ თქვენს ცოლს, ან საყვარელს შეუძინოთო.

მაგრამ გაფხევილ ფრანგ კომუნისტებს "ნორკის შუბის" ფული ვინ აღირსა?! ისევ მდიდრებს, ივ სენ ლორანსა და ფრანსუაზა საგანს უნდა ეყოჩალათ. მოგვიანებით გამოირკვა, რომ მათაც ზრდილობიანი უარი უთხრეს. სენ ლორანმა ეტყობა იფიქრა, ძალიან უჭირსო და ძველმანებით სავსე უზარმაზარი ტომარა გამოუგზავნა.

ბოლოს და ბოლოს, ეს ძველმანებიც და ის ქურქიც მაესტრომ ფესტივალზე დასაქმებულ გოგოებს აჩქუა.

ქართველებს ფარაჯანოვის საქციელი, რა თქმა უნდა, აღიზიანებდათ. ვიღაცამ ისიც თქვა, ეგ ხელოვანი კი არა, სპეცულანტია.

ბუნებრივია, კოლეგებს შურდათ მისი. მათ ადგილს, მეც მეწყინებოდა, როცა ფესტივალის გახსნაზე, პოპიდუს ცენტრთან ფარაჯანოვის ავტოგრაფისთვის შეგროვილ ბრბოს დავინახავდი; გული დამწყდებოდა, რომ ქართული ფილმების სამთვიანი რეტროსპექტივა არა ჩემი ფილმით, არამედ "აშულით" დაიწყება.

მაგრამ არ შემშურდებოდა. ყველაფერი, მაგრამ შერი ნამდვილად არ მახასიათებს. ასეთ ვითარებაში ყოფნა ხომ ნებისმიერი ხელოვანისთვის "მადლია". სწორედ ასეთმა ვითარებამ შეიძლება შეახსენოს ყველას, რომ ტკივილი, შეურაცხყოფა, ცილისნამება, ახლობლების ლალატი, მარტოობა – მხატვრის ცხოვრების ნაწილია. თუკი ეს გზა არ გაიარებას ვერასდროს ეღირსები.

ბრბო კი ყველგან ბრბო. დღეს ქვებს გესვრის, ხვალ, შეიძლება ავტოგრაფი გთხოვოს და სიყვარული აგიხსნას.

მაგრამ ფარაჯანოვს პომპიდუს ცენტრთან შეგროვილი თაყვანისმცემები, მგონი, დიდად არც ანალიტებდა. სცენაზე როცა გამოგვიყვანეს, ლიკა ქავეურაძე სიხარულისგან ატირდა, ნანა მჭედლიძეს, გულწრფელობისა და არტისტიზმის ერთიანობის ამ განსახიერებას, ბედნიერებისგან ენა ჩაუვარდა, მე ხომ, საერთოდ, ორი სიტყვა ვერ გადავბი ფრანგულად. მაესტრო კი სევდიანი და ოდნავ დამცინავი მზერით შეცეკრდა დარბაზს. აღბათ, ისევ და ისევ იმ "შუბაზე" ფიქრობდა, ამხელა გზა რომ ათრია და ვერ გაასაღა. არ ვიცი, რა თავში სახლელად ჭირდებოდა ფული? საჩუქრები უნდა ეყიდა მეზობელებისთვის? იურასთვის, რომელიც კაგებემ არ გამოუშვა, ან თუნდაც თავისი მუზისთვის, ლელა ალიბეგაშვილისთვის, რომელსაც "თბილისელ სილვანა მანგანოს" ეძახდა? შესაძლებელია ქურქის გაყიდვის სურვილი, უბრალოდ, აზარტი იყო, ბუნდოვანი ვნება, რომელიც არაერთი ხელოვანის ცხოვრებაში გამოვლენილა სხვადასხვა სახით – ვიღაც ბანქოს თამაშობდა, ვიღაც პატარა გოგოებსა და ბიჭებს დასდევდა, ვიღაც ოპიუმს ეტანებოდა.

ფარაჯანოვმა ყიდვა-გაყიდვის რიტუალი აირჩია. ვაჭრობა მისოთვის კონტაქტის, ურთიერთობის საშუალება გახდა.

"რა გაინტერესებს, ხუჭუჭა ბიჭო? როგორ უნდა გაერთო პარიზ-

მასტერო კი სევდიანი და ოდნავ დამსიცავი მზერით შესერიდა დარბაზს. ალბათ, ისევ და ისევ იმ „შუბაზე“ ფიქრობდა, ამხელა გზა რომ ათრია და ვერ გაასაღა. არ ვიცი, რა თავში სახლელად ჭირდებოდა ფული? საჩუქრები უნდა ეყიდა მაზობელებისთვის? ან თუნდაც თავისი მუზისთვის, ლელა ალიბეგაშვილისთვის?

პლასტიკური სიხარბე, პირველ რიგში, "კულტურული ხალხის" გაღიზიანებას ემსახურება.

პარიზში მაესტრო ინსულინის ფლაკონებით ჩავიდა. დიაბეტი – გაუმაძლარი ხელოვანისთვის ცხოვრების ტვირთი გახდა. არადა, ნემსის გაკეთებაც კი არ იცოდა. ლათინური კვარტალის სასტუმროში, სადაც ფრანგებმა შეგვასახლეს, ხან ვინ და ხან ვინ უკეთებდა ნემსს.

მასპანძლებმა შემოგვთავაზეს, თუ გნებავთ "დაგანყვილებთ" და სასტუმროსთვის გამოყოფილ დარჩენილ თანახას ხელზე მოგცემთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. ათასი ფრანკი მთელი ქონება იყო ჩვენთვის. მე ელდარ შენგელაიასთან შემასახლეს. ამერიკიდან ახალი ჩამოსული იყო. დღე და ღამე არეული ჰქონდა. ღამ-ღამობით აბაზანაში შედიოდა და იქ კითხულობდა, სინათლეს რომ არ შევენუხებინე.

ფარაჯანოვისთვის ეს ორი ხუთასურანკანი კუპურა, ცხადია, არაფერი იყო. ინსულინის ფლაკონების გარდა, მისი ოთახი გავსებული იყო თბილისში ნაყიდი ძველმანებით, ხალიჩებით, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით, რომლის გადმოტანა კონტრაბანდად ითვლებოდა. ყველაფერი ეს 7 დღეში უნდა გაეყიდა!

სასტუმრო დილიდან მისი თაყვანისმცემლებით ივსებოდა. ასეთი ბევრი იყო – მაესტროს გათავისუფლებისთვის თავის დროზე ხომ სწორედ ფრანგებმა იაქტიურეს. ლუი არაგონი დაემუქრა კიდეც



ცრემლიანი სათვალი

ში?" – მკითხა ფესტივალის გახსნის შემდეგ. ცოტა დავიბენი. როგორ თუ რა მაინტერესებს პარიზში?

"ბაზრობა გაინტერესებს? შმოტკები? რესტორნები? გოგოები? გინდა ფრანსუაზა საგანი გაგაცნო?"

იმდენი ვიჩერებ მხრები, რომ ხელი ჩაიქნა. დიდი ურჯულო ბიჭი ხარო, მითხრა და იმ შვიდ დღეში მხოლოდ ერთხელ დამიძახა, რაღაც ვერა ვარ კარგად, ჩემი მფარველი ანგელოზი, ლიკა ქავუარაძე სასტუმროში არ არის, იქნებ მაღაზიდინ ჯემი ან კომპოტი მომიტანო.

ვიცოდი, რომ მისთვის ტებილეული არ შეიძლებოდა. მაგრამ წინააღმდეგობას როგორ გავუწევდა. ჯემები რომ მივუტანე, ეგრევე ფულის ძებნა დაიწყო... არადა, ფული უკვე საკმარისი მქონდა – მასპინძლებმა 3 თვით გამიგრძელეს აქ ყოფნა. საფრანგეთში დიდი მოგზაურობა და ლექციები მელოდა. ჰოსტორის ნაწილი წინასწარ მომცეს.

ფულზე უარი რომ ვუთხარი, ძველმანებში ქექვა დაიწყო. მერე გაახსენდა, ა... შენ ხომ შმოტკები არ გაინტერესებსო. მაგიდაზე ქართული ფილმების რეტროსპექტივის პლაკატი ედო – ნატო ვაჩინაძე, ვარდით! აბსოლუტური კიტჩი, რომლის ავტორი თავადიყო. ამას ავილებ-მეთქი, ვუთხარი. პასუხი არ გამტა. ტელევიზორის გადართვა დაიწყო და მთელი ქილა ჯემი შესანსლა. პარიზზე ვკითხე, მოგწონთ-მეთქი? არა, ძალიან მომწყინდა, თბილისში მინდა.

აშკარად ეზარებოდა ლაპარაკი.

წლის ბოლოს, თბილისში როცა დავბრუნდი, რამდენჯერმე ვესტუმრე ფრანგებთან ერთად. ვერ ვიტყვი, რომ ფრენა-ფრენით ავდიოდი მასთან, კოტე მესხის ქუჩაზე. მისი სახლი ყველთვის სავსე იყო სწობებით, რომლებიც აიძულებდნენ ერთი და იგივე ელაპარაკა. ამ ხალხთან ურთიერთობამ, ეტყობა, სრულიად დაუკარგა დიალოგში შესვლის უნარი. სავარძელში იჯდა, ტკბილ ჩაის სვამდა და ხალხს აცინებდა.

ეს უკვე სულ სხვა ფარაჯანოვი იყო – კლოუნი, რომელიც მისი კიდევ ერთი კერპის, ფედერიკო ფელინის გვიანდელი ფილმების გმირს ჰეგვდა. მაგრამ მე არც კლოუნები მიტაცებდა არასდროს, არც ცირკი და არც გვიანდელი ფელინი. სწორედ თბილისში მივხვდი, რატომ მოსწყინდა ასე საფრანგეთში. ჩემს საფრანგეთში. ეს არ იყო მისი ქვეყანა, მისი ესთეტიკა. მაესტრო უხერხულად გრძნობდა თავს ამ წერილბურჟუაზიული ზრდილობისა და ზომიერების გარემოში. ისე, როგორც ზოგიერთი ფრანგი – მარკიზ დე სადი, უან უენე, სარტრი, კამიუ, სერუ გინზბურგი... რა ვიცი, რა ჩამოთვლის ამ კარგ ხალხს.

ორი წლის შემდეგ, როცა სერგო ფარაჯანოვის სიკვდილის ამბავი გვიყიგე, უცბად გვავაზრე, რომ სწობი მე ვიყავი და არა ის უბრალო ხალხი, დღესა და დამეს რომ ატარებდა მის სახლში, კოტე მესხის ქუჩაზე. ასეთი ადამიანის სიკვდილმა შეიძლება არამარტო დანაშაულის გრძნობა გაგიღვიძოს, არამედ გული დაგნევიტოს – რატომ არ ვიყავი მის გვერდით, რატომ არ გავაკეთე ჩანაწერები, რატომ არ ველაპარაკე კინოზე, რეჟისურაზე, სილამაზეზე, კავკასიაზე?

სერგო ფარაჯანოვი არასდროს ყოფილა „ჩემი რეჟისორი“. არც ხალიჩები მიყვარდა არასდროს, არც თოვჯინები, არც ძველმანები. მაგრამ არაერთხელ დავწერე უკვე – ის, რაც „შენი“ არ არის, უფრო საინტერესოა, უფრო მიმზიდველი. ყველა სწობი ასე ფიქრობს – ყველა, ვისთვისაც დედამინა ერთი ცენტრის გარშემო ტრიალებს და ამ ცენტრს „კულტურა“ ჰქვია.

საფრანგეთში მოგზაურობისას, როცა სამ თვეში თითქმის 30 ფრანგული სოფელი და ქალაქი შემოვიარე, არაერთხელ დავფიქრე-

ბულვარ, რატომ უყვარდათ ფრანგებს ფარაჯანოვი? რატომ აიტაცეს ასე, რატომ იპრძოლეს მისი გათავისუფლებისათვის? როგორ შეიძლებოდა, ხალხს, რომელიც ყოველთვის აღმერთებდა სიზუსტე-სა და კონკრეტიკას, მონონებოდა ფარაჯანოვის აბსტრაქტულ-სტატიკური სახეები? ხალხს, რომელმაც სივრცეს, მზეს, სიცოცხლის თესლს არაერთი შედევრი მიუძღვნა, შეყვარებოდა მასტრო ფარაჯანოვის ბუტაფორიული სამყარო, უსიცოცხლო თოვჯინები და სიკვდილის ნიღბები?

პასუხს მხოლოდ ორი წლის შემდეგ მივაგენი, როცა ერევნიდან სერგო ფარაჯანოვის გარდაცვალების ამბავი მოვიდა.

90 წელს საქართველოს ფარაჯანოვისთვის აღარ ეცლება. საქართველოში მხოლოდ „ჩენიანებს“ დააფასებდნა. უსახლებარ და ობოლ აშენებს კი „ურჯულოებად“ გამოაცხადებენ. ამასობაში სომხები სერგო ფარაჯანოვის ნივთების, თოვჯინების, კოლაჟების შეგროვე-

სერგო ფარაჯანოვი არასდროს ყოფილა „ჩემი რეჟისორი“. არც ხალიჩები მიყვარდა არასდროს, არც თოვჯინები, არც ძველმანები. მაგრამ, ის, რაც „შენი“ არ არის, უფრო საინტერესოა, უფრო მიმზიდვებით ასახულსახელით, „ჩემით“ იწყება. უნდა დაენახათ, როგორ დასცილდა ქართულ კულტურულ სივრცეს უცხოდა განსხვავებული.

ბას დაიწყებენ და თბილისელ რეჟისორს ერევანში უზარმაზარ მუზეუმს გაუქსნან.

ფრანგებს გაუკვირდებათ. როგორ ვერ შეინარჩუნეთ ეს კაცი, რატომ გააქციეთ.

ფრანგები ვერ გაიგებენ. უნდა ეცხოვრათ „პერესტროიკას“ ეპოქის საქართველოში და მაშინ მიხვდებოდნენ. უნდა ენახათ, როგორ იცვლებოდა თანდათან თბილისი, როგორ გადაიქცა კერად ყველა-ფერი, რაც კუთვნილებითი ხაცვალსახელით, „ჩემით“ იწყება. უნდა დაენახათ, როგორ დასცილდა ქართულ კულტურულ სივრცეს უცხოდა განსხვავებული.

არადა, რამდენი ჰქვინდათ საერთო ქართველებს და ფრანგებს! როგორ შეეძლოთ, ერთდროულად ყოფილიყვნენ „კულტურულ შოვინისტები“, რიტუალების, ტრადიციების ერთგულნი და ამავე დროს, უკიდეგანო, ზღვარდაკარგული სწობები, რომლებიც იმასაც კი აღმერთებენ, რაც არ ესმით, რაც მათ პრინციპებს აბსოლუტურად არ შეესაბამება. ამიტომაც, სწორედ ფრანგებმა აღმოჩინეს და აღიარეს „ნეორეალიზმის დალატისთვის“ იტალიიდან თითქმის გამოძევებული რობერტო როსელინი, ესპანეთში „ამორალურ მარაზმატიკად“ შერაცხული ღუსის ბუნეული. სხვებიც – ორსონ უელსი, ჩაპლინი, ელმაზ გიუნერი.

სერგო ფარაჯანოვი. მაგრამ 88 წელს ჩენ, ქართველები უკვე სწობიზმისგან „გავთავისულდით“. ჩენ გული გვერდიდა უსახლებარ კინტოებსა და ყარაჩოლებზე, ვაჭრებსა და „სპეკულანტებზე“. გული გვერდიდა კლოუნებზე.

და იცით რატომ? ქვეყანაში ახალი ვაჭრები და კლოუნები მოვიდნენ. „ჩემი ვაჭრები“ და „ჩემი კლოუნები“.



အရာတော်: ဂျောက် ခေါ်မြတ်စွာ



ფაუსტო

ფაუსტო ლისაბონელი ტაქსისტია. აპოლონიას სადგურზე გავიცანი. საკვირველია, მაგრამ ახლაც მაქვს მისი სავიზიტო ბარათი, თუ რამე დაგჭირდესო.

ლისაბონი რაღაცით ძალიან ჰეგავს თბილის; ან იმას, რაც გულში გინდა რომ თბილისი იყოს, ან იმას, რაც რომელილაც სამყაროში თბილისი იყო.

ფაუსტო თქვენც ნანახი გყავთ ოდესლაც, შეიძლება 80-იანი წლების თბილისში.

აი, როგორ გამოიყურება: შავგვრემანი და შავ პერანგში, ღონიერი, თმიანი ხელებით და გაურკვეველი პატარა სვირინგით მკლავზე, შავი, აქა-იქ თეთრგარეული თმით, დიდი ოქროს ბეჭდით არათითზე... ხელი კი სიჩქარების რიჩაგზე ცახცახებს.

ფაუსტომ არცერთი უცხო ენა არ იცოდა. საქმე კი ასე იყო, რომ ბოლო ევროპის ჩემპიონატზე აკრძალული მქონდა ინგლის-საფრანგეთის თამაშზე, რომელიც ლისაბონის ლუჟის სტადიონზე იყო დანიშნული. მე პორტოში ვცხოვრობდი და ასე გამოდიოდა, რომ ლისაბონში ნაშუადლევს უნდა ჩამოესულიყვა, უკან კი ბოლო მატარებელს ველარაფრით მოვუსწრებდი. ამიტომ, იქ რამე იაფი სასტუმრო უნდა მეპოვნა.

ეს ჩვეულებრივ დროს ძნელი არ არის, მაგრამ ლისაბონში 30 ათასზე მეტი ინგლისელი იყო და ძვირიან-იაფიანად, ყველაფერი დაკავებული იქნებოდა.

რომ ჩამოვედი და აპოლონიას წინ ტაქსის რიგში ჩავდექი, ფაუსტომ მომინია. ჩავჯერი და ვუთხარი, სასტუმრო-თქო. რომელიო. არც რომელი, რომელიც იცი-მეტქი. მოკლედ, ვიწვალე, მაგრამ გავაგებინე

და მიხვდა, ფეხბურთზე რომ ვიყავი. ვიარეთ, იქ შევედით, აქ გამოვედით. არ არი, ინგლისელები არიან. კაი წვალების შემდეგ, ერთ პანსიონს მიაგნო, ალმირანტე რეიშის ქუჩაზე.

შევედით, პანსიონია. შხაპი სანოლზე დევს. მომქვრალია. კი-არა, კი-არა და ამდენ ძებნას, აკიდე. პანსიონის პატრონი კაი ეშმაკის ფეხი იყო. ინგლისურიც იცოდა. დილით რა დროს მიდიხარ, მანქანას მოგიყვან სადგურამდეო. შვიდზე მოვდიოდი, პირველი მატარებლით. ამ ლაპარაქს ფაუსტომ ვერაგობა დაატყო და რაღაც უთხრა. კაი, კაიო იმანაც და ოთახის გასაღები მომცა. იქაურობა გაჭედილ იყო ინგლისელი ბიჭებით და მგონი ბრაზილიელი, სავარაუდოდ, მექავი გოგებით.

წამოვედით მე და ფაუსტო, ჩანთა მივაგდე და ბარემ პირდაპირ ლუ-შზე წავალ-მეტქი. მიმიყვანა იქაც და მივეცი ტკბილად. ვუთხარი, ხვალ დილით ექვსზე მომაჟითხავ-თქო? კიო. კი არა, დღესაც მოგა-კითხავ თამაშის მერეო. ვიფიქრე, თამაშის მერე სად ვამოვი-მეტქი და ვიუარე. მოგაჟითხავო, დაიჩემა. თურმე იცის, რო სახლში ვერ წამოვალ. არა, არა-მეტქი. კაი, დილით მელოდეო.


ის თამაში ძან მაგარი გამოვიდა. მარა, ვაი იმის მერე სახლში წამოს-ვლას. არც მანქანა, არც ავტობუსი. ოთხი საათის შემდეგ, ავტობუსი მიგიყვანდა აპოლონიაზე და იქ კიდევ ტაქსი უნდა გეძებნა. ბევრი ვიმოგზაურე იმ ღამეს, უზომოდ. ინგლისელები დარბოდნენ და ამ-ბობდნენ: რანაირი ქალაქია? ტაქსი არ არის. ათასობით ინგლისელი. სად არის ტაქსის გაჩერება? ბრწყინვალედ გვიპასუხა ერთმა პოლი-ცელმა: სადაც ტაქსის დაინახავ.

ლამე იყო. მივბაბიჯებდით ჯგუფ-ჯგუფად. ეს აქეთა შსარე, ბენფიკას უბანი საერთოდ არ ვიცოდი. მაგრამ სწორად ვიარე, დავიღალე, მა-გრამ ბარე ერთი საათის შემდეგ, ნაირგვარ ინგლისელებთან ერთად, ნაცნობ ადგილამდე მოვედი – პირველ მეტრომდე, რომელიც ქელი ნამყოფობიდან ვიცან. ჩავალ-მეტქი, დაახლოებით ვიცი ის ქუჩა, სა-დაც ჩემი პენსაო დგას, რუკას შევხედავ... და ამ დროს გამახსენდა, რომ ქუჩის გადაღმა ის სასტუმროა, რომელშიც იოთხი წლის წინათ ვცხოვრობდი. იმის წინ კი ყოველთვის ბარე იცი ტაქსი დგას. “ალფა ლიშბოა” ჰქვია. მაშინ მწერალი ვიყავი, იქ რო ვცხოვრობდი, ახლა მანანნალა უურნალისტი ვარ. პენსაოში ვათევ.

“ლიშბოა” წინ ტაქსები არ არის, დგას ორასი ინგლისელი და ხე-ლებს იქნევენ. ასე, ათ წუთში ერთი ტაქსი მოდის. ღამის თორმეტი საათია.

ვიდეები კაისანს, რიგი კი იყო, მაგრამ არასდროს გავიდოდა. წამო-ვბოდიალდი და გამოითვლით დავაწეექი ძალიან დაღლილი. ერთგან გავჩერდი. პატარა ბენზოგასამართია და უკან კიდევ მთლად პატა-რა ავტოსახელოსნო. წინ პლასტმასის სავარძელში მოხუცი კაცი ზის. უკან ზანგის ბიჭი საქმიანობს. დავდექი და დავდექი. ვიფირობ, გაიწოვს ამ ინგლისელებს მთელი ამხელა ქალაქიდან და ღამის ტაქ-სებიც მომრავლდება-მეტქი.

ის მოხუცი კიდევ დაკვირვებით მიყურებს, ზანგს რაღაცას ეუბნება



და ჩემსკენ ათითებს. მსჯელობენ, რა მიჭირს. როგორ დამეხმარებოდნენ, არ ვიცი, მაგრამ გული კი შესტკიოდათ. ამის დაკვირვებაში ვარ და ტაქსი არ მოსრიალდა?! გადმოვიდა და ბენზინს ასხამს, ზანგს ეძახის. სწორად დავდექი, ბენზოგასამართია.

წამიყვანე-მეთქი აქ და აქ, ვეუბნები. არაო, ბენზინს ვასხამ დილის-თვისო და სახლში მივდივარო. წამიყვანე-მეთქი და საათს მაჩვენებს. ამ დროს კიდევ მოხუცი მეძახის რაღაცას. ხელით მანიშნებს. მივტრიალდი და ტაქსიდან ქალი არ გადმოდის?! ჰავა, ძიავა, წამიყვანე-მეთქი. დაჯეო და ფაუსტოა. ვინ დაიჯერებს? არავინ არ დაიჯერებს. ამიტომ, აღარ მოვყვები. მოხუცი კიდევ ხელს მიქნევს, ზანგი იცინის შლანგით ხელში. იმიტომ, რომ ფაუსტო რაღაცას ეუბნება. ეტყობა, ეს ბითური მთელი დღე დამყაცს და ვერ მოვიშორეო.

სამი ევრო. ზუსტად ხუთ წუთში მივედით. რაც გამეხარდა გადაქან-ცულს, სწორად მივდიოდი.

ეგრეა, დაუჯერე ფაუსტოს.

იმან ხო იცის, რაც მოხდება თამაშის მერე. თან ბენფიკას ბალელშიკი იყო. ლუჟი კიდევ ბენფიკას მინდორია. წინ უსებიოს ძეგლი დგას.

დილის ექვს საათზე მოსრიალდა ფაუსტო და ცარიელ ქუჩებში წამასრიალა. ისე, ბედმა გამიღიმა, დამის ცარიელი ქუჩებიც ვნახე და განთიადისაც. დილით ზღვის სუნი იყო. ოკეანის, უფრო სწორად.

კარგად-მეთქი, ფაუსტო და ვიზიტკა გამომიწოდა. რაღაცნაირი ოდნავი ჩალიმება იცოდა.

განთიადის სადგურზე ყველაზე მაგარი რამე კაფეა.

პორტუგალიაში ყავა იხარშებააააა...

შლოს სოლიტე

ერთი დრო იყო და შტუტგარტის შორიახლოს, შლოს სოლიტუდში ვცხოვრობდი. იქ ხელოვნების აკადემიაა გახსნილი და ოცდათხუთმეტ წლამდე ხალხს სტიპენდიებს აძლევენ: დაჯეექი და აკეთე, რაც გინდა. თუ გინდა, ნურც ნურაფერს გააკეთება.

ეს შლოს სოლიტუდი იქაურ ჰერცოგსა და ბადენ ვიუთებმერგის მინის პატრონს, კარლ ოიგენს აეშენებინა. ჩვენებურად რომ მოვთარგმნოთ, მარტოობის სასახლეო, ამას ნიშნავს და ვითომც ისე დაიღალა ამა სოფლის ამაოებით, რომ აიშენა და განმარტოვდა იქა. სასახლის აივნიდან რომ გაიხედავ, ლარივით გაჭრილი გზა მოჩანს ქალაქ ლეონბერგისკენ. კაი ხედია, ჩემმა მზემ.

ეს კარლ ოიგენი იმავდროულად უკადურესი მექალითანე და ავხორცი კაცი ყოფილა, როგორც შეეფერებოდათ მეთვრამეტე საუკუნის მმართველებს. იმ არემარეში უამრავ გლეხის ქალს მისგან შევილი ჰყოლებოდა. დატანჯული ჰყოლია ხალხი, სადღა დამალვოდნენ, აღარ იცოდნენ. ნიჩივო სებე მარტოობის სასახლე. სახელი მატყუარაა ხოლმე.

ჰოდა, იმ დროს თურმე გერმანიის ქვეყნებში ბანქოს სათამაშოდ დაეხეტობოდა ჯაკომო კაზანვა. დიას. კაზანვას ძმა, როგორც მასხოვს, ისედაც რომელილაც გერმანულ სამეფოში ცხოვრობდა, მხატვარი

იყო და ლაიფციგში თუ არა, მგონი დრეზდენში უამრავი რამ აქეს მოხატული. თვითონ ჯაკომო კიდევ დადიოდა და თამაშობდა, სხვა რა უნდა ექნა? შუალედებში კიდევ იმ თავის ქალებში იყო გახლართული. კრედიტორებიც ხომ ბანქოს იმუდით აძლევდნენ ფულს.

ჰოდა, კარლ ოიგენს გაუგია, კაზანვა ჩამოვიდაო და თამაშიც შეუთავაზებია. ოლონდაც, რაზანდა კაზანვას ამბავი სცოდნია და თვითონაც ხომ ასეთი გახლდათ, ჯერ მეჯლისობა უნდა გაგმიართოო. რა გასაკეირია და მეჯლისობა სხვა არაფერი იყო, თუ არა უამრავი ხალხის დაპატიჟება, როგორც იტყვიან, ქალების მორეკვა სასახლეში და ასეთი რამები, რასაც ფელინის „კაზანვაშიც“ ვნახავთ, ოლონდაც კაზანვას ლონდონურ ამბებთან დაკავშირებით. გარშემო სოფლებიდან და მამულებიდან საწოლები ისესხესო. ბარე ათასი საწოლიო.

ამ ამბავს მაგიტო კი არ ვყვები. საქმე სხვა არის. კაზანვა ლეონბერგში მდგარა სასტუმროში და კარლ ოიგენს ეკიპაჟი რომ გაუგზავნია მის ნამოსაყვანად, მთელი ეს ლარივით გაჭმული გზა, ლეონბერგიდან გორაკზე ნამომდგარ შლოს სოლიტუდამდე, მაშალებით გაუნათებია. ყოველ საბიჯში მაშალა ენთოო. მაშინ დიდი სასეირო რამ იქნებოდა. იმიტომ, რომ ღამით, სასახლის აიგნიდან რომ გადამიხედავს და ელექტრონით განათებული ეს სწორი და გაჭმულ მსუბუქი თავდალმართი რომ დამინახავს, არ დამვინებით.

ეს კაზანვაც შეიფერებდა, გადმოდგამდა ფეხს ეკიპაჟიდან. ბანქოსი კი არ ვიცი. ალბათ, კაზანვა მოიგებდა. კარლ ოიგენს ისედაც ბევრი ფული ჰქონდა.



ლათონ ტურაშვილი

საახალწლო პირა

ილუსტრაცია: მარია ზევალაშვილი

გავი კეტები

(ორმოქალაბიანი სევდა თეთრი იუმორის
თანხლებით)

გამოძიებება

მოქმედი პირები (და არა მხოლოდ პირები):

დედა გოია – საროსკიპოს დიასახლისი

და მფლობელი

მზია – საროსკიპოს სტაჟიანი

თანამშრომელი

ზეზვა – პროფესიონი (საროსკიპოს

შემთხვევითი კლიენტი)

მედიკო – საროსკიპოს თანამშრომელი

(ორი შვილის დედა)

ლოლა – საროსკიპოს თანამშრომელი

(თანამშრომლებს შორის

ყველაზე ახალგაზრდა ქალი,

მაგრამ ყოველთვის მაღალ

ქუსლებზე, კლიენტების

მომსახურების დროსაც კი)

ბატონი გურამი – საროსკიპოს მუდმივი კლიენტი

ქალი ჯანმრთელობა – გურამის მეუღლე

პოლიციელი – მუქთა კლიენტი

დაპუტატი – საროსკიპოს ხშირი სტუმარი

მაჩი – დაღლილი ახალგაზრდა კაცი

ბიჭი – შეყვარებული კლიენტი

ბოდლო ყვალთავა – (უნებლიერ კლიენტი) და მისი

ორი კაცი

მედიკო და ბატონი გურამი მდუმარედ სხედან ოთახში და მედიკო სიგარეტს ეწევა. ბატონ გურამს თავი დაბინტული აქვს და ოხრავს:

ბატონი გურამი – იმ დღეს აქვთ რომ წავედი, კიბეზე ისე ცუდად გავხდი, რომ პოლიციონირამდე დღის ჩავალნიე

მედიკო – კიდევ კარგი რომ პოლიციონინება აქვეა

გურამი – აქვეა მაგრამ არ მიღებდნენ, ჩვენს რაიონს არ ეკუთვნითო

მედიკო – როგორ? აქვე დაგორდი და სხვა პოლიციონირაში ხომ არ წახვიდოდი

გურამი – მეც ეგ არ ვუთხარი? თავი ვერ გაგიტეხია კაცს ექიმების შიშით



მედიკო – სახელის გატეხას მაინც თავის გატეხა ჯობია, ბებიაჩემი სულ ამას მეუბნებოდა

გურამი – იცოდა რომ აქ მუშაობდი?

მედიკო – ბებიაჩემი ოცი წლის ნინ მოკვდა, მაშინ მე ვინ მამუშავებდა საერთოდ, მამაჩემი უმდიდრესი კაცი იყო მთელს სამეგრელოში

გურამი – შეიძლება გული უგრძნობდა, ბებიები ყველაფერს ხვდებიან...

მედიკო – (ყურადღებას არ აქცევს ბატონი გურამის სიტყვებს და თავის ამბავს აგრძელებს) მამაჩემი მართლა დიდი ქონების პატრონი იყო, საკუთარი ტრაქტორებიც კი ჰყავდა იმ დროში, მაგრამ განსაკუთრებით თავისი ხარებით ამაყობდა – იმ უზარმაზარ

ხარებს ჰქონდათ სპილენძის ფეხები
გურამი – სპილენძში ერთ დროს კარგი ფული კეთდებოდა

მედიკო – მერე ქვეყანა რომ აირია და ხალხ-მა ტროლებუსების ხაზების მოპარვაც დაიწყო სპილენძის გამო, მამაჩემის ხარებ-საც მიადგნენ. ხარებს რაღაცას უკეთებდნენ, აძინებდნენ და იმ სპილენძის ჩლიქებს ახერხავდნენ...

გურამი – ალბათ თურქეთში მიჰქონდათ გა-საყიდად

მედიკო – მაშინ საბერძნეთი ერქვა

გურამი – და ყველაფერი დაკარგეთ?

მედიკო – ერთადერთი, რაც მამაჩემისგან დაგვრჩა, ოქროს სასმისია, რომელიც იმი-

ტომ ვერ წაიღეს რომ მამაჩემმა სადლაც გა-დამალა, მაგრამ ისე გადამალა რომ სხვებმა კი არა, მერე თვითონაც ვეღარ მიაგნო

გურამი – მერე?

მედიკო – მერე ეძებდა, სანამ ცოცხალი იყო, სულ ეძებდა, მაგრამ მაინც ვერ მიაგნო და თან გადაჰყვა კიდეც, მაგის დარდმა მოკლა,

გურამი – ნალდი ოქრო იყო?

მედიკო – სუფთა ოქრო იყო

გურამი – დიდი სასმისი იყო?

მედიკო – ყველა განსხვავებულზე დიდი

გურამი – ამდენ ოქროს გადაყვებოდა აბა რა იქნებოდა

მედიკო – არა, ოქროს კი არ დარდობდა

გურამი – (გაკვირვებული) აბა რას?

მედიკო – ოქროზე მეტად სადლეგრძელოს დაკარგვებას დარღობდა

გურამი – რას?

მედიკო – იმ სასმისზე სადლეგრძელო ეწერა გურამი – (კიდევ უფრო გაკვირვებული) რა სადლეგრძელო?

მედიკო – საიდუმლო სადლეგრძელო

გურამი – ზეპირად რატომ არ ისწავლა?

(მოულოდნელად კარზე ვიღაც დააკაკუნებს და ბატონი გურამი ინსტინქტურად წამოხტება. მიუხედავად იმისა რომ არც გაუხდია, ასევე ინსტინქტურად, მაინც საგულდაგულოდ შეიკრავს ისედაც შეკრულ კოსტუმს. მედეა კი, უხალისოდ, ცალყბად დაინტერესდება დაუბატიუებელი სტუმრის ვინაობით).

მედიკო – ვინ არის?

(პასუხი არ არის)

მედიკო – (ისევ უხალისოდ) ვინ არის?

(პასუხი არ არის, ტომ...)

მედიკო – ვინ არის?

(მედიკო პასუხს აღარ დაელოდება, წამოდგება და კარს გააღებს. კარის გაღებისთანავე ოთახში ენერგიულად შემოაბიჯებს აშკარად ჯანმრთელი ქალი, რომელიც ბატონი გურამის ცოლი აღმოჩენდება და შემოსვლისთანავე ბატონ გურამს ისე სწრაფად მიუახლოვდება, რომ იმავე ოთახში სხვა ქალის არსებობას, არც შეიმჩნევს)

გურამის ცოლი – (ჩანთიდად ბინტს, ბამბასა და მალამოს ამოიღებს) ყველგან ასე უნდა გდიონ ბავშვივით? ხომ გასაგებად გვითხრა ექიმმა რომ საფეხბი ყოველ სამ საათში ერთხელ უნდა გამოვცვალოთ (ცოლი ჯერ ძეველ საფეხს მოხსნის ბატონ გურამს და მერე მალამოსა და ბამბას საგულდაგულოდ დაადებს ქარს და ბინტითაც ხელახლა შეუხვევს ჭრილობებს. დაბნეული და გაკვირვებული ბატონი გურამი ძალიან უხერხულად გრძნობს თავს და ამიტომაც საკმაოდ გაუბედავად მიმართავს თავის ცოლს)

ბატონი გურამი – აქ როგორ მომაგენი?

გურამის ცოლი – (ჩანთიდად წამალს ამოიღებს და მოულოდნელად მიმართავს მედიკოს) ერთი ჭიქით წყალი გენაცვალე, თუ შეიძლება (გურამის ცოლი მიმართავს მედიკოს, ვისთანაც წუთის წინ ქარს შეუსწრო, მაგრამ ისე მიმართავს, რომ მის არსებობას ამ ოთახში, კვლავ არ იმჩნევს)

ბატონი გურამი – მე შემოვიტან წყალს (ბატონი გურამი წამოდგება, მაგრამ მედიკო მაშინვე მიხვდება რომ წყალი საუკეთესო მიზეზია ამ ოთახიდან გასასვლელად და კარებისკენ წავა)

გურამის ცოლი – (გურამს, როცა მარტონი დარჩებიან ოთახში) წამალი არ უნდა დაგე-

ლია? რომ გამოვარდები ხოლმე სახლიდან, ყველაფერზე მე უნდა ვიფიქრო?

ბატონი გურამი – აქ როგორ მომაგენი?

გურამის ცოლი – ანტიბიოტიკების დალევა ასეთ დროს აუცილებელია, მაგრამ გესმის ჩემი? გესმით ჩემი? ან შენ, ან შენს შვალებს?

ბატონი გურამი – აქ როგორ მომაგენი?

გურამის ცოლი – შვილებიც იმიტომ არ მიჯერებენ რომ შენ არაფერს მიჯერებ და ამას ხომ ისინიც ხედავენ...

(ჯარს მედიკო შემოაღებს წყლიანი ჭიქით ხელში და გურამის ცოლი ისე გამოართმევს მას ჭიქას რომ ამჯერადაც არ შეიმჩნევს მედიკოს არსებობას)

ბატონი გურამი – (მედიკოს) მადლობთ

(გურამის ცოლი ქმარს ენაზე წამალს დაუდებს და წყალსაც ისე მიაყოლებინებს, როგორც მხოლოდ ავადმყოფ ბავშვებზე ზრუნვისა იციან ხოლმე ქართველმა დედებმა)

გურამის ცოლი – (უფრო თავისითვის) ოლონდ

შენი იყავი კარგად და ჩვენს შვილებს არაფერი მოაკლო და მე ყველაფერს ავიტან და ყველაფერს გავუძლებ. სადაც გინდა იქ იარე და რაც გესიამოვნება ის გააკეთე, ოლონდ მენუ დამანახებ და მე ნუ მეცოდინება. ოლონდ არაფერი მოგვაკლო და...

(გურამის ცოლი ცრემლებს ვეღარ იკავებს და სლუჟუნით ტოვებს ოთახს, სადაც მხოლოდ ბატონი გურამი და მედიკო რჩებიან და სინათლეც ნელ-ნელა ქრება).

ბიჭი ზურგით ეყრდნობა ლოლას ზურგს და სიგარეტს კი ისე გემრიელად ეწევა, როგორც მხოლოდ სექსის შემდეგ უყვართ ხოლმე გაბოლება მწეველი მამაკაცების უმრავლესობას.

ლოლა – გახსოვს რა მეითხე?

ბიჭი – როდის?

ლოლა – ბოლოს რომ იყავი

ბიჭი – მაღალ ქუსლებზე?

ლოლა – არა. თანაც უკვე აღარ მაცვია



ლოლა მარჯვენა ხელით აწევს ორივე ფეხსაცმელს და ბიჭს ლიმილით აჩვენებს)
ბიჭი – რატომ! აღარ მოგწონს?
ლოლა – არც არასოდეს მომზონდა
ბიჭი – მაგრამ ყოველთვის გეცვა ხოლმე
ლოლა – კლიენტებთან ყოველთვის მაცვია
ბიჭი – მე აღარ ვარ შენი კლიენტი?
ლოლა – შენ უსახელო კლიენტი ხარ და თანაც უფლისციხელი
ბიჭი – რა გკითხე?
ლოლა – რატომ უყვარდებათ ქართველ კაცებს პუტანები ასე ადვილად
ბიჭი – არ ვიცი. მითხარი
ლოლა – რომ გითხრა, გენყინება
ბიჭი – მითხარი
ლოლა – ჯერ შენი სახელი მითხარი. რატომ არ მეუბნები?
ბიჭი – აფრიკაში რომ მივდიოდით...
ლოლა – (აწყვეტინებს) აფრიკაში რა გინდოდა?
ბიჭი – კილიმანჯაროზე მივდიოდით, მწვერ-

ვალზე
ლოლა – მთამსვლელი ხარ?
ბიჭი – ზოგჯერ
ლოლა – (ლიმილით) მერე?
ბიჭი – ჩვენ მივდიოდით ტანზანიის გზით და გაგვაფრთხილეს რომ ტანზანიაში დღემდე ცხოვრობს კანიბალების ერთი ტომი, რომელიც შეიძლება უცებ შეგხვდეს სადმე კილი-მანჯაროს მისადგომებთან. შეგეშინდა?
ლოლა – რომელი კანიბალი შემაშინებს ბიჭი, კანიბალების მეტი რა მინახავს
ბიჭი – (გულწრფელად გაკვირვებული) სად?
ლოლა – აქ ძირითადად კანიბალები მოდიან. დედა გიოსას ვეძახი ხოლმე საშველად, თორემ მთლიანად შემჭამდენ
ბიჭი – მეც კანიბალი ვარ?
ლოლა – არა, მთამსვლელი ხარ, შენ არ მითხარი?
ბიჭი – მე არ გეხუმრები
ლოლა – შენ არ მეხუმრები, მაგრამ მე რომ არ ვიხუმრო ზოგჯერ მაინც, აქ შეიძლება გავგიშე
ბიჭი – აქ ყოფნა რომ არ გინდოდეს, წახვიდოდი...
ლოლა – (აწყვეტინებს) ქართულად როგორ ჰქევია: კეტები თუ კედები?
ბიჭი – კეტები. კედები რუსულად ჰქევია
ლოლა – ესე იგი კეტები ქართულია?
ბიჭი – არც კეტებია ქართული, იმიტომ რომ მანადმე ეგ სიტყვა საერთოდ არ გვქონდა
ლოლა – რატომ არ გვქონდა?
ბიჭი – იმიტომ რომ კეტები არ გვქონდა.
ლოლა – (ლიმილით) შენ მთამსვლელი ხარ თუ ენათმეცნიერი?
ბიჭი – ღამ-ღამიბით კარავში სხვა რა საქმე მაქვს, როცა არ მეძინება, გავიხდი წინდებს, საძილეში ჩავთბები და ვფიქრობ...
ლოლა – წინდების გარეშე არ გცივა?
ბიჭი – ნასკაბი მაინც მაცვია. აი ხომ ხედავ, ადრე არც ეს სიტყვა გვქონდა ქართველებს და ნასკებაც წინდებს ვეძახით, არადა ნასკი სხვა და წინდა სხვა.
ლოლა – ნასკის შესატყვისი რატომ არ გვქონდა?
ბიჭი – იმიტომ რომ ნასკები არ გვქონდა
ლოლა – აბა გიორგი სააკაძეს რა ეცვა?
ბიჭი – (ლიმილით) შავი კეტები
ლოლა – შიშველ ფეხებზე?
(ბიჭს გაეციხება და ლოლას ლოყაზე აკოცებს, მერე ძალიან სერიოზულ სახეს მიიღებს და აშკარად რაღაც მნიშვნელოვანის თქმას დააპირებს, მაგრამ უცებ კარებზე დააკაუნებენ, რასაც დედა გიოსას აღმფოთებული ხმაც მოჰყება):

დედა გოია – (გარედან) დრო უკვე გავიდა!
ლოლა – (წამოდგება და კარებთან მიევა) ჩემი დრო მიდის, შენ რა გენალვლება
დედა გოია – ხალხია მოსული
ლოლა – ჯგუფებს მე არ ვემსახურები
დედა გოია – არა გოგო, ქალები არიან, არა-სამთავროები, ჰუმანიტარული დახმარება მოვიტანეს
ლოლა – ხომ იცი რომ სოიოს კატლეტებს ვერ ვიტან და ყველაფერი ნამდვილი მიყვარს
(ბიჭი წამოდგება და კიდევ ერთხელ აკოცებს ლოლას)
ბიჭი – მე წავედი, დედა გოიას ნუ გააბრა-ზე
ლოლა – აფრიკის ამბავი?
ბიჭი – მერე მოგიყვები
ლოლა – მერე როდის?
ბიჭი – როცა მოვალ...

(მისაღებ ოთახში ყველანი ერთად არიან, საროსკიპოს სტუმრები – ფემინისტი ქალები სკამებზე სხედან, ხოლო მასპინძლები, საროსკიპოს თანამშრომლები, ფეხზე დაგანან. მხოლოდ ლოლა ზის იატაკზე ფეხმორითმით და უყურადღებოდ უსმენს მათ დიალოგს).
დედა გოია – (სტუმრებს) ჩაის ინებებთ თუ ყავას?

ერთ-ერთი ფემინისტი ქალი – მგონი პირ საქმეზე გადავალთ. უკვე გიორგით რომ ჩვენ ვართ ფემინისტური ორგანიზაცია და ვიბრძვით ქალთა უფლებებისათვის საქართველოში, ვიბრძვით თანასწორობისათვის, ვიბრძვით ძალადობისა და გენდერული ბალანსის დარღვევის წინააღმდეგ...
ლოლა – (აწყვეტინებს) და ჩვენ გიშლით ხელს?

ფემინისტი ქალი – ამის თქმას არ გაპირებდი, მაგრამ რადგანაც თქვენ ბრძანეთ, ეს იმას ნიშნავს რომ თვითონაც კარგად გესმით რა სამსახურს უწევთ მამაკაცებს, რომლებიც თქვენგან სიამოვნებას ყიდულობენ...

მედიკო – მაგრამ სიამოვნებას ჩვენც ვიღებთ მათგან, გარდა ფულისა

ფემინისტი ქალი – (გაოცებული) როგორ?
მზია – სხვადასხვანაირად. ისე ზოგმა კი იცის ხოლმე - ისე გეტაკება რომ სიამოვნებასაც არ დაგაცლის...

ფემინისტი ქალი – (აწყვეტინებს და დანარჩენ ფემინისტებს უფრო გაოცებული სახით გადახედავს) ჩვენ გვეგონა, კი არ გვეგონა, ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით რომ თქვენი სახით თანამოაზრებთან გვექნებოდა საქმე, რადგან თქვენ ყველაზე კარგად იცით თუ რა საზიზდარია ნებისმიერი მამაკაცი,



ვისთვისაც ქალი მეორეხარისხოვანი ადამიანია...

მედიკო – ჩვენ მაგათთვის პირიქით ვართ

მზია – კი გვეზიზლებიან, მაგრამ მაგათ გარეშე აპარა რა ვაკეთოთ

ფემინისტი ქალი – თქვენ მგონი ვერ გამიგეთ, ან მე ვერ აგიხსენით კარგად

დედა გოია – ისეთი კარგი მოსმენა იციან ჩემმა გოგოებმა

ფემინისტი ქალი – მე იმის თქმა მინდოდა რომ თუ ჩვენს უფლებებზე ჩვენ თვითონ არ ვიზრუნვეთ, ქართველი კაცები ისევ გააგრძელებენ იჯახურ ძალადობას ქალების წინააღმდეგ, ისევ ცემენ და ისევ დაჩაგრავენ ცოლებს

მზია – ჩვენთან პირიქითაა, ძირითადად ისეთი კაცები მოდიან აქ, ცოლებს რომ ვერ უძლებენ

მედიკო – პირიქით, ჩვენზე გიუდებიან, ცოლები რომ აწუხებენ ხოლმე, აქ მოდიან და ჩვენ ვაწყნარებთ ხოლმე. საჩუქრებსაც გაჩრიენიან და შარმან ახალი წელი ერთად გავატარეთ. აქ ტევა არ იყო, იმდენი კლიენტი მოვიდა. იმდენი ვიცეკვეთ, რომ დედა გოიამ დილისქენ ბეჭი ამოიგდო და ასკურაგასთან წავიყანეთ, კიდევ კარგი სახლში დაგრევდა...

დედა გოია – ალბათ წელსაც მოვლენ ჩვენი კლიენტები და ახალი წლის ლამეს ისევ ერთად გავატარებთ...

ფემინისტი ქალი – (მართლა ძალიან გაკვირვებული) ჩვენ კი გვეგონა რომ თქვენი უფლებები ილაზებოდა, თქვენ შეურაცხყოფას გაყინებდნენ, გჩაგრავდნენ...

დედა გოია – როგორ გეეკადრებათ, ამათ ვინმეს დავაჩაგრინები? ეს ბეჭი მარტო ერთხელ კი არა მაქეს ამოგდებული და თანაც მარტო ცეკვისგან. რამდენჯერაც ვინმეტ აქ რამე დააპირა, იმდენჯერაც ღრანჭებში მიიღო.

(დედა გოია მარჯვენა მუშტს შეკრავს და სტუმრების საჩუქრებლად დაატრიალებს)

ფემინისტი ქალი – ჩვენ კი გვეგონა დახმარება გჭირდებოდათ და პრეზერვატივები წამოგილეთ, მართალია ბევრი არ არის, მაგრამ რამდენიც შევძლით, იმდენი შევაგროვეთ ჩვენი დონორების დახმარებით...

დედა გოია – უი ღმერთიც გიშველით, თორებ მთელი ფული მაგაში გვეხარჯება. ადრე ერთი დეპუტატი გვამარაგებდა ხოლმე ოპტამ და იაფად, მაგრამ მერე ცოლმა გაუგო და კარგა ხანია საერთოდ აღარ გამოჩენილა. არადა ეს ქართველი კაცები, ხომ იცით ბავშვებივით არიან: ზოგმა მოხმარებაც არ იცის და წელავენ და ხეთქავენ, ზოგი ბუჭტივით ბერავს და სკდება. იცით რამდენი

გვიფუჭდება? რას ამბობთ, ღმერთიც გიშველით, დიდი მადლობა...

(გაკვირვებული სტუმრები ნაძალადევი ღიმილით ემშვიდობებიან მასპინძლებს და მხოლოდ ლოლა ზის გაუნძრევლად, თუმცა გასვლისას მაინც დაანევს სტუმრებს უპასუხო კითხვას):

ლოლა – ბოლოს როდის ისიამოვნეთ?

(როცა ოთახში მხოლოდ საროსკეიპოს თანამშრომლები დარჩებიან, გაბრაზებული დედა გოია ლოლას მიმართავს):

დედა გოია – ხალხი დასახმარებლად იყო მოსული და არ შეეგძლო რომ მადლობა მაინც გეთქვა?

ლოლა – ჩვენ როგორ უნდა დაგვეხმარონ?

დახმარება თვითონ უფრო სჭირდებათ

მზია – (აშკარად განმუხტვის მიზნით) მარჯვენა ხელისგული რომ გეფხანება, რას ნიშნავს?

მედიკო – ფული მოდის

მზია – მარცხენა?

მედიკო – ფული მოდის

მზია – და რა განსხვავებაა?

ლოლა – მარცხენა რომ გეფხანება, კონვერტირებადი ფული მოდის

მზია – ცხვირი რომ გეფხანება?

ლოლა – ესე იგი კაიფში ხარ...

(სინათლე ქრება და ინთება ოთახში, სადაც მზია გაოგნებული დაპყურებს საწოლზე მომოქანტულ უამრავ ფულს. მკითხველისა და მომავალი მაყურებლისათვის უკვე ნაცნობი კლიენტი მაჩო იქვე დგას ძალიან კმაყოფილი სახით და სიამოვნებით იფხანს ცხვირსა და კვერებს მორიგეობით).

მზია – მთელი დღე ხელისგულები მეფხანებოდა, ვიფიქრობდი ნეტა რა მჭირს-მეთქი

მაჩო – ხო შეგისრულებ ჩემი დაიკო, ეს სულ შენია

მზია – გაგიუდება ოთარი სიხარულისგან, ხვალევე გავუგზავნი ბილეთის ფულს

მაჩო – მთარი ვინ არის?

მზია – ოთარი ჩემი ქმარია, ნიუ-იორქში ჩარჩა და უკან უნდა დავაბრუნო

მაჩო – ჩემი დაიკო, ამდენ ფულს იმიტომ გჩრიენ რომ ჩემს გარდა არავის მისცე

მზია – ჩემი ქმრის დარდი არ გქონდეთ, ამისთვის არ ჩამოყავს, მაგრამ სხვა კლიენტებს რა ვუყო, არ ვიცი, დედა გოია აქ აღარ გამაჩერებს

მაჩო – სხვა სამსახურს მე მოგიძებნი ჩემი დაიკო, მამაჩემი მთავარი ექიმია და ხო აზზე ხარ...

მზია – მამათქვენი ხომ იურისტია

მაჩო – ვინ გითხრა ჩემი დაიკო

მზია – მედიკომ მითხრა

მაჩო – როდის?

მზია – იმ დღეს, აქ რომ იყავით და ცოტა რომ გაგებარათ

მაჩო – ჩემი დედას შევეცი თუ მე რამე გამეპარა

მზია – სულ ცოტა იყო მედიკომ, ეტყობა რაღაცამ განყინათ

მაჩო – ეხლა მაგრა მაწყენინებ ჩემი დაიკო

მზია – თქვენი წყვინება სულ არ მინდოდა, დედა გოიაც სულ გვეუბნება რომ კლიენტი ყოველთვის მართალია და ეს არის კარგი მენეჯმენტის მთავარი საფუძველი...

მაჩო – მერჯემენტის მეც მაგარი აზზე ვარ, უბანში წამალს მე ვანაწილებ

მზია – ვამე რამდენი წამალი დამჭირდა ამასწინათ კენჭის გავლა რომ მქონდა, მთელი ფული წამლებში დავხარჯე, მერე ვაშაძემ მიშველა, ღმერთიც გაახარებს...

მაჩო – სინათლე ჩავაქროთ და თან საქმეს მივხედოთ, ჩემი დაიკო

(მზია სინათლეს ჩავაქრობს და სიბნელეში ისმის მათი დიალოგის, უფრო ხშირად კი მზიას მონოლოგის ხმა სექსის პარალელურად)

მზია – ჯვარი გნერიათ, მაგრამ თქვენც თუ რამე აგტიკვდებათ, პირდაპირ ვაშაძეს უნდა მიაკითხოთ. მიხვალთ ქავთარაძეზე რომ ლენტკომბინატია იქ და იკითხავთ დავით ვაშაძეს, რიგები კი არის ხოლმე, მაგრამ... რას აკეთებთ? არა, მანდ არა, ცოტა ქვემოთ, მიაგნით? ხო აი ეგრე...

მაჩო – მაცალე რა თუ ჩემი და ხარ!..

მზია – კი ბატონო, როგორც თქვენ გესია-მოვნებათ, მე უბრალოდ დახმარება მინდოდა, ვიფიქრე არ განვალდეს-მეთქი. ასეთი შემთხვევები, სხვათა შორის, ძალიან ხშირია და ხშირად ვერ აგნებენ იმიტომ რომ ადრე ჭავჭაბებზე რომ ლენტკომბინატია, იქ იყო ვაშაძე და მერე გადავიდა ქავთარაძეზე...

მაჩო – (აწყვეტინებს) ცოტა შენც დამებმარე და გაინძერი რა, ამდენ ლაპარაკს

მზია – კი გენაცვალე, აბა მე აქ რისთვის ვარ, აბა მე აქ სხვა რა საქმე მაქეს, თქვენ ისეთი პატივი მეციით, როგორ გადაგიხადოთ არც კი ვიცი. დედა გოია გაიგებს, თორებ სხვა კლიენტები რაღად მინდა. ამდენ ფულს თუ მომცემთ ხოლმე, სხვებს აღარც გავეკარები

მაჩო – ცოტა შენც იმოძრავე რა თუ ჩემი და ხარ

მზია – ა ბატონო. ექიმი კი მეუბნება ზედმეტ მოძრაობას მოერიდე, თირკმელებისთვის არ ვარგაო, მაგრამ თქვენ უარს როგორ გეტყვით, ღლონდ თქვენ ისიამოვნეთ და კენჭის გავლა თუ გამიმეორდა, აგერ არ არის დათო

ვაშაძე? უმე სულ სველი ხართ, საერთოდ ხშირად იცით ხოლმე თფლიანობა?

მაჩო - გაჩუმდი რა შენი დედა მოვტყონ!

მზია - კი ბატონო, სულ გაგრიუმდები, მაგრამ სასწალი დედაჩემი რომ მოსწრებოდა ოთარის დაბრუნებას, როგორ გაუხარდებოდა. რომ იძახიან სიდედრებს სიძეები არ უყვართო, ტყუილი ყოფილა. ცხონებული დედაჩემი გიუდებოდა ისე უყვარდა ოთარი. არც იცის დედაჩემის ამბავი, რომ ჩამოვიყვან, მერე ვეტყვი. არ უჭითხარი, რატომ უნდა მეთქვა, მე შემონი სწორად მოვიქტო. თქვენ რაღას შვებით, ვეღარ დაამთავრეთ? მოვკდი, აღარ შემიძლია, მეც ხომ ადამიანი ვარ?!...

მაჩო - (დგება, სიბნელეში ტანსაცმელს ეძებს) სინათლე!

(მზია სინათლეს ანთებს და კარებისკენ მომავალ მაჩოს ისე აცილებს რომ მაინც არ ჩერდება და ისევ ლაპარაკობს)

მზია - არ გადადოთ და აქედანვე წადით ვაშაძესთან, ახალგაზრდა კაცი ხართ და კველაფერი წინ გაქვთ, მაგრამ არ აგერიოთ, ადრე იყო ვაკეში რომ ლეჩკომბინატია, იქ და ახლა უკვე ქავთარაძეზე, საბურთალოზე გადავიდა, საბურთალო ხომ იცით სადაც არის?..

(მზია ისევ აგრძელებს ლაპარაკს, მაგრამ მაჩო უკვე წასულია, აღარაფერი ესმის და სინათლეც ისევ ქრება)...

(სინათლე ინთება ოთახში, სადაც მედიკონ წეს და ქვედასაცვლის ამარა შემოსილი დეპუტატი კი სკამის ზურგზე გადაკიდებულ თავის კოსტუმს უურადლებით აკვირდება. მერე კოსტუმის საყელოზე დახრახნილ დეპუტატის სამკერდე ნიშანს დააორთქლავს და ცხვირსახოცს ფრთხილად გადაუსმევს, მერე კი მაჯის საათს დახედავს და მედიკონ შეპრუნდება)

დეპუტატი - ერთსაც მოვასწრებთ

მედიკონ - კი ბატონო, მაგრამ სულ ორი წუთი დამასვენეთ, ხომ შეიძლება და ხომ შეიძლება თან რაღაც გყითხოთ?

დეპუტატი - გისმენთ

მედიკონ - ჩვენ საკმაოდ ბევრი კლიენტი გვყვავს და იცით რა მანტერესებს? აქ ვინც მოდის, ჯანმრთელი სტუდენტების გარდა, მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ შეუძლიათ და სრულიად მესმის მათი, ჩვენ ისეთი წლები გამოვიარეთ, არა დენი, არა გათბობა, ცისტიტი, პროსტატიტი...თქვენ კი, ღმერთმა გაძლება მოგცეთ, მაგრამ ყველასაგან განსხვავებული, ასე ვთქვათ ამ მხრივ ძალიან გამორჩეული ხართ ჩვენი სხვა კლიენტებისგან,...

დეპუტატი - (აწყვეტინებს) მაგრამ მე ხომ დეპუტატი ვარ და მევალება კიდეც ვიყო საუკეთესო

მედიკონ - მაგრამ საიდან ამდენი ძალა და ენერგია?

დეპუტატი - ხომ გითხარით რომ მე დეპუტატი გახლავართ და პარლამენტის სხდომები ზოგჯერ მთელი დღის მანძილზე გრძელდება და შუადღის ძილი, ენერგიის ალსადგენად, საუკეთესო საშუალებაა. აი ერთხელ თქვენც სცადეთ დღისით დაინიება და ნახავთ მაშინვე როგორ იგრძნობთ ახალ ძალებს...

მედიკონ - რას ამბობთ ბატონო, შუადღისას ძილს ვინ დამაცლის. ღამე ხომ არ გვძინავს და არ გვძინავს და ზოგჯერ დღისითაც იმდენი კლიენტი გვყავს, რომ ზედ მეძინება ხოლმე...

დეპუტატი - ასე როგორ შეიძლება, უნდა მიხედოთ თავს, თქვენ თუ არ იზრუნებთ თქვენს ჯანმრთელობაზე, სხვა არავინ მოიცლის თქვენთვის, არავინ! დამიჯერეთ, სხვა არავინ იზრუნებს თქვენზე! მე დეპუტატი ვარ და ვიცი რასაც გეუბნებით

მედიკონ - დიდი მადლიბა რჩევისათვის, აქ ზოგჯერ ისეთი ხალხი მოდის, არც კი დაგელაპარაკებიან წესიერად, ნეტა ყველა თქვენსავით შეეგნებული ადამიანი იყოს

დეპუტატი - რას ბრძანებთ, ჩვენი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის: ვიყოთ ხალხთან რაც შეიძლება ახლოს. მართლა ისე კი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰქონიათ რომ პარლამენტში ფულის საშორენლად მივედით. ფული მანამდეც იმდენი მქონდა რომ მთელ ოპოზიციას ვიყიდი რომ მოვინდომო, მაგრამ რად მინდა

მედიკონ - მართალი ბრძანდებით, რად გინდათ, მე თქვენ გეტყვით და რამეში გამოგადგებათ რომელიმე. მე არ ვიცი რისი მაქნისია იპოზიცია? ჩვენთან არ დადიან ხოლმე?!.. ისე გვაწვალებენ ხოლმე რომ ვერ წარმოიდგინთ, ზოგს ნისიადაც უნდა ხოლმე და ერთი ჩვენც გვითხოონ ნისიად როგორია იპოზიციის მხარდაჭერა. თქვენ ხომ უმრავლესობაში ხართ?

დეპუტატი - რა თქმა უნდა, მე ყოველთვის უმრავლესობაში ვიყავი და ყოველთვის უმრავლესობაში ვიქენები. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ყოველთვის ხელისუფლებას დავუჭერ მხარს. მე ასე გამზარდეს, მე ოჯახში ვიზრდებოდი

ზოგიერთებისაგან განსხვავებით და არა ქუჩაში

მედიკონ - არ შეგვაჭეს ამ ქუჩა-ქუჩა ნანწალით და მიტინ-

გებით? თან რომ არ ეზარებათ ეს ქუჩაში დგომა. თვითონ არაფერს აკეთებენ და სხვას მაინც აცალონ ასფალტის დაგება და მერე ტკეპნონ რამდენიც უნდათ

დეპუტატი - ამას ყველას კი ვერ შეაგნებინება, აბა თქვენ უნდა იყოთ აქ და ოპოზიციის ზოგიერთი ვაიდეპუტატი პარლამენტში? ისე თუ გიფიქრიათ დეპუტატობაზე?

მედიკონ - ერთხელ გათხოვილი უკვე ვიყავი, ორი შეიღილიც მყავს, მაგრამ ჩვენი პროფესიის ხალხი მაინც ძირითადად სულ ოჯახის შექმნაზე ფიქრობს, ჩვენ მაინც სულ ოჯახურ კერაზე ვოცნებობთ, ნამდვილ სიყვარულზე, ყვავილებზე...

დეპუტატი - (აწყვეტინებს) მერედა ვინ გითხრათ რომ იჯახის შექმნა ხელს შეგიძლით, პირიქით, ახალი არჩევნები ახლოვდება, ჩვენი სიით გახვალთ პარლამენტში, თქვენ იქნებით დედა-დეპუტატი ზღვა გამოცდილებით

მედიკონ - რას ამბობთ, ჩემი გამოცდილება თქვენ აბა რაში გამოგადგებათ

დეპუტატი - როგორ გეკადრებათ, თქვენ იმდენი რამ გინახავთ, იმდენი განსხვავებული შეგვედრიათ

მედიკონ - რას ამბობთ, არ გეწყინოთ, მაგრამ კაცები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ბოდიში და ყველას ერთნაირი აქვს

დეპუტატი - თქვენ ვერ გამიგეთ, მე იმას ვგულისხმობ რომ უამრავი განსხვავებული ადამიანი გინახავთ და მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გაქვთ

მედიკონ - და რა უნდა გავაკეთო?

დეპუტატი - პირს ჩაიაბარებთ, საზოგადოებასთან ურთიერთობას გაუძლვებით, ფაქტურად იგივეს გააკეთებთ, რასაც ახლა აკეთებთ, ოლონდ იმის გარეშე, ხომ გესმით...

მედიკონ - იცით რა? მიჩვევა ცოდნია და იმის გარეშე, შეიძლება

ბა ცოტა გამიჭირდეს

დეპუტატი - მაგრამ იმ დროს ხომ უკვე ქმარი გეყოლებათ



- მედიკო –** უი, სულ დამავიწყდა
- დეპუტატი –** (საათს დაბუღდავს) უნდა გავიქცე, კომიტეტის სხდომა გვაქვს და ვერ გავაცდენ
- მედიკო –** ვაიმე, კიდევ ერთხელ რომ ვინდოდათ, ველარ მოასწრებთ? სულ ჩემი ბრალია, ამდენი ვიქაქანე და მგონი შეგაწუხეთ კიდეც
- დეპუტატი –** არა უშავს, ამ დღეებში არდა-დეგბი გვეწყება და ისე გამოვივლი რომ ყველაფრის დრო გვქონდეს
- მედიკო –** მალე გამოვლით?
- დეპუტატი –** აუცილებლად
- მედიკო –** მაშინ პროგრამა წამომიღეთ
- დეპუტატი –** რა პროგრამა?
- მედიკო –** თქვენი, პოლიტიკური პროგრამა, ხომ გაქვთ?
- დეპუტატი –** არ ვიცი, მაგრამ ვიკითხავ და თუ არის რამე, აუცილებლად წამოვიღებ
- მედიკო –** დიდი მაღლობა
- დეპუტატი –** რისი მადლობა
- (დეპუტატი მიდის, მედეა კი ძალიან ქმაყოფილი, ძალიან ბეჭდიერი სახით ემშვიდობება სტუმარს და სინათლეც ქრება)...
- (ნახევრადგანათხებულ ოთახში, ჩუმად სხედან ლოლა და ბიჭი და სიჩუმეს ბიჭი არღვევს)
- ბიჭი –** შეყვარებული ყოფილხარ?
- ლოლა –** (ლიმილით) აფრიკის ამბავს რატომ არ მიყვები?
- ბიჭი –** შეყვარებული ყოფილხარ?
- ლოლა –** შენ?
- ბიჭი –** მე ყოველთვის შეყვარებული ვარ
- ლოლა –** ასე ადვილია?
- ბიჭი –** ყოფილსარ შეყვარებული?
- ლოლა –** ერთხელ
- ბიჭი –** ერთხელ შეყვარებული ყველა ყოფილა
- ლოლა –** მეც ყველა ვარ
- ბიჭი –** შენ ერთადერთი ლოლა ხარ და სხვა ლოლა არც არასოდეს შემხვედრია
- ლოლა –** ლოლა ბებიაჩემს ერქვა და მართალი ხარ, ვერსად შეგხვდებოდა, შროშაში ცხოვრობდა, მაგრამ გზის პირას არ იდგა თიხის დოქტით, ამბობდა ქართულ მინას ვერ გავყიდო
- ბიჭი –** (ლიმილით) იმ ბიჭს რა ერქვა?
- ლოლა –** ვის?
- ბიჭი –** ვინც გიყვარდა
- ლოლა –** რა მნიშვნელობა აქვს
- ბიჭი –** მე თუ მგავდა
- ლოლა –** შენ არ გგავდა, პრეზერვატივს ვერ ხმარობდა
- ბიჭი –** არ გეხუმრები
- ლოლა –** არც მე გეხუმრები, აკადემიაში სწავლობდა ფერწერაზე და სალვადორ დალიზე გიუდებოდა. სალვადორ დალი კი იცი რას ამბობდა?
- ბიჭი –** რას ხატავდა ვიცი, მაგრამ რას ამბობდა, არ ვიცი
- ლოლა –** სალვადორ დალი ამბობდა რომ პრეზერვატივით სექსი იგივეა, აირწინალით ყვავილს რომ უსუნოო
- ბიჭი –** მე არ გეხუმრები
- ლოლა –** არც მე გეხუმრები, იმასაც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ჩემზე მეტად სალვადორ დალი უყვარდა
- ბიჭი –** მერე?
- ლოლა –** მერე არჩევანი გააკეთა და წავიდა
- ბიჭი –** მერე?
- ლოლა –** (ლიმილით) მერე შენ წავედი აფრიკაში და აღარ მომიყევი კანიბალების ამბავი, ტანზანიაში რომ შეგხვდენ
- ბიჭი –** არ შეგვხვედრიან, მაგრამ გაგვაფრთხილეს რომ შეიძლება შეგხვდენ
- ლოლა –** ამის მოყოლა განდოდა?
- ბიჭი –** (ლიმილით) არა. გაგვაფრთხილეს რომ თუ შეგხვდებიან, ღამე ცეცხლის პირას მიგიპატიუებენ და რაზეც გინდათ ესაუბრეთ, ოღონდ თქვენი სახელები არ უთხრათო
- ლოლა –** რატომ?
- ბიჭი –** იმიტომ რომ ვისი სახელიც არ იციან, იმას თურმე არ ჭამენ, ასეთი ტრადიციის ტომია
- ლოლა –** ამიტომ არ მეუბნები შენს სახელს? ნუ გეშინია, არ შეგჭამ...
- ბიჭი –** ერთ ამერიკელ ქალს ძალიან ეშინოდა კანიბალების, იქ გავიცანით კილიმანჯაროზე, ეშინოდა მაგრამ მაინც მოდიოდა ჰემინ-გუეის სიყვარულით.
- ლოლა –** მეც წაეითხულო მაქვს
- ბიჭი –** ვიცი
- ლოლა –** მერე?
- ბიჭი –** თავიდან ჩვენც კანიბალები ვეგონეთ, მერე კი ძალიან დაგვიმეგობრდა, საქართველოზე ყველაფერს მეკითხებოდა დაწვრილებით და რითი დაგეხმაროთო, აღარ მოგვეშვა
- ლოლა –** ამერიკელებმა ეგრე იციან
- ბიჭი –** ბოლოს ძალიან რომ შეგვანუხა ყველაზე მეტად რა გაკლიათ და რა გიჭირთო, გავეხუმრე სახანძრო მანქანები გვიჭირს და არ გვყოფინს-მეტე
- ლოლა –** სუმრობა შენც გიყვარს
- ბიჭი –** გამომართვა კოორდინატები და დაგვეშვიდობა. ჩვენც თბილისში დავპრუნდით და სამი თვის შემდეგ ფოთიდან დამირეკეს, თქვენ სახელზე სახანძრო მანქანა ჩამოვიდა ამერიკიდან და წაიყვანეთო
- ლოლა –** ალბათ აღარც გახსოვდა
- ბიჭი –** ის ქალი კი მახსოვდა, მაგრამ მაინც ხუმრობა მეგონა და ფოთიდან კი ყოველდღე მირეკავდნენ ჩამოდით და მანქანა წაიყვანეთო ლოლა – და რა ქენი?
- ბიჭი –** მივედი მეხანძრებთან და ვუთხარი ასეთი ამბავია და ამერიკულ სახანძრო მანქანას გჩუქნით-მეტე და გაგიუდნენ სიხარულისგან. თურმე მართლა არ ყოფილდათ სახანძროები და მე რა ვიცოდი ლოლა – ჩამოიყვანეს?
- ბიჭი –** თვითონ ჩამოიყვანეს ფოთიდან თბილისში და ახლაც ამერიკული ნომრები უკეთია, ყველაზე დიდი სახანძროა საქართველოში და ყველაზე დიდი გასაშლელი ბალიში აქებს. მეათვ სართულიდანაც რომ გადმოხტე, თუ ქვემოთ ეგ ბალიში დაგახვედრეს, ვერაფერს გაიგებ, ისე დაფრინდები
- ლოლა –** არც შემეტინდება?
- ბიჭი –** რომ შეგვეშინდება, უკვე გაღიმებულ მეხანძრებს დაინახავ. იცი რა კარგი ხალხია, ადრე მეგონა რომ მარტო დომინოს თამაში იცოდნენ
- ლოლა –** ესე იგი მეხანძრებს კარგად იცნობ და აქედან თუ გავიქცევი, სამსახურის მოძნებნაში დამტებარები
- ბიჭი –** სახანძროში ქალებს არ იღებენ
- ლოლა –** ესე იგი ფერმინისტები მართლები ყოფილან, მაინც ირლვევა გენდერული ბალანსი
- ბიჭი –** შენ აქედან თუ გაიქცევი, სხვა სამსახურს მაინც მოგიძებნი
- ლოლა –** კეტების გარეშე როგორ გავიქცე?
- ბიჭი –** კეტები გექნება
- ლოლა –** ვინ მომიტანს, სანტა კლაუსი?
- ბიჭი –** არა, თოვლის პაპა
- ლოლა –** თოვლის ბაბუა?
- ბიჭი –** არა, თოვლის პაპა
- ლოლა –** იცის რომ შავები უნდა იყოს?
- ბიჭი –** თოვლის პაპამ ყველაფერი იცის
- ლოლა –** შენი სახელიც?
- ბიჭი –** ჩემი სახელიც
- ლოლა –** მე როდის მეცოდინება?
- ბიჭი –** აქედან რომ გაიქცევი...
- (ბიჭი მიდის და სინათლე ქრება და ინთება იმ ოთახში, სადაც მზია და ზეზვა სხედან)
- ზეზვა –** (პროფესორი ფეხზე წამოდგება და ჩაახველებს) მინდა ბოდიში მოგისაღოთ იმ დღის გამო, თვითონაც არ ვიცი რა დამემართა
- ზოია –** რას ბრძანებთ, პირიქით: მე გიხდით ბოდიშის რომ იმ დღეს ვერაფრით დაგეხმარეთ
- ზეზვა –** როგორ გეკადრებათ, ისე მიჭირდა აქ მოსვლა, მაგრამ რომ არ მოვსულიყვანი და



თქვენთვის ბოლოში არ მომეხადა, უბრალოდ არ შემეძლო

მზია – თქვენ საბოლოო არაფერი გაქვთ, პირიქით: მე ვგრძნობ თავს დამნაშავედ იმის გამო რომ უარი გითხარით, იმიტომ რომ ჩვენ მოვალეობი ვართ კლიენტის ნებისმიერი სურვილი შევასრულოთ, ზომიერების ფარგლებში, რასაკვირველია

ზეზვა – დიახ, იმ დღეს მე ზომიერებამ მიღალატა, არადა მეცნიერისთვის მთავარი, სწორედ ზომიერების გრძნობაა და თქვენი უარიც ჩემთვის, სრულიად გასაგებია

მზია – მგონი არასწორად გამიგეთ, მე თქვენ კი არ გითხარით უარი, არამედ საერთოდ ვერიდები ორალურ სექსს. ისეთი სიზმარი მაქვს ნანახი ათი წლის წინ, რომ იმის შემდეგ, შეუძლებელია ვინმემ ამაზე დამითანხმოს

ზეზვა – კარგად მესმის თქვენი

მზია – ჩემი ქმარიც ისე მთხოვდა ხოლმე ამ სააგლობას პახმელიაზე როცა იყო: სისხლ-ძარღვებს გამიფართოვებსო, მაგრამ რის უფლებასაც ჩემი სინდისი და პატიოსნება არ მაძლევს, იმას ვერაფრით გავაკეთებ

ზეზვა – რა თქმა უნდა, მართალიც ბრძანდებით

მზია – არადა სულ პახმელიაზე იყო ხოლმე

ზეზვა – რა ძნელია ქალისთვის

მზია – აბა კაცებს რა ენაღვლებათ, მთელი დღე იმაზე ფიქრობენ რა ჭამონ და რა დალიონ

ზეზვა – მე საერთოდ ძალიან უჭმელი ვარ
მზია – დალევაც არ გიყვართ?

ზეზვა – ძალიან იშვიათად, თუ რაღაც განსაკუთრებული დღეა, აუცილებლად დავლევ ხოლმე, თუმცა ქართული სუფრის ტრადიცია ძალიან მიყვარს

მზია – მაშინ აუცილებლად უნდა მობრძანდეთ ჩენენთან ახალი წლის ღამეს

ზეზვა – ახალ წელს სახლში უნდა შევხვდე
მზია – მერე მობრძანდით, თქვენზე კარგი

თამადა ვინ იქნება, ასეთი ინტელიგენტი თამადა ვის ეყოლება ჩვენს გარდა?!

ზეზვა – მუსიკა იქნება?

მზია – რა თქმა უნდა

(მზია ამ ბოლო ფრაზას სიხარულით ნამოიყვირებს, სინათლე ჩაქრება და იმნამსვე აინთება ოთახში, სადაც ახალი წლის დადგომას ყველანი ერთად ზემოქმენ: საროსკიპოს თანამშრომლები მხიარულად ცეკვავენ მუსიკის ხმაზე, რომელიც ბოლომდეა ანეული და სტუმრები კი, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი, ამ საროსკიპოს კლიენტები, სუფრასთან სხედან გარდა თამადისა, რომელიც ფეხზე დგას და ძალიან მთვრალია. თამადა რასაკვირველია ძატონი ზეზვაა, პროფე-

სორი, რომელსაც ჰალსტუდი მხარზე აქვს მიუვინილი, ხოლო გულისპირი ლეინისაგან დასველებული ერთადერთ, ვინც აქარ არის, შეეფარებული ბიჭია, რომელიც ლოლას შავ კეტებს შეპირდა).

ზეზვა – (აგრესიულად, თან ქანაობს) გამორთეთ ეს ჯოჯოხეთი და ყველამ მე მომისმინეთ, როცა სადლეგრძელოს ვამბობ!

დედა გოია – რა მოხდა ბატონონ ზეზვა, იხალისონ ახალგაზრდებმა, ახალი წელია

ზეზვა – ახალ წელს დისკოტეკა მე არ გამიგა, ახალ წელს გამიგა ქართული სუფრა

პოლიციელი – ამ ახალგაზრდებს აღარც ტრადიციელი უნდათ, აღარც უფროსები იციან

ბოლო ყვალთავა – (განუყრელ ჩოხაში) სულ დაგვაჯვეს თავზე

ბატონი გურამი – ნი ტო სემდისიატ შესტომიში, ნი ტო სედმოიში, ხაბაროვსკში ვართ ბიჭები და იქ ვხვდებით ახალ წელს...

მაჩი – ხაბაროვსკის დედას შევცი, შარშან ამსტერდამში ვიყავით ახალ წელს მე და გიორგა ნაკაშიძე, ხო სუ მაგას იძახდა გიორგა რო ერთი ამსვა-დამსვა და ამსტერდამში ჩამსვაო და შარშან ახალ წელს აი მაგარი შევუსრულებ...

ზეზვა – (მაჩის აწყვეტინებს) შენ ბიჭი და-ლიე სტალინის სადლეგრძელო თუ ეგეც გა-მოტოვე!?

მაჩი – სტალინის არა კაგანოვიჩის

მზია – ბატონონ ზეზვა, ოღონდ ამას ნუ დაა-ძალებთ რა, ძალიან გთხოვთ

პოლიციელი – (მაჩის) შენხელა რომ ვიყავი დღეში რამდენჯერმე ვსვამდი სტალინის სა-დლეგრძელოს

ლოლა – ახლა ვინ გიშლით?

ზეზვა – დიახ გვიშლიან, ჩვენც გვიშლიან, სტალინის სადლეგრძელო არ დალიოთ, ქრისტამები არ აილოთ, ყველანი პიდარასტები გაქვდეთ!?

ლოლა – თქვენ ცოტა გაგიჭირდებათ

დედა გოია – გისმენთ ბატონონ ზეზვა, ბრძანებეთ სადლეგრძელო და ყველანი გისმენთ

გურამი – სემდისიატ ვასმო გოდია და მე და ჩემი ცოლი მურმანსკში ვართ სვადებიში აქედან და ჩემი ცოლი და სასტუმროს რესტორანში სალამობით ცეკვავენ ვარიეტეს ქალები ვილნიუსიდან...

ბოლო ყვალთავა – თელავის ინტურისტის სასტუმროში იყო ხოლმე რიგის ვარიეტე, რა ქალები ყავდათ რომ მახსენდება, რა ქვეყანა დაგვინგრიეს ამ პიდარასტება

ზეზვა – ოცდაჩივიდმეტ მანეთად ჩაფრინდებოდი მოსკოვში, კონიაკს ჩაიტანდი, ლუბონი საქმეს გააკეთებდი და სალამოს ყველა ქალი შენი იყო. ქალებს გაუმარჯოთ! თქვენ გაგიმარჯოთ, სულ ასეთი ლამაზები იყავით და ყველას გისურვებთ ქალურ ბედნიერებას!

ლოლა – ქალური ბედნიერება რომელია? (ლოლას, რომელსაც ელიმება, არავინ პასუხობს და მისთვის ქალებს არც სცალიათ, რადგან ყველანი ძალიან კმაყოფილები უქნევენ თავებს (მადლობის ნიშნად) ფეხზე მდგომ კაცებს, რომლებიც მათ ადლეგრძელებენ და განსაკუთრებით კი ფემინისტი ქალი აქტიურობს, რომელიც მთვრალია და ყველას ნაცვლად, სამადლობელს იხდის).

ფემინისტი ქალი – ვამე, დიდი მადლობა და ღმერთის ერთი დღე არ გვაცოცხლოს თქვენს გარეშე. გამოგიტყვებით და ჩვენს ორგანიზაციას იმისთვის აფინანსებენ რომ კაცებმა ქალები არ დაჩაგრონ, მაგრამ კაცი თუ მამაკაცური არ იქნება, კაციკი იმის ფასი. კაცი უნდა იყოს ძლიერი და მე მინდა თქვენც ისეთი ძლიერები იყოთ ყოველთვის, როგორებიც ხართ...
(ფემინისტი ქალი, ღვინით სავსე ჭიქას, უც-

პოლიციელი – სწორია

ზეზვა – დიახ და მე მინდა ჩვენს შვილებს გაუმარჯოს, მომავალ თაობას, ვისაც ჰყავს დედა გოია – აი მედიკოსი ორი შვილი ჰყავს მედიკოს – ისე მინდოდა ჩამომეუვანა ახალ წელს, მაგრამ სოფელში თოვლი მოვიდა გუშინ და არაფრით აღარ წამომყვნენ

პოლიციელი – ჩემი ბიჭი ჯერ ჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ უბანში უკვე ისეთი ავტორიტეტი აქვს, რომ ღმერთმა გაუმარჯოს! თანაც მარტო თავის ხელებში კი არა, მაგაზე დიდებიც უკვე მაგარ პატივს ცემენ...

დეპუტატი – (პოლიციელს) ბიჭი თუ გყავს ისე უნდა გაზიარდო რომ კაცი დადგეს, აბარა, გენაცვალე ჯიგარში! ჩვიდმეტი წლის ბიჭები ვიცი მარტო წიგნზე და კომპიუტერზე რომ ფიქრობენ, მაგათავან რა უნდა გამოვიდეს. შენ ბიჭს ვენაცვალე ყვერებში, მოდი გაკოცო!

(ბოლო ყვალთავა მონდომებით კოცნის პოლიციელს, რომელიც ძალიან ამაყი და ბედნიერია კარგი შვილის გამო)

გურამი – ხოდა მურმანსკში ვართ სვადებიში მე და ჩემი ცოლი და სასტუმროს რესტორანში სალამობით ცეკვავენ ვარიეტეს ქალები ვილნიუსიდან...

ბოლო ყვალთავა – თელავის ინტურისტის სასტუმროში იყო ხოლმე რიგის ვარიეტე, რა ქალები ყავდათ რომ მახსენდება, რა ქვეყანა დაგვინგრიეს ამ პიდარასტება

ზეზვა – ოცდაჩივიდმეტ მანეთად ჩაფრინდებოდი მოსკოვში, კონიაკს ჩაიტანდი, ლუბონი საქმეს გააკეთებდი და სალამოს ყველა ქალი შენი იყო. ქალებს გაუმარჯოთ! თქვენ გაგიმარჯოთ, სულ ასეთი ლამაზები იყავით და ყველას გისურვებთ ქალურ ბედნიერებას!

ლოლა – ქალური ბედნიერება რომელია? (ლოლას, რომელსაც ელიმება, არავინ პასუხობს და მისთვის ქალებს არც სცალიათ, რადგან ყველანი ძალიან კმაყოფილები უქნევენ თავებს (მადლობის ნიშნად) ფეხზე მდგომ კაცებს, რომლებიც მათ ადლეგრძელებენ და განსაკუთრებით კი ფემინისტი ქალი აქტიურობს, რომელიც მთვრალია და ყველას ნაცვლად, სამადლობელს იხდის).

ფემინისტი ქალი – ვამე, დიდი მადლობა და ღმერთის ერთი დღე არ გვაცოცხლოს თქვენს გარეშე. გამოგიტყვებით და ჩვენს ორგანიზაციას იმისთვის აფინანსებენ რომ კაცებმა ქალები არ დაჩაგრონ, მაგრამ კაცი თუ მამაკაცური არ იქნება, კაციკი იმის ფასი. კაცი უნდა იყოს ძლიერი და მე მინდა თქვენც ისეთი ძლიერები იყოთ ყოველთვის, როგორებიც ხართ...
(ფემინისტი ქალი, ღვინით სავსე ჭიქას, უც-

ნაურად დაატრიალებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაცლის. მერე ცარიელ ჭიქას ცერა თითზე ამოიტრიალებს ნიშნად იმისა რომ ბოლომდე დალია და კაცებს არ ჩამორჩა)

ბოლო ყვალთავა – შენი ჭირიმე!

(შემოსასვლელიდან ზარის ხმა ისმის და დედა გოია კუნტრუშით წავა კარის გასაღებად. მალევე დაბრუნდება ყუთით ხელში და იმ ყუთს ლოლას გადასცემს)

ლოლა – რა არის?

დედა გოია – არ ვიცი, საჩუქარია ალბათ, ვიღაცას გამოუგზავნია შენთვის ქურთი მარატიკას ხელით

ლოლა – ეგ ვინდაა?

დედა გოია – პირველ სართულზე რომ ქურთები ცხოვრობენ, იმათი ბიჭია, ლოლას მიეცით და ფანჯრიდან გადმოიხედოსო.

(ლოლა ფანჯარასთან მივა, გადაიხედავს და გაიღიმებს. მერე ავანსცენაზე დადგება და ყუთს გულში ჩაიკრავს. ამასობაში მაჩის უკვე წასვლა უნდა, მაგრამ თამადა არ უშევს მას და სუფრის დანარჩენი ნევრებიც კიდევ ერთხელ არიან აღმფოთებულები ახალგაზრდობის გადაგვარებით).

ზეზვა – ამ სუფრის მიტოვების უფლებას არავის მივცემ!

დეპუტატი – რა უზრდელობაა მართლაც

მაჩი – უზრდელობა რა შუაშია ბიძაჩემო, ჩემი დედას შევეცი თუ მაგრა არ მაგვიანდებოდეს

ბოლო ყვალთავა – აი ასე ვთმობთ ტრადიციებს ყოველდღიურად

პოლიციელი – ჯერ საქართველოს სადღეგრძელოც არც დაგვილევია

მზია – (ჯერ თამადას, მერე დანარჩენ კაცებს) გაუშვით რა, ვერ სვამს, თორემ ისე

გიუდება საქართველოზე, ძალიან უყვარს

დეპუტატი – თუ უყვარს, მაშინ დალიოს (ბატონი ზეზვა ბარბაცით გავა, შემოსასვლელ კარს გადაკეტავს და ოთახში გასაღებით დაბრუნდება)

ზეზვა – არ დალევს და არ გავუშვებ აქედან

მაჩი – ჩემი დედას შევეცი თუ დავლიო

(ბატონი ზეზვა გასაღებს დემონსტრაციულად, ყველას დასანახად გადაყლაპავს და ჭიქას მაღლა ასწევს)

ზეზვა – არ დალევ და ვერ წახვალ! ჩგაუმარჯოს ჩვენს სამშობლო საქართველოს! (ჭიქას ბოლომდე გამოცლის) ასე მტერი დაეცალოს!

დედა გოია – (აშკარად შეწუხებული) სხვა გასაღები არცა გვაქვს

(კაცები აღფრთოვანებულები არიან თამადის საქციელით და ბატონ ზეზვას რიგ-რიგბით კოცნიან. ავანსცენაზე მდგარ ლო-

ლას კი, შავი კეტები უკვე აცვია და ისეთი ბედნიერია საახალწლო საჩუქრით, რომ არც კი იცის ოთახში რა ხდება. ოთახში კი დიდი არეულობა იწყება, რადგან მაჩომ უკვე დანაგახსნა და თამადის დასაჭრელად მიიჩნევს, თუმცა ეს არც ისე ადგილია რადგან დანარჩენები, შეშინებულები, მაგრამ მონდომებულები მაინც ცდილობენ სიტუაციის დაშოშმინებას. ლოლა ყურადღებას არ მიაქცევს არავის და ოთახში გაივლის და გამოივლის. რამდენჯერმე კმაყოფილი დახედავს თავის შავ კეტებს და კარების გაღებას შეეცდება და როცა აღმოაჩენს რომ კარები დაკეტილია, ისეთი ხმით იკივლებს, რომ ყველანი გაჩერდებიან)

ლოლა – კარები გააღეთ!

დედა გოია – (ხედავს რომ ლოლა ძალიან აღელევებულია და მის დამშვიდებას ცდილობს) გასაღები არა გვაქვს, თამადამ გადაყლაპა

(ბატონი ზეზვა კმაყოფილი დაიტყაბუნებს მოშინებულ ღიაზე თითებს და მერე იმ თითებით ლოლას საპატიო კოცნას გაუგზავნის)

ლოლა – გააღეთ კარები!

(ლოლას ხმაში ბრძანების კილოც ისმის და აშკარა ისტერიკაცი)

დედა გოია – დამშვიდდი, რა მოგივიდა, დილით გაგაღებთ, ხმი იცი რომ კარები რკინისაა და მაინც ვერ გავტეხავთ

ლოლა – მივდივარ

დედა გოია – დილით წახვალ, რაღა დარჩა, ან გული აერევა, ან რაღაცა იქნება

ლოლა – სულ მივდივარ, სამუდამოდ

მზია – (ჩურჩულით) გაიქცი ლოლა, გაიქცი...

(ლოლა ფანჯრისკენ წავა, ფანჯარას გამოაღებს და ფანჯრის რაფაზე ისე სწრაფად ახტება, რომ ვერავინ მოასწრებს რეაგირებას და ყველანი გაშეშებულები, მხოლოდ თვალებით თხოვერ რომ ეს არ გააკეთოს, მაგრამ უკვე გვიანია)

ლოლა – ფუ მეზიზღებით, თქვენი დედა მოვტყან!

(ლოლა შეტრიალდება, მერე ერთხელაც მოიხედავს და ფანჯრიდან გადახტება. ყველას ერთდროულად აღმოხდება ყმუილის მაგვარი ხმა და მზია მუხლებზე დადგება, დანარჩენები კი ისევ გაუნძრევლად არიან და ვერავინ ბედავს ფანჯარასთან მისვლას. სიჩუმეში მხოლოდ ვიღაცის ჩურჩული ისმის – მეშვიდე სართულია... სიჩუმე კი დიდხანს გრძელდება, გრძელდება მანამ, სანამ კარზე ვიღაც არ დააბრაცუნებს და ეს ხმა ყველას გამოაფხიზლებს)

დედა გოია – (გაუტედავად, თან პოლიციელს გადახტედავს) ვინ არის?

(მე ვარ – ჩაკეტილი კარის იქით აშკარად ქალის ხმა ისმის, რომელსაც ბატონი გურამი იცნობს)

გურამი – ჩემი ცოლია

(გურამი კარებთან მივა და მათ დიალოგს დანარჩენები გასუსულები უსმენებ)

გურამის ცოლი – ფანჯრიდან სახანძრო დავინახე ამ კორპუსთან და ასე, ხალათში გამოვიქცე

გურამი – რა სახანძრო?

გურამის ცოლი – ქვემოთ სახანძრო იდგა და ისე შემეშინდა... ხმი კარგად ხარ გურამი? ბავშვებსაც უნდოდათ წამოსელა, ნანულის-თან დავტოვე

გურამი – ხანძარია?

გურამის ცოლი – ყველას ხანძარი გვეგონა, მაგრამ ხუმრობა ყოფილა, ვიღაცას შეყვარებულის მოსატაცებლად სახანძრო მოუყვანია...


(მზია წამოხტება, ფანჯარასთან აჩქარებით მივა და გადაიხედავს. მერე შემობრუნდება, ცრემლებს მოიწმინდავს, ხმამაღლა გაიცინებს და ყველას იმ მოძრაობას უჩევენებს ორივე ხელით, რომელსაც გოლის ავტორი ფეხბურთელები აკეთებენ ხოლმე როცა ძალიან, ძალიან ბედნიერები არიან. მუსიკასაც თვითონ მზია ჩართავს და გიურად ცეკვას იწყებს, დანარჩენები კი რიგ-რიგობით, მაინც შეშინებულები უახლოვდებიან ღია ფანჯარას და მხოლოდ მაშინ ეცვლებათ სახეები, როცა ხვდებიან, რომ ამ სამყაროში კიდევ ერთი თავისუფალი ადამიანი დაიბადა...)

დასასრული და ფარდა



Excellence

სილამაგის სალონი



Café Canape

კაბენეგზე ქსშ. 7
7 Kazbegi ave. tel 37 35 73
საძოვის ქ. 14
14 Abashidze str. tel 23 14 53

Café Canape

კაბენეგზე ქსშ. 7
7 Kazbegi ave.
tel 37 35 73

ACCESSORIES
Dutch Design

დეგაპრინტი
DP
DEGAPRINT



წიგნი, ჟურნალი, ბროშურა, მოსაწვევი, პლაკატი




დეგაპრინტი გამარის

უკიდურა მოუხაუსია. რეზინი, ეპიკ, სუ დაცაველება
დაცაველი 100% მუსიკალური. არ გამოიყენოს?
ჩერტ ეს უკიდურა 100% ეპიკ დაცაველი?
ჩერტ ეს უკიდურა 10 დაცაველი და
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?
2010 წლის თებერვალი, ვერა კასა მარტინ
სასიმი ეს უკიდურა 10 დაცაველი?

...15 წლითში იქნება მზად

დეგაპრინტი
თბილისი, ვიორსალაძის 8
ტელ.: 99 50 07, 99 88 43
ფაქსი: 99 56 81
ელ-ფოსტა: degaprint@caucasus.net



grimmaskmakeup
studion

სტულია

გრიმ-გასკა



ჯანაშიას 2; ტელ.: 22 13 57; 877 46 59 68;
ელ-ფოსტა: grim_masc@yahoo.com


ჰოლივუდის განვითარები

კინოთეატრი „რუსთაველი“

რეჟისორი: ალენ კულტერი

1959 წლის 16 ივნისს, კუნთმაგარი, სპორტული აღნაგობის ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯორჯ რივზი საქუთარ სახლში, ტყციით განგმირული იპოვეს. ეს მკვლელობა, ისევე როგორც ბევრი სხვა, ჰოლივუდში, ბოლომდე გამოუძიებელი, ბურუსით მოცული დარჩა. ჰოდა, როგორც იცით, ადამიანებს უყვართ ამოუხსნელი, ნისლში გაფანტული ისტორიები და ამიტომაც, ჰოლივუდელი დებიუტანტის, ალენ კულტერის სამიზნეც „სუპერმენის“ პირველი სატელევიზიო სერიალის მთავარი როლის შემსრულებლის, ჯორჯ რივზის ცხოვრება გახდა.

ჰოლივუდში ცხოვრებამ ხომ შეიძლება დიდი პოპულარობა მოგიტანოს, ხოლო სიკვდილმა ჰოლივუდში – ლეგენდად გაქციოს. ამერიკაში, 50-იან წლებში მომხდარი ნამდვილი ამბავი და რივზის როლის შესასრულებლად 20 კილოთი მომატებული ბენ აფლეკი – ასეთია „ჰოლივუდენდის“ მოკლე ისტორია.



ბაბილონი

კინოთეატრი „ამირანი“

რეჟისორი: ალეხანდრო გონსალეს ინარიტუ

ამ ფილმს საკმაოდ დიდი გამოხმაურება ხვდა წილად კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც მთავარი პრიზის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატადაც კი მოიაზრებოდა. სულ რამდენიმე დღის წინ, ფილმმა „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში „ოქროს გლობუსი“ მოიპოვა. სამი დრამატული ისტორია დედამიწის სამ სხვადასხვა კონტინენტზე – იაპონიაში, მაროკოში და ამერიკა-მექსიკის საზღვარზე ხდება. ერთი შეხედვით ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ამბები საბოლოოდ ერთ მთლიანობად იყვრება და ემოციურად დატვირთული ისტორიები, საოცრად რთულ და დააბულ სანხაობას წარმოადგენს. ასე რომ, გირჩევთ „21 გრამის“ რეჟისორის, ალეხანდრო გონსალეს ინარიტუს „ბაბილონის“ ნახვას, სადაც ბრედ პიტს, ქეით ბლანშეტს, გაელ გარსია ბერნალს და კოდი იაკუსეს იხილავთ.


HANNIBAL RISING

კინოთეატრი „ამირანი“

რეჟისორი: პიტერ ვებერი

ის ლიტვაში, 30-იან წლებში დაიბადა. 40-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, ნაცისტებმა თვალწინ ამოუხოცეს მოელი ოჯახი. 20 წლის ასაკში საფრანგეთში გაიქცა, რომელიც მალევე დატოვა და საბოლოოდ ამერიკაში დაფუძნდა. პროფესიად – ფსიქიატრობა აირჩია და... და ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო.

ეს ამ წლის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილ-ბიუჯეტიანი და გახმაურებული ფილმის სინოჟისია. ფილმი, რომელიც კანოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშიში გმირის, პანიბალის ახალგაზრდობის შესახებ მოვითხრობს. იქედან გამომდინარე, რომ 70-ს გადაცილებული სერ ენტონი პოპკინსი არც ისე სახარბიელო სანახავი იქნებოდა 20 წლის ბიჭის როლში (ფილმი ხომ ახალგაზრდა პანიბალზე გვიყვება), ამიტომ მთავარ როლს დიორის სახე, ვინმე გასპარ უილელი ასრულებს, რომელსაც, თუ კინოკრიტიკოსებს დავუკერებთ, ამ როლის შემდეგ უდიდესი აღიარება და წარმატება ელოდება. მგონი ურიგო სანახავი არ იქნება იმის გაგება, თუ რატომ გახდა ერთი ლიტველი ბიჭი კაციჭამია, საშიში მონსტრი. სხვათა შორის, პანიბალის დედას ფილმში რუსული კინოს ვარსკვლავი ინგებორგა დაპუნაიტე თამაშობს.





ბაბრაზებული დედის თარიღი

პეივს ჯონლი, ანუ სამ ტაცხუიუ, სამ კაცუ ქართულად

– „თქვენმა ხმამ ისე მომხიბლა, გადა-
ვწყვიტე ეს საიდუმლო თქვენთვის გამენდო“
– ამბობს „ჯეიმს ჯონლის“ ფილმის გმირი
ქართულად.

– „თქვენმა ხმამ ისე შემაწუხა, გადავწყვი-
ტე ეს სათქმელი ხმამაღლა გამენდო თქვენ-
თვის“ – ვამბობ მე, ასევე ქართულად.

წარმომიდგენია, რა სახეები ექნებო-
დათ „ჯეიმს ბონდის“ შემქმნელებს ანდა იმ
საწყალ იან ფლეინგს, რომლის რომანის
მიხედვითაც გადაღებული ბონდის თავგა-
დასახლების უამრავი სერია არსებობს და
რომლის წარმოუდგენელმა პოპულარობამ
მსოფლიო მოსახლეობა ერთ დიდ ბონდია-
ნად აქცია, ერთხელ მაინც რომ მოესმინათ
მათი ზე-გმირის, სუპერგმირის, ლამის მი-
თოლოგიური, კულტადჭულეული აგენტ 007-
ისთვის, რომელიც ქალს უუნება – პური
მშია, ქალხო! წამო, გავიგულებაოთ! თან ყვე-
ლაზე მთავარი ისაა, რომ ასო – “ლ” გან-
საკუთრებულად, ვანო ჯავახიშვილისეულად
უნდა წარმოთქვათ და თქვენ წარმოიდგინეთ,
რომ ყველაზე სამწუხარო წინაა... სიამოვნე-
ბის ექსაზში ჩავარდნილი მაყურებელი ამას
აპლოდისმენტით შეხვდება!

ეს პრობლემა დიდი ხანია დგას საქართვე-
ლოში. ჰო, პრობლემა, იმიტომ, რომ როცა მრ-
გვალ მაგიდას ვაწყობთ, გავკიცით და სხვებს
უგემოვნო სპექტაკლების დადგმაში ვდებთ
ბრალს, როცა იმაზე ვაწყობთ გაცხარებულ
გამოსვლებს, რომ ტელევიზიონით ღამე, ერო-
ტიული სცენების ამსახველი ფილმები გადის
და ეს ჩვენს შეილებზე ცუდ გავლენას ახდენს,
მოკლედ რომ ვთქვათ – რყების, თურმე (წუ-
ასეთი ფილმების მამა ვინცაა, თქვენ თვითო-
ნაც კარგად იცით), მაშინ არავის ახსენდე-
ბა კინოთეატრში გაურკვეველი ადმინების
მდაბიური, უგემოვნო დიალოგებით ქართუ-
ლად გახმოვანებული კინო და ანიმაციური
ჩვენები, სადაც დიდი თუ პატარა, ზოის
უტრირებულ ქართლურ აქცენტს უსმენს და

მდარე – ამას უარგონსაც ვერ უწოდებ, ისეთი
შეთითხნილი ფრაზებით იკვებება.

მადლობა ღმერთს, იმ დრომ ჩაიარა, როცა
კინოთეატრებში სავაჭრო ცენტრები იყო
გახსნილი, ანდა გაყინულ, გაქუცულ დარბა-
ზში გინევდა ხარვეზებით გაშვებული ფილ-
მის ყურება. მართალია, ახლა ეს პრობლემა
უკვე გადაიჭრა, სამაგიროდ უარესი გაჩნ-
და. რას ვიფიქრებდი, რომ გალიპლიპებულ
დარბაზში ჯდომისას იმ ძველ, ჩემს ბავშვო-
ბაში ჩაბეჭდილ გაქუცულ, ბინძურ შენობას
ვინატრებდი, სადაც არ დამჭირდებოდა ჩემი
შვილისთვის ახსნა, თუ რატომ ეუბნება მისი
საყვარელი ანიმაციის გმირი, ეშვებიანი მა-
მონტი – მენი მეორეს, სახელად ნარგიზას
(!) – წამო, არ ვინდა შევჯვარდეთ-ო! რა-
ტომ გადის ანიმაცია მუნჯი ფილმივით, ამ
უანრისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი
ეფექტებისა და “ხმაურების” გარეშე, მარტო
იმიტომ, რომ ყიფილი „კვნ“-შეიკების მდარე
ლაზღანდარობას უსმინო?!

ისე, შეიძლება გამდიმებოდა ჩემთვის, ეს
ამპავი სადმე, მაგალითად თიანეთის რაიო-
ნის სოფელ უბოტას ადგილობრივ კლუბში
რომ მომხდარიყო (არ გეგონოთ ამ მხარეს
რამეს ვერჩოდე, ისე, მაგალითისთვის და-
მჭირდა, ესაა და ეს) – ხალხი თავის ჭიას
ახარებს, თვითშემოქმედებით არის დაკავე-
ბული-მეთქი, ვიფიქრებდი, მაგრამ ნურას
უკაცრავად... ეს ხომ ქალაქის ცენტრში,
ერთ-ერთ (ისე, რაღა ერთ-ერთ, როცა სულ
ორია!) დიდ კინოთეატრში, დიდ დარბაზში,
გაძეგილ დარბაზში ხდება, რომელსაც წარ-
მოიდგინეთ, ფილმის 2-კვირიანი მსვლელო-
ბის მანძილზე რამდენი ადამიანი წახულობს!
და როგორც ჩანს, ამას ბოლო არც არას-
დროს ექნება!

თურმე წუ იტყვი და რას წვალობდა თა-
ვის დროზე რამაზ ჩივკვაძე, რომელიც ერთ
დღეს რიჩარდ მესამე იყო და მეორე დღეს
– ბაბაჯანა; მედეა ჯაფარიძე, რომელიც ხან

კლეოპატრა იყო მარჯანიშვილის სცენაზე
და ხან – ბატი „ბატი ტასიკოში“; ოთარ მელ-
ვინეთუბუცესი, ლა ელიავა, გურამ საღა-
რაძე, ლეილა ძიგრაშვილი... ეტყობა აქ არ
იციან, რომ ფილმებს და ანიმაციას მთელს
მსოფლიოში მსახიობები ახმოვანებენ! პრო-
ფესიონალი მსახიობები. და მერე რა, თუ
რომელიმე გმირს ორიგინალში რობერტ დე
ნირ ახმოვანებს, იგივეს რუსეთში ოლეგ
ტაბაკოვი და აქ ზეო! ან შონზო! გახმოვა-
ნება, რომელიც ლამის ცალკე პროფესია –
ურთულესი პროფესია – ხომ ასეთი ადვილი
ყოფილა! შეკრებ ძმაკაც-მეგობრებს, ერთი-
ორ ნაცნობ ხმას, მაგალითად წინი ბადუ-
რაშვილს ან ლელა წურწუმიას და მიდი...
ვინაა პასუხის მომთხოვი? ის, ვინც DVD-ებს
ყიდულობს და ტელევიზიონით გაეთებული
ანიმაციური ფილმის ანონსისას ბავშვს ვერ
უხსნის, თუ რატომ არ შეიძლება კინოში
წავლა, თუ ის გაცურებული ფილმის შემქმ-
ნელი, რომელმაც არც კი იცის რა დღეში
აგდებები მის ნამუშევარს? აქ მხოლოდ უნიჭო
გახმოვანებაზე კი არ არის საუბარი, არამედ
იმ საკუთარი ინტერესუტაციით და „ფანტა-
ზიით“ შექმნილ დიალოგებზე, რომლებიც
არა მხოლოდ ასამარებს ნამუშევარს, არა-
მედ მავნესაც ხდის საზოგადოებისათვის.

განათლების სფეროში რეფორმებს ვაწყო-
ბთ და კინოში ვასწავლით, რომ სიგარეტს
პაპიროზი ჰქვია, ავტოსადგომს – სტაინკა, წვენს – სოკი და საერთოდ, ანიმაცია რომ
გვერდზე გადავდოთ, მათ ერთი დიდი კალი-
ბრის ტყვია დაახალეს ბრიტანელ აგენტს და
სამუდამოდ დაასამარეს, ნაგავ სანახაობად
აქციებს ბონდის ბოლო სერია; „ზოროს ნიღა-
ბი“ ზვიოს ნიღაბად გადააკეთეს და ზღაპრუ-
ლი, გამოგონილი, ბავშვის სამყარო უჯიშო
„დადაობად“ აქციებს. ანუ, მათივე ენაზე რომ
ვთქვათ, სამ ტანცუუ, სამ პაიუ უკვე მე-
რამდენე წელია, კიდევ ერთხელ ითამაშეს
და არაერთი მხატვრული თუ ანიმაციური
ფილმი თვითშემოქმედებით მიწასთან გა-
ასწორეს. როგორც ჩანს, ამაზე ზრუნვა არც
არავის ალელვებს და ამისთვის არც არავის
ცხელა. ამის გამო არავის რცხვენია, არც მა-
ურებელს, არც კინოთეატრის ხელმძღვანე-
ლობას და რაღა თქმა უნდა, არც მთავრობის
იმ ნარმომადგენლებს, რომლებიც კინოთეა-
ტრის გახსნისას გაბადრულები ჭრიდნენ სა-
ზეიმო წითელ ლენტს.

არადა, ეს პრობლემა ძალიან მარტი-
ვად შეიძლება გადაიჭრას. ამ უგემოვნობის
შეწყვეტით ხომ თქვენც დაისვენებთ და მეტი
დრო დაგრჩებათ ცხოვრების სიამ-ტებილო-
ბაში გასატარებლად და ჩვენც აღარ ვიგრძ-
ნობთ თავს ასე შეურაცხყოფილად.

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი



MAID IN TIFLIS

აკა მორჩილაძე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2007 წ.

მეონი სათაურზევე შეატყობილი, რომ ამ წიგნს ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავთ, რადგან ავტორი ისევ იქ გვაპრუნებს, სადაც უმისოდაც ვიხარშებით – ჩვენს მშობლიურ – თბილისურ ამბებში. ამ სამყაროში ყველაფერი არა მხოლოდ ნაცნობი, არამედ პირადად ჩვენია. წიგნის გმირებიც ჩვენ თუ არა, ჩვენიანები მაინც არიან...

წიგნის ყდაზე ბევრ კარს შენიშნავთ. რატომ? ჩამოსწიეთ სათითაოდ ყველას სახელური და მიხვდებით, რომ თითოეულ კარს ცალკე ამბავში შეჲყავხართ. Maid in Tiflis უამრავი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ამბის მიესია. მართალია თავიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ თითქოს რომანს სულ ორი მთავარი გმირი ჰყავს – ბარნოველი სვეტსკი ბიჭი ლევიკო, რომელიც უკვალოდ ქრება და მისი მეგობარი, პლეხანოველი, ნარკომანი მოგელა. მაგრამ ეს ორი პერსონაჟი მხოლოდ სატყუარაა. მას შემდეგ, რაც მოგელა ლევიკოს პირად ნივთებში მისი საყვარლების ტელეფონის ნომრებს იპოვის – თანაც მთელი საბჭოთა კავშირის მასტაბით და ამ ქალებს შემდეგ ძმაკაცის საფლავის სანახავად თბილისში ჩამოიყანს – აი, იქედან იწყება ისტორიების მთელი კასკადი. ქალები თავიანთ რომანებს ჰყებიან და ამ მონაყოლში როგორ სასიყვარულო ისტორიას აღარ გეტულობს მეოთხელი: მოგელასა და შირაზის ვარდისასა და ვარსექნისა და შუშანიკის რომანსაც კი!.. შიგადაშიგ ავტორი თავის თეორიებსაც გვთავაზობს, მაგალითად ისეთ საჭირბორო საკითხზე, როგორიც ქართველი კაცის რუსი ქალებისადმი ლტოლვის ისტორიული მიზეზებია...

იმასაც შენიშნავდით, რომ სათაური წიგნს მხოლოდ ინგლისური აქვს. ალბათ, სიტყვა maid-იც გეცნოთ, მაგრამ ცოტა არასწორად დაწერილი. თუმცა, ესეც სპეციალურად. ეს სიტყვების თამაშია. maid – უნდა გაიგოთ, როგორც ქალი და როგორც მიმზდარი. ასე რომ, ეს მინიშნებაა ქალურ ისტორიებსა და იმაზე, რომ ავტორი წმინდა წყლის თბილისურ ამბავს გვთავაზობს.

მეონი, საკმარისად დაგაინტრიგეთ. ამიტომ აუცილებლად დაელოდეთ წიგნს, ჩაუჯექით მორჩილაძის ახალ რომანს და შეეცადეთ ამ არაჩვეულებრივი რომანის კონვენიენტების განმავლობაში მაინც შეხედოთ საკუთარ თავსა და ქალაქს გვერდიდან...

ნიკოლო მინიშვილი


ლექსების კრებული


გამომცემლობა “ინტელექტი”. 2006 წ.

თუ ამ წიგნს მართლა მიაქცევთ ყურადღებას წიგნის მაღაზიის თაროზე, იმასაც შენიშნავთ, რომ ავტორის ადგილას მხოლოდ სახელი წერია: ნიკოლო... ეს ძალიან კარგ ჩანაფიქრად მეჩვენა; ძალიან კარგი იქნება, თუ თანამედროვე მკითხველი ისე გაიცნობს ამ დავიწყებულ სიმბოლისტ პოეტს, რომ მას მხოლოდ სახელით მოიხსენიებს.

ნიკოლო მინიშვილის ლექსების პირველი კრებული თბილისში 1922 წელს გამოიცა. მეორე კრებული სტამბულში გამოვიდა. მერე მინიშვილი ემიგრაციაში წავიდა და პარიზში გამომავალ ქართულ გაზეთებში აქვეყნებდა ლექსებსა და მინიატურებს. იქვე ჩამოაყალიბა 13-კაციანი “ქართველ ხელოვანთა კავშირი” — ელენე ახვლედიანთან, ქეთევან მაღალაშვილთან, დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიაშვილთან, მიხეილ ჭიათურელთან და სხვებთან ერთად. შემდეგ თბილისში დაბრუნდა და აქ განაგრძო წერა. თუმცა, 1937 წელს ისიც დახვრიტეს. 7 მაისს მინიშვილი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა და თავისი თამაში გამოსვლით ყველა გააოცა. მინიშვილი 2 ივნისს დააპატიმრეს და 13 ივლისს დახვრიტეს. დაახლოებით ერთ კვირაში იმავე შენობაში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა, მერე დააპატიმრეს მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძეც...

ერთი სიტყვით, ნიკოლო მინიშვილის გახსენება და ახლოს გაცნობა ნამდვილად ლირს. იქნებ მისმა ტრაგიკულმა ცხოვრებამ და ლექსებმა ისე შეგძრათ, რომ ამ პოეტს ძალიან დაუახლოვდეთ და მართლაც მხოლოდ ასე მოიხსენოთ: “ნიკოლო...”





რაღიარდ კიპლინგი

აი, როგორ და რატომ

თარგმანი: ნელი საყვარელიძე, თამარ ჯაფარიძე

მხატვარი: ანტონ ბალანჩინი

გამომცემლობა: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2007 წ.

კიპლინგიც იმავე გამომცემლობის საჩუქრია. იმავე მიზნით — პატარებისთვის და ჩვენთვის — ბავშვობის გასახსნებლად. ქართულად კიპლინგი ბავშვობაშიც მქონდა. სწორედ იქედან შევიტყვე, როგორ გაუხდა მარტორქას ნაოჭიანი კანი, როგორ გაუჩნდა ვეშაპს ყელი, რატომ აქვს სპილოს გრძელი ხორთუმი და რომელი იყო პეპელა, რომელმაც ფეხები დააბაკუნა... მოკლედ, ეს ბავშვური ალმოჩენების დრო კარგი იყო. მაგრამ მახსოვს, იმ წიგნს ილუსტრაციები არ უვაროდა დიდად. აი, ახალი გამოცემა კი ანტონ ბალანჩინის გააფორმა. და როცა ეს წიგნის ყდაზე წავიკითხე, მაშინდა მივხვდი, რომ კიპლინგს ყველაზე მეტად სწორედ ანტონის ნახატები მოუხდებოდა. ასეცაა. გადაშალეთ და თავად დარწმუნდებით. თან ის პირველი, ბავშვური ალმოჩენებიც გაიხსენეთ — მშვენიერი ტექსტისა და მშვენიერი ილუსტრაციების თანხლებით.

ალექსალერი პუშკინი


„ზღაპარი მეფის მკვდარი ასულისა და შვიდი დევგმირისა“

თარგმანი: არჩილ სულაკაური

მხატვარი: ალექსანდრე ბერდიშვილი

გამომცემლობა: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2007 წ.

რამდენიმე დღის წინ შუქი წავიდა, ჩემმა მეგობარმა, რომელიც რუსული ლიტერატურის თავგადაკლული მოყვარულია, პუშკინის ტომები მოითხოვა. იმდენად გავოცდით, რომ უხმოდ დაგმორჩილდით და მერე, მთელი საღამოს განმავლობაში ვუსმენდით სანთლის შუქზე წაკითხულ ზღაპრებს, რომელთა შორისაც ესეც იყო: “ზღაპარი მეფის მკვდარი ასულისა და შვიდი დევგმირისა”. ცარს ცარიცეი პროსტილა, ვ პუშკინის ზღაპარი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ბავშვობას ახსენებს, არჩილ სულაკაურმა თარგმნა. ვისაც მისი ლექსები წაკითხული აქვს, ნამდვილად დაიჯერებს, რომ სულაკაურისეული პუშკინის თარგმანიც ძალიან კარგი იქნება. ასე რომ, გირჩევთ ყურადღება მიაქციოთ ამ პატარა ზღაპრის წიგნს მაღაზიების დახლებზე — ვინ იცის, იქნებ კიდევ წავიდეს შუქი და სანთლის თანხლებით ბავშვობის გახსენებას კი აბა, რა შეედრება... თან შეძლებთ, რომ ჯერ რუსულის უცოდინარი პატარებიც შეახედოთ ზღაპრების სამყაროში.




გალხაზ ხარბელია

პირადი ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „არეტე“. 2006 წ.

“პირად ბიბლიოთეკას” ორი დიდი წინაპარი ჰყავსო — ხორხე ლუის ბორხესიო და უმბერტო ეკოო, — წერს ავტორი წინასიტყვაობაში და თავისი წიგნის შინაარსს ასე გვიხსნის: ეს არის რაღაც საშუალო სალალობო რეცეზიებსა და მოკლე წინასიტყვაობებს შორისი. პირადად მე ვერ გეტყვით, ამ უარის — “პირად ბიბლიოთეკას” უფრო სპეციფიკურ ენაზე როგორი განმარტება აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი წიგნი მართლაც სალალობოდ იკითხება.

მალხაზ ხარბედია ცნობილი ბიბლიოფილია, იმდენი წიგნი აქვს წაკითხულ-გადამუშავებული, რომ ხშირად მიჩნეს ხოლმე კითხვას: “ამას რატომდა კითხულობ?” თუმცა, თავის კრებულში, რომელსაც დიდი ხანია ამზადებდა, მხოლოდ ნარჩევ-ნარჩევი წიგნების შესახებ დაწერილი ტექსტები შეიტანა. თუ წიგნს გადაშლით და ნერილებს გადახედავთ, შეიძლება ბევრი მათგანი გეცნოთ კიდეც, რადგან ეს წერილები 2003 წლის სექტემბრიდან მოყოლებული გაზიერებით 24 საათში” იბეჭდებოდა. და თუ რომელიმე მათგანი წაგიკითხავთ, ამ წიგნში სათაურითვე იცნობთ. ესეც რომ არა, ყოველთვის საინტერესოა გაიგოთ, რას ფიქრობს “პროფესიონალი მკითხველი” — ანუ ლიტერატორი იმ წიგნების შესახებ, რომლებიც თქვენც წაგიკითხავთ. ასეთი წიგნები კი მალხაზ ხარბედიას “პირად ბიბლიოთეკაში” უამრავია: კენ კიზის, ჰერმან მელიოლის, ჯერმო სელინჯერის, პატრიკ ზიუსკინდის, პერეს-რევერტეს, ჯონ მაქსველ კუტჩეეს და სხვათა ჩათვლით.





ქალის სურნელი

რადიო „უცნობი“ ყოველდღე, დღეში ოთხჯერ გთავაზობთ ახალ გადაცემას „ქალის სურნელი“. გადაცემაში ვისაუბრებთ ყველა იმ თემაზე, რომელიც ქალებს და არა მხოლოდ მათ დააინტერესებს. მაგალითად, რუბრიკიდან „სარკის წინ“ გაიგებთ, როგორ უნდა გამოიყერებოდეთ კარგად და როგორ შეინარჩუნოთ ახალგაზრდობა. ასევე მოისმენთ რჩევებს პროფესიონალი კოსმეტიკოგებისა და ვიზაჟისტებისგან. რუბრიკაში „ჯანმრთელობა“ – ყველაფერია თქვენი ჯანმრთელობისთვის: სწორი კვება და დიეტები. ცალკე რუბრიკები ეთმობა კარიერას, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, მოდის ისტორიას, ცნობილი დიზაინერების რჩევებს ყველაზე აქტუალურ ტენდენციებზე, ასევე კულინარიას და მის ისტორიას.

უსმინეთ ყოველდღე: 10:45, 12:45, 15:45, 21:15.

შაბათს: 12:30, 13:30, 17:30, 21:30,

კვირას: 10:30, 11:30, 13:30. 20:45 (განმეორებები).



STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

ყველა
განვალება


1


30%
ბარათში

VISA SHOPPING



www.standardbank.ge
ტელ.: +995 32 55 00 00
(გარეული გადახდის გაცემის დრო)





www.geocell.ge

